ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

1

1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

1

იანვარი

1991

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო“. № 302. გამოცემის 33-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

□□□

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

□□□

მორიგე რედაქტორი
ელზა მეტრეველი

# შინაარსი

## პროზა და პოეზია

3. რევაზ ინანიშვილი — გვიანი შემოდგომა კახეთში. კინონოველა
23. ომარ თურმანაული — ლექსები
26. ნინო ქუთათელაძე — ლექსები
28. ვასილი გროსმანი — „ყველაფერი იცვლება...“ თარგმნეს ეთერ ბალიაშვილმა და ლია შერვაშიძემ
62. გიორგი გიგაური — ლექსები
64. თენგიზ კაკუშაძე — ლექსები
67. ვაჟა ჩორდელი — იალკიალი. მოთხრობა
99. ზაურ მოლაშხია — ლექსები
102. შოთა იათაშვილი — მოთხრობები
119. სპარტაკ მხეიძე — ლექსები

## ისტორიის თეთრი ფურცლები

121. ლევ ტროცკი — სტალინი. თარგმნეს ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა

## წერილები

139. მიხეილ ბავაშელი — „რამ შემქმნა ადამიანად“
145. ზურაბ ბრაგვაძე — აღმოსავლეთ კოლხეთის წარსულისათვის
151. ანო მესხი — სიწმინდის კრიზისის პრობლემა ტომას პინჩონის რომანში „მიზიდულობის ცისარტყელა“
156. მერაბ კალანდაძე — ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებისათვის

რევაზ ინანიშვილი

# გვიანი შემოდგომა კახეთში

## კინონოველა

**ავტობუსი** სავსეა. სხედან კახელები და ყველანი მე მიყურებენ. მე საწვიმარი მარცხენა მკლავზე მაქვს გადაკიდებული, პორტფელიც იმ ხელში გადამაქვს. პიჯაკის გულჯიბიდან ბილეთს ამოვიღებ, ჯერ იმ ბილეთს ვათვალიერებ, მერე ავტობუსის ერთადერთ თავისუფალ ადგილს. წინ არაფერი წერია, ვუთვალიერებ საზურგულის უკანა მხარესაც, არც იქ წერია არაფერი. ვეკითხები ვეება, გაბებლვილ კაცს, რომელსაც სკამის ორი ადგილიდან ერთნახევარი უკავია.

— თქვენი რომელი ნომერია?

— ათი.

— ეს თერთმეტი იქნება?

— ჰო, ათის მერე თერთმეტია.

ვეება კაცი წამით ამომხედავს და მერე ისევ წინ გაიხედავს გაშეშებულივით. კალთაში ბოხჩა რომ უდევს, ზედ ხელები უწყვია. აი, ხელები. დიდები, მსუქანი, მაგრამ უთუოდ ძალიან ღონიერიც. მე ღიმილით შევდებ მაღლა, ბადურიან საბარგულში, პორტფელს, მერე — ფრთხილად დაკეცილ საწვიმარს და ვჯდები. კაცი მიწევს ცდილობს, არაფერი გამოსდის. ნახევრად ვზივარ, მაგრამ, თქმა რა საჭიროა, არ ვიმჩნევ.

ამოდის შავი, მსხვილი მძღოლი. ჯერ ქაღალდებში იყურება, მერე მგზავრებს გადაავლებს თვალს.

—დაგთვალოთ?

— სერვიზი რომ არ დაგაკლდეს? — წინა მგზავრის კეფასთან ჩაილაპარაკებს ვილაც ახალგაზრდა.

მძღოლი თვალებს ჭუტავს.

— რა სთქვი შენ მანდა, როგორა?

— ნათლიაჩემს უკუდო ჩოჩორი გაუჩინა ლაზიკო სახედარმა და იმის დარდში ვარ, ლაფში რომ ჩაეფლას, რა ქნას?

ისევ წინა მგზავრის კეფასთან ამბობს ახალგაზრდა.

მძღოლი ქუდს აიწევს შუბლიდან.

— აბა, აქ მიყურე, — მიიჭერს თითს შუბლზე. მერე თითს აიღებს და იმ ადგილს თეთრი წერტილი დარჩება ნატყვიარივით.

ბიჭი გაკვირვებულია.

— ვა? თქვენ გეორგინთან ხომ არა ხართ ნამუშევარი.

— ეგ არ გინდა რა, სადა ვარ ნამუშევარი და როგორ.

მძღოლი ჯდება. უცებ აამუშავებს ძრავას. მანქანა ბურძაყს იწყებს. ცოტაც და გადმოვვარდები სკამიდან.

— იქნება ცოტათი მაინც მოგეწიათ, ძია!

— რკინისაა. — იდაყვს უბრაგუნებს მანქანის გვერდს მსხვილი კაცი. ისევ წინ იყურება მშვიდად. მე წინა საზურგულს ვეჭიდები ორივე ხელით, მანქანის ბურძაყს რიტმულად ავდევ და ჩავდევ.

საქართველოს
სოოვნული
ბიბლიოთეკა

4
ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ო, ეს შემოდგომის გზები!

მშვიდი, მომწვანო ფერი დაჰკრავს მტკვარს; წითლად ბრიალებენ გარგრები, ჰერმები და ალუბლები ნავთლუღში. დაფეთებულნი გადარბიან გადასასვლელზე დედაბერი და ბავშვი. მკაცრი თვალებით გვიყურებს მოტოციკლეტთან გაჩერებული ავტოინსპექტორი. „ჟიგულიმ" „ჟიგულის" თუ დაარტყა, — დუელიანტის ნაბიჯებით უახლოვდება ორი ღიპიანი კაცი. ვეება სიმკარმზიდი ძლივსძლივობით შებრუნდება გასახვევში. ცაზე გრიალით ამოდის ვეება „ტუ-157", თავდახრილები დგანან ვარკეთილის ტირიფები. მე კურდღელივით ვფხიზლობ. ყოველ ჩასახვლელს მუხლებდაძაბული ვხვდები. გვერდზე მჯდარი მსხვილი კაცი მშვიდად მიხსნის:

— მამაჩემი უფრო მსხვილი იყო. პაპაჩემი კიდევა... ის კიდევ უფრო მსხვილი ყოფილა. მე გოდორას მეძახიან. იმას საწნახელა რქმევია. ჩვენს თავადს იმერეთში წაუყვანია ღვინის სასმელად, იმერლებთან შესაჯიბრებლად რა! ხოდა, რო უნდა წასულიყო თურმე, რეპეტიციისათვის, დასწაფებია სამსაპალნიან, ათას ხუთას ლიტრიან სავსე ქვევრს და ერთ მტკაველზე დაუყვანია.

— ვაა!

— ჰო. ჩაუყვანია თავადს იმერეთში და მთელი იმერეთი გაუკვირვებია. მე იმასთან შედარებით რა ვარ! ბიჭებიც დიდები მყავს.

— გაგიზარდოთ!

— გაზრდილები არიან. ერთს სამი შვილი ჰყავს, მეორეს — ოთხი გოგო. შენ რა ხელობის კაცი ხარ თავადა?

— მე იცით, მწერალივით... მწერალი გახლავართ.

— მწერალი? — კაცი შემომხედავს. — იყავი, შვილო, იყავი.

●

დაიწყო ნაპურალები, ანეულის ჯეჯილები, წყნარად წაგლუვებული მრავალგორებში, მარტოხეები, ცხვრები, გრძელჯოხიანი მეცხვარეები — უკან ადევნებული მოწყენილი ძაღლებით.

— ბოდბეში ხომ აივლი, შვილო! — წამლერებით ეკითხება ერთი დედაბერი მძღოლს.

— არა. — მოკლედ უპასუხებს მძღოლი.

— რას ამბობ, ბიჭო, მართლა არ აივლი? — ეკითხება ახლა მზისა და ჯაფისაგან დამდნარი პატარა, ცისფერთვალებიანი კაცი.

— არა-მეთქი!

— ი, მართლა არ აივლი, ბიჭო? — კითხულობს მესამეც.

— ვთქვი, არ ავივლი-მეთქი და როგორ გგონიათ, სიტყვაზე გადავალ ეხლა? — ბრაზიანად ყვირის მძღოლი.

— სწორი ხაზის გამტარებელია აჩკებიანივით, — წინმჯდომის კეფასთან ამბობს ახალგაზრდა.

მძღოლი კისერს მოღრეჯავს.

— შენ მანდა, შუბლი ხომ გაჩვენე წეღანა?!

— ჰო, ჰო, — თავს ჩაღუნავს ახალგაზრდა.

— არ მაჩვენებინო მეორედა.

●

შევდივართ ნისლში, წვრილადაც წვიმს. გზაზე წონწოხები დგას. მძღოლი „შენიშვნებს" ურიგებს ამვლელჩამვლელი მანქანების მძღოლებს.

— ნელა, ფეთხუმო!

— ჩირგვებში გაზრდილო.

— შენ მანქანაზე ვინ დაგსვა! შენ ნეკერს უნდა ჰკორტნიდე სოფლის ბოლოებზე.

ვჩერდებით. წინ მანქანები გაჩხირულან. ვიღაცა ვიღაცას უყვირის, — ბრმა ხარ, ბიჭო? ვიღაცა წინ გარბის, ვიღაცა წინიდან უკან მორბის. ჩვენი მძღოლი კარს გააღებს და ტრიბუნიდან გადამდგარივით გადასძახის.

— ჩარჩით შუაგზაში კომუნიზმის მშენებლებივითა....

ისაა, უნდა დავიძრათ და, ვიღაცა აბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რახუნებს გამეტებით გარედან. მძღოლი კარს გააღებს.

— რა იყოთ, მოგდევენ?

— არა. კაცო. შენ რომ დაგინახეთ. ავღელდით.

ავტობუსში ამოსული მთვარესავით განათებული ახალგაზრდა კაცი მგზავრებს გადახედავს. მძღოლი ცერად შეჰყურებს და მანქანას ძრავს. ორიც სხვა ამოვიდა, ის ორიც მსხვილი, დაჟინქლილებული, ახლა ერთმანეთზე არიან მიხორხლილნი სამივენი.

— მიდექით ახლა უკან, ნუ დამადგებით ყველანი თავზედა? — შეწუხებული მოღრეჯავს კისერს მძღოლი.

— ყველანი როგორ დავეტევით, კაცო?

— სად არ დაეტევით?

— თავზე, კაცო.

მძღოლი ამოხედავს, ეს ახალამოსულები მასზე მსხვილები არიან, შეუშვებს საჭეს ხელებს.

— ვაჰ, კაცო, გამაგებინეთ რა დღეა დღესა, რა ყველას სამართებელიევით გაქვთ გალესილი ენები!

სამნი უკან იწევენ. ერთი ქალი წუწუნებს:

— დათვი ხარ. რა ხარ, რა დედის შვილი.

— აგე ჩემზე მსხვილი უკან არ გიზის, ჩემი რა გიკვირთ.

— მე შენ სიმსხოსთან რა საქმე მაქვს.

— აბა!

— ფეხზე დამადექი.

— ვაი, მე ჩასაქოლსა! მერე მაგაზე მეტად ვერ ამოგაჭყივლე, დეიდა?!

მგზავრები იცინიან. იცინის დაზარალებული ქალიც. ვიცინი მეც. მძღოლი პირჯვარს იწერს:

— ღმერთო, მშვიდობით მიმიყვანე ცოლ-შვილთან!

ნახნავები, დიდი ლამაზი მარტო ხეები, ნისლი.

●

ავტობუსი რაიონულ ქალაქშია გაჩერებული, ვილაცები ჩადიან, ჯმაჯუნით, ნერვიულობით. მძღოლი ფეხზე დგას. თითქოს ითვლის, თან ჰოძღვრავს:

— ნელა, ნუ იფუჭებთ ნერვებს.

მეც ფეხზე ვდგავარ. საბარგულიდან პორტფელსა და საწვიმარს ვიღებ.

— თქვენც აქ ჩადიხართ, პატივცემულო? — მეკითხება მთვარესავით განათებული გოგია, ქალს რომ ფეხი დაადგა წელან.

— ჩავდივარ.

— თქვენ ხომ აქაური არა ხართ!

— არა, სტუმრად მივდივარ.

— ამათთანა, კაცო?! — თავს მიაბრუნებს, ვითომ სიცილით იგუდება. მერე მოიხედავს. — საჭმელ-სასმელი თუ გაქვთ წამოღებული.

მე მეღიმება.

— მშიერს მოჰკლავენ. — გოგია ძმაკაცებს გადაჰყურებს დასტურის მოლოდინში.

— ჰო, ჰო, მოჰკლავენ. — თავებს უქნევენ ძმაკაცები.

— აი, რა! — მკლავზე მექაჩება გოგია. — ეს სამნი ხომ ჩვენა ვართ, მეოთხე კაცი გვჭირდება, კოხტად რომ მივუსხდეთ სუფრას.

— დიდი მადლობელი, დიდი! — თავს ვუქნევ უარის ნიშნად.

— დაფიქრდი. დაგვათვალიერე. — მაფრთხილებს გოგიას ძმაკაცი.

— ჰო. კარგად შემოგვხედე. — ქუდს იხდის მესამეც.

— დაფიქრება არ უნდა, — მოკლედ ჭრის გოგია, — მარტო ერთი ისეთი სადღეგრძელო ვიცი... ღვინოს არ ვაქებ. ერთი სადღეგრძელო ვიცი...

— იცის, იცის! — დასტურს აძლევენ ძმაკაცები.

— დიდი მადლობელი, სხვა დროს! — თავს ვუკრავ და კარისკენ მივდივარ.

— ბოდიშის მოხდითა, მაგრამ სცდებით. შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ სცდები. ამათთან სტუმრადა? — ცერს გარეთ იშვერს გოგია, ჩემს ადგილზე ჯდება, თავს ჩაღუნავს, ვითომცდა ძალიან დადარდიანებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სცდები! ძალიანა სცდები! — მადევნებენ გოგიას ძმაკაცები.

მე ხელებს მაღლა ვწევ და ისე ჩავდივარ ავტობუსიდან.

●

პორტფელი მარჯვენა ხელით მიკავია, საწვიმარი მარცხენა მკლავზე მაქვს გადაკიდებული და მოედანს ავდევ.

ჩვეულებრივი რაიონული ცენტრი — მოასფალტებული მოედნით, რამდენიმე ასევე მოასფალტებული ქუჩით. მოედნის ირგვლივ — მაღაზიები, სახელოსნოები. სახელოსნოებთან კაცები, ლაზღანდარა ბიჭები, მაღაზიისკენ მიმავალი ქალები. მაღაზიებიდან გამოსული ქალები...

მოდის ორი თმამოშვებული, ფარფარა შარვლიანი ბიჭი. მზესუმზირას მოჰფქვამენ. უცებ ერთი მობრუნდება, მოვა ჩემთან და მტკიცედ მეკითხება:

— რატომ მზესუმზირას არა სჭამთ?

მე გაუგებრობა მეხატება სახეზე. ყოველი შემთხვევისათვის მაინც ვეკითხები:

— როგორ ბრძანეთ?

— რატომ მზესუმზირას არ მიირთმევთ?

— სავალდებულოა?

— არ იცით?

ბიჭი შარვლის ჯიბიდან მთელ მუჭა მზესუმზირას ამოიღებს და პიჯაკის ჯიბეში მიყრის.

— მზესუმზირა უნდა სჭამოთ.

მოშორებით გაჩერებული ბიჭი მშვიდი თვალებით მიყურებს. ჩემგან წასული ბიჭი გვერდით ამოუდგება და, ვითომც არაფერი, ჩვეულებრივ წავლენ.

მე პორტფელი მარცხენა ხელში გადამაქვს, მზესუმზირას ვიღებ და წინაკბილებით ფრთხილად ვკნეტ. არაფერი! უგემრიელესი მზესუმზირაა, სიამოვნებით ვაცმაცუნებ ტუჩებს, ერთხელაც ვიხედები ჩემგან წასული ბიჭებისაკენ. იმათ სხვა ბიჭები შეუერთდებიან. წყნარად დგანან.

ჩამოივლის ცხენის საზიდრიანი მენავთე.

მერე ბორბლებმორთული ველოსიპედიანი ბიჭი.

მერე დაბალი, ჩაბურვაკებული კაცი. საჩვენებელ თითზე დაკიდებული ცხვრის ბარკალი მოაქვს.

— უკაცრავად, რაისაბჭო სად არის, ხომ ვერ გვეტყვით?

— რა საბჭოო?

— რაიონული საბჭო.

კაცი აქეთ-იქით იყურება.

— რაიკომი?

— რაისაბჭო.

კაცი ტროტუარზე მდგარ კაცებს ეძახის.

— ბიჭო, რაისაბჭო რაიკომშია, არა?

— რომელი საბჭო?

— რაისაბჭო, ყრუო.

კაცები ერთმანეთს გადახედავენ.

— ჰო, ჰო, რაიკომშია.

კაცი ცხვრის ბარკალს მარცხენა საჩვენებელ თითზე გადაიტანს, მარჯვენას შარვალზე გადაისვ-გადმოისვამს.

— აგერ რომ ახვალ, მაღაზია რომ თავდება, იმ მაღაზიის იქით ასახვევია, იქ რომ აუხვევ, ერთი დიდი სახლია გადმომდგარი, იმ სახლშია ყველაფერი.

კაცი ფეხიდან იწყებს და თავამდე მათვალიერებს.

მე მადლობას ვუხდი და მივდივარ.

ჩამოივლის 9-10 წლის ბიჭი.

— სემიჩკა არა გაქვს? — მეკითხება პირდაპირ.

მე მზესუმზირას ამოვიღებ და მუჭაში ვუყრი.

ბიჭი არც შემომხედავს, ისე მიდის.

უკან პატარა ძაღლი მისდევს.

●

რაიცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში თითქოსდა კაციშვილი არ არის.

მივდივარ, თითქოს ჩემივე ნაბიჯების ხმა მაკრთობდეს. ვკითხულობ კარებთან გაკეთებულ აბრებს. ტუჩების ცმაცუნით ვიმეორებ გვარებს. ბოლოს ვპოულობ, რასაც ვეძებ. პორტფელი ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მარტო მოთხრობებს ვწერ.

— უჰ, მაშ ის სხვა მახსოვს, კაცო? ბედნიერი ხალხი ხართ მწერლები, წერთ და წერთ.

— კი, კი. — ღიმილით მივუგე მე.

— ჩვენ რით შეგვიძლია გემსახუროთ?

— იცით რა, მე მაინტერესებს... აი, რთველი ხომ დამთავრდა, როგორ ცხოვრობენ საქმემოთავებული კოლმეურნეები, ახალგაზრდები.

— მოწინავე კოლმეურნეები.

— არა. მაგას მნიშვნელობა არა აქვს, საერთოდ, უფრო ახალგაზრდები, საჭმელიც რომ აქვთ და სასმელიც.

— სიამოვნებით, სიამოვნებით გაგაცნობთ ყველაფერს. ჩვენ ძალიან საინტერესო ხალხი გვყავს. აბა, დღეს რაღა იქნება და ხვალ დილიდან... ღამის გასათევი ხომ გაქვთ?

— არა ჯერ. სასტუმროში ვაპირებ.

— სასტუმრო...

ენერგიული განყოფილების გამგე უწადინოდ აიღებს ტელეფონის ყურმილს. აკრეფს ნომრებს.

— სასტუმროა? რობიზონი ხარ? როსტიაშვილი გელაპარაკები. რობიზონ, მწერალთა კავშირიდან არის ჩამოსული ამხანაგი. მოიცა, რას აუწიე ხმას, საერთოში არა.

განყოფილების გამგე რაღაც წყრომით გასწევს ყურმილს განზე.

— საერთოში...

— იცით, ბატონო, მე საწერები მაქვს. განყოფილების გამგე ისევ მიიდებს ყურმილს.

— ბიჭო, გესმის?! საწერები ექნება კაცს. არ არის, თბილისშია წასული, მწერალთა კავშირიდან, ხომ გითხარი. ჩვენზე უნდა დაწეროს წერილი, — ჩემს სამივლინებო ბარათს ასწორებს და შიგ იხედება. — გიორგობერიძე, გვარია ეს ორივე სიტყვა. შენ, იცი რა, ნამეტანი უფლებებს ნუ აძლევ თავს. მწერალთა კავშირიდან. ხომ არ დაჰყრუვდი? რო მოვა, დაგირეკავს.

განყოფილების გამგე ომგადახდილივით დადებს ყურმილს და დარდიანად გამიღიმებს.

— ახლა სასტუმროში წაბრძანდით, დაისვენეთ და ხვალ დილას, რვა საათიდან თქვენს განკარგულებაში ვართ. დილას თავმჯდომარეც აქ იქნება.

მე ვდგები.

განყოფილების გამგე სამივლინებო ბარათს მიწვდის, იხედება შიგ და გუნებაში იმეორებს ჩემს გვარს — „გიორგობერიძე..."

— სასტუმრო ზემოთ არის, არა?

— აქვე, ბაღის თავში, თეთრი შენობა რომ დგას, ის არის.

— კეთილად.

— კეთილად.

ენერგიულად მართმევს ხელს, კარამდე მაცილებს.

მე ქუდს ვიხურავ და გამოსამშვიდობებლად ძალიან მაღლა ვწევი ხელს.

●

ნებიერი ტურისტის ნაბიჯით ვუახლოვდები სასტუმროს.

„ალაზანი", „Алазани" — აწერია კარს ზემოთ გამოკიდებული ელექტრონის თეთრ ბუშტებს.

მთავარ კიბესთან სამთვლიანი მოტოციკლი დგას. მის ნავში რქებდაგრეხილი ყოჩი გაჩერებულა, მძიმედ აქანებს თავს. მივდივარ. ყოჩს შუბლზე ვადებ ხელს და ღიმილით ვუსინჯავ კისრის სიმაგრეს.

— გაანებე თავი, ბიჭო! — მეძახის მოტოციკლისკენ მომავალი მილიციელი და თან თვალი ვევება „პლატფორმებიან", მინიქვედატანიან გოგოზე რჩება. გოგოს ღუმელის ორი ახალი მილი მიაქვს. თითქოს ცელქობით მიჰყვებიან უკან ასფალტზე ნიავისაგან ატაცებული ფოთლები.

—რომლისაა? — მამაკაცურად ჩათქმული ღიმილით მეკითხება მილიციელი.

მე მხრებს ვიჩეჩავ.

— არ ვიცი, მე აქაური არ გახლავართ.

მილიციელი სერიოზულ სახეს მი-იღებს. ამათვალიერ-ჩამათვალიერებს, ფეხის ორი დაკვრით აამუშავებს მო-ტოციკლს, გადააჯდება, რაღაცას შეაჭ-მევს ცხვარს, ერთსაც შემომხედავს და წავა.

მე ღიმილით გავყურებ მის გზას.

მოტოციკლის პირისპირ დინჯად მო-დის ორთვალაში შებმული ცხენი. ორ-თვალას კოფოზე კერპებივით უძრავად სხედან შავებით შემოსილი ქალი და კაცი. გაბმული სიგნალით უსწრებს ორ-თვალას „ჟიგული“. გზის თავზე გაჭიმუ-ლია მსხვილად ნაწერი მოწოდება: „არც ერთი უსაქმური ჩვენს შორის“.

●

კარს ჯერ ჩემსკენ ვეწევი. — არ იღება, — მერე წინ, მაინც არ იღება. ვაშველებ მუხლს და მხარს, ძლივს-ძლივობით მიშვებს.

პირველი, რასაც მე ვესტიბიულში ვხე-დავ, ესაა: მრგვალ მაგიდაზე პატარა ბი-ჭი ზის, არხეინად იქნევს ფეხებს და გემრიელად კბეჩს წითელ დიდ ვაშლს. გვერდით სანოვაგით სავსე დიდი ბადუ-რა დგას და ცალი ხელით ის ბადურა უჭირავს, თითქოს მოტაცების ეშინო-დეს.

ადმინისტრატორს — გამხდარ, ბრტყე-ლულვაშიან კაცს — ვეება წიგნი უდევს წინ. ყოველი შემთხვევისათვის თავი ისე უჭირავს, თითქოს გატაცებით კით-ხულობს. მე ერთს ამომკრავს თვალს და ისევ წიგნს ჩაუღრმავდება. მივდგები ბარიერთან, პორტფელსა და საწვიმარს ბარიერის თავზე შემოვდებ. ადმინის-ტრატორი იმ პორტფელსა და საწვიმარს ათვალიერებს. მერე მე შემომხედავს, თი-თქოს მიცნობს. სახე გაუნათდება, წა-მოდგება ძახილით, — ოოო! — წიგნს დახურავს და სათვალესაც მოიხსნის. წიგნს აწერია: „История дипломатий“.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძა-ნება. ხომ კარგად ბრძანდებით, ბატო-ნო რამაზ — ოჯახით, შვილებით?!

მე ცოტა შეცბუნებული ვარ. იმ სა-უბრიდან, რაც სულ ათიოდე წუთის წინ განყოფილების გამგესა და ადმი-ნისტრატორს ჰქონდათ, მე ისეთი დას-კვნა უნდა გამომეტანა, რომ ადმინის-ტრატორს მაინცადამაინც არ უნდა გა-ხარებოდა ჩემი ამქვეყნად გამოჩენა. აქ კი...

— გმადლობთ! გმადლობთ! — ვიმე-ორებდი და მეც ვუღიმოდი.

— დაიღალეთ?

— არა, რასა ბრძანებთ!

— პირველად ბრძანდებით ჩვენთან?

— პირველად.

— გისურვებთ კარგი შთაბეჭდილე-ბებით წაბრძანებულიყავით აქედან.

— ვეცდები.

— ჩვენ, ბატონო რამაზ, ჩვენ უნდა ვეცადოთ.

მე სამივლინებო ბარათს და პასპორტს ვუწვდი. ადმინისტრატორი ერთს გადაჰ-კრავს თვალს სამივლინებოს, მეჩვენება, რომ ისიც რამდენიმეჯერ იმეორებს გუ-ნებაში ჩემს გვარს — გიორგიბერიძე — და მერე დაუდევრად მიწვდის პატარა ანკეტას.

— ყოველი შემთხვევისათვის... რას ვი-ზამთ, გაიღიმეთ, როგორც გენებოთ. მაგრამ მაინც შეავსეთ.

მე კალამს ვეძებ. ჯიბეებში ვერ მი-პოვია. პორტფელს ვწვდები.

— აი, ბატონო რამაზ!

მშვენიერ, მძივებით მორთულ პასტი-ან კალამს მაწვდის. მე სიამოვნებით ვა-თვალიერებ კალამს. მერე წერას ვიწ-ყებ. ადმინისტრატორი ფეხზე დგას და ტკბილი ღიმილით მიყურებს.

●

მშვიდად, სურათების თვალიერებით ავდივარ კიბეზე. „რთველი“, „მოსავ-ლის ზეიმი“, „ბედნიერი გლეხობა“. „ოქროს განთიადი“, — სულ ისეთი სუ-რათებია, დამკვრელური შრომისთვის რომ აღაგზნებენ ადამიანებს. მთავრო-ბა კიდევ უფლებას აძლევს, იყიდონ ისეთი სურათები დაწესებულებებმა.

სართულის მორიგე ხნიერი ქალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის და წიწლას ქსოვს. გულგრილად დამყურებს ჩემს მიერ მაგიდაზე დადებულ ქაღალდს. უცებ გაცხარდება:

— გიჟია ეგა! ორმოცდამერვე რომ არ იღება, არ იცის მაგანა?

— ვერაფერს გეტყვით, ქალბატონო.

ქალი ტელეფონის მილს აიღებს და ადმინისტრატორთან რეკავს:

— შენა, რა ვქნა, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ორმოცდამერვე არ იღება, არა! ვაჰ, არ იღება-მეთქი, რათ ალანძღვინებ ხალხს ჩემს თავს?!. შენა?.. ამობრძანდი მაშინ და შენი თვალითა ნახე. ბიჭოს! ხათაბალაა?!.

სართულის მორიგე ტელეფონს ჩაქოლავს და მე მომიბრუნდება.

— დაბრძანდით.

— არა უშავს, დაღლილი არა ვარ.

— გაკეთება არაფრისა არ უნდათ და აქეთ კი მედავებიან მე.

სამიოდე წუთში რობიზონი ჩვენთანაა და კეთილად მიღიმის.

— მომე გასაღები, — ეუბნება სართულის მორიგეს.

— წამობრძანდით!

რობიზონა წინ წამიძღვება.

— აი, ხომ ხედავთ, — მასწავლის, როგორ იღება 48-ე ოთახის კარი, — აესე ხომ გამოსწევთ ემ სახელურს, აექ მუხლს მიაჭერთ, ცოტა მაგრა. გასაღებს კიდევ აესე დასწევთ ძირს და ჰოპ! გაიღო? გაიღო. ახლა დაკეტვა. ისევ — ჰოპ! დაკეტილია? დაიკეტა.

— შენ ჯამბაზი ხარ. — იძახის კმაყოფილი სართულის მორიგე.

— ახლა თქვენ! მომეცით პორტფელი და საწვიმარი.

პორტფელს და საწვიმარს ვუთმობ.

— დაიწყეთ. ჯერ სახელური, მერე მუხლი. მერე გასაღების ძირს დაწევა, კიდევ. ცოტა კიდევ ძირს! ახლა ენერგიულად — ჰოოპ! გადაატრიალეთ. აქეთ! აქეთ! ეგრე! ჰოოპ! გაიღო? გაიღო.

დიდი კმაყოფილებით შევცინით ერთმანეთს.

— დაკეტვითაც ეგრე. დაიწყეთ! ჰოოპა! დაიკეტა? დაიკეტა.

კიდევ უფრო კმაყოფილნი ვართ ყველანი.

— შენა ჯამბაზი ხარ — იმეორებს სართულის მორიგე.

რობიზონი ოთახშიც შემიძღვება.

ოთახში ორი საწოლი დგას.

— რომელზედაც გნებავთ, ბატონო. თუ გინდათ — აქეთ, თუ გინდათ — იქით. მხოლოდ თქვენ იქნებით აქ, ღირებულებას კი თქვენ გადაიხდით მთლიანს.

მე დიდ, დიდ მადლობას ვუხდი.

●

პორტფელს და საწვიმარს ჯერ მაგიდაზე ვაწყობ, მერე ვაღებ ტანსაცმლის კარადის მორყეულ კარს. საწვიმარი იქ გადამაქვს. მერე მივდივარ ფანჯარასთან. მინდა ისიც გავაღო, მაგრამ ვერ ვახერხებ, დალურსმული თუა. ვდგავარ და გავყურებ ქვეყანას. ო, ეს შემოდგომა კახეთში! ფერები, ფერები. ყოველთვის მელანქოლიურ მელოდიებად შემოდის ჩემში ეს ფერები. ყოველთვის მაგონდება ჩემი ბავშვობის ერთი ლამაზი დღე. ჩვენს სოფელში წარმოდგენას დგამდნენ. სცენაზე ყვითელფოთლებიანი ალვის ხის ტოტები იდგა, ბევრი, ტყესავით. ძირსაც ბალახი და ყვითელი ფოთლები ეყარა. გამოვიდა იმ ალვის ხეებიდან ლამაზი, ძალიან ლამაზი ქალი. ლურჯად დაწინწკლული ლამაზი კაბა ეცვა, წელზე და თეძოებზე მაგრად შემოჭერილი. შემკრთალი იხედებოდა აქეთ-იქით, შემკრთალი და თან ლამაზად გაღიმებული. გამოვიდა ვაჟიც — ყოჩაღი, მთლად შეთოფიარაღებული. გადაეხვივნენ ერთმანეთს. ქალმა ვაჟს ღიმილით სთხოვა, თოფი ძირს დაედო და პატრონტაშებიც მოეხსნა, ვაჟი ერთი კი შეფიქრიანდა, მერე თოფი ძირს დადო, ჯვარედინად გადამხარილლიავებული პატრონტაშებიც მოიხსნა. ახლა უფრო გულიანად ჩაეხვივნენ ვაჟი და ქალი ერთმანეთს. გამოყო ალვის ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელფოთლებიანი ტოტებიდან ვიღაცამ თოფის ლულა, ო, რა საშინელება იყო! ყველანი ხედავდნენ ამ თოფის ლულას ქალისა და ვაჟის მეტი. მე დედას ჩავეკარი შიშით. დაიგრიალა თოფმა, — აუუჰ! — აღმოხდათ ქალსაც და ვაჟსაც. ერთ ხანს ჰაერში ქანაობდნენ, ხელს არ უშვებდნენ ერთმანეთს. მერე დაეცნენ. ჯერ ქალი დაეცა. მერე — ვაჟი. — ვაჟმა ქალის თმებაწეწილი თავი მკერდზე მიიხუტა და ისე დალიეს სული. მთავარი კი დამავიწყდა...

ჯერ ფარდა არც კი იყო ახდილი, რომ მკვდრულ სიჩუმეში მანდოლინისა და გიტარის სევდიანი, ძალიან სევდიანი და ლამაზი ხმები გაისმა. მანდოლინას გერმანულის მასწავლებელი უკრავდა, გიტარას გეოგრაფიის მასწავლებელი — მაღალი, ყოველთვის შუბლშეკრული ქალი. „ჭლექიან დღეს უკრავენო“, — უთხრა დედამ თავის მეგობარ ქალს. მე უკვე ვიცოდი ამ „ჭლექიანი დღის“ რამდენიმე სიტყვა. „ჭლექიანი დღე იყო, ხეს ფოთლები სცვიოდა...“ მართლაც, ალვის ხის ტოტებს ზოგი ფოთოლი ჩვენს თვალწინ წყდებოდა, ტრიალტრიალით მოდიოდა ძირს, მსგავსი რამ არარასოდეს მომისმენია ცხოვრებაში... და ახლა, როგორც კი შემოდგომის ფერებში ვდგავარ, მეჩვენება, მეჩვენება, რომ სადღაც სულ ახლოს ისევ ის გერმანულის და გეოგრაფიის მასწავლებლები სხედან და „ჭლექიან დღეს“ უკრავენ. მე ამ ხმაზე მუხლები მიდუნდება და, თუკი ამისი საშუალებაა, ვწვები, თავქვეშ ხელებს ვიწყობ, თვალები თავისით მელულება. ახლაც — მივედი საწოლთან და დავწექი. თავქვეშ ხელები ამოვიწყე, ძილშიც კი მესმოდა ულამაზესი მელოდია „ჭლექიანი დღე იყო“. სადღაც ნაზად წყდებოდა ყვითელი ფოთლები და ტრიალ-ტრიალით მოდიოდნენ ქვემოთ.

●

რომ გამეღვიძა, შიშმა ამიტანა. ისევე, დაუხურავს, ტანთგაუხდელს მძინებოდა მთელ ღამეს. ელექტროჩამრთველის ძებნას შევუდექი ხელების ცეცებით კედლებზე, ვერ ვიპოვე. მერე მაგიდის ნათურა გამახსენდა. მოვნახე, არ ჩაირთო. ნათურა არ ჰქონდა. მერე ასანთი აღმომაჩნდა, ბედად, საწვიმარში, გავკარი, საათს დავხედე, ექვსი საათი იყო. ჩამრთველიც მოვნახე, ჩავრთე, დაიწყო ზუზუნი და რა ზუზუნი გრძელმა განათებამ. ერთ წუთში ჩაახშო „ჭლექიანი დღის“ საამო მელოდია, რომელიც კიდევ მესმოდა საიდანღაც. სხეულის ყოველი ნაკვთი მტკიოდა. შევყურებდი გრძელ განათებას ჭერში და ვუცდიდი, კიდევ რა სიმძაფრეს მიაღწევდა მისი პანიკური ზუზუნი. ჩანს, მე ნერვები არ მივარგა, შემეშინდა, არ გასკდეს და თავზე არ ჩამომემსხვრეს-მეთქი. ავდექი, საწვიმარი ჩავიცვი, სინათლე გამოვრთე. შევეცადე კარის დაკეტვას, ვერ დავკეტე, ეგრევე დავტოვე და ფეხისწვერებზე სიარულით გამოვედი გარეთ, სულ გარეთ, ჰაერზე. სიცივით მაკანკალებდა და მაინც ცარიელ ქუჩებში მივაბიჯებდი. სულ მალე გათენება დაიწყო. ყიოდნენ მამლები, იყეფებოდნენ ძაღლები, უმთავრესად შორს, დაბლა, ბურუსგადაფარებულ ალაზნის ველზე. და როცა მთლად გათენდა, ერთ დიდ ქვაზე ვიჯექი. ეს ქვა სასაფლაოზე იყო, ზედ გულზეხელებდაწყობილი, თავდახურული მანდილოსანი იყო ამოკვეთილი, ქვემოთ ეწერა: „მომძაგდა ღვინო და პური, მიწაა ჩემი დარბაზი, იგივე საწოლ-სახური...“ დიდი მოკრძალება ვიგრძენი ქვის მიმართ. მზად ვიყავი, ჩამეთალა ერთი ადგილი, რომელზედაც საზოგადოებაში ლაპარაკი არ არის მიღებული.

●

სასტუმროსკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა მთავარ კიბესთან გაჩერებული „კოლხოზნიკი“ დავინახე. განყოფილების გამგე, ამხანაგი როსტიაშვილიც იქვე იდგა და უთუოდ მე მიცდიდა. რომ დამინახა, კეთილად გამიცინა და ჩემს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ წამოვიდა, — ღმერთო, რა კეთილად იცინიან კახელები შემოდგომაზე! — ღონივრად ჩამომართვა ხელი, ზემოდან წამოღებული ენერგიული ხელი. და მეკითხება:

— სტკბებით ჩვენი ბუნებით?

— მე კი ვტკბები, მაგრამ, ეტყობა, ბუნებას მაინცადამაინც არ სიამოვნებს ეს, ჩამოიბურა და ჩამოიღუშა.

როსტიაშვილს ისევ კეთილად ეღიმება.

— ეგ არაფერი. ჩვენ ბუნებასაც გავაცინებთ... — საათს დახედავს, — სულ საათ-ნახევარში.

— დარწმუნებული ბრძანდებით?

— წვეთი არ გაუვა! — როსტიაშვილი ღიმილითა და ცოტა წამოწითლებით იხდის თავისებურ ბოდიშს, — ახლა მდივანს შევახვედრებთ და მანამდე ნისლიც დაიწყებს აყრას.

ენერგიულად გამოაღებს „კოლხოზნიკის" კარს, მე წინ მიშვებს, შემდეგ თვითონაც ჯდება, კორექტულად ჩაცმული, ჰალსტუხიანი. მძღოლი ადგილს მოწყვეტს მანქანას...

●

მდივნის მისაღებ ოთახში ხალხი ირევა. როსტიაშვილი ყოჩაღად გაივლის იმ ხალხს, წასწვდება კიდეც კარის სახელურს, მაგრამ მდივნის მდივანი, ლამაზი, ჩაკირკიტებული გოგო გადაუდგება წინ.

— მოიცა, სად მიდიხარ.

— იცის, ამხანაგი მიმყავს მწერალთა კავშირიდან.

მდივნის მდივანს სათნოების შუქი გადაუვლის გამკაცრებულ სახეზე და მოკრძალებით დამიკრავს თავს.

— ღლანიძეა შიგნით. გამოვა და მიბრძანდით, — უკვე თხოვნით მიმართავს როსტიაშვილს. როსტიაშვილი მე მომიბრუნდება:

— სულ ერთი წუთით.

მერე მდივნის მდივანს გაჰყვება გვერდზე, რომელმაც ხელის მოკიდებით ანიშნა, ცოტა აქეთ მოდექიო. მდივნის მდივანი ეკითხება ჩემზე: — ვინ არისო, რა გვარიაო. არც ერთი სიტყვა არ მესმის მათი ჩურჩულიდან. მაგრამ ზუსტია, — ამას ეკითხება, როსტიაშვილი მხრებს არ იჩეჩავს, მაგრამ ამასაც ვხვდები, ჩემი გვარი აღარ ახსოვს, მდივნის მდივანი გაუგებრობის ნიშნად გამობუსხავს ქვედა ტუჩს. გამოდის ვეებერთელა კაცი ღლანიძე. რამდენიმე კაცი უცებ წაიწევს კარისკენ.

— მოიცათ, ამხანაგებო, სტუმარი გვყავს მწერალთა კავშირიდან.

როსტიაშვილი ხელს მკიდებს, ენერგიულად მივყავარ ხალხში და წინ მიშვებს მძიმედ გაღებულ კარში.

მდივანი ფეხზე დგას და ისე იწერს რაღაცას. იმდენად ახალგაზრდაა, იმდენად დიდი და შთამბეჭდილების მომხდენია მისი კაბინეტი, მე ცოტა შეცბუნებულიც კი ვარ. მდივანი მშვიდი, ბრძენი კაცის თვალებით შემოგვხედავს, როსტიაშვილი მოახსენებს:

— ის ამხანაგი მწერალთა კავშირიდან.

მდივანი იცვლება. ის ახლა გვიღიმის თითქოს გახარებულიც კი, ის უფრო ღონივრად მართმევს ხელს და რაღაც შინაურული სითბოთი მომმართავს:

— კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ჩვენს მიწაზე.

— მადლობელი გახლავართ. თქვენც მენახეთ მშვიდობით.

მდივანს, ჩანს, ახალისებს ჩემი პასუხი, კმაყოფილების ჟესტით მანიშნებს სკამზე. მე ვჯდები. მდივანი მეკითხება:

—რით შეგვიძლია გემსახუროთ?

— მე ჩამოსული ვარ მწერალთა კავშირის მივლინებით. მინდა გავეცნო თქვენი რაიონის, ერთ-ერთი ულამაზესი რაიონის, უკეთილშობილესი საქმიანობის მიმდევარი რაიონის, პურის მომყვანი ხალხის ცხოვრებას... ვთქვთ, მას

შემდეგ, რაც მინდვრის სამუშაოები მოათავეს.

— სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა, — ჩამირთავს მდივანი.

— არა, არამარტო მოწინავეებმა, არა — საერთოდ, მე მინდა ვიცოდე, როგორია გვიანი შემოდგომა კახეთში, რანაირები არიან საქმემოთავებულ თვეებში.

— საქმემოთავებულ თვეებში?

— დიახ, ნოემბერში, დეკემბერში...

— ასეთი რამე არ არსებობს საერთოდ.

— აბა, სულ მუშაობენ?

— კი, სულ მუშაობენ.

მდივანს, ჩანს, მაინცადამაინც კარგად არ ესმის ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც შემწყნარებლურად ეღიმება, თანხმობით მიქნევს თავს და მერე როსტიაშვილს მიმართავს:

— სიამოვნებით! სიამოვნებით! ამხანაგო როსტიაშვილო, რაკი თქვენ დაიწყეთ, თქვენვე განაგრძეთ. აჩვენებთ, რასაც ამხანაგი მოისურვებს, კვირა უქმე დღეებშიც, ჩვენ ხომ ასეთი რამეებიც გვაქვს და საკმაოდ ბლომადაც.

— დიდად გმადლობთ.

— ჩვენ, დიდი მადლობელი, ბატონო მდივანო! ჩვენ — დიდი მადლობელნი!

ძალიან კმაყოფილები ვშორდებით ერთმანეთს.

●

— ჯერ წავიხემსოთ ცოტა! — ამბობს როსტიაშვილი.

ჩვენი „კოლხოზნიკი“ რაიონული ცენტრის განაპირა უბანს გაივლის. მშრალ ხევს აუყვება და არყის სახდელთან გაჩერდება. ეს არის ფიცრებით, შიფრებით და ფიჩხის კონებით სახელდახელოდ მოხოხმიკებული ქოხი. რომელსაც ცალ მხარეს მსხვილი მილი აქვს ამოყოფილი და იმ მილიდან აჩქარებული კვამლი ამოდის.

როსტიაშვილი ქოხის კართან მიდის, მომიბრუნდება, — მაყვლიანის კოლმეურნეობა, — ხელით მანიშნებს არყის სახდელის შიგნით და მეპატიჟება, — მობრძანდით და გახსენით გული, ხასიათი...

მე შევდივარ. შემოდიან როსტიაშვილიც და მძღოლიც.

გვეგებებიან ორნი, ერთი მელოტი, ხნიერი, განიერი ძია სანდრო, მეორე ახალგაზრდა — გოგია.

— ადრე ხომ არ მოველით? — კითხულობს როსტიაშვილი და გაბრდღვიალებულ ქურას ეფერება გაშლილი ხელებით.

— არა, მზად არის.

— ეს არის მწერალი, მწერალთა კავშირიდან, — აცნობს ჩემს თავს როსტიაშვილი.

თავის დაქნევით, კეთილი ღიმილით მართმევენ ხელს.

— მობრძანდით, მობრძანდით!

— ამას იცნობთ, —მიუთითებს როსტიაშვილი მძღოლზე.

— ეგ მომიკვდეს, აჰა, დიდმარხვაში, რომ ლობიოთი დავმარხოთ მარტო! — იძახის გოგია.

მძღოლი არხეინად იღიმება და დაბალ ტაბლასთან ჯდება.

მეც ცეცხლს ვუშვერ გახარებული ხელებს.

ქურიდან ნაკვერჩხლებია წინწამოწეული. იმ ნაკვერჩხლებში ზედადგარი დგას, ზედადგარზე — ათუხთუხებული სპილენძის ქვაბი და საამური სურნელება იფრქვევა იქიდან.

— შეგცივდათ? — მეკითხება როსტიაშვილი.

— არა, რას ამბობთ! — ვუარობ მე, მაგრამ საკმაოდ მცივა.

— ერთ წუთში გავთბებით ყველანი.

ძია სანდრო და გოგია სამასპინძლოდ ფაციფუცობენ. გოგია კაკლებს ამტვრევდა, ძია სანდრომ ქვაბი ამოიღო იმ სიცხიდან, ეგრევე ჩადგა ტაბლის შუაგულში. დააწყეს შოთებიც, ყველიც, მწნილიც, ჰიქებიც, ხელადაც.

— დაბრძანდით, ცოტა წავიხემსოთ. — ტაბურეტს მთავაზობს როსტიაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. ქვაბი რომ იდგა, ახლა იქ მწვადებს აწყობს გოგია.

— ჩვენზე ხომ არ უნდა დასწეროთ, პატივცემულო, — თითქოსდა წყალგაღმიდან გამოიძახის გოგია.

— შეიძლება, რატომაც არა. — მივუგებ მე.

— როგორი მოწინავეები ვართ, როგორი ყოჩაღები, არა?

— გააჩნია, როგორ გიყურებთ მუზა.

— გეგმას რამდენით გადავაჭარბებთ, რამდენის გადაჭარბებას ვიკისრებთ მერმისისთვის, როგორი კარგი ხელმძღვანელობა გვყავს.

— ბიჭო, შენა, — მიუბრუნდა როსტიაშვილი, — ბუზის ტოლად მაინც ვეღარა მხედავ აქა?

— ჩვენ ბოდიში! ჩვენ ბოდიში! — ვითომდა ძალიან დაიმორცხვებს გოგია.

როსტიაშვილი ჩემს თეფშს აიღებს და თვითონ გადმომიღებს სურნელოვან ყაურმას, თანაც ბლომად.

— ყოფილხართ არყის სახდელში სხვა დროსაც?

— კი, როგორ არა, მაგრამ ასეთ კარგში — არა. მარტო განათება თქვით.

— მიირთვით! მიირთვით! — იცინის ძია სანდრო.

მე საშინლად მშია და გემოზე ვილუკმები.

— როგორია? — მეკითხება როსტიაშვილი.

— მშიერს არ უნდა მიუმარჯვო, ცოდოა.

მძღოლმა შეავსო ჭიქები.

როსტიაშვილი თავის ჭიქას აიღებს და ილოცება.

— ჩვენ ქვეყანას გაუმარჯოს, მის მიწას გაუმარჯოს, მის ცას, მის ღრუბელს, მის წყლებს, მის ბალახებს...

—ამინ!

— აჰა, შენცა! — როსტიაშვილი ჭიქას მიაწვდის მწვადებთან ჩაცუცქულ გოგიას.

— გაუმარჯოს! — იტყვის გოგიაც, დალევს და ღიმილით ძალიან ხმამაღლა მომმართავს მე. — კაცო, ხალხო, მწერლებო, სუ ეს ქვეყანა, ქვეყანა, ქვეყანა... რატო სიყვარულზე აღარა სწერამთ აღარაფერს? თუ სიყვარულიც აღარ იქნება, ქალისა და კაცისა, ვის რა თავში სახლელად უნდა ეს ქვეყანა?!

— ბიჭო, შენა! — ისევ მიუბრუნდება როსტიაშვილი.

— მოიცა, კაცო. სიტყვის თქმის უფლება მაქვს კონსტიტუციის ძალითა, ვენაცვალე მის მადლსა. სიყვარულზე რატომ აღარა სწერამთ-მეთქი არაფერსა, პოლიტიკური ცოდვა არი ამაში რაიმე?

— როგორ სიყვარულზე გინდა მაინცა?

— როგორზე და ჯიგრიანზე, მუშასა და გლეხზე კი არა, — ნორმა შეასრულე და მერეო. ნამდვილ სიყვარულზე, ქალისა და კაცის სიყვარულზე, რო ან ძუძუ-მკერდი წარმოიდგინოს წამკითხველმა, ან ტუჩები...

— დავწერთ, დავწერთ! — ვპირდები მე.

— უნდა დასწეროთ, შვილო, უნდა დასწეროთ. — მეუბნება ძია სანდროც.

— შეარგეთ ახლა ერთი ლუკმა კაცს, ინტრიგანებო! დაიდეთ პირზე კლიტეები ცოტა ხნით.

— დავიდებთ! დავიდებთ! — გვპირდება ძია სანდროც.

ჩუმად, გაფაციცებით ვჭამთ. ჩახჩახებს, ბრიალებს ქურა. გოგია ჯამში აყუდებს მწვადებს, იქედნურად იღიმება, უცებ იძახის:

— მართალია, რო გალაკტიონ ტაბიძე ისე ვერა სწერამდა ლექსს, თუ ღვინით არ იყო შეხურებული ცოტა?

— მართალია! ეგ მართალია! — ძია სანდრო მიუგებს ჩემს მაგივრად და ჯამში ჩათლილ მწვადს მეორე ჯამს აფარებს.

კართან ვიღაცა მოდგება:

— ყვითელი გოგია არ არის აქა?

— მოდი, მოდი. — ძია სანდრო ღვინით სავსე ჭიქას აწვდის ყვითელი გოგიას მძებნელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

— მაშასადამე, ჯერ საყანე მინდვრებში! — ამბობს როსტიაშვილი, წინ მე მიშვებს და მერე ის გამოდის არყის სახდელიდან.

გარეთ მზის შუქი დგას.

როსტიაშვილი საათზე იყურება.

— რამდენ ხანში აიწმინდება-მეთქი ნისლი, საათ-ნახევარში, არა? გაიხედე.

ვდგავარ და აღტაცებული ვუყურებ ნისლის პატარა ფთილებშერჩენილ მთაგორებსა და ველებს. ხელებს ისე ვშლი, იმის თქმას სცვლის, აღარ ვიცი რა ვთქვა-მეთქი.

მანქანა უკვე მუშაობს. ვსხდებით. გოგია და ძია სანდრო არყის სახდელის კარში დგანან, გოგია იძახის:

— დაპირებული არ დაგავიწყდეთ, საკუთარი წარწერით.

მე ხელს ვუქნევ, — ნუ გაფიქრებთ-მეთქი, — და გაჭირვებიდან თავდახსნილივით, შვების ღიმილით ვაწვები მანქანის დორს, საზურგეს.

— ეს რა ხალხს შემახვედრეთ დილაადრიან!

როსტიაშვილიც კმაყოფილია, ოღონდ ის გამარჯვების კმაყოფილებით.

— ჩვეულებრივი ხალხია. ცოტა იმ გოგიას აქვს სუსტად ჩამოკიდებული ენა. საით მიდიხარ? — მხარზე ხელს ადებს მძღოლს.

— სასიანოსკენ არ მითხარით?

— მერე?

— ეგრე, კაკლების ბოლოებზე უნდა შემოვუაროთ. მანდ ექსკავატორი მუშაობს უთავბოლოდ.

— მიდი! შენ იცი შენი გაჭირვებული საქმისა.

მანქანა სოფლიდან გადის, ხრეშმოყრილი, მიხვეულ-მოხვეული გზით აიმაღლებს და დახნულ, დაჯეჯილებულ ზეგანსა და ბრტყელგორებს გადახედავს.

მოსწონდეს, ვისაც რა უნდა, ის — ზღვის სანაპირო, დაბურული ტყე, თოვლიანი მთა, ჩუხჩუხა ნაკადულები — მე კი საყანე მიწებს, კახეთის „უკანა მხრის" საყანე მიწებს არაფერი მირჩევნია, მით უფრო ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში. ო, რა დიდი მხატვრის ხელით არის დაწყობილი შავი ნახნავები და მწვანე ჯეჯილები, ნახნავებში და მწვანე ჯეჯილებში — ყვითლად და წითლად შეფერილი მარტოხეები, პატარ-პატარა საძოვრებში — ცხვრები, საქონელი.

— ერთი წუთით, რა! — ვთხოვ მანქანის გაჩერებას.

ვჩერდებით. გადმოვდივართ.

როსტიაშვილს ხელები მიწისკენ მიაქვს, მეც მაგულიანებს.

— ჩვენს განკარგულებაშია აქაურობა, ოთხავკუთხივ.

მე ვდგავარ, აქეთ-იქით ვიხედები და ღრმად, ძალიან ღრმად ვსუნთქავ. რაც მთავარია, ისეთი მიწაა, ნახნავში მუხლამდე წაგივა ფეხი. სულ ცოტა წყალი ამ მიწას და რა დაიხატება თითოეულ მტკაველზე, ძნელია ამის წარმოდგენაც...

●

ისევ მივდივართ, ისევ ნახნავებსა და ჯეჯილებში ვბრუნავთ. იწევენ მაღლა, იჰიმებიან ჰორიზონტალურადაც, ტრიალებენ თავიანთი ღერძების გარშემო ნაკვეთები.

— ამ ნაკვეთებში, ამ პირაღმა ნაკვეთებში, 40-45 ცენტნერი პური გვაქვს აღებული ჰექტარიდან. აგერ იმაში, ქვემოთ რომ არის, გარდიგარდმო. — სამოცი. პური და მერე რა პური!

— ღმერთო შენითა! ღმერთო შენითა! — ვილოცები მე.

— ღმერთი გწამთ, პატივცემულო რამაზ? — მომიბრუნდება ღიმილით მძღოლი.

— ჩემი ღმერთი — კი, სიკეთე, მადლი ამ ქვეყანაზე.

მძღოლი აღარაფერს აღარ ამბობს, მაგრამ თავს ისეთი ღიმილით გააქნევს, ვხვდები, ამას ფიქრობს: დიდი ქვეშქვეშა ხალხი ხართ ეს მწერლებიო.

●

— ჩვენი ახალი ვენახები! — ამბობს როსტიაშვილი.

მანქანა ვენახებს შორის მიდის, ვენახები დაკრეფილია, ფოთოლი შეშუშხიათ და შესწითლებიათ.

ერთ ნაკვეთში ტრაქტორი მუშაობს.

როსტიაშვილი მძღოლს მიუბრუნდება:

— გააჩერე!

მანქანა ჩერდება, როსტიაშვილი ღიმილით უყურებს ტრაქტორს. რომელიც ჩვენსკენ მოდის და უკან შავ, სასიამოვნო ნახნავს იტოვებს — ტრაქტორი რიგიდან გამოდის და ჩერდება, გადმოიჯმუჯნება ვეება ტრაქტორისტი.

— კაი გამარჯობა თქვენი!

— ხნავ, კაცო? — ეკითხება როსტიაშვილი და ხელს უწვდის. ტრაქტორისტი შარვალზე გაისვ-გამოისვამს მარჯვენას და ისე ჩამოართმევს.

— ვხნავ.

— გაიცანი. ამხანაგი მწერალთა კავშირიდან.

ტრაქტორისტი ღონივრად მართმევს ხელს.

— ვანო! ისე ვედრიანსაც მეძახიან.

— რაიონის საუკეთესო მექანიზატორი. — უმატებს როსტიაშვილი. — არა ღაფობს, კაცო?

— ღაფობს, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, ვეღარ ვჩერდები შინა.

ყველანი ტრაქტორს და მის გუთანს ვათვალიერებთ. ტრაქტორის მუხლუხოებს მართლაც ტალახი აქვთ აკრული ბლომად.

— ეს ტრაქტორი რო წვალობს? — კაპოტზე ხელს ადებს როსტიაშვილი.

— რა ვუყოთ. ყველანი წვალებისთვის ვართ გაჩენილნი. გათენდება და სულ ძაღლივითა ვღრინავ.

— სარეცხს ხო არ გარეცხინებს დედაკაცი?

— ბიჭი მაბრაზებს, ბიჭი! თორმეტ საათამდე სძინავს.

— ეძინოს ცოტა ხანს, ეხლა არ ჩამოვიდა ჯარიდან.

— არ შემიძლიან გათენებულზე მძინარე კაცის ყურება და რა ვქნა, — მე მომიბრუნდება გულხალვათად, — თუ რამის დაწერას აპირებ ჩვენზე, აეგ დაწერე. ძმაო და ძმის შვილო, — რა ფინთია, რომ გათენდება, მოდღევდება და კაცს კი სძინავს. მაგაზე ფინთი არაფერია ქვეყანაზე, რომ გათენებულია და კაცს კიდევა სძინავს. ვინც გინდა იყოს, სხვა იქნება თუ ჩემი შვილი, სულერთია!

მე ვიცინი და ნესტიან შავ მიწას ვმუჭავ, ვსუნავ. ვაგუნდავებ, ვშლი. თოვლივით ვაყრი როსტიაშვილს.

— ოქროა, მიწა კი არა!

●

მოვარდება „კოლხოზნიკი", საქმიანად გადმოდის მძღოლი, როსტიაშვილს რაღაცას ეჩურჩულება, როსტიაშვილი თავს უქნევს. მერე ერთიც და მეორეც ჩემსკენ იყურება. როსტიაშვილი წამოვა:

— ცუდი ხომ არაფერია? — ვეკითხები მე.

როსტიაშვილი კბილებს აკრაჭუნებს თითქოს.

— არა, სამინისტროდან ჩამოსულან და ცოტა... აბა, შენ იცი შენი საქმისა, — მიუბრუნდება ტრაქტორისტს. — ხომ არ წავიდეთ? — მეკითხება მე.

მე მანქანისკენ მივდივარ.

ტრაქტორისტი ხელს იწევა, „სმენაზე" დგება და დიდი კბილებით გვინათებს გზას.

— ამხანაგო მწერალო, არ დაგავიწყდეთ, მე რაცა გთხოვეთ!

მეც ხელს ვუღებ საფეთქელთან.

— არ დამავიწყდება, ამხანაგო მოწინავე ტრაქტორისტო!

ტრაქტორისტი გადაიხარხარებს და კაბინაში ადის გახალისებული.

ჩვენ ვენახებში მივდივართ, მეორე „კოლხოზნიკი" უკან მოგვდევს.

წავადგებით ბალახებში მსხდარ კაცებს. ექვსნი არიან, პურს ჭამენ, დინჯად იღეჭებიან, დინჯად გვიყურებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გარსევანი არ არის თქვენთან? — ეკითხება როსტიაშვილი.

— აქ არის.

— სად აქა?

— ფარდულში ჩავიდა ქვემოთ.

— მიდი, დაუძახე, ვალიკო!

ვალიკო, ყველაზე უმცროსი კაცებს შორის, წამოდგება და მთელი ძალით იძახის:

— გარსევანო! გარსევან! გარსევანო!

ორმოციოდე მეტრის ქვემოთ ამოჩენილი ფარდულიდან მაღალი კაცი გამოდის.

— რა იყოთ, რა?!

— როსტიაშვილი გეძახის.

ჩვენც ჩავდივართ. როსტიაშვილი და გარსევანი ერთმანეთს ხელს ართმევენ. ცოტა ხნით გვერდზე მიდგებიან, რალაცას ლაპარაკობენ ჩუმად.

გარსევანი რამდენიმეჯერ მოიხედავს ჩემსკენ. მერე მოდიან, როსტიაშვილი გვაცნობს.

— ყველაზე მოწინავე ბრიგადირი, ორდენოსანი დოიაშვილი გარსევან, დროებით დაგტოვებთ და გარსევანი გაჰვენებთ, რაც სანახავად ღირს. დიდ ბოდიშს მოვიხდი.

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ.

— არ მეკადრება, მაგრამ... ჯერჯერობით.

როსტიაშვილი მეორე „კოლხოზნიკში“ ჯდება და მიდის. წამოდგება ერთი გლეხი და გარსევანთან და ჩემთან მოდის.

— რა ვიცი, როგორ უნდა შემოგბედოთ და ერთ ჭიქაზე თუ უარს არ გვეტყვით...

მე მეღიმება, გარსევანიც მთხოვს:

—მობრძანდით, მობრძანდით! — დაკეცილ „ტელეგრეიკას“ მიდებს.

●

ბალახებზე ვსხედვართ, ჩვენც მძიმედ ვილეჭებით და ხნიერ ხალხს ვუგდებთ ყურს.

— რათა, კაცო, ვის რა ხვლიკი შეუწვით და შევაჭამეთ. როდემდე უნდა ვიყოთ ეგრე დაჩაგრულები! კახელები გვქვიან და ერთი კაცი რომ მოგვივიდეს სტუმრად, მაღაზიაში გავრბივართ ბოთლებითა ქალაქელებივით. ხო გვაქვს ჩვენ ჩვენი საკარმიდამოები ზემოთა, წაიღოს ის საკარმიდამოები კოლექტივმა, ორი წილი წაიღოს ერთ წილში და პატარა სავენახეები მოგვცეს აქა, დაბლა, რომ ორიოდე ვაზი ჩვენც ჩავრგოთ და ბოთლებით აღარ ვირბინოთ მაღაზიაში. ვის რა ხვლიკი შევუწვით და შევაჭამეთ. ცოდონი არა ვართ, კახელები გვქვია და ღვინისთვის დავრბივართ მაღაზიაშია.

— ცოდონი ვართ, ცოდონი! — უდასტურებენ სხვები.

მე გარსევანს შევხედავ. გარსევანი ხახვს ფცქვნის, მერე შუა-შუა ჭრის.

— ცოდონი ვართ, ნამდვილად ცოდონი.

— მწერალი სიმართლისათვის უნდა არსებობდეს ქვეყანაზე, და აი, შვილო და ძმაო, შეგვაწიე ერთი ორი სიტყვა რაიკომში იქნება თუ ზემოთაც.

მე ჩემთვის მეღიმება და თითქოს ჩემთვის ვამბობ:

— ვეცდები, ჩემსას მე ვეცდები, მართლა ცოდონი ბრძანდებით, — ბლოკნოტშიც ვინიშნავ რაღაცებს.

— სიცილ-სიცილით კი არა, მართლა ცოდონი ვართ, შვილო და ძმაო.

— ცოდონი ვართ, ცოდონი! — გვიდასტურებენ სხვებიც.

●

ჩვენს რუკაზე, რომელიც ასეთი იშვიათობა გახდა ბოლო ხანებში, ერთი დასახლებაა აღნიშნული, — უდაბნო, დანარჩენებია გორები, ხევები, ხრიოკი ველები. მე მახსოვდა დავით გარეჯელის ცხოვრებიდან! ბინადრობდა აქ საშინელი ვეშაპი, მისი სვლისაგან ირყეოდნენ ლოდები ირგვლივ, მას ეცა მეხი ღა დაიწვა იგი სრულიად.

ბრეზენტის კარავთან გვხვდებიან სი-



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველეთა მაძიებელი ჯგუფის უფროსი მერაბი, მისი მეუღლე, თანამშრომლები ყველანი მზისგან გახუხულები, ღონივრად მომზირალნი. ბატონი მერაბი გახარებულია. ის თითქოს რაღაც სხვა სამყაროდან არის მოსული — შავი ხელებით და თეთრი, თეთრი კბილებით. ხელს ხელზე დებს, მერე მაღლა ასწევს: ავიაცია, ავიაცია დაგვეხმარა ჩვენი ჰიპოთეზების განხორციელებაში. ოდესღაც, პირველ საუკუნეებში, იქით და აქეთ, აქ უცხოვრიათ მეტალურგებს. ნაპოვნი გვაქვს სადნობი ქურები, საწყობები. ჩვენ, რა თქმა უნდა, გაჩვენებთ ჩვენს მიერ ნაპოვნ ექსპონატებს, ისინი ექსპონატებად გვაქვს დაკომპლექტებული, ჯერჯერობით დროებით შენობაში. ფილმის გადაღების დროს თავად ჩვენ გავაკეთებთ კომენტარებს. ყოველივე ეს დასაწყისია დიდი, დიდი საქმისა. მერმისსაც გელით. იქითმერმისსაც...

კარვიდან გამოსულებს გვიმასპინძლდებიან პატარა, ლამაზ სუფრაზე, მერაბს უჭირავს ღვინით სავსე რაღაც სასმისი, ორი ათასი წლის წინათ რომ სვამდნენ ჩვენი წინაპრები. ამ სასმისის გამოცლა აინტერესებს ყველას. მე დამალევინეს მერაბის შემდეგ. მერაბის ცოლი გვიმასპინძლდებოდა მწვადებით, ის მწვადებიც რაღაც სულ სხვა იყო, ისინიც ჩვენი წინაპრების წესებით ნაკეთებნი.

●

ჩავდივართ დაბლობში, მერე იქიდან ისევ შემაღლებაზე. აქ ნახნავებია, ნახნავები. ორი დიდი ტრაქტორი, სათესებით უკან, თითქოს ასწრებენ ერთმანეთს. ისეთ კორიანტელში არიან გახვეულნი, გიკვირს, როგორ სუნთქავენ თვითონ ტრაქტორისტები.

— დაუკვირდით კარგად, — მეუბნება როსტიაშვილი, — მაგ კორიანტელს იყენებს მოწამლული მარცვლეული.

სადღაც წკავწკავებს ტურა, ნახნავის ბოლოზე, ვერხვებისა და მურყნების ქოლაში. გაკვირვებულნი სხედან ხოხბები. ხანდახან თუ ამოუშვებს რომელიმე მათგანი განაწყენებულ ხმებს, აფრინდება ღონიერი მამრი, წავა შუშხუნასავით. ტრაქტორებიდან ასძახიან მეტრაქტორეები...

ღვინოც მოქმედებს ჩემზე. ამ სურათების მხილველს ცრემლები ჩამომდის, დამცინავად იყურება როსტიაშვილი.

— ნუ შეგეშინდება, მაგ ბიჭებს აირწინაღებიც აქვთ. თვითონაც ხომ რკინის მკვნეტელები არიან. გაბანდებიან დგუშქვეშ და... წავიდა ისევ.

●

ფერმაში ცდილობენ, დარდი გადაგვწმინდონ სახეებიდან. უნთიათ მაღალი ცეცხლი, ალიდან აქეთ გამოწეული აქვთ ლადარი, ზედ აწყვია ქამა სოკოები. მოაცილებენ სოკოს ფეხს, ამოღრმავებულში ჩააყრიან მარილს, ჩადებენ ბლომად ერბოს და დადებენ ნაკვერჩხლებზე. ესენი ბოდიშს იხდიან, ღვინო გასთავებიათ, არაყს გვთავაზობენ. ჩვენ აღტაცებულნი ვართ პირდაპირ ცეცხლზე შემწვარი ივრისპირული ბრწყინვალე ქამა სოკოებით.

იქვე, სულ ახლოს, მაღალ მურყანზე აჩქამდა მამალი ხოხობი. ერთმა წვერულვაშიანმა მწყემსმა გამოაძვრინა ორლულიანი თოფი, მომცა მე და მანიშნა, მიხედე შენ იმ ხოხობსაო. თოფი კი გამოვართვი, მაგრამ ხოხბისკენ წასვლის უფლება არ მივეცი თავს. მაშინ გამომართვა ისევ მწყემსმა თოფი, მაგრამ ამასობაში ის ხოხობიც გაფრინდა. ახლა ახალ სოკოებს აწყობდნენ ლადარში. მე თითქოს ჩემთვის ვთქვი, — რა გამხდარია წელს საქონელი, კაცო! — რომელია გამხდარი? — გადმოიწია იმ წვერმოშვებულმა მწყემსმა, თოფი რომ მომცა წეღან, — მიმიშვირე თითი, რომელია გამხდარი და აქვე ყველას თვალწინ ვკლავ.

მე ხელები ავწიე და ცეცხლს გავცილდი, მოვიდა ჩემთან როსტიაშვილი, მერე მანქანაც, ჩავსხედით, წამოვედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მივდივართ დაუსრულებელ ვენახებში, მივადგებით ბეტონის ფილებით დადგმულ პატარა სახლს. აქ, თურმე, გველოდნენ, — გამარჯობათ, — მაღალმა სახეგანათებულმა კაცმა, ისე მიგვიღო, როგორც ახლობლები, შინაურები. მე გამანდო თავიანთი საიდუმლო;

— აქ, აგერ იმ მთის ძირას, ძალიან შეგვიწუხდა ვაზი, ისე გვეჭირა თავი, თითქოს ხელი აღარც უნდა გვეხლო მისი ყურძნისათვის. გეგმა რომ გადავაჭარბეთ, მერე დავაკრეფინეთ ქალებს, აქვე დავწურეთ ცოტა, აქვე დადგა, ღვინო — მერე რა ღვინო, კახელებისთვისაც კი უნახავი და, აი, ახლა გოჭი, ალაზნის ლოქო, ამურები, კარგი დედლები. მობრძანდით და მიეცით თავს მხიარულების უფლება. აქაური ხარჯი არავის აწვება შემაწუხებლად.

ჩემთან მოვიდა ტკბილად დამდნარი როსტიაშვილი.

— ეგაო, შენ რომ გეკურკურებოდა, რაიონის პირველი მევენახეა, სოციალისტური შრომის გმირი. ეგ ფოკუსებს გვაჩვენებს.

ელექტრონით განათებულ, გაჩახჩახებულ თეთრ მაგიდასთან აბეჩხარის ღვინოს ეფერებიან ყველანი. თამადობს სოციალისტური შრომის გმირი, ყოველ ჭიქას ეწევა მაღლა, ისე შეჰყურებს, როგორც უძვირფასეს განძს, — იტყვის სადღეგრძელოს, — ჩვენს დებს გაუმარჯოს, ჩვენს ბედნიერებებს, მათ ცრემლს გაუმარჯოს, მათი ერთი წვეთი ცრემლი დიდი გამცილებელია იმ ქვეყანაზე!.. ჩვენს დებს ვენაცვალე!

აიღებს მტკავლის სიგრძე თევზს, არ გამოაცლის არც ერთ პატარა ფხას, ფქვამს,

მე სასტიკად ვიგრძენი აბეჩხარის ძალა. გადავედი და ვიცეკვე.

●

მთვარიანი ღამეა კახეთში, თეთრად გადაჭიმულან კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები. დაბლა ციმციმებენ სოფლები. სოფლებს შორის, აქა-იქ, ელვარებს ალაზანი. ისეთი სიმშვიდეა, გინდა რომ იყვირო. მე მასწრებს როსტიაშვილი — სიმღერას იწყებს.

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო.

სასტუმროსთან ერთმანეთს ვკოცნით.

და, აი, ასეთ ვითარებაში მყოფმა დავინახე მაღალი გოგო. ღუმელის მილები რომ ეჭირა ჩემი ჩამოსვლის დღეს, აბეჩხარის პატრონს, სოციალისტური შრომის გმირს მიხუტებოდა მარცხენა ხელზე და ეშვებოდნენ ქვემოთ. მე ვკითხე როსტიაშვილს ეს გოგო რა არის იმ კაცის-მეთქი. შვილიაო. ოო...

ირგვლივ ისევ მშვიდი, ლამაზი კახეთია.

მე ვცდილობ დავინახო, რა დროა ჩემს საათზე, ორის ოცი წუთი.

კიბეებზე ავრბივარ, ძლივს ვაღებ კარს. ჩემს მაგიდაზე საზამთრო და ნესვი დევს, კალათით ყურძენი და ლეღვიც.

ტელეფონს ვეწვალები, მინდა, შევეცადო, იქნება ერთხელ მაინც გამიმართლოს ბედმა. დავრეკო ნატოსთან თბილისში. ვწვალობ, ვწვალობ და ბოლოს...

— ჰო, ჰო, ჰო...

— ნატო ხარ, გენაცვალოს რამაზის თავი. აქ ისეთ რამეებში ვარ, შენ რომ არ გამოგელაპარაკო, არ შემიძლია. ეს არის ქვეყანა... ნამდვილი ქვეყანა, ფართოდ გაშლილი და მშვიდი. რთველი ხომ დამთავრებულია ყველგან, რა ხანია უკვე. მაინც ყველას საქმე აქვს. ამ საქმეების გვერდით — რა მწვადები, რა თევზეული, რა სოკოები! როგორ ცდილობენ, დაგატკბონ, გასიამოვნონ. ყველა ამისი საშუალებანიც აქვთ. მე აღარავის დავუჯერებ უკვე, კახეთი არის უძლიერესი, თანაც სიცილით, თანაც სიტკბოთი. ეს რომ ასევე აღვწერო, როგორცა ვნახე, არ გაგიკარებს არც ერთი რედაქტორი. არც მამაშენი. ახლა რა დღეში იქნება მამაშენი, უუუ! ნუ ვსხედვართ ჩვენ ჩვენი მაგიდების ქვეშ. ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე საკუთარი თვალით... აი, ახლა მე რომ ვხედავ: თეთრი, თეთრი კავკასიონი; თეთრი ნისლები, თეთრი გზები... მაგიდაზე მიწყვია საზამთრო, ნესვი, კალათით ყურძენი და ლელვი. ვინ მოიტანა, ჯერ არ ვიცი. მე ვერა ვარ დახვეწილი დღეს, დამალევინეს, დამალევინეს, რამდენი?.. ჩემს სიტყვებს შორის წაიკითხავ — რამდენიც.

კიდევ კარგი — გაგვთიშეს, ტყუილად ვწვალობდი, ვწვალობდი... კარიდან კაკუნი მომესმა, მივედი, გავაღე.

— ეს მოსაკითხი მაღალი, მაღალი გოგო რომ არის, მაღალი, მაღალი კაცის შვილი, იმან მოიტანა.

მე კალათს სართულის მორიგეს ვაძლევდი. არ ქნა. გაბრაზებულმა დავიძინე.

•

უცნაურ სიზმრებში ვარ თითქმის მთელ ღამეს. ვდგავარ ფიცარნაგზე, რაღაც ჩოხასავით თუ ქულაჯასავით მაცვია, გრძელი, ოქროსფერდაკრული, შემოხვეული მყავს კახელებიც და თბილისელებიც, ცდილობენ იმ ჩოხისა და ქულაჯის კალთები, ბოლოები ჩამიტანონ ფეხსაცმლის ყელებში. ვიღაცა ხან ჩურჩულით, ხან ცოტა აწეული ხმით შემაგონებს — ეგრე დადიოდა ვაჟაფშაველაო. მე ნერვები ველარ მიძლებდა ვაჟას ამდენჯერ ხსენებაზე ამ უხამსურ საქმეში. ვწევ ხელებს მაღლა, ღმერთსა ვთხოვ შველას, მათ კი ჰგონიათ, რომ მუშტებს დავუშენ მაღლიდან, მეცემიან ხელებში. გადამიგრეხავენ სველი პირსახოცებივით და ამ გრეხვის დროს დავინახავ იმ მაღალ გოგოს, მოსაკითხავი რომ მომიტანა ოთახში. იმასაც შემოხვევიან, უმთავრესად ქალები. სქელები, შავები და იმასაც რაღაცას უწყობენ თუ ფეხებქვეშიდან აცლიან, გოგო გატანჯულ სახეს ეწევა ზემოთ, სხვები რჩებიან დაბლა და მე ვიღმუვლებ ეროს, დავარტყამ ვიღაცას სახეში, ისეთ ჭახანს გამოიღებს ეს დარტყმა, გამეღვიძება აკანკალებულს.

ვიწექი, ვიღიმოდი. რა სიზმარი იყო, რა ვაჟა-ფშაველა აიტეხეს ვიღაც დეგენერატებმა! ან ის გოგო რა დღეში ჰყავდათ. უცებ გამახსენდა, ყურძენი რომ იყო კალათაში. პირი გამშრალი მქონდა, კი არ ვჭამდი მარცვლებს, ვწოწნიდი — ერთი, ორი, სამი, ოთხი. ისევ ჩამეძინა, ჩამეძინა ტკბილად, დამჯდომოდა წინ ნატო და თითქოს ნანინას მეუბნებოდა შაყირით. მისი საქმეა ასეთი რამეები.

•

მე უკვე გამოთხოვილი მქონდა როსტიაშვილისაგან. დილით მაინც ნება მოეცათ. ჩემი ფულით მესაუზმა რაიონულ სასაუზმეში. მე რა მინდა? ორი ცალი კატლეტი, ჩაი. მომცა ამის ნება როსტიაშვილმა, მაგრამ მომეჩვენა, რომ შუაძილში დამადგა თავს. წამომაგდო, ჩამაცვა, მომაბანინა პირი, დამავარცხნინა თმაც. ყურძენი გვქონიაო, ამოაძვრინა ჯიბიდან კონიაკი, თითო ჭიქა დავლიოთ, თითო ჭიქა ძალიან მოუხდება ყურძენსო, თითო ჭიქა „ენისელი" მართლაც მალამოსავით დაედო ჩვენს სულს. მეორე ჭიქაზე უარი თქვა, გამიყვანა გარეთ, იქ ჩვენი „კოლხოზნიკი" იდგა, ჩავსხედით, დავეშვით სადღაც ნისლიანებში, ალაზნისაკენ. როსტიაშვილი იშვიათ ხაშს მპირდებოდა, შემდეგ — კიდევ უფრო იშვიათ ხინკლებს. მე ნაღვლიანად ვფიქრობდი ლუარსაბ თათქარიძეზე — რა ყოველდღიური ფიქრიც მას ჰქონდა, ჩვენც ამაში ვბრუნავდით.

მართალი კი აღმოჩნდა როსტიაშვილი. ხაში მოგვიტანეს, მარტო ფერები მიგიზიდავდა კოვზის ჩასაყოფად. ჩვენი „ენისელი" ხაშზე გამოვცალეთ, მერე მოგვიტანეს ხინკლები გრძელი ხის ტაბაკით. მოჰქონდა ესენი გამხდარ, თვალებდაქცეულ ქალს, რომელიც თითქოს ძალიან შეშინებული იყურებოდა ჩვენსკენ, როსტიაშვილი დაუდგრომელია, გადის, შემოდის. შემოვიდა და მითხრა: — ჩვენს ოფიციანტს რაღაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს სათქმელი თქვენთან, როგორც მწერალთან. შეგიძლიათ, დაუთმოთ სულ ათიოდე წუთი? მე მაშინვე წამოვდექი. ოფიციანტმა გვერდზე გამიყვანა. „ნომერში“:

— ვერსად ვერავისთვის ვერ მითქვამს. რაც ახლა უნდა გითხრათ. ნუ გაიკვირვებთ ჩემს ცრემლებს. თქვენ მწერალი ბრძანდებით და თქვენ უეჭველად უნდა იცოდეთ ეს. მე მყავდა კარგი ქმარი, ცნობილი მემატყლე, ავარიაში მოყვა, დაიღუპა. დავრჩით უპატრონოდ მე, დედამთილი, ოთხი პატარა ბავშვი. ბავშვებიდან ყველაზე უფროსი ცამეტი წლისაა, ბიჭი. ვერაფერი ვიპოვე ისეთი, იმ სამუშაოთი მერჩინა ოჯახი. აქ ჩამაყენეს დიდი ჩურჩულით, გახედ-გამოხედვებით. საჭმელი მაინც ექნებათ-მეთქი შვილებს. თავს ვიკლავ, ყველაფერს ვაკეთებ რაღაც გარკვეულ დონეზე. სხვა არა იყოს რა, ქართველი ქალი ვარ, კარგი გვარიშვილი. მეძახის ჩემი უფროსი, ზის აესე, თავხედურად და მეუბნება თითქოსდა ხუმრობით: შენ ისეთ სამყაროში ცხოვრობ, აღარაფერი უნდა გაგიკვირდეს ასეთი. შენ ჩემი საყვარელი ვერ გახდები, იმიტომ რომ ძალიან გამხდარი ხარ, სამაგიეროდ ჩემი უფროსი, მეგობარი კაცი, გიჟდება შენნაირი თხელი ქალებისათვის. ის მოვა, უბრალოდ, როგორც მე, და შენ არ დაიწყებ აურზაურს. არ აასრულებ ამას, რასაც მე გთავაზობ და შენი ფეხით წადი, უკან არ მოიხედო და გვერდზე არ დაიწყო გადახრა-ლაპარაკები... ქართველო მწერალო, თქვენ როგორ ფიქრობთ, თქვენც ხომ გული არ გერევათ ჩემნაირ გამხდარ ქალებზე?!

დიდი თვალები კიდევ უფრო გასდიდებოდა ოფიციანტს. ცრემლები ედგა თითქოს შესქელებული. მე ხელი წავწიე მისკენ. მინდოდა დამედო თავზე, და რა ჭირი მომივიდა, რა ვიცი, თვალთ დამიბნელდა და იატაკზე ჩავჯექი. ქალის კივილს ვგრძნობდი. კიდევ იმას რომ ბევრნი გვეხვეოდნენ ირგვლივ.

ძლივს წამომაყენეს. როსტიაშვილი ისევ ილიმებოდა. გარეთ რომ გამოვედით, სამი კაცი დაგვხვდა კაკლის ქვეშ. გამიძახა ერთმა: შენ მაგ მედიკოს საქმეებში რანაირად გაქვს ფეხები ჩაყოფილიო? მე უკვე ვალიდოლი მქონდა მიღებული. ისეთი ცეცხლი მეკიდა. ვერცა ვხედავდი რიგიანად, ვერც ვაანალიზებდი ვითარებას. მე ხომ თანრიგოსანიც კი ვარ კრივში. ერთი მოკლე დარტყმა იმას და ის კაცი გაიჭიმა ძირს. გამომენთო მეორე, ისიც იმ პირველის გვერდით გაიჭიმა. მესამე აღარ მოუშვეს ჩემამდე.

როსტიაშვილი ძალით მჭყუნავდა მანქანაში, როცა წამოვედით. მაშინ თქვა:

— საშინელი ხალხი წამოშალეთ ჩვენს წინააღმდეგ.

— ეეხ!..

შიგ რაიონში გზაზე ხალხი იყო შეყრილი, მანქანებიც მათთან იდგნენ. გავლა არ შეიძლებოდა. მამამ ესროლა თურმე შვილს, ხუთიოდე კვადრატული მეტრი მიწის გულისთვის, ბიჭს საშინლად ჰქონდა დაცხრილული ბარძაყები. არყით ბანდნენ, ბინტავდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანას ელოდებოდნენ!

— უუო! — ამოიგმინა როსტიაშვილმა, უკან გამოვბრუნდით და რაისაბჭოში მივედით. თავმჯდომარე არ იყო. როსტიაშვილი სამსა თუ ოთხ ოთახში შევიდა. ვილაცები უკვე გაოცებით მიყურებდნენ. იქიდანაც წავედით და დიდის მონდომებით ვათვალიერებთ ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატებს. ისეთი საინტერესო იყო არქეოლოგიური გათხრები, მეცხვარეობა, პური... სულ აღარ მიწევდა გული არსაით.

მუზეუმიდან რომ გამოვდიოდით, სადღაც სულ ახლოს თოფი გავარდა. ჩემს უკან ტყვიამ კედელი ჩამოანგრია. მე შევხედე როსტიაშვილს, როსტიაშვილმა ისევ მუზეუმში შემაგდო. ეზო ახმაურდა. ძლივს გამოვაღწიეთ იმ მუზეუმის ეზოდან მანქანით. კარგად დახურული „ვოლგით“.

ვისადილეთ თუ უკვე ვახშმობაც ეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმოდა რაიონის რესტორანში. მე ვსვამდი. როსტიაშვილი მთხოვდა. აღარ დამელია. შედარებით ადრეც წამომიყვანა, — ამაღამ მე შენთან ვრჩები. მარტო არ დაგტოვებო.

სასტუმროს კიბეზე რომ შევდექი. თოფი გავარდა. მე მარცხენა მხარში რაღაცა დამეჯახა და ძირს დამცა. შემოხვეულთა შორის მაღალი გოგოც იყო, ის დაჩოქილი იდგა და ისე მადებდა ბამბას მხარზე. ამწიეს. ის გოგო საავადმყოფოშიაც გამომყვა, მივლის უახლოესი ნათესავივით. აღარ აცვია აქ ტანკეტკები, თეთრ, ქათქათა ხალათში ჩვეულებრივი გოგოა. ხანდახან ლამაზიც კი. მოდის ხოლმე მამამისიც. როსტიაშვილი გმინავს.

მართლა, ბოლოს და ბოლოს, გოგოს ელეონორა ჰქვია.

●

რატომ ვწერდი ყველაფერს მშვიდად, დაწვრილებით? ეს უნდა ყოფილიყო სურათი და ამ სურათის მიხედვით ახსნა გვიანშემოდგომის კახეთის ცხოვრებისა. მაგრამ ახლა, როცა ჩემს გვერდით ელეონორა ტრიალებს, უბრალო ლაპარაკიც კი არ მინდა. სულ მინდა ვუყურებდე და ვუყურებდე ელეონორას. ერთი საფიქრალი მაინც მიწიწკნის გულს. ნუთუ მართლა ძალიან მაღალია, ხომ არ გამაღლდება კიდევ უფრო მეტად, თუ შეიძლება პირიქითაც მოხდეს? ღიმილი აქვს იშვიათად ლამაზი.

ფილმის ფინალად:

მე და ელეონორა ერთად მივდივართ კახეთის ავტობუსით. ერთად მივდივართ თბილისიდან კახეთში. სადღაც შორს, თავის ვაზებთან ჩახრილა ელეონორას ვეება მამა. პატარა მრგვალ გორაკზე ლონივრად დგას ქურთუკგაღეღილი თოფიანი კახელი... თითქმის ყოველ სოფელში კახელები იშენებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებს...

1975-1990.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ომარ თურმანაული

### ციკლიდან — „წარმოსახვები“

#### ნოეს კიდობანში

ჩამოსვლა უნდა მიწაზე აპრილს,
მაგრამ სად არის, არ არის მიწა.
ამაოდ ეძებს ზღვა თავის ნაპირს,
ამაოდ ეძებს დასასრულს ქარი...
მიყრდნობილი ვარ კიდობნის კარზე.
დაგმანულია კიდობნის კარი.
მინდობილი ვარ ზღვაზე და ქარზე...
გარეთ წყალია მხოლოდ და ქარი...
სხვა არაფერი არ არის გარეთ.

სხვა არაფერი არ ხდება გარეთ:
აღარ კოცნიან ერთმანეთს ვნებით;
აღარ უმზერენ გულისთქმით ქალებს
ცოლმონყენილი კაცები — ქმრები;
არ იღერებენ ქალებიც ყელს და
არ გამოსცემენ ჯადოსნურ ხმებს და
არც ხეთა, აღარც შრიალი ხეთა,
არსად ჩურჩული ლამაზი წყვილის.
დაუფარია ყოველი წყალს და
წყალს დაუხრჩვია ჭინჭველაც,
რწყილიც.

შიგნით კი, შიგნით, კიდობნის
შიგნით
გვაქვს ყველაფერი „დედალ და
მამალ“,
გვყავს ყველაფერი „დედალ და
მამალ“,
ჩვენც შიგნითა ვართ — დედა და
მამა.
სხვაც ყველაფერი თავისი რიგით...

და რაღა უნდა გვიჭირდეს თითქოს,
ჩვენ. ერთგულების ღვთიური ნიჭით
დაჯილდოებულთ, მაგრამ, რომ
ვიცით
ერთურთის იქით ვეღარსად წავალთ,
ჩვენ ახლა უფრო ძალიან გვიჭირს,
ეს ერთგულება და იჭვი გვწამლავს.

გარეთ ოდესღაც ნაპირი იყო,
რომელიც კიდევ ახსოვთ ამ ქარებს,
და გამალებით ეძებენ ახლა,
რომ ზედ დაღლილი აპრილი დასვან,
გააფურჩქვნინონ თოთო კვირტები
და ეთამაშონ მერე ყვავილებს,
მაგრამ სად არის, არ არის მიწა,
ეძებენ, მაგრამ არსად არ არის.

აღარაფერი არ ხდება გარეთ,
ზღვა და ჰაერი გვარტყია ირგვლივ,
ხოლო შიგნით კი, კიდობნის შიგნით
და უფრო შიგნით, სადღაც ჩვენს
შიგნით,
ჩაბუდებულა უკუნი ღამე
და ნელა-ნელა გვიწოვს და
გვჯიჯგნის.
იგი არ არის არც დრო, არც სივრცე,
მარადისობად ქცეულა იგი,
უსასრულობად ქცეულა იგი,
და შემორტყმია ირგვლივ კიდობანს
და შემორტყმია ყველაფერს ირგვლივ.

ღამე დგას საგანს და საგანს შორის.
ღამე დგას სხეულს და სხეულს
შორის.
ყოველი ჩემი მთრთოლვარე ნერვის
შუა და შუა ჩამდგარა ღამე.
მანძილს ჩემს და ჩემს მეუღლეს
შორის,
დროს დარდს და მცირე სიხარულს
შორის
ისევ ამ ღამის სახელი ჰქვია,
რადგან არ არის სხვა არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე მატყვია სიბნელის დამღა.
თვალებში მიდგას სიბნელით დაღლა.
ღამეა იქით, ღამეა აქეთ.
ღამეა დაბლა, ღამეა მაღლა.
ღამედ ქცეულა „გუშინ“ და „ახლა“
ღამედ ქცეულა „ხვალე“ და „მერე“
აღარ არაებობს სხვა არაფერი
ღამესა ვჭამ და ღამესა ვხატავ...

ვშიშობ: „იქნებ მეც ღამედ ვიქეცი...“
და ბნელში ჩუმად ვისინჯავ სხეულს.
მეუღლეს ვუხმობ. მპასუხობს ღამე
ან იქნებ თვითონ ის ღამეც მე ვარ...
იქნებ ღამე ვართ ორივე ერთად
და ყველა ერთად... ერთ სულ და ერთ
ხორც...
და ჩემს საკუთარ სულსა და სხეულს
როგორც ეს წყალი საკუთარ ნაპირს,
როგორც ეს ქარი საკუთარ ბოლოს
ამ ყიამეთში ამაოდ ვეძებ...

ვიხსენებ: „იყო ოდესღაც „გარეთ“...
მცნება „ჩემს გარეთ“, „კიდობნის
გარეთ“...
აღარ არსებობს ახლა ეს მცნება,
აღარ არსებობს არც ერთი მხარე...
გარეთ ოდესღაც ხდებოდა რაღაც:
ვიღაცის თეთრი მკლავები ჩანდა,
ვიღაცის შავი თვალები გვწვავდა,
ახლა კი... ახლა წყალი ვარ იქნებ,
ანდა, იქნება, ქარი ვარ ახლა?..
აღარც წყალი ჩანს და არც მე
ვჩანვარ,
არაფერი ჩანს ამ ღამის გარდა...

ვფიქრობ: „იქნებ სჯობს გავაღო
კარი
(როდემდის ვიჯდეთ კიდობნის
შიგნით?)
და ჩვენთან ერთად გაგვეშვა ღამე
ღამეში — ასე ნელა რომ გვჯიჯგნის.
გავახარებდით ცოტა ხნით ქარებს,
ვიგრძნობდით ზღვის და ქარების
ძიძგილს;
დავიძახებდით სანატრელ სახელს,
მოვიშორებდით ზიზღსა და ნაღველს,
შეგვიერთებდა ზღვა და ჰაერი,
მერე ყველაფერს შეჭამდა ღამე...
როდემდის ვიჯდეთ კიდობნის
შიგნით?

ლორები უკვე კიდობანს ხრავენ;
ძროხა ჩემს ხელზე მლაშე ოფლს
ლოკავს;
ყველა ერთად კი ვქცეულვართ
ღამედ...
და რაკი ყველა ვიქეცით ღამედ,
თავს მოვიკლავთ, რომ ეს ღამეც
მოვკლათ.
ხოლო თუ ღამეს ვერ მოვკლავთ
ამით,
თვითონ უფალმა იტვირთოს ბრძოლა
სატანასთან და წყვდიადთან ღამის,
მე კი ამ მარად შიშსა და ძრწოლას,
იძულებით ერთ საწოლზე წოლას,
არყოფნა მიჯობს ათასჯერ უფრო...

●

ჩემს სიყვარულს ხომ
არავისთან არ მიაქვს იის
თაიგულები:
ის სტიქიაა,
და ჩემს სხეულს, ფესვებიანად
მოთხრილ ხეს,
შენსკენ მოატივტივებს
და შენი დაგმანული კარის
შემტვრევას ცდილობს.

მრცხვენია ჩემი სიყვარულის,
მღვრიე მდინარის,
რომლისაც ასე გეშინია,
მაგრამ მე რა ვქნა,
მე ხომ თვითონ მისი მსხვერპლი
ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეფემერულობის ელეგია

„...და, სჯეროდეთ, რომ შენ არსებობ
ნუ გაიგებენ, რომ შენ არა ხარ".

გ. ალხაზიშვილი

ვეფერებოდით ერთურთის ლანდებს
და არარსებულ ზღვის წყალში
ვბანდით;
ჩვენ არსებობით არ ვგავდით
ერთურთს —
ერთმანეთს არარსებობით ვგავდით:

გვეჩვენებოდა მზე გვწვავდა ვითომ...
გვეჩვენებოდა გვიყვარდა ვითომ...
გვეჩვენებოდა თითქოს ვიყავით...
თითქოს მზე იყო...
თითქოს ზღვა იყო...

ის მოჩვენება გრძელდება ახლაც
და ერთურთს ისე გრძნობით
ვეხვევით,
თითქოს და მართლა რეალურია
ჩვენი თვალები, მხრები, ფეხები...

თითქოს ვარსებობ, ისე მეხები;
თითქოს არსებობ, ისე გეხვევი
და ვირცხვენთ, თითქოს მართლა
ვარსებობთ
და ჩვენს არყოფნას თითქოს ვერ
ვხვდებით...

## სიყვარული მუდამ შორსაა...

სიყვარული ჰორიზონტსა ჰგავს —
უახლოვდები და გშორდება,
უახლოვდები და გშორდება,
უახლოვდები და კვლავ შორსაა...
სამაგიეროდ, გზად მიმავალი,
მიმავალი სიყვარულიაკენ
რაღას აღარ გადაეყრები:
ქალს, რომლისკენაც ისწრაფვოდი
(გეგონა, რომ სიყვარული სწორედ იქ
იყო)

და მიაღწიე,
ხელი ხელზე შეახე და ბაგეზე —
ბაგე,
გაიხედე და... სიყვარული ისევ
შორსაა...

სიყვარულისკენ მიმავალი
ცხვირ-პირააც ბევრჯერ წაიმტვრევ
ქვებზე,
წამოდგები,
პირიდან სისხლს წამოაფურთხებ
და ჯავრით ჩამობინდულ მზერას
კვლავ მიმართავ სიყვარულისკენ,
სიყვარული კი ისევ შორსაა.

●

ბავშვებს სძინავთ. იზრდებიან
ბავშვები ძილში.
მათი პატარა ფეხსაცმელები
ელოდებიან მათ ვარდისფერ
ფეხისგულებს.
ფანჯრებს იქით შავი ღამეა.
სავსე არის მისი შავი, ცივი მუცელი
დაგვიანებული მგზავრებით,
რომელთაც ბავშვის ფეხსაცმელებში
ფეხები უკვე აღარ ეტევათ.
ისინი დღის საზღვრებშიაც ვერ
ეტევიან:
დღის ქვაბიდან გადმონადუღნი
იღვრებიან და შიშინებენ ღამის
ტაფაზე,
იტანჯებიან...
ბავშვებს სძინავთ.
იზრდებიან მომავალი დღეებისთვის,
ღამეებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო ქუთათელაძე

●

კაცთა მოდგმიდან მხოლოდ
ერთადერთს
შენ გღირსებია ნატვრის ახდენა
და ამიტომაც კვდები ყოველდღე
ჩვენში სიწმინდის გადასარჩენად.

მხოლოდ ერთადერთს შენ გღირსებია
იმ გამოუცნობ შორეთში გავლა: —
როგორი ლურჯი ხავერდებია,
როგორი ღამე უნთია ქალაქს?..

გაუბედავად როგორ ირწევა
შენი ხატება გულში და გარეთ...
რა ნაცნობია ეს ბედისწერა —
ზეკაცებს მუდამ უბრალოდ კლავენ!

●

მე დავრგე ჩემში თეთრი ყვავილი,
ახლა ირხევა სულში და კვნესის...
დათალხულია მზეგადავლილი
და უმღერიან მიმწუხრის მესხას.
გზა უცნაური განცდით ავსილა,
მოლიპულია სავალი ბროლის,
ბოლოს ყველაფერს წაიღებს სევდა,
სევდა დარჩება ამქვეყნად ბოლოს.
და სითეთრისგან თუ არ გავგიჟდით,
თუ არ შეჭამა დარდმა სამზერი,
წავართვათ დღეგმას,
ცრემლსა და ტკივილს,
თუ რამე დარჩა გადასარჩენი!

●

ახლა კარს უკან მომღმუის ქარი,
სული შეიქნა თაფლივით ტკბილი,
რადგან მარტო ვართ მე და
სიმარტოვე —
ჩემი ერთადერთი შვილი.
უხმოდ გამორბის პატარა ბიჭი
და ფერხთით ჯდება, როგორც
ოდესღაც,
ზამთრის გრძელ ღამეს ხელები ცივი,
მესალბუნება და მეფერება.
და გრძელ დარბაზში ხალხით და
ზათქით,
როცა პირთამდე ამავსებს ხმივი,
მე მენატრება ჩემი სიმარტოვე —
ჩემი ერთადერთი შვილი.
შიშით მაყრუოლება, გაჩნდება ვინმე
თავის ჩვევებით, დარდით და
ლხინით,
და უფრო ძლიერ მომენატრება
ჩემი
ერთადერთი
შვილი.

## გაკვეთილები

ვუძღვნი ჩემს პაპას,
37-ში რეპრესირებულს

1

როგორ შემოდის ჩვენში წარსული,
იმ გადავლილი ველების დარდი
და ჩვენი სული უკვე ავსილი
ახლა ივსება უცნობი განცდით...

და ვირეცხებით სიტყვების წვიმით,
ვინაც წავიდნენ, წარსულში წვანან
და ვთიბავთ ველებს ისევ
გაწვლილებს,
ალესილია ორპირად დანა.

მთაში კი კვდება პაწია ნუკრი,
ნუკრი, რომელიც დახატა მამამ...
და დგანან ერთად „ძმანი
ქართველნი",
ვით გასათიბი მაღალი ყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

მე დღეს შენს ღამეს
ისევ ღამე უნდა ვუთიო,
გაიავდრებს და გადაივლის ჯანღი
ოხერი...
მოხვედი,
გზაა ისევ წითლად ნოტიო,
მოხვედი,
როგორც მიდის წუთისოფელი.
გარდამავალი ჩვენი სული
სურვილით სავსე,
დარდი ჩვენი, აზრი ჩვენი
სისხლის და ხორცის,
სურვილის სიპზე და ხორშაკ ქარზე
მოდის ხე კეთილი, ხე მარად ნორჩი.

### ზარი

ლ. გოთუას

მე გვიან მივხვდი
რას წუხდით მაშინ —
გატანჯულ ფერებს,
ცაზე რომ ელავს,
გადამწვარ სევდას,
გაყინულ ივლისს,
ვისაც ტოვებდით ამქვეყნად,
ყველას.
მივხვდი, დიდი ხნის
წამების მერე,
სად დაიკარგნენ
თეთრი ირმები,
რატომ ხედავენ
ბავშვები ფერადს,
ჩვენ კი წარსულში,
რად ვიძირებით;
რად ვეფერებით
განწირულ იმედს,
რატომ მივდივართ
მაღალ ზარებთან,
რომ სიყვარული
ყველაზე მძიმე,
არ დაუზავდეს გარდაცვალებას.
მე გვიან მივხვდი,
ძალიან გვიან, —
მწიფე ხორბალზე
კვლავ ბრუნავს კევრი,
ჩვენი სიმღერა კვნესაა ისევ,
რომ მონობაში
ვერავინ მღერის.
მე გვიან მივხვდი,
რას წუხდით მაშინ —
მე განწირული ვიყავი ბავშვი...

### მონატრება

ჩუმი თოვლი, თეთრი თოვლი
და არავინ აღარ მინდა,
და სინათლე ჩანდეს მხოლოდ
ჩემი ლურჯი კარავიდან,
ალუბლების ფერი შორით
და ღამეებს ვწყვეტდე ციდან,
ჩუმი თოვლი, თეთრი თოვლი
და არავინ აღარ მინდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვასილი გროსმანი

# „ყველაფერი იცვლება..."

18

ივან გრიგორიევიჩი ხშირად იხსენებდა შიდა ციხეში, შემდეგ კი ბუტირკის ციხეში გატარებულ თვეებს.

ბუტირკის ციხეში იგი სამჯერ იჯდა, განსაკუთრებით კი 1937 წლის ზაფხული დაამახსოვრდა. მაშინ ნახევრად ცნობამიხდილი ივან გრიგორიევიჩი ბურანში იყო; ჩვიდმეტი წელი გავიდა და მხოლოდ ეხლა გაიფანტა ნისლი. ივან გრიგორიევიჩმა მომხდარი მოვლენების გაანალიზება დაიწყო.

ოცდაჩვიდმეტში საკნები გადატენილი იყო, — ათი პატიმრის ადგილზე ასს ათავსებდნენ. ივლის-აგვისტოს პაპანაქება სიცხეში, ერთიმეორესთან მჭიდროდ ჩაკრული, გაოფლიანებული და გამოთაყვანებული ადამიანები ნარებზე იწვნენ. ღამე გვერდიდან გვერდზე ყველა ერთად თუ გადაბრუნდებოდა — ისიც ციხის ზედამხედველის, კავალერიის დივიზიის უფროსის ბრძანების შემდეგ. პარაშასთან რომ მისულიყვნენ, ადამიანებისთვის უნდა გადაებიჯებინათ. პარაშასთან ახლოს, იატაკზე ახლები იწვნენ. მათ „პარაშუტისტებს" უწოდებდნენ. ასეთ საზარელ უჰაერობასა და სივიწროვეში ძილი უგონობას, გულყრას, პარტახტიანი ტიფისთვის დამახასიათებელ ბოდვას ჰგავდა.

ციხის კედლები დიდი შინაგანი წნევით ახეთქილი ქვაბივით ზანზარებდა. მთელი ღამე განუწყვეტლივ გუგუნებდა ცხოვრება ბუტირკის ციხეში. ეზოში მსუბუქი მანქანები ხმაურობდნენ, მოჰყავდათ და მოჰყავდათ მკვდრებივით გათეთრებული ახალი პატიმრები. ისინიც მზერას ავლებდნენ ციხის დიდებულ სამეფოს. კიოდნენ უშველებელი ციხის მანქანები: გამოძიებაში მყოფნი ციხიდან დასაკითხად ლუბიანკაზე დაჰყავდათ; გადასასახლებლები კრასნოპრესნენსკის ციხეში გადაჰყავდათ, საწამებლად — ლეფორტოვოში, ზოგი პატიმარი ციმბირში გასაგზავნ ეშელონებთან მიჰყავდათ. ასეთებს ბადრაგა დაუძახებდა: „ნივთებით!" და მათ მეგობრებიც ემშვიდობებოდნენ. ელექტრონით გაკაშკაშებულ დერეფნებში პატიმრები ფეხებს მიაფლატუნებდნენ; ისმოდა ბადრაგთა იარაღის ჩხარუნი. დერეფანში ორი პატიმარი ერთმანეთს შეხვდებოდა თუ არა, ბადრაგი ერთ-ერთს სწრაფად შეტენიდა ხოლმე ბოქსში — კედლის კარადაში. ისიც იდგა სიბნელეში და იცდიდა.

საკნების ფანჯრები სქელი ხის დაფებით იყო ამოვსებული. შიგნით სინათლე მხოლოდ ვიწრო ჭუჭრუტანით შედიოდა. დღესა და ღამეს მზით და ვარსკვლავებით კი არა — ციხის განაწესით განსაზღვრავდნენ. დღედაღამ უწყალოდ კაშკაშებდა ელექტრობა, რაც იმის ილუზიას ქმნიდა, თითქოს ეს მა-

* დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 11, 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამებელი დახუთული ჰაერიცა და პაპანაქებაც თეთრი ელექტრონათურიდან მოდიოდა. დღედაღამ გუგუნებდა ვენტილატორი. მაგრამ ივლისის მოასფალტებულ ცხელ ჰაერს ხალხისთვის შვება არ მოჰქონდა. ფილტვებს და თავის ქალას ღამით ჰაერი მხურვალე ნაბადივით ხუთავდა.

დილისთვის საკანში ღამის დაკითხვებზე გაყვანილები ბრუნდებოდნენ. საცოდავები, ქანცგაწყვეტილები ცვიოდნენ ნარებზე. ზოგი სლუკუნებდა და კვნესოდა; ზოგი გაუნძრევლად იჯდა და თვალებდაჭყეტილი, გამოშტერებული იცქირებოდა; დანარჩენები კი გასივებულ ფეხებს იზელდნენ და აგზნებულები რაღაცას ყვებოდნენ. ზოგსაც საკანში ბადრაგა მოათრევდა. ისინი კი, ვისი დაკითხვაც რამდენიმე დღე-ღამე განუწყვეტლივ გრძელდებოდა, საკაცით ციხის საავადმყოფოში გადაჰყავდათ ხოლმე. გამომძიებლის კაბინეტში პატიმრებს თავიანთი დახუთული და ამყრალებული საკანი უკვე საამურად ეჩვენებოდათ. აქ ისინი ნაღვლიანად იგონებდნენ გვერდით ნარებზე მყოფი პატიმრების სანდომიან და ტანჯულ სახეებს.

ვის არ ნახავდით, რაიკომებისა და საოლქო კომიტეტის მდივნებს, სამხედრო კომისრებს, პოლიტგანყოფილებების უფროსებს, ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, პოლკისა და დივიზიის მეთაურებს, არმიის სარდლებს, გემის კაპიტნებს, აგრონომებს, მწერლებს, ზოოტექნიკოსებს, ვაჭრებს, ინჟინრებს, ელჩებს, წითელ პარტიზანებს, პროკურორებს, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეებს, პროფესორებს. ეს ათობით, ათასობით და ათი ათასობით ადამიანი რევულუციის მიერ აღორძინებული ცხოვრების მრავალფეროვან შრეებს წარმოადგენდა. აქ, რუსების გვერდით შეხვდებოდით ბელორუსებს, უკრაინელებს, ლიტველ და უკრაინელ ებრაელობას, სომხებს, ქართველებს, დინჯ ლატვიელებს, პოლონელებს და შუა აზიის რესპუბლიკების მცხოვრებლებს. ისინი თავის დროზე სტუდენტები, გიმნაზიელები, ხელოსნები, მუშები და გლეხები იყვნენ. მიატოვეს თავიანთი საქმიანობა და რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ჯარისკაცები გახდნენ. ეს მათ გაანადგურეს კორნილოვის და კალედინის, კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის არმიები და განაპირა მხარეებიდან ფართო ნაკადით შეიჭრნენ რუსეთის უდაბნოს სიღრმეში. რევოლუციამ მოსპო პროცენტული ნორმა, ქონებრივი ცენზი და თავადაზნაურთა პრივილეგიები, წაშალა დასახლების საზღვრები. ასიათასობით კაცი — მუშები და გლეხები, ხელოსნები და სტუდენტები, ვოლოგდის სოფლებისა და ებრაული დაბების ახალგაზრდობა სათავეში ჩაუდგა რევკომებს, მაზრის და გუბერნიის საგანგებო კომისიებს, სამაზრო კომიტეტებს, სახალხო მეურნეობების საბჭოებს, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს, პოლიტსაგანმანათლებლო სამმართველოებსა და კომბინატებს. მსოფლიოში ჯერ არნახული, ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო. მსხვერპლი, სისასტიკე, გაჭირვება არაფრად მიაჩნდათ, რამეთუ ეს ყველაფერი რუსეთისა და მშრომელებისთვის, ადამიანთა კეთილდღეობისთვის კეთდებოდა.

ოცდაათიანი წლები დადგა. ის ახალგაზრდები, რომლებიც სამოქალაქო ომში მონაწილეობდნენ, უკვე ორმოცი წლის თმაშევერცხლილი კაცები იყვნენ. მათ ცხოვრებაში რევოლუციის, ღარიბთა კომიტეტების, კომინტერნის პირველი და მეორე კონგრესების დრო ახალგაზრდული, ბედნიერი და რომანტიკული პერიოდი იყო. ეხლა ისინი კაბინეტებში ტელეფონებთან ისხდნენ, საკუთარი მდივნები ჰყავდათ. მათ გიმნასტურის ნაცვლად პიჯაკები ჩაიცვეს, ჰალსტუხებიც გაიკეთეს, ავტომობილებით დაიწყეს სიარული. კარგი ღვინის, კისლოვოდსკის და ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი ექიმების გემოც გაიგეს. მაგრამ მაინც. ბუდიონოვკას. ტყავის ქურთუკის. ფეტვის ბურღულის. დახეული ჩექმების. პლანეტარული იდეების და მსოფლიო კომუნის დროს ისინი ცხოვრების საუკეთესო ხანად თვლიდნენ. ახალ სახელმწიფოს საკუთარი აგარაკების. მსუბუქი ავტომანქანების გამო არ აშენებდნენ. ეს რევოლუციას სჭირდებოდა. მსხვერპლიც იყო. სისასტიკეც და ძალმომრეობაც და ყველაფერი ეს რევოლუციის. ახალი რუსეთის ასაშენებლად კეთდებოდა. რომელშიც არც კაპიტალისტები იქნებოდნენ და არც მემამულეები.

საბჭოთა ადამიანთა ის თაობა, რომელიც 1936 და 1939 წლებში წავიდა. რა თქმა უნდა, მონოლითური არ იყო.

პირველი დარტყმა ძველი სამყაროს გამანადგურებელმა ფანატიკოსებმა იგემეს. მათი პათოსი, ფანატიზმი და რევოლუციისადმი თავდადება რევოლუციის მტრებისადმი სიძულვილით გამოიხატებოდა.

ფანატიკოსებს ყველა ერთნაირად სძულდათ: ბურჟუაზია, თავადაზნაურობა, მეშჩანები, ობივატელები. მოღალატე მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები, ძლიერი გლეხები. ოპორტუნისტები, სამხედრო სპეციალისტები, მოღალატური ბურჟუაზიული ხელოვნება, გამყიდველური ბურჟუაზიული პროფესურა, ჰალსტუხიანი ფრანტები, რომლებსაც კერძო პრაქტიკა ჰქონდათ, ცხვირდაპუდრული, აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი, კოხტად ჩაცმული ქალები, გაპიწკინებული სტუდენტები, მღვდლები. რაბინები, ინჟინრები, რომლებიც კოკარდიან ქუდებს ატარებდნენ, ისინი ვერ იტანდნენ ფეტის მსგავს პოეტებს, ბუნების სილამაზეზე გახრწნილ ლექსებს რომ წერდნენ; სძულდათ კაუცკი, მაკდონალდი; ბერნშტეინი საშინელებად მიაჩნდათ. თუმცა მის ნაწერებს არც კი კითხულობდნენ; არც ის იცოდნენ, რომ მათი ბედი ბერნშტეინის სიტყვების გამეორება იყო: მიზანი არაფერია. მთავარია — მოძრაობა.

ამ ხალხმა ძველი სამყარო დაანგრია; ახალი სამყარო უნდოდათ. მაგრამ ამ ახალს თვითონ არ აშენებდნენ. მათ ბევრი რამ სძულდათ. მიწაც სისხლით მორწყეს, მაგრამ ბავშვივით უბოროტო გულები ჰქონდათ. ეს გულები ფანატიკოსების, შეიძლება გადარეულების გულებიც იყო. მათ სიყვარულის გამო სძულდათ.

ეს ხალხი პარტიის ხელში იმ დინამიტად იქცა, რის საშუალებითაც მთავრობა ძველ რუსეთს ანგრევდა და დიადი სახელმწიფოს გასაძლიერებლად, ახალი ქვაბულების მშენებლობისთვის ადგილს ასუფთავებდა.

მედინამიტეების გვერდით პირველი მშენებლები დადგნენ. სწორედ მათ უნდა შეექმნათ სახელმწიფოს პარტიული აპარატი, მათ უნდა აეშენებინათ ფაბრიკა-ქარხნები, გაეყვანათ რკინიგზები. გზატკეცილები და არხები. მოეკიდინათ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ზუსტად ესენი იყვნენ პირველი საბჭოთა ვაჭრები. პირველებმა მათ ჩამოასხეს საბჭოთა თუჯი. მოქსოვეს ჩითი. გააკეთეს თვითმფრინავები. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა დღესა და ღამეს, ციმბირის სუსხსა და ყარაყუმის ხვატს. ისინი გაქანებული შრომობდნენ. საძირკველს უყრიდნენ ქვაბულებს და ცათამბჯენები აჰყავდათ.

ფრანკფურტი, გვახარია, ზავენიაგინი, ჰუგელი...

მათგან თავისი სიკვდილით მხოლოდ რამდენიმე აღესრულა.

აი, ამ ხალხის გვერდით მუშაობდნენ ისეთი პარტიული ლიდერები, ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების შემქმნელები და მმართველები, როგორებიც იყვნენ: პოსტიშევი, კიროვი, ვარეიკისი, ბეტალ ყალმიკოვი, ფაიზულა ხოჯაევი, მენდელ ხატაევიჩი, ეიხე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი მათგანი არ მომკვდარა თავისი სიკვდილით.

ყველა ესენი ბრწყინვალე ადამიანები, კარგი ორატორები და მწიგნობრები, ფილოსოფოსები და პოეზიის მოყვარულები, მონადირეები და მოქეიფეები იყვნენ.

მათი ტელეფონები დღედაღამ წკარუნობდნენ, მდივნები სამ ცვლად მუშაობდნენ, მაგრამ მეოცნებეებისა და ფანატიკოსებისაგან განსხვავებით, მათ დასვენებაც შეეძლოთ — იცოდნენ აგარაკების, გარეულ ღორებსა და მთის თხებზე ნადირობის ფასი. უყვარდათ ხანგრძლივი საკვირაო სადილები, სომხური კონიაკი და ქართული ღვინოები. ზამთარში დახეული ტყავის ქურთუკები აღარ ეცვათ, მათი ჯარისკაცური, სტალინური გიმნასტურის გაბარდინიც ინგლისურ მაუდზე ძვირფასი იყო.

ყველანი გამორჩეული ენერგიით, ძალით და სრული არაადამიანურობით ხასიათდებოდნენ. ისინი ყველა — ბუნების მოტრფიალეებიც, პოეზიისა და მუსიკის მოყვარულებიც და ენაკვიმატნიც, — გულქვები იყვნენ.

კარგად იცოდნენ, რომ ახალი სამყარო ხალხისთვის შენდებოდა. მაგრამ არ აღელვებდათ ის ფაქტი, რომ ამ ახალი სამყაროს მშენებლობის გზაზე ისინი ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის აწყდებოდნენ.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს ახალი ქვეყნის ბელადების მთელი ენერგია, უდრეკი ნებისყოფა და უსაზღვრო სისასტიკე მხოლოდ იმაზე იხარჯებოდა, რომ ადამიანები ძალით ემუშავებინათ ზეგეგმით, დასვენების დღეების გარეშე. რომ ხალხი ნახევრად მშიერი ყოფილიყო, რომ მათ ღამე ბარაკებში ეთიათ, მათხოვრული ხელფასი აეღოთ, თანაც ისტორიაში არნახული არაპირდაპირი გადასახადები, სესხები, განაწილებები და ბეგარები ეხადათ.

ადამიანები კი აშენებდნენ იმას, რაც არ სჭირდებოდათ. არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა ბელომორ-ბალტიის არხს, არქტიკის მაღაროებს, იმიერპოლარეთის რკინიგზებს, ტაიგაში მიჩქმალულ ზემძიმე ქარხნებს და ტაიგის უკაცრიელ ადგილებზე აშენებულ ზემძლავრ ჰიდროსადგურებს. ზოგჯერ კაცი იმასაც იფიქრებდა, რომ ეს ქარხნები, უდაბნოში მივარდნილი ზღვები და არხები მარტო ხალხს კი არა, სახელმწიფოსაც არ სჭირდებოდა. ხანდახან იმის ილუზიაც ჩნდებოდა, რომ ეს მძლავრი მშენებლობები მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, რომ მილიონობით ადამიანი მძიმე შრომით შეებოჭათ.

მარქსს, უდიდეს მარქსისტს-ლენინს და მისი საქმეების დიად გამგრძელებელ სტალინს რევოლუციური მოძღვრების პირველ ჭეშმარიტებად პოლიტიკაზე ეკონომიკის პრიმატი მიაჩნდათ. მაგრამ ახალი სამყაროს მშენებლებიდან არც ერთი არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ხალხისთვის და ხშირად სახელმწიფოსთვისაც, გამოუსადეგარი, უშველებელი, მძიმე ქარხნების მშენებლობით, ისინი მარქსის თეზისს უარყოფდნენ.

ხოლო იმ სახელმწიფოში, რომელსაც საფუძველი ლენინმა ჩაუყარა და, რომელიც სტალინმა ააშენა, სახელმწიფოს საფუძველი ეკონომიკა კი არა, პოლიტიკა იყო.

პოლიტიკა განსაზღვრავდა სტალინის ხუთწლედებს, დიად სამუშაო გეგმებს. სტალინის დროს პოლიტიკა ყველგან ბატონობდა ეკონომიკაზე: სახკომსაბჭოში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატებში, მომარაგების კომიტეტებსა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატებში.

სამოქალაქო ომისგან განსხვავებით, მშენებლები უკვე აღარ თვლიდნენ, რომ მსოფლიო რევოლუციური პროცესი მიმდინარეობდა და მსოფლიო კომუნა იქმნებოდა. მაგრამ მათ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯეროდათ, რომ ერთ ქვეყანაში, კერძოდ კი ახალგაზრდა რუსეთში აშენებული სოციალიზმი მსოფლიო სოციალისტური დღის ცისკარს წარმოადგენდა.

და აი, დადგა 1937 წელი. ციხეები ასი ათასობით რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილე ადამიანით აივსო. საბჭოთა სახელმწიფო ხომ სწორედ ამ ადამიანებმა შეინარჩუნეს. ისინი რევოლუციის მამებიც იყვნენ და შვილებიც. ჰოდა, იმ ციხეებში ახალი რუსეთის მტრებისთვის თავად რომ აშენებდნენ, თვითონ აღმოჩნდნენ. მათ მიერ შექმნილი წყობილების სისასტიკე თავად იწვნიეს, დიქტატურის დამსჯელი ძალა — მათ მიერ ნაჭედი მახვილი, მათ თავებზევე დაეშვა. ამიტომ, ბევრი მათგანი თვლიდა, რომ ქაოსის და არეულობის დრო დადგა.

რა საჭირო იყო, პატიმრებს ჩაუდენელი დანაშაული ძალით რომ აღიარებინეს; ან ეს ადამიანები, რატომ გამოაცხადეს ხალხის მტრებად, რატომ გარიყეს მათივე აშენებული და ბრძოლით მოპოვებული სამყაროდან?!

მათ სისულელედ მიაჩნდათ ის, რომ სახელმწიფომ ისინი იმ ადამიანებთან გააიგივა, ვისაც ვერ იტანდნენ და სძულდათ, ვისაც თავის დროზე ცოფიანი ძაღლებივით საშინელი ფანატიზმით ხოცავდნენ.

ჰოდა, კამერებში და ბანაკის ბარაკებში ისინი მათგან ჯერ კიდევ გაუნადგურებულ მენშევიკებთან, ყოფილ ფაბრიკანტებთან და მემამულეებთან ერთად აღმოჩნდნენ.

ზოგიერთ მათგანს ეჩვენებოდა, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რომ ძალაუფლება ხელში მტრებმა ჩაიგდეს, ეს მტრები კი საბჭოთა ენას, საბჭოთა გაგებას იყენებენ და სწორედ იმათ უსწორდებიან, ვინც საფუძველი ჩაუყარა და ააშენა საბჭოთა სახელმწიფო.

ციხის ნარებზე ერთმანეთის გვერდით ნახავდით რაიკომის მდივანს — უკვე მხილებულ ხალხის მტერს, მის მამხილებელ ახალ რაიკომის მდივანს, რომელიც სულ მალე თავად აღმოჩნდა ხალხის მტერი; ერთი თვის შემდეგ კი საკანში მოჰყავდათ მესამე — უკვე ის რაიკომის მდივანი, რომელმაც მეორე გამოააშკარავა და სულ მალე თვითონ დააბრალეს ხალხის მტრობა.

ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა: ჩრდილოეთით მიმავალი მატარებლების თვლების გრუხუნი, სამსახურებრივი ძაღლების ყეფვა, ტაიგის ხრაშუნა თოვლზე ჩექმებისა და ქალის მსუბუქი ფეხსაცმელების ჭრაჭუნი, გამომძიებლის კალმების წრიპინი, გაყინულ მიწაზე ნიჩბების ფხაჭუნი. თხრიდნენ და თხრიდნენ ორმოებს გაყინულების, სურავანდით და ინფარქტით დაღუპულების დასასაფლავებლად; პარტიულ კრებებზე მონანიების ჩურჩულსაც გაიგონებდით, როცა პატიმარი გაფითრებული, უსულო ტუჩებით გამომძიებელთან ერთად იმეორებდა: „ვაღიარებ, რომ ვიყავი უცხოური დაზვერვის ფასიანი აგენტი და, რადგან საშინლად მძულდა ყველაფერი საბჭოური, საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეების წინააღმდეგ ვამზადებდი ტერორისტულ აქტებს, ვაწვდიდი ჯაშუშურ ინფორმაციებს...“

ბუტირკული და ლეფორტული ქვებით დახშულ კედლებში განუწყვეტლივ ისმოდა შაშხანისა და პისტოლეტის სროლის ხმა, — ცხრა გრამი ტყვია ხვდებოდა გულში, ან კეფაში იმ ათობით ათას უდანაშაულოს, ვინც განსაკუთრებით ბოროტმზრახველურ ტერორისტულ და ჯაშუშურ მოქმედებაში გამოავლინეს.

ისინი კი, ვინც ახალ სამყაროს აშენებდნენ, სულ იმის ფიქრში იყვნენ: „წამიყვანენ, თუ არ წამიყვანენ?“ ღამე ყოველ წუთს ელოდნენ კარზე კაკუნს და ჭიშკართან უცებ გაჩერებული ავტომობილის საბურავების ხმაურს.

ქაოსში და უაზრო ყალბ ბრალდებებში უჩინარდებოდა სამოქალაქო ომის თაობა. ახალი დრო მოდიოდა, ასპარეზზე ახალი თაობა გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19

ლიოვა მეკლერი, ლევ ნაუმოვიჩი... დაპატიმრებამდე 45 ზომის ყელიან ფეხსაცმელს და მოსკოვის სამკერვალოს შეკერილ 58 ზომის კოსტიუმს ატარებდა. საქმეც 58-ე შეეხო. შემდეგი მუხლებით: სამშობლოს ღალატი, ტერორი, დივერსია და კიდევ წვრილწვრილი რაღაცები.

ის ერთ-ერთი პირველი ჩასვეს. მაშინ სასიკვდილო განაჩენები სისრულეში ჯერ კიდევ ასე თავისუფლად არ მოჰყავდათ. ალბათ, ამიტომაც არ დახვრიტეს.

ლევ მეკლერმა დაბნეულად, ბეციკით თვალების ჭუტვით და ბარბაცით გაიარა ციხისა და ბანაკის ყველა ჯოჯოხეთური შრე. და მხოლოდ იმიტომ არ დაიღუპა, რომ მის სულსა და გულში სიყრმიდან დანთებული რწმენის ცეცხლი მას ღამის ორმოცგრადუსიანი ყინვიდან და მძვინვარე ქარიშხლისგან, დისტროფიისაგან და სურავანდიდან იფარავდა; ის მაშინაც არ დამხრჩვალა, როცა ენისეიში პატიმრებით გატენილი ბარჟა ჩაიძირა; სისხლიან ფაღარათსაც გადაურჩა.

ლევ ნაუმოვიჩისთვის არც სისხლის სამართლის დამნაშავეებს გამოუჭრიათ ყელი; იგი არც კარცერში მოუკლავთ წამებით, დაკითხვაზე ოპერრწმუნებულსაც არ ამოუხდია მისთვის ცემით სული. მასობრივი წმენდის დროსაც გადარჩა; ეს მაშინ, ყოველ მეათეს რომ ხვრეტდნენ.

რამ დაუნთო ყოვლისშემძლე ფანატიზმის ცეცხლი დაბა ფასტოვის ნაღვლიანი და ცბიერი მედუქნის შვილს, კომერციული სასწავლებლის მოსწავლეს, რომელიც „ოქროს ბიბლიოთეკის" და ლუი ბუსენარის წიგნებს კითხულობდა. შახტებსა და კვამლიანი ფაბრიკის საამქროებში ხომ არც მამამისი და არც თვითონ გულში არ იმარხავდნენ კაპიტალიზმის სიძულვილს.

ვინ შთაბერა ამ კაცს მებრძოლის სული? ვინ დაანახვა ჟელიაბოვის და კალიაევის მაგალითები? ვინ აჩვენა „კომუნისტური მანიფესტის" სიბრძნე და გვერდით მცხოვრებ ღარიბ-ღატაკთა ტანჯვა?

ან იქნებ ეს აგიზგიზებული ალი და ნაკვერჩხლები მემკვიდრეობის ათასწლეულების უფსკრულში ხრჩოლავდნენ და ყოველთვის მზად იყვნენ ცეცხლად ანთებულიყვნენ: რომაელი კეისრის ჯარისკაცების, ესპანეთის ინკვიზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თალმუდ-თორას[1-2] შიმშილით გახელებაში და საკუთარი დაბის დამარბეველების წინააღმდეგ შეტაკებაში?

იქნებ, სწორედ დამცირებების საუკუნოვანმა ჯაჭვმა — ბაბილონის დატყვევების სევდამ: გეტოს[3] დამცირებამ, სიღატაკემ, ებრაული ბინადრობის ფარგლებმა შვეს და გამოჭედეს ის გაავთრება, რომელიც ბოლშევიკ ლევ მეკლერის სულს ასე წვავდა?

ის ამქვეყნიურ ცხოვრებას ვერ ეგუებოდა, რაზეც დასცინოდნენ და თაყვანსაც სცემდნენ. ზოგიერთის თვალში ლევ მეკლერი წმინდანი იყო — კომკავშირის წინამძღოლი დახეული სანდლებით, საყელომოღიავებული ჩითის პერანგით, უქუდოდ, დაგლეჯილი ტყავის ქურთუკით, ბუდიონოვკაზე სისხლდაკარგულივით გაცრეცილი, გამოხუნებული წითელი ვარსკვლავი ჰქონდა. უკრაინული იუსტიციის კანონების მცოდნე ლევ ნაუმოვიჩი, ჩამოგლეჯილი, გაუპარსავი. ზამთარში ღილებაგლეჯი-

---

[1] თალმუდი — ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლ[illegible] წესებისა და კანონების კრებული, შედგენილი „ძველი აღთქმის" წიგნების განმარტების საფუძველზე.

[2] თორა — 1. ძველი ებრაული სახელწოდება ბიბლიის პირველი ხუთი წიგნისა, რომლის ავტორობა მიეწერება მითიურ წინასწარმეტყველ მოსეს. 2. სინაგოგა.

[3] გეტო — შუა საუკუნეების ევროპაში, აგრეთვე ზოგიერთ თანამედროვე კაპ. ქვეყანაში, დიდ ქალაქში საგანგებოდ გამოყოფილი უბანი, სადაც იძულებით არის დასახლებული ადამიანთა გარკვეული რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი (მაგ. ებრაელთა გეტო, ზანგების გეტო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ლაბადა რომ ეცვა, ავტომანქანიდან გადმოდიოდა და თავისთან — სახალხო კომისრის კაბინეტში შედიოდა.

ლევ მეკლერი უმწეო ჩანდა, მაგრამ ყველას თვალში არა. ხალხს ახსოვდა მის სიტყვებს შფოთიან, ხალხმრავალ მიტინგებზე ლოცვასავით რომ ისმენდნენ; ისიც ახსოვდათ, როგორ მიჰყვებოდნენ მას ჯარისკაცები ვრანგელის ტყვიამფრქვევების ცეცხლის ალში.

ის მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მქადაგებელი, მოციქული და მებრძოლი გახლდათ. ლევ მეკლერი რევოლუციას სიცოცხლეს, ქალის სიყვარულს და ყველა ახლობელს თვალდაუხამხამებლად შესწირავდა. მხოლოდ ამ ერთ ბედნიერებას ვერ დათმობდა — ადამიანისთვის ქვეყნად ყველაფერზე ძვირფასსაც კი რევოლუციის სამსხვერპლოზე მიიტანდა. მისი გულისთვის კოცონზე დაიწვებოდა და ამით უზომოდ ბედნიერი იქნებოდა.

მომავალი მსოფლიო მას უსაზღვროდ მშვენიერი ეჩვენებოდა, ამიტომ მეკლერი ყველაზე ულმობელი ძალადობისთვის იყო მზად.

ბუნებით კეთილი ადამიანი იყო. სისხლისმწოველ კოღოს ხელის გულს არ დაარტყამდა, დელიკატურად, წკიპურტით მოისვრიდა ხოლმე ხელიდან. დანაშაულის ადგილზე დაჭერილ ბალლინჯოს ქაღალდის ფურცელში ახვევდა და ქუჩაში მიაბრძანებდა.

ლევ მეკლერის რევოლუციის და სიკეთის სამსახური სისხლის ღვრითა და ტანჯვის მიმართ შეუბრალებლობით ხასიათდებოდა.

მან თავისი რევოლუციური პრინციპულობის გამო ციხეში საკუთარი მამა ჩასვა და საგუბერნიო საგანგებო კომისიის კოლეგიაზე მის საწინააღმდეგოდ ჩვენებაც მისცა. ლევ მეკლერმა საკუთარ დას პირქუშად და მკაცრად შეაქცია ზურგი, რადგან მან მესაბოტაჟე ქმრის დაცვა სთხოვა.

ეს თვინიერი კაცი შეუბრალებელი იყო ყველა სხვანაირად მოაზროვნის მიმართ. მისი აზრით, ვერაგობის, ბოროტმოქმედების, ულმობლობის, გახრწნილების უხეშ გარემოცვაში რევოლუცია უმწეო ბავშვივით მიმნდობი ჩანდა.

ამიტომაც იყო რევოლუციის მტრების მიმართ ულმობელი.

მის რევოლუციურ სინდისზე ერთადერთი ლაქა იყო: პარტიის უჩუმრად ლევ მეკლერი დამსჯელი ორგანოების მიერ დახვრეტილი კაცის მოხუც ქვრივ დედას ეხმარებოდა და მისი გარდაცვალების შემდეგ, რელიგიური წეს-ჩვეულებებით დასაფლავებისათვის ფული გაიღო. ასეთი იყო გარდაცვლილის უკანასკნელი, უბადრუკი სურვილი.

მისი ლექსიკონი, აზროვნება და ქცევები იმ წიგნებიდან იღებდა სათავეს, რომელიც რევოლუციის, რევოლუციის უფლების და რევოლუციური მორალის, რევოლუციის პოეზიის, მისი სტრატეგიისა და რევოლუციის სიმღერებისთვის იქმნებოდა.

იგი რევოლუციის თვალით უმზერდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცასა და აპრილში შეფოთლილ არყის ხეებს. რევოლუციის უტკბილესი ფიალიდან ისრუტავდა პირველი სიყვარულის მშვენიერებას; რევოლუციის სიბრძნეში შეიცნობდა პატრიციებისა და მონების, ფეოდალებისა და ყმების ჭიდილს, მეკარხნეებისა და პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლებს. რევოლუცია იყო მისი დედაც, ნაზი შეყვარებულიც, მზეცა და ბედისწერაც.

ჰოდა, აგერ რევოლუციამ შიდა ციხის საკანში ჩასვა, რვა კბილიც ჩაულეწა; რევოლუციის სახელით ოფიცერი ჩექმებითაც შესდგა, ლანძღეს და აგინეს კიდეც; მოითხოვდნენ, რომ მას, რევოლუციის შვილს, რევოლუციაზე უზომოდ შეყვარებულ მოციქულს ეღიარებინა, რომ საშინლად სძულდა რევოლუცია და ფარულად შხამავდა მის საქმიანობას.

რა თქმა უნდა, ლევ მეკლერმა რევოლუცია ერთი წუთითაც არ უარყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი წამით არ შერყეულა მისი რწმენა არც ასსაათიან დაკითხვებზე და არც მაშინ, იატაკზე დაცემული, თავის გასისხლიანებულ პირთან გაკრიალებულ, პრიალა ქრომის ჩექმის წვერს რომ ხედავდა.

ამ მრავალდღიან, მწამებლურ დაკითხვებზე რევოლუცია ულმობელი და გონებაჩლუნგი იყო. მას ბოლშევიკ ლევ მეკლერის ერთგულება და მოთმინება აცოფებდა.

არ, ასე ცოფდება ძაღლის პატრონი, რომელსაც ფეხდაფეხ ადევნებული ქოფაკის გაგდება უნდა. პატრონი ჯერ ნაბიჯს აუჩქარებს, შემდეგ ძაღლს უყვირის და ფეხებს აბრახუნებს, ხელსაც მოუღერებს და ქვებსაც ესვრის. ის კი განზე გახტება და გაჩერდება. პატრონი გაივლის ასიოდე ნაბიჯს, მოიხედავს უკან და დაინახავს, რომ დაშავებული ძაღლი ჩქარობს და თუმცა კოჭლობით, რწევა-რწევით, მაგრამ, მაინც აჩქარებული, დაჟინებით და შეუპოვრად მისდევს.

მაშინ პატრონს ყველაზე მეტად მისი თვინიერი, ნაღვლიანი, მოსიყვარულე და ფანატიკურად ერთგული ძაღლური თვალები სძულდა.

ამ სიყვარულმა პატრონი გაამხეცა. ძაღლი კი უყურებდა და მძვინვარების მიზეზს ვერ ხვდებოდა. ძაღლი ვერ ხვდებოდა, რომ მის მიმართ მსოფლიოში არნახული უსამართლობის ჩადენით პატრონი საკუთარი სინდისის ცოტათი დამშვიდებას ცდილობდა. ძაღლის თვინიერება და ერთგულება მას აგიჟებდა. ამ დიდი სიყვარულის გამო პატრონს ის იმ მგლებზე უფრო მეტად სძულდა, ვისგანაც ძაღლი მის სახლს იცავდა. უხეში საქციელით პატრონი ცდილობდა ძაღლში სიყვარული ჩაეკლა.

პატრონის უეცარი და აუხსნელი სისასტიკით შეძრწუნებული ძაღლი კი მას მაინც მისდევდა.

რატომ? რისთვის?

ძაღლი ვერ ხვდებოდა, რომ მის მიმართ გამომჟღავნებული უეცარი სიძულვილი უაზრო კი არა, პირიქით, ჭეშმარიტი და გონივრული იყო.

ამ სიძულვილში კანონზომიერება, მათემატიკური ლოგიკა მჟღავნდებოდა. ძაღლს კი ეგონა, რომ ეს ცდუნება, უაზრო სისულელე იყო. ძაღლს პატრონის მაგივრად შიშიც კი აიტანდა ხოლმე. პატრონის განთავისუფლებასაც ცდილობდა, თავის თავს არ ჩიოდა, პატრონზე ფიქრობდა. ძაღლი ვერ ტოვებდა მას, რადგან პატრონი უყვარდა.

პატრონმა უკვე იცოდა, რომ ძაღლი მას არ მიატოვებდა; ამიტომ ხვდებოდა, რომ ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა: მოეხრჩო და მოეკლა ძაღლი.

პოდა, მასზე მლოცველი და უზომოდ შეყვარებული ძაღლის სიკვდილით დასჯის შემდეგ საკუთარი სინდისის ქენჯნა რომ არ ჰქონოდა და ამ საქციელის გამო მეზობლებსაც არ გაეკიცხათ, პატრონმა გადაწყვიტა ძაღლი ხელოვნურად მტრად ექცია. სჯობია, ძაღლმა სიკვდილის წინ აღიაროს, რომ პატრონის დაგლეჯა უნდოდა.

მტრის მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე მეგობრის.

იმ პირველ სახლში კი, რომელიც კაცმა ულრან ტყეში და უდაბნოს ნანგრევებში ააშენა, სადაც თავისი ახალგაზრდობა გაატარა და სადაც ის წმინდად ლოცულობდა — ძაღლი მისი მეგობარი, გუშაგი და განუშორებელი მეგზური იყო.

ამიტომ აჯობებს, ძაღლი გამოტყდეს, რომ ის მგლებთან შეიკრა.

თოკით მოგუდული, მომაკვდავი ძაღლი უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ პატრონს თვინიერებით, სიყვარულითა და იმ რწმენით შესცქეროდა, რომლის გულისთვისაც მოწამე-ქრისტიანები სიკვდილზე მიდიოდნენ.

ძაღლი უბრალო რამეს ვერ მიხვდა — პატრონმა მიატოვა თავისი ლოცვის ახალგაზრდული კერა, გრანიტისა და მინის სახლში გადავიდა და სოფლის ქოფაკი მისთვის უაზრო ტვირთად იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა; ძაღლი მარტო ტვირთი აღარ იყო. ის პატრონს ვნებდა კიდეც. ჰოდა, ამიტომაც მოკლა პატრონმა.

20

გავიდა წლები, მომხდარი მოვლენების გააზრების ხელის შემშლელი ნისლი და მტვერი გაიფანტა. რასაც ადრე ქაოსად, უაზრობად, უცნაურ შემთხვევითობათა დამთხვევად მიიჩნევდნენ და, რაც თავისი საიდუმლო, ტრაგიკული უაზრობით ხალხს აგიჟებდა, თანდათან უკვე ახალი ცხოვრების, ახალი სინამდვილის ზუსტ, ნათელ და აშკარა ნიშნებად ჩამოყალიბდა.

რევოლუციის თაობის ბედი ახალი, არა მისტიკური, არამედ ლოგიკური კუთხით გამოჩნდა. ივან გრიგორიევიჩის გონებამ ეხლა აღიქვა იმ ქვეყნის ახალი ბედი, დახოცილი თაობების ძვლებზე რომ იშვა.

ბოლშევიკების ეს თაობა რევოლუციის, მსოფლიო კომუნის ჰეგემონიის იდეისა და აღმაფრენით შთაგონებული მშიერი შაბათობების დროს ჩამოყალიბდა. მან მსოფლიო და სამოქალაქო ომების მემკვიდრეობა — რღვევა, შიმშილი, პარტახტიანი ტიფი და ბანდიტიზმი შთამომავლობით მიიღო. ამ თაობამ ლენინის პირით განაცხადა, რომ არის ისეთი პარტია, რომელსაც რუსეთის ახალ გზაზე დაყენების უნარი შესწევს. ბოლშევიკების ამ თაობამ უყოყმანოდ მიიღო ასწლიანი რუსული თვითნებობის მემკვიდრეობა, როცა ათეულობით თაობები ერთი — ბატონყმური უფლების ცოდნით იბადებოდნენ და იხოცებოდნენ.

ლენინის მეთაურობით სამოქალაქო ომის პერიოდის ბოლშევიკების თაობა მონაწილეობას იღებდა დამფუძნებელი კრების დაშლასა და რუსული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიის განადგურებაში.

სამოქალაქო ომის ბოლშევიკების თაობას არ სჯეროდა, რომ ბურჟუაზიული რუსეთის ფარგლებში შესაძლებელი იყო პიროვნების, ბეჭდვისა და სიტყვის თავისუფლება.

ლენინის მსგავსად, მათაც ხანმოკლედ და უმნიშვნელოდ მიაჩნდათ თავისუფლების ყველა ის ფორმა, რაზეც მრავალი რევოლუციურად განწყობილი მშრომელი და ინტელიგენტი ოცნებობდა.

ახალგაზრდა სახელმწიფომ სოციალისტური მშენებლობის გზაზე დემოკრატიული პარტიები გაანადგურა. ოციანი წლების ბოლოსთვის ყველა ეს პარტია მთლიანად ლიკვიდირებული აღმოჩნდა. ადამიანები, რომლებიც მეფის რუსეთის დროს ციხეებში ისხდნენ, კვლავ ციხეებსა და კატორღებში აღმოჩდნენ.

ათას ცხრაას ოცდაათ წელს კი საყოველთაო კოლექტივიზაცია ნაჯახივით წამოიმართა.

სულ მალე ნაჯახი ისევ აღიმართა. ამჯერად ის სამოქალაქო ომის თაობას დაერია. ამ თაობიდან ძალზე ცოტა გადარჩა. მაგრამ მათი სული, მსოფლიო კომუნის რწმენა, რევოლუციური რომანტიკის ძალა 1937 წელს განადგურებულ ადამიანებთან ერთად წავიდა. ისინი კი, ვინც გადარჩნენ, ცოცხლობდნენ და მუშაობდნენ, ფეხდაფეხ შეეწყვნენ ახალ დროებას, ახალ ხალხს.

ახალ თაობას რევოლუციის აღარ სჯეროდა. ისინი რევოლუციის შვილები არ იყვნენ, მათი მშობელი რევოლუციით შობილი სახელმწიფო იყო.

ახალ სახელმწიფოს უკვე აღარ სჭირდებოდა წმინდა აპოსტოლები, გააფთრებული, აკვიატებული აზრით შეპყრობილი მშენებლები და მორწმუნე მიმდევრები. ახალ სახელმწიფოს მსახურებიც აღარ სჭირდებოდა, მას მხოლოდ თანამშრომლები უნდოდა. სახელმწიფო ერთადერთი იმაზე ღელავდა, რომ მისი თანამშრომლები ზოგჯერ ძალიან წვრილმანი, მოთაღლითო ადამიანები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ტერორმა და დიქტატურამ შთანთქა თავისი შემქმნელები. სახელმწიფოც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალება კი არა, მიზანი აღმოჩნდა. ხალხი, რომელიც ამ სახელმწიფოს ქმნიდა, თვლიდა, რომ სახელმწიფო მათი იდეალების განხორციელების საშუალება იქნებოდა. სინამდვილეში კი, პირიქით, მათი ოცნებები და იდეალები დიდი მრისხანე სახელმწიფოს საშუალება გახდა. სახელმწიფო მსახურიდან პირქუშ თვითმპყრობლად გადაიქცა. არა, ხალხს არ სჭირდებოდა ცხრამეტი წლის ტერორი, ხალხს არც ბეჭდვისა და სიტყვის თავისუფლება გაუნადგურებია, მას არც მილიონობით გლეხკაცის (გლეხობა კი ხალხის უდიდესი ნაწილია) სიკვდილი უნდოდა; მისი სურვილით არ გამოუტენიათ ციხეები და ბანაკები 1937 წელს; ხალხს არც ის უნდოდა, რომ ტაიგაში ყირიმელი თათრები, ყალმუხები, ბალყარელები, გარუსებული ბულგარელები და ბერძნები, ჩეჩნები და ვოლგისპირეთის გერმანელები ამოსაწყვეტად გადაესახლებინათ. ხალხს არავითარი კავშირი არ ჰქონდა თესვის თავისუფლებისა და მუშათა კლასის გაფიცვის უფლების მოსპობასთან; იგი არც საქონლის თვითღირებულებაზე საოცარი წარმატების ავტორი იყო.

სახელმწიფო ყველაფრის ბატონ-პატრონად იქცა, ნაციონალურმა ფორმიდან შინაარსში გადაინაცვლა და სახელმწიფოს დედაარსი გახდა, სოციალისტური კი მხოლოდ გარსში, ლამაზ სიტყვებში, უაზრო, გარეგნულ ფორმაში დარჩა. ტრაგიკული სიცხადით განისაზღვრა სიცოცხლის წმინდა კანონი: ადამიანის თავისუფლება ყველაზე მაღლა დგას, მსოფლიოში არ არსებობს მიზანი, რასაც შეიძლება ადამიანის თავისუფლება შეეწიროს.

21

უცნაური იყო, მაგრამ ივან გრიგორიევიჩი ოცდაჩვიდმეტ წელზე, ქმრების გულისთვის გადასახლებულ ქალებზე, ერთიან კოლექტივიზაციასა და სოფლად შიმშილობაზე რომ ფიქრობდა, იმ კანონებს რომ იხსენებდა, რომლის საფუძველზეც მუშებს ოცწუთიანი დაგვიანებისთვის ციხეში სვამდნენ და გლეხებს რამდენიმე თავთავის გადამალვისთვის რვა წლით ბანაკში ამოაყოფინებდნენ ხოლმე თავს, არც კი ახსენდებოდა ჩექმებში და გიმნასტურაში გამოწყობილი ულვაშიანი კაცი.

ლენინი! თითქოს მისი სიცოცხლე 1924 წლის 21 იანვარს არ შეწყვეტილა.

თავის ფიქრებს ლენინსა და სტალინზე ივან გრიგორიევიჩი ზოგჯერ ალიოშას დანატოვარ სკოლის რვეულში იწერდა ხოლმე.

პარტიისა და სახელმწიფოს ყველა გამარჯვება ლენინის სახელთან არის დაკავშირებული და ამიტომ ქვეყანაში მომხდარი ყველა სისასტიკეც ტრაგიკული სახით ვლადიმერ ილიჩის მხრებს აწვებოდა.

ლენინის რევოლუციური გატაცება, მისი გამოსვლები, მისი სტატიები და მოწოდებები სოფელში მომხდარი მოვლენების, 1937 წლის, ახალი ჩინოვნიკობის, ახალი მეშჩანობის და პატიმრების შრომის დადასტურება იყო.

თანდათან, წლებთან ერთად, თითქოს ნელ-ნელა, იცვლებოდა ლენინის თვისებები, იცვლებოდა სტუდენტ ვოლოდია ულიანოვის, იგივე, ახალგაზრდა მარქსისტ ტულინის, ციმბირში გადასახლებულ რევოლუციონერ-ემიგრანტის, პუბლიცისტის, მოაზროვნის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახე; იმ ადამიანის სახე, ვინც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ერას მისცა დასაბამი, ვინც რუსეთში რევოლუციური დიქტატურა შექმნა, ვინც ყველა რევოლუციური პარტია გააუქმა იმ ერთი პარტიის გარდა, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე რევოლუციური იყო; ლენინმა დამფუძნებელი კრებაც დაშალა, სადაც რევოლუციის შემდგომი რუსეთის ყველა პარტია და კლასი იყო წარმოდგენილი; მან საბჭოები შექმნა, სადაც, მისი აზრით, მხოლოდ რევოლუციურად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განწყობილი მუშები და გლეხები იყვნენ.

პორტრეტებიდან ცნობილ ლენინის იერსახესთან ერთად, საბჭოთა მთავრობის პირველი თავმჯდომარის ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის სახეც იცვლებოდა.

ლენინის საქმე გრძელდებოდა და ამიტომ გარდაცვლილი ლენინის იერი უნებურად იძენდა ყველა იმ თვისებას, რომლითაც მისი დაწყებული საქმე მდიდრდებოდა.

ლენინი მშრომელი ინტელიგენტის ოჯახიდან იყო; მისი დები და ძმები რევოლუციურად განწყობილი მშრომელი ინტელიგენტები იყვნენ; ლენინის უფროსი ძმა ალექსანდრე ხალხოსანი, რევოლუციის გმირი და წმინდა მოწამე გახლდათ.

მოგონებების ავტორები წერენ, რომ პარტიის შემქმნელი, საბჭოთა მთავრობის მეთაური და რევოლუციის ბელადი ლენინი ერთობ სადა პიროვნება იყო. ის არც სვამდა და არც ეწეოდა; ცხოვრებაშიც უცენზურო სალანძღავი სიტყვებით, ალბათ, არავინ გაუთათხავს. მისი თავისუფალი დრო და დასვენებაც სტუდენტის დასვენებასავით წმინდა იყო: მუსიკა, თეატრი, წიგნი და გასეირნება. ლენინს ყოველთვის უბრალოდ, თითქმის ღარიბულად ეცვა.

ნუთუ ის პიროვნება, რომელიც გაცრეცილი პალსტუხით და ძველი პიჯაკით თეატრში დადიოდა, ქანდარაზე იჯდა, „აპასიონატას" უსმენდა და „ომსა და მშვიდობას" ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე, და დედის უსაყვარლესი შვილი, დების საყვარელი ძმა ვალოდია სწორედ იმ სახელმწიფოს ფუძემდებელი გახდა, რომელიც თავისი უმაღლესი ორდენით — ლენინის ორდენით ამკობდა იაგოდას, ეჟოვის, ბერიას, მერკულოვის და აბაკუმოვის მკერდს, ლიდია ტიმაშუკი ლენინის ორდენით ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების წლისთავზე დააჯილდოვეს. ნეტა ეს ლენინის საქმის დასასრულს ნიშნავდა თუ, პირიქით, მის გამარჯვებას?

ერთმანეთს მიჰყვებოდა ხუთწლედები და ათწლეულები. თანამედროვეობის ცხელი, აბოლებული დიადი მოვლენებიც გაქვავებული ცემენტივით, ყინულის ლოდებივით ითოშებოდნენ და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიად იქცეოდნენ

(ლენინის მსგავსნი არც ყოფილან
და არც არიან,
ხომ ისმენ მისი ბრძოლების
ამბავს!)
...დაასრულებენ შფოთიანი
საუკუნენი
დაუსრულებელ მის პორტრეტს,
ალბათ...[1]

ნეტა პოეტი თუ წვდებოდა ლენინზე დაწერილი ლექსის ტრაგიკულ აზრს? ბიოგრაფებისა და თანამედროვეების მოგონებებში აღწერილი ხასიათის ყველა ის თვისება, მილიონობით ადამიანის გულსა და გონებას რომ აჯადოებდა, ისტორიის მსვლელობისთვის შემთხვევითი აღმოჩნდა. რუსეთის სახელმწიფოს ისტორიამ ლენინის ხასიათის ადამიანური, კაცური თვისებები კი არ გამოარჩია, პირიქით, ზედმეტი, უსარგებლო ძველმანივით მოისროლა. სახელმწიფოს ისტორია არ დაინტერესებულა იმით, თუ როგორ უსმენდა თვალზე ხელაფარებული ლენინი „აპასიონატას" და როგორ უყვარდა „ომი და მშვიდობა", მას არც მოკრძალებული ლენინური დემოკრატიზმი ხიბლავდა; ისტორია ვერც იმას ამჩნევდა, რა გულითადობითა და ყურადღებით ექცეოდა ლენინი პატარა ხალხს: მდივნებსა და მძღოლებს, როგორ ესაუბრებოდა გლეხის ბავშვებს, რა კარგად ეპყრობოდა შინაურ ცხოველებს და როგორი გულის ტკივილით განიცდიდა, მარტოვი მეგობრიდან მტრად რომ გადაექცა.

ყველაფერი კი, რაც იატაკქვეშეთის განსაკუთრებული მდგომარეობით და

---

[1] თარგმნა ვაჟა ხორნაულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოეთის პირველი წლების გააფთრებული ბრძოლებით იშვა, რასაც დროებითად, შემთხვევითად მიიჩნევდნენ და ფრჩხილებს გარეთ გაჰქონდათ, მუდმივი და ტონის მიმცემი გახდა.

მოგონებებში რომ არ ახსენებენ, ლენინის ხასიათის სწორედ იმ თვისებამ განსაზღვრა მომაკვდავი პლეხანოვის სახლში ჩხრეკის ჩატარების მითითება; ჰოდა, სწორედ ის თვისებები განვითარდნენ. პოლიტიკური დემოკრატიისადმი სრულ შეუწყნარებლობას რომ ამკვიდრებდნენ.

გლეხობიდან გამოსული მექარხნე და ვაჭარი, სადაც უნდა იყოს, ცალკე სახლშიც რომ ცხოვრობდეს, საკუთარი იახტითაც რომ მოგზაურობდეს, მაინც ყოველთვის შეინარჩუნებს გლეხური ხასიათის თვისებებს. მას ყოველთვის ეყვარება მჟავე შჩი, ბურახი და უხეში, მოსწრებული ხალხური სიტყვა. ოქრომკედით ნაქარგ მუნდირში გამოწყობილ მარშალს გულის სიღრმეში წვეკოს სიყვარული ექნება და მუდამ ემახსოვრება ჯარისკაცური გამონათქვამების უბრალო იუმორი.

მაგრამ ყველაფერ ამას აქვს თუ არა რამე გავლენა ქარხნების ბედზე ან იმ მილიონობით ადამიანის ცხოვრებაზე, რომლებიც საქმიანობითა და ბედისწერით ქარხანასთან არიან დაკავშირებული, რა აქვს მას საერთო აქციისა და ჯარების ცვლასთან?

გენერლები შჩისა და წვეკოს სიყვარულით სახელსა და კაპიტალს ვერ იხვეჭდნენ.

ლენინის ერთი თანამედროვე ქალი იგონებს ერთ კვირა დღეს ლენინთან ერთად შვეიცარიაში გასეირნებას. ციცაბო ალმართით სულთქვაშეკრულები, მწვერვალზე რომ ავიდნენ და ქვებზე ჩამოსხდნენ, ქალს ეგონა, თითქოს ვლადიმერ ილიჩის მზერა მთის ალპური სილამაზის ყოველ შტრიხს ისრუტავდა. ახალგაზრდა ქალი აღელვებული ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ ავსებდა პოეზია ილიჩის სულს. ლენინმა კი უცბად ამოიოხრა და თქვა:

„ოჰ, როგორ გვიშლიან ჩუმჩუმად ხელს მუშაობაში ეს მენშევიკები“.

ამ კარგმა ეპიზოდმა ლენინის ხასიათს კიდევ ერთი შტრიხი შემატა. სასწორის ერთ მხარეს ღვთიური სამყარო, მეორეზე კი პარტიული საქმე.

ოქტომბერმა ლენინის ხასიათის ის თვისებები გამოარჩია, რომელიც მას სჭირდებოდა, ზედმეტი კი გადაყარა.

რუსული რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მანძილზე ბევრი რუსი რევოლუციონერ-ინტელიგენტისთვის დამახასიათებელი ხალხთმოყვარეობა, რომელთა სიმშვიდესა და ყოველგვარი სატანჯველისთვის მზადყოფნას, ალბათ, ძველი ქრისტიანობიდან მოყოლებული ბადალი არ მოეძებნებოდა, მრავალი რუსი რევოლუციონერ-გარდამქმნელისთვის ჩვეულ საპირისპირო თვისებებს შეერწყა. ეს თვისებები კი იყო სიძულვილი და ადამიანური ტანჯვისადმი გულგრილობა, აბსტრაქტული პრინციპულობა და მუდმივი მზადყოფნა იმისათვის, რომ მარტო მტრები კი არა, საკუთარი თანამოაზრეებიც მაშინვე უნდა გაანადგურო, როგორც კი გადაუხვევენ აბსტრაქტული პრინციპების ალქმა-გაგებას. სექტანტური მიზანსწრაფულობა და მზადყოფნა საიმისოდ, რომ მოგონილი თავისუფლებით დღევანდელი თავისუფლება დათრგუნო, რომ მომავლის პრინციპების გულისთვის დაარღვიო საყოველთაო მორალის პრინციპები — კარგად გამოიკვეთა პესტელის, ბაკუნინის, ნეჩაევის ხასიათში, ხალხოსნების ზოგიერთ გამონათქვამსა და საქციელში.

არა, მხოლოდ სიყვარული და სიბრალული არ აყენებდა ამ ხალხს რევოლუციის გზაზე. ამ ხასიათის სათავე შორს, რუსეთის ათასწლეულების წიაღშია.

მსგავსი ხასიათები წინა საუკუნეებშიც არსებობდა, მაგრამ მეოცე საუკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნემ ისინი კულისებიდან ცხოვრების მთავარ სცენაზე გამოიყვანა.

ასეთი ადამიანი კი სამყაროში ისევე იქცევა, როგორც ქირურგი კლინიკის პალატებში. ავადმყოფების, მათი მამების, ცოლებისა და დედებისადმი ქირურგის ინტერესი, მისი ხუმრობა, კამათი, უპატრონო ბავშვებზე და საპენსიო ასაკს მიღწეულ მშრომელებზე ზრუნვა, — ყველაფერი ეს უმნიშვნელო წვრილმანი, სისულელე და ამაოებაა. ქირურგის სული მის დანაშია.

ასეთი ადამიანების ცხოვრების არსს კი ქირურგიული დანის ფანატიკური რწმენა წარმოადგენს. ქირურგიული დანა — აი, მეოცე საუკუნის დიდი თეორეტიკოსი და ფილოსოფიური ლიდერი.

სიცოცხლის ორმოცდათოთხმეტი წლის მანძილზე ლენინი არც მხოლოდ „აპასიონატას“ უსმენდა და არც მარტო „ომსა და მშვიდობას“ კითხულობდა, არამედ გულითადად ესაუბრებოდა გლეხ-ხოდოკებს, მას არ ასვენებდა მდივანი ქალის ზამთრის პალტოზე ფიქრი, ლენინი რუსული ბუნების მშვენიერებით ტკბებოდა; დიახ, ხასიათის გარდა, არის სახეც.

ჰოდა, ადვილი წარმოსადგენია ლენინის ხასიათის უამრავი ის თვისება, რომელიც ყოველდღიურ ყოფაში ვლინდებოდა. ეს თვისებები კი უეჭველად ყველა ადამიანშია — სულ ერთია, ხალხის ბელადი იქნება თუ სტომატოლოგი ან სამკერვალოში ქალის პალტოს გამომჭრელი.

ადამიანის ეს თვისებები თავს დღის სხვადასხვა მონაკვეთში იჩენს: დილით, როცა პირს იბანს, ფაფას როცა მიირთმევს, ფანჯრიდან ლამაზ ქალს რომ უყურებს, რომელსაც ბოლო კაბა ქარმა აუფრიალა; კბილებს ასანთით რომ იჩიჩქნის, ცოლზე რომ ეჭვიანობს და მასაც აეჭვიანებს; აბანოში თავის შიშველ ფეხებს რომ ათვალიერებს, იდლიებს რომ იქექავს, ტუალეტში გაზეთის ნაგლეჯების აწყობას რომ ცდილობს და ისე კითხულობს, ცუდ ხმას რომ გამოსცემს და, შენიღბვის მიზნით, ჩაახველებს, ლიღინსაც იწყებს.

დიდი და პატარა ადამიანების ცხოვრებაში არსებული ამგვარი ან მსგავსი შემთხვევები, ალბათ, ლენინის ცხოვრებაშიც იქნებოდა.

შეიძლება ლენინს მუცელი იმიტომ წამოეზარდა, რომ ზომაზე მეტ კარაქიან მაკარონს მიირთმევდა, რასაც ბოსტნეულზე უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა.

იქნებ ლენინსა და ნადეჟდა კონსტანტინოვნას შორისაც არსებობდა სხვათათვის შეუმჩნეველი უმნიშვნელო უთანხმოებანი ფეხების დროულად დაბანის, კბილების გაწმენდის, საყელოგაქონილი ნახმარი პერანგის გამოცვლის გამო.

თუ თავს დააღწევ იმ ბარიერს, რომელიც თითქოს ადამიანურ, სინამდვილეში კი ბელადის სავსებით პირობით, ამაღლებულ ხატს ქმნის, — შეიძლება გადარბენით, ფორთხვითა და ფოფხვით მიაღწიო ლენინის იმ უბრალო და ნამდვილ ბუნებამდე, რომელსაც არც ერთი მისი თანამედროვე მოგონებებში არ ახსენებს.

მაგრამ, რას მოგვცემს ლენინის ნამდვილი, ყოველდღიური, ისტორიისთვის უცნობი და ფარული თვისებების ცოდნა, იმის ცოდნა თუ, რას აკეთებდა სასადილო ოთახში, საძინებელში, აბაზანაში? ნუთუ ამის ცოდნა დაგვეხმარება იმაში, რომ უკეთ გავუგოთ ახალი რუსეთის ლიდერს, ახალი მსოფლიო წესწყობილების ფუძემდებელს? განა ჭეშმარიტად უკავშირდებოდა ერთმანეთს ლენინის ხასიათი და მის მიერ დაარსებული სახელმწიფო? ამისათვის აუცილებლად უნდა დავუშვათ, რომ ლენინის — პოლიტიკური ლიდერის და ჩვეულებრივი ადამიანის თვისებები ერთმანეთის ეკვივალენტურია. მაგრამ, მსგავსი დაშვება აბსოლუტურად თვითნებურია, რის გაკეთებაც არ შეიძლება. მსგავსი კავშირი ხომ ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირი, ხან კი არაპირდაპირი ნიშნით არსებობს.

აი, ავიღოთ პირადი, კერძო ურთიერთობები: ერთობლივ გასეირნებებზე, მეგობრებთან ღამის თევის, მეგობრების დახმარების დროს ლენინი მუდამ დელიკატური, თბილი და თავაზიანი იყო. ხოლო პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ იგი შეუბრალებელი, უკმეხი და უხეში გახლდათ. ლენინი არასდროს უშვებდა იმას, რომ მეტოქე ნაწილობრივ შეიძლება მართალი ყოფილიყო და რომ, შეიძლება თვითონაც დაეშვა პატარა შეცდომა.

„გამყიდველი... ლაქია... დაქირავებული... აგენტი... იუდა... ოცდაათ ვერცხლად ნაყიდი..." — აი, იმ სიტყვების არასრული სია, რომლითაც ლენინი თავის ოპონენტებს მიმართავდა.

კამათის დროს ლენინი მოწინააღმდეგის დარწმუნებას არ ცდილობდა. უფრო მეტიც, ლენინი ოპონენტს საერთოდ არ მიმართავდა, კამათის მოწმეებს ელაპარაკებოდა. მის მიზანს კამათის შემსწრეების თვალწინ მეტოქის გამასხარავება და მისთვის სახელის გატეხა წარმოადგენდა. ასეთი მოწმე შეიძლება ყოფილიყო როგორც რამდენიმე ახლობელი, ისე ყრილობის დელეგატთა ათასკაციანი ჯგუფი და გაზეთის მილიონობით მკითხველი.

კამათის დროს ლენინი ჭეშმარიტებას კი არა, გამარჯვებას ეძებდა. მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, გამარჯვება უნდა მოეპოვებინა, ამისთვის კი მრავალი საშუალება არსებობდა. ჰოდა, ყველაფერი გამართლებული იყო: მოულოდნელი კვანტიც, სიმბოლური სილაც და თავში პირობითი, სიმბოლური, განსაცვიფრებელი მუშტის დარტყმაც.

მაგრამ ლენინის ყოველდღიური, ყოფითი, ოჯახური თვისებები სამყაროს ახალი წესწყობილების ლიდერს არაფრით უკავშირდება.

შემდეგ კი, როცა კამათმა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ქუჩებში, ჭვავის ყანებში და ბრძოლის ველზე გადაინაცვლა, ულმობელი საშუალებები აქაც გამართლებული აღმოჩნდა.

ლენინს ოქტომბრის შემდეგ არ გასჩენია მოუთმენლობის გრძნობა, მიზნისკენ ურყევი სწრაფვა, თავისუფლების სიძულვილი, სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი ულმობელი დამოკიდებულება და იმის უნარი, რომ წარბშეუხრელად აღეგავა პირისაგან მიწისა არა მარტო ციხესიმაგრეები, არამედ ის თემები, მაზრები, გუბერნიები, რომლებიც სადავოს ხდიდნენ მისეულ ორთოდოქსალურ სიმართლეს. ეს თვისებები ვალოდია ულიანოვს ყოველთვის გააჩნდა და მის გულსა და სულში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები.

მთელი მისი ნიჭი, ნება-სურვილი და გატაცება ერთადერთ მიზანს — ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ემორჩილებოდა.

ლენინი ამ მიზანს ყველაფერს სწირავდა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების სამსხვერპლოს მან ყველაზე წმინდა — რუსეთის თავისუფლება შესწირა. ანკი ათასწლოვანი მონობის ქვეყანაში დაბადებულ ამ რვათვიან ჩვილს გამოცდილება საიდან უნდა ჰქონოდა?

საქმე საქმეზე რომ მივიდოდა, ინტელიგენტის თვისებები, ლენინის სულის და ხასიათის ვითომ ჭეშმარიტ ნაწილს რომ წარმოადგენდა, უმალ გარე და უმნიშვნელო ფორმად გადაიქცეოდა ხოლმე. ჰოდა, მისი ხასიათიც უდრეკი, რკინისებური, გახელებული ნებით იჩენდა თავს.

რამ დააყენა ლენინი რევოლუციის გზაზე? ადამიანების სიყვარულმა? იქნებ გლეხობის გასაჭირის, მუშების სილატაკისა და უუფლებობის დაძლევის სურვილმა? მარქსიზმის ჭეშმარიტების რწმენამ თუ პარტიულმა სიმართლემ?

რუსული რევოლუცია ლენინისთვის რუსულ თავისუფლებას არ წარმოადგენდა, ის ძალაუფლება კი, რომლისკენაც ასე მგზნებარედ მიილტვოდა, პირადად მას არ სჭირდებოდა.

აი, სწორედ აქ ვამომჟღავნდა ლენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ერთი თავისებურება — ხასიათის სიმარტივიდან შობილი ხასიათის სირთული.

ძალაუფლება ასეთი ძალით რომ გწყუროდეს, დიდი პოლიტიკური პატივმოყვარეობა, მბრძანებლობის უდიდესი სიყვარული უნდა გაგაჩნდეს. ეს თვისებები უხეში და მარტივია. მაგრამ სწორედ ეს პოლიტიკური პატივმოყვარე, ძალაუფლებისკენ სწრაფვისას არაფერზე უკან რომ არ დაიხევდა, პირადად საოცრად თავმდაბალი გახლდათ. მას ძალაუფლება თავისთვის არ უნდოდა. აი, აქ კი სიმარტივე მთავრდება და სირთულე იწყება.

თუ დავუშვებთ, რომ ლენინი — ადამიანი და ლენინი — პოლიტიკოსი ერთმანეთის ეკვივალენტურია, მაშინ პრიმიტიულ, უხეშ, უტიფარ, მბრძანებლურ, ულმობელ, გააფთრებულად პატივმოყვარე და დოგმატურად მყვირალა ხასიათის პიროვნებას მივიღებთ.

საკმარისია ხასიათის ეს თვისებები ყოველდღიურ ცხოვრებას — მეუღლესთან, დედასთან, ბავშვებთან, მეგობართან, კარის მეზობელთან მის ურთიერთობას მივაწეროთ, რომ... შიშის ზარი აგიტანს.

ვითარება კი, სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. ადამიანი პირად ცხოვრებაში და ადამიანი — მსოფლიო არენაზე ერთმანეთისგან ისე საპირისპიროდ განსხვავდებოდა, როგორც პლიუსი და მინუსი, მინუსი და პლიუსი.

ამიტომ სულ სხვა, რთულ, ზოგჯერ ტრაგიკულ შედეგსაც ვიღებთ.

ძველ პიჯაკთან, ჰიქა წყალწყალა ჩაისთან და სტუდენტურ მანსარდასთან გაერთიანებულ გააფთრებული პოლიტიკური ძალაუფლების სიყვარულს.

სანდომიანი ღიმილი და მორიდებული დელიკატურობა გაურკვევლად ერწყმის მოპაექრესთვის უყოყმანოდ თავსლაფის დასხმისა და გაყრუების უნარს.

ჰოდა, ერთი მხრივ, ულმობელი სისასტიკე, რუსული რევოლუციის წმიდათაწმინდა სათაყვანებლის — თავისუფლების სიძულვილი და, მეორე მხრივ, ბრწყინვალე მუსიკითა და წიგნით ამავე ადამიანში გამოწვეული წმინდა ჭაბუკური აღფრთოვანება.

ლენინი... გაღმერთებული სახე; მეორეში — ლენინის მტრების მიერ შექმნილი მონოლითური მიამიტის სახეში, მსოფლიო წესწყობილების ლიდერის სასტიკი და პრიმიტიულად უხეში, ყოველდღიური თვისებებია გაერთიანებული — ლენინის მტრები მასში მხოლოდ ამ თვისებებს ხედავდნენ; სულ ბოლოს კი უნდა გამოიყოს ის თვისებები, რაც, ჩემი აზრით, სინამდვილეს უფრო შეეფერება — და რისი გარკვევაც არცთუ ისე ადვილია.

22

ლენინს რომ გაუგო, ლენინი — პოლიტიკოსის მარტო ადამიანური, ცხოვრებისეული თვისებების გადახედვა არ კმარა. ამისათვის ლენინის ხასიათი ჯერ რუსული ნაციონალური ხასიათის მით, შემდეგ კი რუსული ისტორიის ხასიათის ბედს უნდა შეუფარდო.

ლენინი თავისი ასკეტიზმითა და ბუნებრივი თავმდაბლობით რუს მწირებს ენათესავება. მისი გულწრფელობა და რწმენა მოძღვრის ხალხურ იდეალს შეეფერება. რუსული ბუნების — მისი ტყეებისა და მდელოების სიყვარულით ლენინი გლეხურ საწყისთან დგას ახლოს, ხოლო დასავლური სამყაროს, ჰეგელისა და მარქსის თეორიების ათვისების უნარი, დასავლური სულის შესწავლისა და გამოხატვის შესაძლებლობა, ჩაადაევის მიერ აღიარებული ღრმა რუსული თვისებების გამომჟღავნებას წარმოადგენს. ყველაფერი ეს კი, დოსტოევსკიმ პუშკინში რომ დაინახა. სწორედ ის მსოფლიო გულშემატკივრობა და სხვა ხალხების სულში რუსული გარდასახვის გასაოცარი სიღრმე. ამ თვისებით ლენინი პუშკინს ენათესავება. ეს თვისება ნაბოძები ჰქონდა პეტრე I-ს.

ლენინური სწრაფვა, დაჯერებულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა — თითქოს აბაკუმისებურ გახელებას, აბაკუმისებურ რწმენას ენათესავება. აბაკუმი — ბუნებრივი რუსული მოვლენაა.

გასულ საუკუნეში რუსი მოაზროვნეები რუსეთის ისტორიული გზის ახსნა-განმარტებას რუსული ნაციონალური ხასიათის, რუსული სულის, რუსული რელიგიურობის თავისებურებებში ეძებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთმა უჭკვიანესმა ადამიანმა ჩაადაევმა რუსული ქრისტიანობის ასკეტური თავგანწირული სულისკვეთება, მისი უცხოსგან აუმღვრეველი ბიზანტიური ბუნება აღნიშნა.

დოსტოევსკი თვლიდა, რომ რუსული სულის ჭეშმარიტი საფუძველი საერთო ადამიანურობა, საყოველთაო ადამიანურობის შერწყმისკენ სწრაფვაა.

მეოცე საუკუნის რუსეთს უყვარს იმის გამეორება, რაც მეცხრამეტე საუკუნის რუსმა მოაზროვნეებმა და წინასწარმეტყველებმა — გოგოლმა, ჩაადაევმა, ბელინსკიმ და დოსტოევსკიმ იწინასწარმეტყველეს.

ანდა თავის თავზე ვინ არ გაიმეორებდა მსგავს რამეს...

მეცხრამეტე საუკუნის წინასწარმეტყველები ამბობდნენ, რომ მომავალში რუსები არა მარტო ევროპელი ხალხების, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების სულიერი განვითარების სათავეში მოექცევიანო.

წინასწარმეტყველები რუსების სამხედრო დიდებაზე კი არა, რუსული გულის, რუსული რწმენის, რუსული მაგალითის სახელსა და დიდებაზე ლაპარაკობდნენ.

„ფრთამალი სამცხენა...“ „...ყოვლადადამიანურ გამაერთიანებელ რუსულ სულში ძმური სიყვარულით უნდა გაერთიანდეს ყველა ჩვენი ძმა, რაც ბოლოს და ბოლოს დიდი საერთო ჰარმონიის, ქრისტეს სახარებისეული რჯულით ყველა მოდგმის სავსებით ძმური შეთანხმების საბოლოო სიტყვას გვათქმევინებს!..“ „ოდესმე ჩვენ ბუნებრივად დავიკავებთ ჩვენს ადგილს იმ ხალხებს შორის, რომლებმაც კაცობრიობაში არა მარტო ტირანების, არამედ იდეების სახითაც უნდა იმოქმედონ“. „ნუთუ შენც ისე მიჰქრიხარ, რუსეთო, როგორც ფრთამალი სამცხენა, რომელსაც ვერ გაასწრებ? შენს ქვეშ გზა ბოლავს, ხიდები გრიალებენ...“

ჩაადაევმაც, აქვე გენიალურად განასხვავა რუსული ისტორიის გასაოცარი თვისება: „...ჩვენი გლეხობის თანდათანობით დამონების კოლოსალური ფაქტი არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ისტორიის მკაცრ, ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს“.

რუსების ათასწლოვან ისტორიას, მუდამ თან სდევდა პიროვნების ულმობელი დათრგუნვა. მისი მონური მორჩილება ხელმწიფისა და სახელმწიფოს მიმართ. დიახ, რუსეთის წინასწარმეტყველები ამ თვისებებსაც ხედავდნენ და აღიარებდნენ.

და აი, რუსეთის წინასწარმეტყველებს შეგნებული ჰქონდათ, რომ თავადით, მემამულით, მეფითა და სახელმწიფოთი ადამიანის დათრგუნვის გვერდით, დასავლეთის სამყაროსთვის არნახული, საოცარი სისუფთავე, სიღრმე, სინათლე, რუსი ადამიანის სულის ქრისტიანული ძალა არსებობდა. სწორედ რუსულ სულს უწინასწარმეტყველებდნენ დიდ და ნათელ მომავალს. წინასწარმეტყველები ერთ რამეზე შეთანხმდნენ, რომ რუსების სულში ქრისტიანობის იდეა განსახიერებას არასახელმწიფოებრივ, ასკეტურ, ბიზანტიურ ანტიდასავლურ ფორმაში ჰპოვებს, ხოლო რუსული ხალხური სულისთვის დამახასიათებელი ძალები თავის თავს ევროპის ხალხებზე ძლიერი ზემოქმედებით გამოხატავენ და ისინი დასავლეთის სამყაროს ცხოვრებას მეგობრობის სულით გაასუფთავებენ, გარდაქმნიან, გაანათებენ. დასავლეთი კი ნდობითა და სიყვარულით გაჰყვება რუსს. რუსეთის უძლიერესი მოაზროვნეების ყველა წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასწარმეტყველება ერთ საერთო საბედისწერო თვისებაში გაერთიანდა. ყველა ისინი ხედავდნენ რუსული სულის ძალას, მსოფლიოსთვის მის მნიშვნელობას აშკარავებდნენ, მაგრამ, ვერ ხვდებოდნენ, რომ რუსული სულის თავისებურება თავისუფლებით არ შობილა, რომ რუსული სული ათასწლიანი მონაა, რას მისცემს სამყაროს ათასწლიანი მონა, თუგინდ ის ყოვლისშემძლე იყოს?

პოდა, თითქოს მეცხრამეტე საუკუნემ ბოლოს და ბოლოს მოაახლოვა რუსეთის წინასწარმეტყველების მიერ დასახელებული დრო; დრო, როცა რუსეთი, რომელიც ასე ითვისებდა და იწოვდა სხვის სულიერ გავლენას, ეხლა მსოფლიოზე ზეგავლენისთვის თვითონ ემზადებოდა.

რუსეთი ასი წლის მანძილზე ისრუტავდა თავისუფლების შემოტანილ იდეას. რუსეთი ასი წელი გაუთავებლად ჩაჩინებდა პესტელის, რილეევის, გერცენის, ჩერნიშევსკის, ლავროვის, ბაკუნინისა და თავისი მწერლების პირით, ჟელიაბოვის, სოფიო პეროვსკაიას, ტიმოთე მიხაილოვის, ნ. ი. კიბალჩიჩის მოწამებრივი ბაგეებით, ლენინის, მარტოვის, ჩერნოვის, რაზნოჩინული ინტელიგენციის, სტუდენტობის, მოწინავე მშრომელების სიტყვებით — დასავლეთის თავისუფლებაზე ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების ნააზრევს. იგივე შეხედულება იყო გატარებული წიგნებში. იგივეს ფიქრობდნენ უნივერსიტეტების კათედრებზე, პაიდელბურგის და პარიზის სტუდენტები; ეს ფიქრი მოჰქონდათ ბონაპარტეს ჯარისკაცების ჩექმებს, ინჟინრებსა და განათლებულ ვაჭრებს, დასავლეთის ქვეყნების ღირსებას, რომელთა ადამიანური ღირსების შეგრძნებაც რუსი თავადების შურიან გაკვირვებას იწვევდა.

პოდა, აი, აღსრულდა თავისუფლების იდეითა და ადამიანური ღირსებით განაყოფიერებული რუსეთის რევოლუცია.

რას ქმნიდა დასავლური სამყაროს იდეებით რუსული სული? როგორ გარდაქმნა ეს იდეები თავის თავში? რომელ კრისტალს მიაკუთვნა? ისტორიის ქვეცნობიერებიდან როგორ ნაყოფს გამოიღებდა რუსული სული?

...საით მიჰქრიხარ რუსეთო?.. პასუხს არ იძლევა.

ახალგაზრდა რუსეთის წინ, ცარიზმის ბორკილები რომ გადაყარა, საქმროებივით ჩაიქროლეს ათობით, შესაძლოა, ასობით რევოლუციურმა მიმდინარეობამ, რწმენამ, პარტიის ლიდერებმა, წინასწარმეტყველებმა, პროგრამებმა... რუსული პროგრესის ბელადები ხარბად, ვნებითა და ვედრებით აკვირდებოდნენ საცოლეს სახეს.

ფართო წრედ დადგნენ — ზომიერები და ფანატიკოსები, მშრომელები და ხალხოსნები, მუშათა მოყვარულები და გლეხობის ქომაგნი, განათლებული მექარხნეები, სინათლისმოყვარული მედავითნეები და გაცოფებული ანარქისტები.

ისინი ხშირად უჩინარი და უგრძნობი ძაფებით უკავშირდებოდნენ დასავლეთის კონსტიტუციური მონარქიების, პარლამენტების, უგანათლებულესი კარდინალების და ეპისკოპოსების, მექარხნეების, განსწავლული მიწათმფლობელების, მშრომელთა პროფკავშირების, მქადაგებლების, უნივერსიტეტის პროფესორების იდეებს.

დიდებულმა მონამ თავისი მაძიებლური, დაეჭვებული, შემფასებლური მზერა ლენინზე შეაჩერა, ლენინი მისი რჩეული გახდა.

ლენინმა კი ძველი ზღაპარივით გამოიცნო მისი იდუმალი ფიქრი, ახსნა მისი გაოცებული სიზმარი და გულისთქმა.

მაგრამ განა ასეა ეს?

ლენინი მისი რჩეული იმიტომ გახდა, რომ ლენინმა ამოირჩია მონა და მან — ლენინი.

დიდებული მონა ლენინს გაჰყვა — მან კი ოქროს მთები და ღვინით სავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარეები აღუთქვა: მონასაც სჯეროდა და ცეცხლმოდებული მემამულური კარ-მიდამოებით განათებულ, მხიარულ, მათრობელა გზაზე თავიდან სიამოვნებით მიჰყვებოდა; შემდეგ წაიბორძიკებდა, უკან მოიხედავდა და მის წინ გადაშლილი გზის ხილვით თავზარი დაეცემოდა ხოლმე.

მაგრამ სულ უფრო ძლიერ და მაგრად გრძნობდა იმ რკინის ხელს, რომელსაც მონა მიჰყავდა.

ლენინიც მოციქულის ღრმა რწმენით მიდიოდა და მიჰყვებოდა რუსეთი, თვითონ კი ვერ ხვდებოდა, უცნაური ცდუნება რომ სჭირდა. მონის დამჯერი საქციელით, მეფის დამხობის შემდგომ ახალ მორჩილებაში, გამაგიჟებელ ხათრიანობაში იძირებოდა, იღუპებოდა და იცვლებოდა ყველაფერი, რაც ლენინმა რუსეთს თავისუფლებისმოყვარული, რევოლუციური დასავლეთიდან მოუტანა.

იგი თვლიდა, რომ მხოლოდ ურყევი დიქტატორული ძალაა იმის სიწმინდისა და დაცვის საწინდარი, რომელიც, მისი რწმენით, თავის ქვეყანას მოუტანა.

ლენინს ეს ძალა ახარებდა, ამ ძალას საკუთარი რწმენის სიმართლესთან აიგივებდა. და აი, უცებ, ერთი წამით შიშით შენიშნა, მისი უდიდესი უძლურება სწორედ რუსული მორჩილების და შთაგონებისკენ მიმართულ ურყეობაში იყო.

რაც უფრო სასტიკი იყო მისი ნაბიჯი, რაც უფრო მძიმე იყო მისი ხელი, რაც უფრო მეტად ემორჩილებოდა რუსეთი მის მოძღვრებას და რევოლუციურ ძალმომრეობას, მით უფრო ნაკლები ძალაუფლება რჩებოდა მას ჭეშმარიტად სატანურ ძალასთან — ბატონყმურ გადმონაშთებთან საბრძოლველად.

რუსულ სულში ათასწლიანი სპირტის ხსნარივით ძლიერდებოდა ბატონყმური, მონური საწყისი, საკუთარი ძალით ალებული თეზაფის მსგავსად. მან ადამიანის ყველა ღირსება გაადნო და რუსის სულიერი სამყარო გარდაქმნა.

რუსეთის ის გაშლილი სივრცეები, ზედაპირული აღქმისას სულიერი გაქანების, ვაჟკაცობის და ნებისყოფის შეგრძნებას რომ ბადებენ, ცხრაასი წლის მანძილზე მონობისკენ სწრაფვას წარმოადგენდა.

ცხრაასი წელი ილტვოდა რუსეთი უდაბური ახალშენებიდან, მხრჩოლავი შუაცეცხლიანი ქოხებიდან, ძელის პალატებიდან ურალის ქარხნების, დონეცკის ქვანახშირის, პეტერბურგის სასახლეების, ერმიტაჟის, ფრეგატებისა და ორთქლის ქვაბებისკენ.

ზედაპირულმა აღქმამ წარმოშვა მზარდი სწავლა-განათლების და დასავლეთთან დაახლოების ერთმნიშვნელოვანი შეგრძნება.

მაგრამ, ერთი შეხედვით, რაც უფრო მეტად ემსგავსებოდა ერთმანეთს გარეგნულად რუსული და დასავლური ცხოვრება, რაც უფრო მეტად გაგონებდათ დასავლეთის ცხოვრებას, რუსეთის ქარხნების გრუხუნი, ტარანტასებისა და მატარებლების ბორბლების რახრახი, ხომალდების იალქნების ტყლაშუნი, სასახლის ფანჯრების ბროლის შუქი, მით უფრო მეტად ღრმავდებოდა რუსული და ევროპული ცხოვრების არსის ფარული უფსკრული.

უფსკრული კი იმაში, ჩანდა, რომ დასავლეთი თავისუფლებით ვითარდებოდა, რუსეთი კი — მონობით.

კაცობრიობის ისტორია თავისუფლების ისტორიაა, ადამიანური ძლიერების ზრდა, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების ზრდით გამოიხატება. თავისუფლება, როგორც ენგელსი თვლიდა, არ არის შეგნებული აუცილებლობა. პირიქით, თავისუფლება აუცილებლობას უპირისპირდება. თავისუფლება აუცილებლობის გადალახვაა. პროგრესი თავის არსში ადამიანის თავისუფლების პროგრესს წარმოადგენს. თვით ცხოვრებაც ხომ თავისუფლებაა, სიცოცხლის ევოლუციაც ხომ თავისუფლების ევოლუციაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულმა განვითარებამ თავისი უცნაური არსი გამოამჟღავნა — ის მონობის განვითარებად იქცა. წლებთან ერთად, ბატონყმური ციხე-სიმაგრე სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდებოდა. ერთთავად ქრებოდა მიწაზე გლეხობის უფლებები. ამასობაში კი დღითი დღე ვითარდებოდა რუსული მეცნიერება, ტექნიკა, განათლება და რუსული მონობის ზრდას ერწყმოდა.

რუსული სახელმწიფოებრიობის დაბადება გლეხობის საბოლოო დამონებით აღინიშნა: გაუქმდა იურის დღე — გლეხის თავისუფლების ბოლო დღე — 26 ნოემბერი.

ერთთავად კლებულობდა „თავისუფალი“ და „მოხეტიალე“ ადამიანების რიცხვი, იზრდებოდა ყმების რაოდენობა და რუსეთიც ევროპული ისტორიის ფართო გზას დაადგა. გლეხი ჯერ მიწის მფლობელზე მიჯაჭვული აღმოჩნდა, შემდეგ კი იმ ჯარისკაცზე, რომელიც სახელმწიფოსა და ჯარს წარმოადგენდა; მეპატრონესაც ჰქონდა გლეხობის გასამართლების უფლება. მოგვიანებით მას იმის ნებაც დართეს, რომ გლეხი მოსკოვური წამებით (ასე ეძახდნენ ოთხი საუკუნის წინ) დაესაჯათ — ზურგზე ხელებშეკრულ გლეხს ჩამოჰკიდებდნენ და მათრახით სცემდნენ. იზრდებოდა რუსული მეტალურგია, ფართოვდებოდა საალაფოები. სახელმწიფო და ჯარი ლონიერდებოდა, ვრცელდებოდა წერა-კითხვაც. რუსული სამხედრო დიდების ცისკარიც ამობრწყინდა.

რუსული მეცნიერებისა და მრეწველობის პროგრესის ფუძემდებლის პეტრეს დაუზოგველი მოღვაწეობაც ბატონყმობის მძლავრ პროგრესს დაუკავშირდა. პეტრემ გლეხები მონებს — შინაყმებს გაუტოლა, „დროისმტარებლები“ ყმებად აქცია, მან „სახელმწიფო კომლები“ ჩრდილოეთში, ხოლო „ცალმოგვი აზნაურები“ კი სამხრეთში დაამკვიდრა. მემამულურ, ბატონყმურ უფლებასთან ერთად, პეტრეს დროს სახელმწიფო ბატონყმობაც აყვავდა. პეტრე I-ის პროგრესსა და განათლებას სწორედ ეს უწყობდა ხელს. პეტრეს ეგონა, რომ რუსეთს დასავლეთთან აახლოებდა, ეს ასეც იყო, მაგრამ თავისუფლებასა და მონობას შორის არსებული უფსკრული დღითი დღე იზრდებოდა.

ჰოდა, დადგა ეკატერინეს ბრწყინვალე საუკუნე, რუსული ხელოვნებისა და განათლების საუცხოო აყვავების XVIII საუკუნე, როცა ბატონყმობამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია.

აი, ასე, ათასწლიანი ბორკილით ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული რუსული პროგრესი და რუსული მონობა. სინათლისკენ ყველანაირი სწრაფვა ბატონყმობის შავბნელ ჯურღმულს აღრმავებდა.

მეცხრამეტე საუკუნე განსაკუთრებულია რუსეთის ისტორიაში.

ამ საუკუნეში შეირყა რუსული ცხოვრების ძირითადი პრინციპი: პროგრესის და ბატონყმობის კავშირი.

რუსეთის რევოლუციურმა მოაზროვნეებმა ვერ შეაფასეს მეცხრამეტე საუკუნეში გლეხთა გათავისუფლების მნიშვნელობა, როგორც მომდევნო საუკუნემ გვიჩვენა, ეს მოვლენა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაზე უფრო მეტად რევოლუციური აღმოჩნდა. სწორედ ამ მოვლენამ შეატორტმანა რუსეთის ათასწლიანი საფუძველი, რომელსაც არც პეტრე და არც ლენინი არ შეხებია — ამ საფუძველს რუსულ მონობაზე დამოკიდებული რუსეთის განვითარება წარმოადგენს.

გლეხობის გათავისუფლების შემდეგ რევოლუციური ლიდერები, ინტელიგენცია და სტუდენტობა რუსეთისთვის უცნობი ადამიანური ღირსების — უმონო პროგრესისთვის საშინელი ძალით, მგზნებარე თავგანწირვით იბრძოდნენ. ეს ახალი კანონი რუსეთის წარსულისთვის სრულიად უცხო რამ იყო. ჰოდა, არავინ იცოდა, რად იქცეოდა რუსეთი, მონობასთან თავისი განვითარების ათასწლიან კავშირზე თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყოდა უარს, როგორი გახდებოდა რუსული ხასიათი?

1917 წლის თებერვალში რუსეთის წინ თავისუფლების გზა გამოჩნდა. რუსეთმა ლენინი ამოირჩია.

ლენინმა დიდი ძალით იწყო რუსეთის ცხოვრების მსხვრევა. მან მოსპო მემამულური წყობილება, ლენინმა გაანადგურა მექარხნეები და ვაჭრები.

და მაინც, რაგინდ ახირებულად და უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, რუსული ისტორიის საუკუნემ, ლენინს წესად დაუდო იმ დაწყევლილი კავშირის შენარჩუნება, რომელიც რუსეთის განვითარებასა და მონობას შორის არსებობდა.

რევოლუციონერები მხოლოდ ისინი იქნებიან, ვინც ძველი რუსეთის საფუძველთა საფუძველზე — მის მონურ სულზე აღმართავენ ხელს.

სინამდვილეში კი ისე მოხდა, რომ რევოლუციურმა სწრაფვამ, მარქსიზმის ჭეშმარიტების ფანატიკურმა რწმენამ, ყველა სხვაგვარად მოაზროვნისადმი სრულმა შეუწყნარებლობამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ლენინი ზუსტად იმ რუსეთის კოლოსალურ განვითარებას უწყობდა ხელს, რომელსაც მთელი არსებით ვერ იტანდა მისი ფანატიკური სული.

მართლაც ტრაგედიაა — ადამიანი, რომელიც ასე გულწრფელად ტკბებოდა ტოლსტოის წიგნებითა და ბეთჰოვენის მუსიკით, გლეხობისა და მუშების ხელახალ დამონებას უწყობდა ხელს. ის სახელმწიფო საჯალაბოდან ლაქიებად აქცევდა კულტურის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: ალექსეი ტოლსტოი, ქიმიკოსი სემიონოვი და მუსიკოსი შოსტაკოვიჩი.

რუსული თავისუფლების მომხრეების მიერ წამოწყებული დავა, როგორც იქნა, გადაწყდა — რუსული მონობა ამჯერადაც უძლეველი აღმოჩნდა.

ლენინის გამარჯვება მისი დამარცხების მიზეზი გახდა.

მაგრამ ლენინის ტრაგედია მარტო რუსული ტრაგედია არ იყო, ის მსოფლიო ტრაგედიად იქცა.

ნეტა, ლენინი თუ ფიქრობდა იმაზე, რომ რევოლუციის გამარჯვების საათიდან რუსეთი კი არ გაჰყვებოდა სოციალისტურ ევროპას, არამედ მიმალული რუსული მონობა გასცდებოდა რუსეთის ფარგლებს და კაცობრიობის ახალი გზების გამნათებელ ჩირაღდანად აინთებოდა.

რუსეთი აღარც დასავლეთის თავისუფალ სულს იწოვდა. დასავლეთი მოხიბლული თვალებით შეჰყურებდა მონობის გზაზე მიმავალი რუსეთის განვითარებას.

მსოფლიომ ამ გზის მომხიბლავი სისადავე დაინახა. სამყარომ მონობაზე აგებული სახალხო სახელმწიფოს ძალა იგრძნო.

თითქოს აღსრულდა წინასწარმეტყველების მიერ ასი და ასორმოცდაათი წლის წინათ ნათქვამი.

მაგრამ, უცნაურად და საშინლად მოხდა ყველაფერი...

შიგაატომური ენერგიის აღმოჩენაზე უფრო მეტად, მსოფლიო სოციალიზმთან მონობის ლენინურმა სინთეზმა გააოცა.

ევროპის ნაციონალური რევოლუციის მოციქულებმა ცეცხლი აღმოსავლეთიდან დაინახეს. ჯერ იტალიელები, შემდეგ კი გერმანელები თავისებურად ქადაგებდნენ ნაციონალური სოციალიზმის იდეას.

ცეცხლი კი მატულობდა — ის აზიას და აფრიკას მოედო.

ერები და სახელმწიფოები ძალით, თავისუფლების საწინააღმდეგოდ ვითარდებოდნენ!

ეს ჯანმრთელი ადამიანების საზრდო კი არ იყო, უიღბლოების, ავადმყოფების, სუსტების, ჩამორჩენილებისა და დამარცხებულების ნარკოტიკულ წამალს წარმოადგენდა.

რუსეთის ათასწლიანი განვითარების კანონი ლენინის ნების, გატაცებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიის წყალობით. მსოფლიო კუთვნილება გახდა.

ასეთი იყო ისტორიის განგება.

სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი ლენინის შეუწყნარებლობა. შეტევა. ურყეობა. თავისუფლების სიძულვილი. ლენინური რწმენის ფანატიკურობა. მტრებისადმი ულმობლობა — ყველაფერი ის. რამაც ლენინურ საქმეს გამარჯვება მოუტანა — რუსული ბატონყმური ცხოვრების ათასწლიან სიღრმეში იშვა და გამოიჭედა. სწორედ ამიტომ ჩადგა ლენინური გამარჯვება მონობის სამსახურში. აქვე კი. გვერდით. შეუმჩნევლად ცოცხლობდნენ ლენინის საყვარელი. თავმდაბალი. რუსი მშრომელი ინტელიგენტის თვისებები. რომლითაც იგი მილიონობით ადამიანს ხიბლავდა.

რა. ნუთუ ძველებურად საიდუმლოებითაა მოცული რუსული სული? არა. საიდუმლო არ არის.

იყო კი მასში რაიმე საიდუმლო? რა საიდუმლო შეიძლება იყოს მონობაში?

რა არის ეს, განვითარების სწორედ რუსული და მხოლოდ რუსული კანონი? ნუთუ მარტო რუსულ სულს უწერია თავისუფლების ნაცვლად მონობის ზრდის ხარჯზე განვითარება? მართლაც: ჩანს თუ არა რუსული სულის ბედისწერის ხელი...

არა. რასაკვირველია, არა.

ეს კანონი სწორედ იმ ათობით. შესაძლოა. ასობით პარამეტრებმა განსაზღვრა. რომელშიც რუსეთის ისტორია იყო მოქცეული.

არა, აქ საქმე სულში არ არის. ვთქვათ, ამ პარამეტრებს. ტყეებსა და სტეპებს. ჭაობებსა და ვაკეებს. ევროპასა და აზიას შორის არსებული ძალის ამ მოედანს. რუსეთის ტრაგიკულ სივრცეს ათასი წლის წინ შეზრდოდნენ ფრანგები, გერმანელები. იტალიელები. ინგლისელები. — ისტორიის წესი მაინც რუსეთის მოძრაობის კანონისნაირი იქნებოდა. მხოლოდ რუსებს არ უნახავთ ეს გზა. დედამიწის ზურგზე მრავალი ერი მოიძებნება, რომლებმაც ხან შორიდან, ბუნდოვნად. ხანაც ახლოს. ცხადად. მთელი სიმძიმით იწვნიეს რუსული გზის სიმწარე.

უკვე დროა. რომ რუსეთით დაინტერესებულმა ყველა ადამიანმა ერთხელ და საბოლოოდ გაიგოს. რომ რუსული სულის მისტიკა მხოლოდ ათასწლიანმა მონობამ შექმნა.

ბიზანტიურ ასკეტურ სიწმინდეში. რუსული სულის ქრისტიანულ სიმშვიდეშია რუსული მონობის ურყეობის ძალაუნებური აღიარება. ამ ქრისტიანული სიწყნარის. ბიზანტიურ-ასკეტური სისპეტაკის და ლენინური ვნების, შეუწყნარებლობის. ფანატიკური რწმენის სათავეები ერთი და იგივეა — მათი თავიდათავი ათასწლიან ბატონყმურ მონობაშია.

ამიტომაც. ასე ტრაგიკულად შეცდნენ რუსეთის წინასწარმეტყველები. ან კი სად არის ის — „ყოვლადადამიანური და გამაერთიანებელი“ „რუსული სული“. რომელსაც დოსტოევსკიმ „დიდი საერთო ჰარმონიის, ქრისტეს სახარებისეული რჯულით ყველა მოდგმის სავსებით ძმური შეთანხმების საბოლოო სიტყვის გამოთქმა“ უწინასწარმეტყველა?

ღმერთო, ანდა, რაშია ეს ყოვლადადამიანური გამაერთიანებელი სული? ნეტა. რუსეთის წინასწარმეტყველებს თუ უფიქრიათ. რომ მომავალში რუსული სულის ყოვლად წმინდა გამარჯვებაზე თავიანთი წინასწარმეტყველების აღსრულებას, ისინი იმ გამაერთიანებელი ეკლიანი მავთულის ღრჭიალში დაინახავდნენ. ციმბირის ტაიგას და ოსვენციმს რომ ერტყა გარს?

ლენინი ბევრ რამეში ეწინააღმდეგება რუსეთის წინასწარმეტყველებს. ის უსასრულოდ შორს დგას მათი უწყინარობის იდეიდან. ბიზანტიური ქრისტიანული სიწმინდისა და სახარებისეული რჯულიდან. მაგრამ უცნაური და გასაოცარია. რომ ერთსა და იმავე დროს ის მათთან ერთადაც არის. ლენინი სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა, თავისი გზით მიდიოდა და მონობის ათასწლიანი უძირო ჭაობისგან რუსეთის დაცვას არ ცდილობდა. ლენინმა მათსავით სცნო რუსული მონობის ურყეობა. ისიც, მათსავით ჩვენი მონობით იშვა.

რუსული ხასიათის ბატონყმური სული ცოცხლობს მის რწმენაშიც და ურწმუნობაშიც, უწყინარ რუსულ კაცთმოყვარეობაში და რუსულ დარდიმანდობაში, ხულიგნობაში და ვაჟკაცობაში, რუსულ კრიჟანგობასა და მეშჩანობაში, რუსულ მონურ შრომისმოყვარეობასა და ასკეტურ სიწმინდეში, რუსულ თაღლითობაში და მტრის წინააღმდეგ გამოჩენილ სასტიკ შემართებაში, მებრძოლების რუსულ ხასიათში, ადამიანური ღირსების უქონლობაში, რუსი მეამბოხეების თავზეხელაღებულ ბუნტსა და სექტანტების გაშმაგებაში, ბატონყმური სულია ყველგან — ლენინის რევოლუციასა და ლენინის მიერ დასავლეთის რევოლუციური მოძღვრების მგზნებარე ათვისების უნარში, ლენინის სწრაფვასა და ძალმომრეობაში, ლენინური სახელმწიფოს გამარჯვებებში.

მსოფლიოში ყველგან, სადაც მონობა არსებობს, მსგავსი სულებიც იბადებიან.

რაღაშია, მაშინ რუსეთის იმედი, თუ მისი უდიდესი წინასწარმეტყველებიც კი თავისუფლებასა და მონობას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ?

რაღა იმედზეა ლაპარაკი, თუ რუსეთის გენიოსიც რუსული სულის მშვიდ და ნათელ სილამაზეს მის მონობაში ხედავს?

სადაა რუსეთის იმედი, თუ ლენინმა — მისმა უდიდესმა გარდამქმნელმა კი არ დაანგრია, პირიქით, განამტკიცა მონობის, ბატონყმობის და რუსეთის განვითარების კავშირი?

სად არის რუსული თავისუფალი ადამიანური სულის ხანა? ან როდის დადგება ის?

იქნებ არც არასდროს დადგეს.

23

ლენინი მოკვდა. მაგრამ არ მომკვდარა ლენინიზმი. პარტიას ლენინის მიერ მოპოვებული ხელისუფლება არ დაუკარგავს. ლენინის დაწყებული საქმე მისმა ამხანაგებმა, თანაშემწეებმა, თანამოღვაწეებმა და მოსწავლეებმა განაგრძეს:

ამბოქრებულ ქვეყნის სადავე
მათ გადაეცა ლენინის ხელით!
და ეს ქვეყანა უნდა შებოჭონ
რკინის ხლართებით, ვით სურდა
ლენინს!
შენ მათ ვერ ეტყვი: „ლენინი
მოკვდა“.
არაა მათში წუხილის განცდა
და აგრძელებენ ილიჩის საქმეს
თვითონ ილიჩზე ზუსტად და
მკაცრად![1]

ლენინის მიერ მოპოვებული პარტიის დიქტატურა, მის მიერ შექმნილი არმიები, მილიცია, კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საზოგადოება და მუშფაკები დარჩა. მისი სიკვდილის შემდეგ ნაშრომების ოცდარვა ტომი შემოგვრჩა. ლენინის თანამებრძოლებისგან ვინ შესძლებს უფრო ღრმად და სრულად მოუყაროს თავი ლენინიზმს, თავისი ხასიათით, გულითა და გონებით გამოხატოს მისი დედაარსი? ვინ ჩაიბარებს ლენინის დროშას? ვინ წაიღებს მას? ვინ ააშენებს დიად სახელმწიფოს, რომელსაც საფუძველი ლენინმა ჩაუყარა? ვინ წაუძღვება გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ ახალი ტიპის პარტიას? ვინ განამტკიცებს მიწის ახალ წესს?

ბრწყინვალე, დაუცხრომელი და დიდებული ტროცკი? იქნებ თეორეტიკოსის და განზოგადებათა გულშიჩამწვდომი ნიჭით დაჯილდოებული, მომხიბლავი ბუხარინი? ხალხის, გლეხობისა და მუშების ინტერესებთან ყველაზე უფ-

[1] თარგმნა ვაჟა ხორნაულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო დაახლოებული სახელმწიფო საქმის პრაქტიკოსი, მშვიდი, დიდთვალება რიკოვი თუ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მცოდნე, საერთაშორისო კლასის პოლემისტი — დუელანტი ზინოვიევი?

თითოეული მათგანის ხასიათი, სულისკვეთება ახლოს იდგა და ეხმიანებოდა ლენინის ხასიათის ამა თუ იმ თვისებას, მაგრამ ლენინის ხასიათის თვისებები მთავარი და ძირითადი არ აღმოჩნდა. ის წარმოშობილი ყამირის ფესვების დედაარსს არ განსაზღვრავდა.

საუბედუროდ, მოხდა ისე, რომ ლენინის ხასიათის ყველა თვისება, რომელიც თითქმის გენიალური ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის, ზინოვიევის, კამენევის ხასიათებში გამოიხატა, მეამბოხური აღმოჩნდა და ყველა ჩამოთვლილი ლიდერი ჯალათობამდე, დაღუპვამდე მიიყვანა.

ლენინის ხასიათის არსი მარტო ამ თვისებებითა და საზღვრებით არ იფარგლებოდა. მათში ლენინური სისუსტე, ამბოხება, ლენინის ახირებულობა და ილუზიები აღმოჩნდა; ყამირის დედაარსი ამაში არ იყო.

ლუნაჩარსკის ხასიათი რაღაცით ლენინისას ემსგავსებოდა — „აპასიონატას“ — მოსმენა, „ომი და მშვიდობით“ ტკბობა. მაგრამ არც საბრალო ლუნაჩარსკის დაეკისრა მკაცრად და პირქუშად ეკეთებინა ლენინური პარტიის მთავარი საქმე. ისტორიის ბედმა ლენინის იდუმალი არსის გამოხატვის უფლება არც ტროცკის, ბუხარინს, რიკოვს, კამენევსა და ზინოვიევს მიაკუთვნა.

ოპოზიციის ლიდერებისადმი სტალინის სიძულვილი, ლენინის ხასიათის იმ თვისებების სიძულვილს წარმოადგენდა ლენინურ არსს რომ ეწინააღმდეგებოდა.

სტალინი ლენინის უახლოეს მეგობრებსა და თანამებრძოლებს სიკვდილით იმიტომ სჯიდა, რომ ყოველი მათგანი თავისებურად ხელს უშლიდა იმ მთავარი მიზნის განხორციელებას, რაც ლენინის ფარულ ბუნებაში არსებობდა.

მათთან ბრძოლით და მათი სიკვდილით დასჯით ის თითქოს ლენინს ებრძოდა. ლენინსაც სიკვდილით სჯიდა. მაგრამ ამავე დროს ძლევამოსილი გამარჯვებით სწორედ სტალინმა განამტკიცა ლენინი და ლენინიზმი; რუსეთის თავზე აღმართა და დაამაგრა ლენინური დროშა.

## 24

სტალინის სახელი სამარადისოდ ჩაიწერა რუსეთის ისტორიაში.

რევოლუციის შემდგომი რუსეთი უყურებდა სტალინს და საკუთარ თავს შეიცნობდა.

ლენინის თხზულებების — სიტყვების, მოხსენებების, პროგრამების, ეკონომიკური და ფილოსოფიური გამოკვლევების 28 ტომი რუსეთს თვითშემეცნებასა და თავისი ბედის გამორკვევაში ვერ დაეხმარა. ქაოსი, რომელმაც ბაბილონის არეულ-დარეულობას გადააჭარბა, დასავლეთის რევოლუციისა და ცხოვრების რუსული განვითარების წყობის აღრევით იყო გამოწვეული.

მარტო მატროსები და ბუდიონის ცხენოსნები, რუსი გლეხები და მუშები კი არა, თვით ლენინიც უძლური აღმოჩნდა ჭეშმარიტებაში გარკვეულიყო. რევოლუციური ქარიშხლის გუგუნში ერთმანეთში აირია დიალექტიკური მატერიალიზმის კანონები, „კაპიტალის“ ლოგიკა და გარმონის კვნესა, „იაბლოჩკა“, „ციპლიონოკ ჟარენი“, არყის სახდელი აპარატების გუგუნი, მატროსებისა და ფაბრიკის მშრომელებისადმი მიმართული ლექტორებისა და აგიტატორების მოწოდებები, — არ აჰყოლოდნენ კაუცკის, კუნოვის, ჰილფერდინგის მხამიან ერესს.

რუსეთში დანთებულმა ცეცხლმა, გაჩაღებულმა ბუნტმა და თარეშმა რუსეთის ქვების ფსკერიდან ზევით ამოყარა ხალხის ასწლიანი ბატონყმური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯვის შედეგად დალექილი წყენისა და ბოღმის ტვირთი.

რევოლუციის რომანტიკიდან და პროლეტკულტის უგუნურობიდან, არყის მხდელი ნორჩი რესპუბლიკებიდან და ლოთიფოთობიდან, ტეტიური ბუნტიდან და „ალმასზე“ მატროსთა გაშმაგებიდან — რუსეთის ახალი, ძლიერი და საოცარი პოლიცმაისტერი იბადებოდა.

აღმოჩნდა, რომ ხალხის მგზნებარე სურვილი — სახნავი მიწის ბატონ-პატრონი გამხდარიყო, რომელსაც მხარს უჭერდა და მეთაურობდა ლენინი, მისივე დაარსებული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამ სახელმწიფოს ვერ უთავსდებოდა. ამიტომ ხალხის მიწის მესაკუთრეობის სურვილს ურყევად ბოლო მოეღო.

1930 წელს ლენინის დაარსებული სახელმწიფო საბჭოთა კავშირის მიწების, ტყეების, წყლების ერთადერთი მეპატრონე გახდა. მან გლეხობას მთლიანად ჩამოართვა სახნავი მიწის მფლობელობის უფლება.

არეულობა, წინააღმდეგობა და ბურუსი სუფევდა არა მარტო საკვანძო სადგურებში, ნავმისადგომებსა და ეშელონების სახურავებზე, არამედ სოფლის იმედსა და პოეტების ანთებულ სახეებში. დომხალი და ნისლი ბატონობდა რევოლუციურ თეორიასა და პარტიის პირველი თეორეტიკოსის კრისტალურად ნათელი და ახალი მსჯელობების პრაქტიკასთან გასაოცარ წინააღმდეგობაში.

ლენინის მთავარი ლოზუნგი იყო: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, მაგრამ ისტორიის მსვლელობამ დაადასტურა, რომ ლენინის მიერ შექმნილ საბჭოებს არც მაშინ და არც ახლა არავითარი ძალაუფლება არა აქვთ. ისინი წმინდა ფორმალურ ან სამსახურებრივაღმასრულებელ ინსტანციას წარმოადგენენ.

ახალგაზრდა ლენინის მთელი თეორიული პათოსი ნაროდნიკობასთან, ესერებთან ბრძოლისკენ იყო მიმართული. ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთი ვერ ასცდებოდა კაპიტალისტური განვითარების გზას. 1917 წლიდან კი ლენინი მთელი პათოსით ქადაგებდა, რომ დემოკრატიული თავისუფლებით შეიარაღებულ რუსეთს, კაპიტალიზმის გვერდის ავლით, შეუძლია და უნდა დაადგეს კიდეც პროლეტარული რევოლუციის გზას.

ლენინი ვერც კი დაუშვებდა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებით, კომინტერნის მეორე კონგრესზე მსოფლიო რევოლუციის ლოზუნგის — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ წამოყენებით ის ისტორიისთვის არნახული ნაციონალური სუვერენიტეტის პრინციპის ზრდისთვის ამზადებდა ნიადაგს.

სწორედ სახელმწიფო ნაციონალიზმის ძალა, თავისუფლება და ადამიანური ღირსებააყრილი ხალხის მასების ეს გაცოფებული ნაციონალიზმი იქცა ახალი წყობილების მთავარ ბერკეტად, თერმობირთვულ საბრძოლო მუხტად; ზუსტად მათ განსაზღვრეს მეოცე საუკუნის ბედი.

სტალინი ოქტომბრისა და ლენინის შემდგომი რუსეთის ჭკუა-გონებას მართავდა. მან ზოგს წარმატება უბოძა, ზოგს ყური აუწია, მერე აახია კიდეც და თავიც ზედ მიაყოლა.

ბოლშევიკების პარტია ნაციონალისტური სახელმწიფოს პარტიად უნდა ქცეულიყო. პარტიისა და სახელმწიფოს შერწყმამ თავისი ასახვა სტალინის პიროვნებაში ჰპოვა. სახელმწიფომ თავისი ხასიათი, ნებისყოფა და გონება სტალინში, მის ხასიათსა, გონებასა და ნებელობაში გამოხატა.

ჩანს, ლენინის საფუძველჩაყრილ სახელმწიფოს სტალინი თავის „ხატებისაებრ“ და „მსგავსებისაებრ“ ქმნიდა. მაგრამ საქმე, რასაკვირველია, ამაში არ იყო — სტალინის ხატი სახელმწიფოს ჰგავდა, ამიტომაც გახდა მისი ბატონპატრონი.

ზოგჯერ, განსაკუთრებით კი სიცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლის ბოლოს, სტალინი სახელმწიფოს თავის მსახურად თვლიდა.

სტალინში, მის ხასიათში, რომელიც აზიელი და ევროპელი მარქსისტის სინთეზს წარმოადგენდა, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ხასიათი გამოვლინდა. სწორედ სახელმწიფოებრიობის! ლენინის პიროვნება რუსულ ნაციონალურ ისტორიულ საწყისს განასახიერებდა, სტალინში კი რუსული საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ისხამდა ხორცს. აზიით შობილი და ევროპულს ადევნებული რუსული სახელმწიფოებრიობა ისტორიული კი არა ზეისტორიულია.

მისი პრინციპი უნივერსალური და ურყევია, ამიტომ რუსეთის ათასწლიანი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს ყველა წყობას ერგება. ლენინისგან მემკვიდრეობით მიღებული დიქტატურის, ტერორის რევოლუციური კატეგორიები, ბურჟუაზიულ თავისუფლებებთან ბრძოლა, ის, რაც, ლენინის აზრით დროებით კატეგორიებს წარმოადგენდნენ, სტალინის შემწეობით ბირთვად, უშუალო დასაყრდენად, დედაარსად იქცა და ტრადიციულ ნაციონალურ, ათასწლიან რუსულ მონობას შეერწყა. სტალინის მეშვეობით სახელმწიფოს შინაარსი სწორედ ეს კატეგორიები გახდა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული გადმონაშთები ვიზუალურში, თეატრალურ დეკორაციაში გადაისროლეს.

სტალინში გაერთიანებული იყო ბატონყმური რუსეთის ხალხისადმი შეუბრალებლობის ყველა ნიშანი.

სტალინის წარმოუდგენელ ულმობლობასა და დაუჯერებელ ვერაგობაში, ფარისევლობასა და მოჩვენებითობის უნარში, გულღრძობასა და შურისმაძიებლობაში, მის სიუხეშესა და იუმორში გამოვლინდა დიდებული აზიელი.

რევოლუციური მოძღვრებებისა და პროგრესული დასავლეთის ტერმინოლოგიის გამოყენებაში [illegible] დემოკ[illegible] რელი ლიტერატურისა და თეატრის ცოდნაში, გოგოლის და შჩედრინის ციტატებსა და კონსპირაციისა და უფაქიზესი მეთოდების მოხმარების უნარში, მის ამორალურობაში გამომჟღავნდა ნეჩაევის ტიპის რევოლუციონერი, ვისთვისაც მომავალი მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამართლებულია. თუმცა, ნეჩაევიც კი უეჭველად შეძრწუნდებოდა იოსებ სტალინის მიერ ვეებერთელა მასშტაბებამდე აყვანილი ნეჩაევშჩინას დანახვით.

ჟანდარმისა და პოლიციელის სული ჩანს მის ჩინოვნიკურ ქაღალდებსა და ცხოვრების მთავარ ძალად პოლიციური ძალის აღიარებაში, მუნდირებისა და ორდენებისკენ ფარულ სწრაფვაში, ადამიანური ღირსების უმაგალითო სიძულვილში, მის ჩინოვნიკურ წესსა და ბიუროკრატიის გაღმერთებაში, იმაში, რომ მზად იყო კანონის წმინდა სახელით მოეკლა ადამიანი და იმავე წუთს საზარელი თვითნებობის გამო, თვით კანონი არაფრად ჩაეგდო.

ჰოდა, სტალინის ხასიათი ზუსტად სამი სტალინის შერწყმაში იყო.

სწორედ ამ სამმა სტალინმა შექმნა სტალინური სახელმწიფოებრიობა; ის სახელმწიფოებრიობა, რომლისთვისაც კანონი მხოლოდ თვითნებობის იარაღს წარმოადგენდა, თვითნებობა კი — კანონს. სახელმწიფო, რომელიც ათასწლიანი ფესვებით ჩაზრდია ბატონყმურ წარსულს, რომელმაც გლეხები მონებად, თათრული უღლის მონებად აქცია. ხოლო ყმებად კი ისინი გაიხადა, ვინც გლეხებს პატრონობდნენ; მან ის სახელმწიფო შექმნა, რომელიც ერთდროულად დაუნდობელ, შურისმაძიებელ, თვალთმაქც და ულმობელ აზიასა და განათლებულ, დემოკრატიულ, ვაჭრულ და გამყიდველ ევროპას ესაზღვრებოდა.

ოქტომბრის შემდგომ ქაოსში სინათლე შევროს ჩექმებიანმა აზიელმა შეიტანა, რომელიც სისხლის აღების კანონებით ცხოვრობდა, ციტატები შჩედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინიდან მოჰყავდა და ერთდროულად რევოლუციის ლექსიკონსაც იშველიებდა. მან თავისი ხასიათი სახელმწიფოს ხასიათში განახორციელა და გამოხატა. სტალინის აშენებული სახელმწიფოს მთავარი პრინციპი — ესაა სახელმწიფო თავისუფლების გარეშე.

ამ სახელმწიფოში არა მარტო მცირე ერებს, არამედ რუს ერსაც კი არა აქვს ნაციონალური თავისუფლება. იქ, სადაც ადამიანური თავისუფლება არ არსებობს, ნაციონალური თავისუფლება არ შეიძლება იყოს, რამეთუ, ნაციონალური თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის თავისუფლებაა.

ამ სახელმწიფოში არ არის საზოგადოება, რადგან საზოგადოება ადამიანთა თავისუფალ ურთიერთობასა და ანტაგონიზმს ემყარება სახელმწიფოში კი, სადაც თავისუფლება არ არსებობს, წარმოუდგენელია იყოს თავისუფალი ნდობა და ანტაგონიზმი.

ადამიანთა მონობის ხარჯზე აღმოცენებულმა რუსული განათლების, მეცნიერებისა და მრეწველობის ათასწლიანი განვითარების პრინციპმა ბოიარული რუსეთით, ივანე მრისხანეთი, პეტრეთი და ეკატერინეთი რომ იყო გამოზრდილი, სტალინის ეპოქაში სრულ ზენიტს მიაღწია.

ნამდვილად საოცარია, სტალინმა ასე ძირფესვიანად დაამსხვრია თავისუფლება, მაგრამ მაინც საშინლად ეშინოდა მისი.

შესაძლოა, სწორედ თავისუფლების შიშმა აიძულა სტალინი ჭეშმარიტად არნახული ფარისევლობა გამოეჩინა.

სტალინის ფარისევლობამ ნათლად გამოხატა მისივე სახელმწიფოს ფარისევლობა. ეს ფარისევლობა, ძირითადად, თავისუფლების თამაშში გამოვლინდა. სახელმწიფო დამსხვრეულ თავისუფლებას არ ლანძღავდა! თავისუფლებისა და დემოკრატიის უმთავრესი და უძვირფასესი შინაარსი ჩაკლეს და ფიტულად, უაზრო სიტყვების რახარუხად აქციეს. ის ველურები კი, ხელში უფაქიზესი სექსტანტები და ქრონომეტრები რომ ჩაუვარდათ, მათ სამკაულივით ხმარობდნენ.

განადგურებული თავისუფლება სახელმწიფოს მორთულობად — არცთუ უსარგებლო მორთულობად იქცა. მკვდარი თავისუფლება გიგანტური ინსცენირების, არნახული მასშტაბის თეატრალური წარმოდგენის მთავარი მსახიობი გახდა. მონურმა სახელმწიფომ პარლამენტის, არჩევნების, პროფკავშირების, საზოგადოების და საზოგადოებრივი ცხოვრების მაკეტი შექმნა. მონურ სახელმწიფოში საკითხებს კოლმეურნეობების, მწერალთა და მხატვართა კავშირის გამგეობების, რაიაღმასკომებისა და საოლქო აღმასკომების პრეზიდიუმების, რაიკომების, საოლქო და ნაციონალური კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ბიუროებისა და პლენუმების მაკეტები განიხილავდნენ. მათ ის დადგენილებები გამოჰქონდათ, რომელიც ადრე სულ სხვა ინსტანციაში იყო მიღებული. პარტიის ცენტრალური კომიტეტიც კი თეატრი იყო.

ეს თეატრი სტალინის ხასიათში იყო. იგივე თეატრი იყო მონური სახელმწიფოს ხასიათში. სახელმწიფოს სტალინი სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ იგი თავისი სულისკვეთებით სახელმწიფოს სულისკვეთებას განახორციელებდა.

მაშ, რა არ იყო თეატრი, რა იყო სინამდვილე? კი მაგრამ, სინამდვილეში გადაწყვეტილებებს ვინ იღებდა, ვინ არ თამაშობდა?

რეალურ ძალას სტალინი წარმოადგენდა. გადაწყვეტილებები მას გამოჰქონდა. მაგრამ, რასაკვირველია, სახელმწიფოს ყველა საკითხს ის ვერ გადაჭრიდა — ასე, მაგალითად, გაეშვათ თუ არა შვებულებაში მასწავლებელი სემიონოვა ან კიდევ რა დაეთესათ კოლმეურნეობა „ზარიაში" — ბარდა თუ კომბოსტო?

მართალია, მონური სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვდა, რომ გამონაკლისის გარეშე მხოლოდ სტალინს უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეწყვიტა ყველა საკითხი. მაგრამ, ფიზიკურად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ მეორეხარისხოვან საკითხებს სტალინის ნდობით აღჭურვილი პირები წყვეტდნენ. ისინი ყველაფერს ერთნაირად: სტალინის სულისკვეთებით აკეთებდნენ, სწორედ ამიტომაც იყვნენ სტალინის ნდობით აღჭურვილი პირები ან კიდევ ამ პირების რწმუნებულები. მათ გადაწყვეტილებებში ერთი რამ იყო საერთო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა საკითხი უნდა გადაეჭრათ — ვოლგის ქვემო დინებაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა თუ მწველავ ანიუტა ფეოკტისტოვას ორთვიან კურსებზე გაგზავნა, — განურჩევლად ყველა გადაწყვეტილებას სტალინის სულისკვეთების შესაფერისად იღებდნენ. საქმე იმაში იყო, რომ სტალინისა და სახელმწიფოს სულიერი განწყობილება ერთი მთლიანი გახლდათ.

სახელმწიფოს — სტალინის ნდობით აღჭურვილ პირებს — ყველა სხდომასა და კრებებზე, მიტინგებსა და ყრილობებზე — მაშინვე გამოარჩევდით. მათ არავინ არასდროს ეკამათებოდა, ისინი, ხომ სახელმწიფოს — სტალინის სახელით ლაპარაკობდნენ.

თავისუფლების ძალაზე მეტყველებდა ის, რომ მონური სახელმწიფო ყოველთვის თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით მოქმედებდა, თავისუფლების ხსენების გარეშე ნაბიჯსაც კი არ დგამდა. თუმცა სტალინს არავისი ეშინოდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე თავისუფლების შიში ჰკლავდა. მან თავისუფლება მოკლა და უკვე მკვდარ თავისუფლებას ელაქუცებოდა.

მცდარია ის მოსაზრება, თითქოს კოლექტივიზაციისა და ეჟოვშჩინის დრო იმ უკონტროლო და უსაზღვრო ძალაუფლების უაზრო გამოხატულებაა, ულმობელ ადამიანს რომ ეპყრა ხელთ.

სინამდვილეში კი ოცდაათ და ოცდაჩვიდმეტ წელს დაღვრილი სისხლი სწორედ სახელმწიფოს სჭირდებოდა, როგორც სტალინი ამბობდა ხოლმე. ამ დაღვრილ სისხლს ფუჭად არ ჩაუვლია. მის გარეშე სახელმწიფო ვერ გადარჩებოდა. ეს სისხლი ხომ მონობამ დაღვარა, თავისუფლება რომ დაემარცხებინა. ეს ძველი ამბავია და სათავეს ლენინის მოღვაწეობაში იღებს.

თავისუფლება მარტო პოლიტიკისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში არ დაუძლევიათ. ის სოფლის მეურნეობაში — თავისუფალი თესვისა და მოსავლის აღების უფლებაშიც გადალახეს; თავისუფლებას აჯობეს პოეზიასა და ფილოსოფიაში, მეწაღეობასა და კითხვის წრეებში, საცხოვრებელი ადგილის შეცვლასა და მშრომელთა გარჯაში, რომელთა გამომუშავების ნორმები, უსაფრთხოების ტექნიკის პირობები, ხელფასი მთლიანად სახელმწიფოს ნებასურვილით განისაზღვრებოდა.

მონობა განურჩევლად ბატონობდა წყნარი ოკეანიდან შავ ზღვამდე. მონობა იყო ყველგან და ყველაფერში, თავისუფლებაც ამიტომ იყო ჩაკლული ყველგან და ყველაფერში.

ეს ძლევამოსილი შეტევა იყო, რომლის დაგვირგვინებაც მხოლოდ ბლომად დაღვრილი სისხლით იქნებოდა შესაძლებელი: რამეთუ თავისუფლება სიცოცხლეა და თავისუფლების დაძლევით სტალინი სიცოცხლეს კლავდა.

სტალინის ხასიათი გიგანტურ ხუთწლედებში გამოვლინდა. მეოცე საუკუნის ეს მგრგვინავი პირამიდები იმ აზიურ სიძველეთა ბრწყინვალე ძეგლებსა და სასახლეებს შეესაბამებოდნენ, რომლებიც სტალინის სულს ატყვევებდნენ. გიგანტური მშენებლობები ხალხს ისევე არ სჭირდებოდა, როგორც ღმერთს უზარმაზარი ტაძრები და მეჩეთები.

სტალინის ხასიათი გამოკვეთილად მის მიერ შექმნილი უშიშროების ორგანოების საქმიანობაში გამოიხატა.

მწამებლური დაკითხვები, ოპრიჩნინას გამანადგურებელი საქმიანობა, რომელიც მოწოდებული იყო მოესპო არა მარტო ადამიანები, არამედ წოდებებიც კი, ძებნის მეთოდები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მალიუტა სკურატოვადან გრაფ ბენკენდორფამდე ვითარდებოდა — ყველაფერმა ამან თავისი ეკვივალენტი სტალინის სულში — სტალინის მიერ შექმნილი დამსჯელი აპარატის საქმიანობაში ჰპოვა.

მაგრამ, ალბათ, განსაკუთრებით ავბედითი სწორედ ის ეკვივალენტები იყო, სტალინის ბუნების მთლიანობაში რუსულ რევოლუციურ საწყისს იგივე რუსულ ძლიერ და თავშეუკავებელ საიდუმლო პოლიციასთან რომ აერთიანებდნენ.

სტალინის ბუნებაში რევოლუციისა და პოლიტიკური ძებნის შერწყმა თავის ასახვას სტალინის მიერ შექმნილი უშიშროების ორგანოების საქმიანობაში ჰპოვებდა. რუსულ სახელმწიფოში მასაც ჰქონდა თავისი პირველსახე.

დეგაევის — ნაროდოვოლეცის, ინტელიგენტის, შემდეგ კი ოხრანკის აგენტის შერწყმა სამძებრო პოლიციის უფროსთან, პოლკოვნიკ სუდეიკინთან — მაშინ მოხდა, როდესაც იოსებ ჯუღაშვილი პაწაწა ბავშვი იყო — აი, სწორედ ეს კავშირი გახდა ამ ავბედითი ალიანსის პირველსახე.

ჭკვიანი და სკეპტიკოსი, რევოლუციური რუსეთის მცოდნე და შემფასებელი სუდეიკინი, დამცინავად ჰვრეტდა მეფისა და მისი მინისტრების უბადრუკობას, ვისაც თავად ემსახურებოდა. მან ნაროდოვოლეცი დეგაევი თავისი პოლიციური მიზნებისთვის გამოიყენა. ნაროდოვოლეცი დეგაევი ერთდროულად რევოლუციასაც ემსახურებოდა და პოლიციასაც.

სუდეიკინის გეგმებს ახდენა არ ეწერა. მას რევოლუციის დახმარებით, მისი ხებაზე მიშვებით, შემდეგ კი ყალბი, ცრუ საქმეების შექმნით უნდოდა შეეშინებინა მეფე, ხელში ჩაეგდო ხელისუფლება და დიქტატორი გამხდარიყო. მას სურდა სახელმწიფოს მეთაური ყოფილიყო და ძირფესვიანად გაენადგურებინა რევოლუცია. მაგრამ, მისი თავხედური ოცნებები ვერ ახდა — სუდეიკინმა დეგაევი მოკლა.

სტალინმა კი გაიმარჯვა. მის გამარჯვებაში სადღაც, ყველასგან და საკუთარი თავისგანაც მალულად სუდეიკინისეული იმ ოცნების გამარჯვება ცოცხლობდა, რომლის თანახმადაც ურემს ერთდროულად ორი ცხენი უნდა შებმოდა: რევოლუცია და საიდუმლო პოლიცია.

რევოლუციით შობილი სტალინი რევოლუციას და რევოლუციონერებს პოლიციური აპარატის დახმარებით გაუსწორდა.

მას რომ სტანჯავდა, დევნის ის მანია იქნებ ქვეცნობიერებაში მიმალული საიდუმლო შიშით იყო გამოწვეული, რომელიც დეგაევს სუდეიკინის მიმართ ჰქონდა? მორჩილი, მესამე განყოფილებაში მოთოკილი რევოლუციონერ-ნაროდოვოლეცი პოლიციის პოლკოვნიკს მაინც თავზარს სცემდა. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ორივე მუხთლობით, მეგობრობითა და შუღლით სტალინის სულის ახლობელ წყვდიადში ჰპოვა ბინა.

შეიძლება აქ ან, ყოველ შემთხვევაში, სადმე ახლომახლოა 1937 წლის თანამედროვეების დროინდელი ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოს განმარტება — თუ რა საჭირო იყო უდანაშაულო, რევოლუციისთვის თავდადებული ხალხის გასანადგურებლად თავიდან ბოლომდე ყალბი სცენარების შეთითხნა, ვითომდა ისინი გამოგონილი, არსებული შეთქმულებების მონაწილენი იყვნენ?

უშიშროების ორგანოები აუტანელი წამებით, რომელიც დღეობით, კვირეებით, თვეობით და ზოგჯერ წლობითაც გრძელდებოდა, უბედურ, გატანჯულ ბუღალტრებს, ინჟინრებსა და აგრონომებს აიძულებდნენ თეატრალური წარმოდგენის მონაწილეები გამხდარიყვნენ და ბოროტმოქმედების, უცხოეთის აგენტების, ტერორისტებისა და მავნებლების როლი ეთამაშათ.

რისთვის კეთდებოდა ყოველივე ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შეკითხვას მილიონობით ადამიანი მილიონჯერ უსვამდა თავის თავს.

სუდეიკინს ხომ, გეგმებს რომ თხზავდა, მეფის მოტყუება ედო გულში. სტალინს კი მეფის მოტყუება არ სჭირდებოდა — სტალინი თავად იყო მეფე.

დიახ, დიახ და, მაინც, სტალინი თავისი წარმოდგენებით მეფის მოტყუებას ცდილობდა, რაც საკუთარი ნებასურვილის გარეშე უხილავად, მისი სულის ფარულ წყვდიადში ცხოვრობდა.

უხილავი მეუფე კი სიცოცხლეს განაგრძობდა იქ, ყველგან, სადაც მონობა განუყოფლად იმარჯვებდა. სიცოცხლის ბოლომდე ერთადერთი ის აძრწუნებდა სტალინს.

იმ თავისუფლებას, რისთვისაც თებერვალში რუსული რევოლუცია დაიწყო, სტალინი სიცოცხლის ბოლომდე ვერანაირი სისხლიანი ძალადობით ვერ გაუსწორდა.

ჰოდა, რადგან დაკარგული ჰქონდა იმის იმედი, რომ ბოლოს მოუღებდა თავისუფლებას, სტალინის სულში მცხოვრები აზიელი ეშმაკობდა და თავისუფლების მოტყუებას ცდილობდა.

25

სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე არ მომკვდარა, როგორც თავის დროზე არ მომკვდარა ლენინის საქმე.

ცხოვრობს სტალინის აშენებული სახელმწიფო თავისუფლების გარეშე. კვლავ პარტიის ხელშია მრეწველობის, შეიარაღებული ძალების, დამსჯელი ორგანოების ძლიერება. მონობაც ძველებურად ურყევად ბატონობს ზღვიდან ზღვამდე, არც ყველა სფეროში შეღწეული თეატრალური კანონი შერყეულა; არჩევნების სისტემაც ისევ იგივეა, მუშათა კავშირებიც ძველებურად მონობითაა შეზღუდული; გლეხები ისევ უზომოდ დამონებული და უპასპორტოები არიან, დიდი ქვეყნის ინტელიგენციაც ძველებურად ნიჭიერად შრომობს, ხმაურობს, ლაქიასავით ზუზუნებს. სახელმწიფოსაც ისევ ისე ლილაკით მართავენ, არც დისპეტჩერის ძალაუფლებაა შეზღუდული.

მაგრამ, რასაკვირველია, ბევრი რამ აუცილებლად შეიცვალა, არ შეიძლებოდა, რომ არ შეცვლილიყო.

მონური სახელმწიფო თავისი განვითარების მესამე ეტაპში შევიდა. ამ სახელმწიფოს საფუძველი ლენინმა ჩაუყარა, სტალინმა ააშენა, ჰოდა, აი, დადგა მესამე ეტაპი — მონური სახელმწიფო აშენებულია და, როგორც მშენებლები ამბობენ, საექსპლუატაციოდაც გადაეცა.

ბევრი რამ, რაც მშენებლობის დროს აუცილებელი იყო, ახლა ზედმეტი გახდა. წავიდა ის დრო, როცა სამშენებლო მოედანზე ძველ ქოხმახებს ანადგურებდნენ; ხალხს დანგრეული პატარა სახლებიდან, ქოხებიდან, უხეირო ბინებიდან გამოასახლებდნენ, გადაასახლებდნენ და სპობდნენ.

ცათამბჯენში ახალი მაცხოვრებლები შეასახლეს. თქმა არ უნდა, აქაც ბევრი ხარვეზი იყო, მაგრამ არა უშავს რა; მუდამ განდიდებული სამუშაოთა მწარმოებლის, ძველი მეპატრონის გამანადგურებელი მეთოდების გამოყენება აღარ არის საჭირო.

ცათამბჯენის საძირკველი — მონობა ძველებურად მყარად დგას.

მერე რაღა იქნება? ნუთუ ასეთი ურყევია ეს საძირკველი?

ნუთუ ჰეგელი მართალია? ნუთუ ყველაფერი ჭეშმარიტი გონივრულია? მართლაც არაადამიანურია? განა ჭკვიანურია ეს?

სახალხო რევოლუციის ძალა, რომელიც 1917 წლის თებერვალში დაიწყო, ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ დიქტატორულმა სახელმწიფომაც კი ვერ მოახერხა მისი ჩახშობა. ჰოდა, სახელმწიფო მარტო საკუთარი კეთილდღეობისთვის განვითარებისა და მომხვეჭელობის საშინელ და ულმობელ გზას რომ ამთავრებდა, საკუთარი სხეულით, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადაც რომ ვერ ხვდებოდა, ისე ატარებდა თავისუფლებას.

თავისუფლება უკუნეთ წყვდიადში, საიდუმლოდ აღსრულდა. დედამიწის ზედაპირზე კი ყველასთვის ცხადად მიქროდა მდინარე, თავის გზაზე ყველაფერს რომ ჰგვიდა პირისაგან მიწისა. ახალი ნაციონალური სახელმწიფო — აუარებელი განძეულის მესაკუთრეა: ქარხნებისა და ფაბრიკების, ატომური ქვაბებისა და მინდვრების; თითოეული ამოსუნთქვის განუყოფელი მბრძანებელი ეს სახელმწიფო, გამარჯვებას ზეიმობდა, თითქოს, რევოლუციაც მისი ათასწლიანი ძალაუფლებისთვის და ზეიმისთვის მოხდა. მაგრამ ნახევარი მსოფლიოს მბრძანებელი მარტო თავისუფლების მეკუბოვე არ იყო.

ლენინმა აღმაფრენით ახალი სამყარო შექმნა, თავისუფლება კი მისი გენიის წინააღმდეგ აღსრულდა. თავისუფლებამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ადამიანები ადამიანებად რჩებოდნენ.

იმ ადამიანს, რომელმაც 1917 წლის თებერვლის რევოლუცია მოაწყო, ვინც ახალი სახელმწიფოს ბრძანებით ცათამბჯენები, ქარხნები და ატომური ქვაბები შექმნა, თავისუფლების გარდა, სხვა გამოსავალი აღარ აქვს, რადგან, ახალი სამყაროს შექმნისას, ადამიანი ადამიანად რჩება.

ყველაფერი ეს ივან გრიგორიევიჩს ზოგჯერ ბუნდოვნად, ზოგჯერ კი ნათლად ესმოდა და გრძნობდა.

როგორი უზარმაზარიც უნდა იყოს ცათამბჯენები, როგორი მძლავრი ქვემეხები, რა უსაზღვროც უნდა იყოს სახელმწიფოს ძალა და იმპერიის ძლიერება, ყველაფერი ეს მხოლოდ წარმავალი კვამლი და ნისლია. მხოლოდ ჭეშმარიტი ძალა რჩება, ვითარდება და ცოცხლობს. ეს ძალა კი მარტო თავისუფლებაშია. სიცოცხლე — ადამიანის თავისუფლებას ნიშნავს. ყველაფერი ნამდვილი გონივრული არ არის. ყველაფერი, რაც არაადამიანურია უაზრო და გამოუსადეგარია.

ივან გრიგორიევიჩს არ უკვირდა, რომ სიტყვა „თავისუფლება" მას მაშინაც ბაგეებზე ეკერა, როცა ჯერ კიდევ სტუდენტი, ციმბირში მიდიოდა და რომ ეს სიტყვა მის გულში დღესაც ცოცხლობდა.

## 26

ივან გრიგორიევიჩი მარტო იყო ოთახში, მაგრამ თავისი ფიქრებით ანა სერგეევნას ელაპარაკებოდა.

...იცი, ყველაზე მძიმე დროს ქალის გულში ჩაკონებას წარმოვიდგენდი ხოლმე. ვფიქრობდი, რა კარგი იყო, რომ ამ ჩახუტებაში თავდავიწყებას მივცემოდი, ასეთ დროს განცდილი აღარც გახსენდება, თითქოს და არც ყოფილა. მაგრამ, ხომ ხედავ, ჩანს, რომ სწორედ შენ უნდა გიამბო ყველაზე მძიმე გასაჭირი. შენც ხომ მთელი ღამე ლაპარაკობდი, აღმოჩნდა, რომ ბედნიერება ჩემი ტვირთის შენთან გაზიარებაა. ამ სატანჯველს სხვას ვერავის, მხოლოდ შენ თუ გაგიზიარებ. აი, საავადმყოფოდან რომ გამოხვალ, გიამბობ ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე საათზე — იმ საუბარზე, გარიყრაყზე, დაკითხვის შემდეგ, საკანში რომ შედგა. ერთი მეზობელი მყავდა, ალექსეი სამოილოვიჩი, უკვე აღარ არის, მაშინვე მოკვდა. ვფიქრობ, ის ყველაზე ჭკვიანი კაცი იყო იმ ადამიანებს შორის, ვისთანაც ცხოვრებამ შემყარა. ისეთი გონების პატრონი იყო, მეშინოდა კიდეც. ბოროტი კი არა, ბოროტი ხომ საშინელი არ არის, არც ავი — გულგრილი იყო, რწმენას დასცინოდა. ეს კაცი მე მზარავდა და, რაც მთავარია, თან მიზიდავდა კიდეც; მითრევდა, მე კი თავს ვერ ვერეოდი, ხოლო თავისუფლების ჩემი რწმენა მას არ იტაცებდა.

მისი ცხოვრება ცუდად აეწყო, თუმცა, ჩვეულებრივი ცხოვრება ჰქონდა, არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი, ჩვენნაირი 58-ე სტატიის მეათე მუხლით იჯდა.

თავი კი მაგარი ჰქონდა. აზრს ტალღასავით აიტაცებდა ხოლმე, მე კი ისე შევხტებოდი, როგორც დედამიწა ოკეანის ტალღის დარტყმით.

დაკითხვის შემდეგ კვლავ საკანში მოვხვდი. თანაც ძალადობის როგორი ნუსხა იყო: კოცონი, ციხეები, გამანადგურებელი ტექნიკა, საოლქო ქალაქებივით უშველებელი ციხის მრავალსართულიანი ციხე-დარბაზები, ბანაკები. სიკვდილით დასჯა თავის ქალის დამამსხვრეველი ხელკეტით, ქერელის მარყუჟით იწყებოდა. დღეს კი ჯალათი ელექტროჩამრაზს რთავს და ასობით, ათასობით, ათეულ ათასობით ადამიანს სიკვდილით სჯის. მას ნაჯახის მოქნევა უკვე აღარ სჭირდება. ჩვენი საუკუნე — ადამიანზე სახელმწიფოს უმაღლესი ძალადობის საუკუნეა. აი, რაშია ადამიანთა ძალა და იმედი. სწორედ მეოცე საუკუნემ შეარყია მსოფლიო ისტორიული პროცესის ჰეგელისეული პრინციპი: „ყველაფერი ჭეშმარიტი გონივრულია“. პრინციპი, რომელიც გასული საუკუნის რუსმა მოაზროვნეებმა ათწლიანი, მღელვარებით აღსავსე კამათით აითვისეს. ახლა კი, ჰეგელის კანონის უკუგდებით, ადამიანის თავისუფლებაზე სახელმწიფო ძლიერების გამარჯვებით, რუსი მოაზროვნეების მიერ ბანაკების დაბამბულ ჯუბებში მსოფლიო ისტორიის ახალი, უმაღლესი პრინციპი ცხვება: „ყველაფერი არაადამიანური უაზრო და ამაოა“.

დიახ, დიახ, დიახ, არაადამიანურობის სრული გამარჯვების დროს ცხადი გახდა, რომ ყველაფერი, რაც ძალადობით იქმნება, უაზრო და უსარგებლოა და მას მომავალი არა აქვს, უკვალოდ ქრება.

აი — ჩემი რწმენა. სწორედ ამ რწმენით დავბრუნდი საკანში. მეზობელი კი ჩვეულებრივად მეუბნებოდა.

— რა საჭიროა თავისუფლების დაცვა. ეს ადრე იყო, რომ მასში განვითარების კანონსა და გონებას ხედავდნენ. ახლა კი პირდაპირ ამბობენ: ისტორიული განვითარება საერთოდ არ არსებობს, ისტორია მოლეკულური პროცესია, ადამიანი კი ყოველთვის ადამიანად რჩება, მას ვერაფერს მოუხერხებ. განვითარება არ არსებობს, ხოლო კანონი ერთია — ეს ძალადობის შენარჩუნების კანონია, რომელიც ენერგიის შენახვის კანონივით მარტივია. რაც უნდა აკეთო ძალადობის მოსასპობად, ის მაინც მუდმივია. ძალადობა არც ქრება, არც მცირდება, მხოლოდ გარდაიქმნება. ის ხან მონობაშია, ხანაც მონღოლთა შემოსევაში. ხან კონტინენტიდან კონტინენტზე გადაქანდება, ხანაც კლასობრივიდან რასობრივად იქცევა; ხან მატერიალური სფეროდან შუა საუკუნეების რელიგიურობაში გადავა, ხან ფერადკანიანებს ეცემა, ხანაც მწერლებსა და მხატვრებს, საერთოდ კი დედამიწაზე მისი რაოდენობა თანაბარია. მისი გარდასახვის ქაოსს კი მოაზროვნეები ევოლუციად თვლიან და მის კანონებს ეძებენ. ხოლო ქაოსს არც კანონები, არც განვითარება, არც აზრი და არც მიზანი არ გააჩნია. აი, რუსეთის გენიამ — გოგოლმაც უმღერა ფრთამალ-სამცხენას; ის მის რბოლაში მომავლის გამოცნობას ცდილობდა; იმ სამცხენაში კი, გოგოლი რომ ფიქრობდა, მომავალი არ აღმოჩნდა. რუსეთის სახელმწიფო ბედი, უსახო სამეული, განსაკუთრებული თათბირი — აჰა, ესეც სამცხენა. სამცხენა-სამეული, რომელსაც დახვრეტის განაჩენი გამოჰქონდა, ადგენდა განკულაკების სიებსაც, ახალგაზრდას უნივერსიტეტიდან რიცხავდა და „ყოფილ“ დედაბერს პურის ბარათს არ აძლევდა.

ის კი თავისი ტახტიდან გოგოლს თითსაც უქნევს: შეცდით, ნიკოლაი ვასილიევიჩ, ვერ გაიგეთ, ვერ შეიცანით ჩვენებური რუსული ფრთამალი სამცხენა. ხალხის ისტორია სამცხენას რბოლაში კი არ არის, ქაოსში, ერთი სახის ძალადობის მეორენაირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადობით შეცვლაში. მიჰქრის ფრთამალი-სამცხენა. ყველაფერი კი უძრავია, ყოველივე გაშეშებულია, რაც მთავარია. ადამიანიც უძრავია, მისი ბედიც არ იცვლება. რაც უნდა მოიმოქმედო ძალადობის განადგურებისთვის ის მაინც მუდმივია. სამცხენა კი მიჰქრის, ფეხებზეც კი არ ჰკიდია რუსეთის უბედურება. რუსული მწუხარებაც, თავის მხრივ, არად დაგიდევს მიფრინავს სამცხენა თუ უძრაობაში გარინდული.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მთავარი სამცხენა კი არა, ის სამცხენა-სამეულია, რომელიც აქ, სადღაც, სასჯელის უმაღლეს ზომას აწერს ხელს...

მეც ვწევარ ნარებზე და ჩემი რწმენაა ყველაფერი ის, რაც ამ ნახევრად ცოცხალ სულშია ცოცხლობს. რწმენა იმისა, რომ ადამიანების ისტორია თავისუფლების ისტორიაა; პატარიდან დიდამდე, ამებიდან ადამიანამდე, ნაკლები თავისუფლებიდან უფრო დიდ თავისუფლებამდე — ყველაფერი ეს თავისუფლების ისტორიაა; — დიახ, ცხოვრებაც თავისუფლების ისტორიაა. სწორედ ეს რწმენა მაძლევს ძალას და მეც ციხის ძონძებში დამალულ ძვირფას, უცნაურ და ნათელ აზრს ვწონი: „ყველაფერი არაადამიანური უაზრო და ამაოა".

ალექსეი სამოილოვიჩი კი მისმენს ნახევრად ცოცხალს და მეუბნება:

— ეს მხოლოდ დამათრობელი სიცრუეა, რამეთუ სიცოცხლის ისტორია გადაულახავი ძალადობის ისტორიაა. ის მუდმივია, მას ვერ მოსპობ. სიტყვა ადამიანების მოგონილია, — ისტორია არ არის, ისტორია როდინში წყლის უაზრო ნაყვაა. ადამიანი უმდაბლესიდან უმაღლესისკენ არ ვითარდება, ადამიანი გრანიტის ლოდივით უძრავია. ადამიანის სიკეთე, მისი გონება და თავისუფლება უძრავია, ადამიანში ადამიანური არ მატულობს, ადამიანის რომელ ისტორიაზეა ლაპარაკი, თუ მისი სიკეთე უძრავია?

და იცი, რა ვიგრძენი, რომ ამ წუთებზე უფრო მძიმე უკვე აღარაფერი შეიძლება ყოფილიყო. ვწევარ ნარზე და, ღმერთო ჩემო, ეს რა არის, სწორედ ჰკვიანმა ადამიანმა ამივსო გული აუტანელი სევდით. ეს ხომ იგივე სიკვდილით დასჯაა. მერე კი სუნთქვაც აუტანელი ხდება. ერთადერთი სურვილი გაქვს — არ ხედავდე, არ გესმოდეს, არ სუნთქავდე. სიკვდილი გინდა. შველა კი სულ სხვა მხრიდან მოვიდა: კვლავ წამათრიეს დაკითხვაზე. ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ მომცეს და მომეშვა... ამიტომ, კვლავაც თავისუფლების გარდუვალობის მჯერა. ჯანდაბამდე გზა ჰქონია იმ ფრთამალ-სამცხენას, რომელიც მიჰქრის, ქუხს და განაჩენი გამოაქვს. თავისუფლება რუსეთს შეუერთდება!

შენ არ გესმის ჩემი! როდის დამიბრუნდები საავადმყოფოდან?

ზამთრის სუსხიან დღეს ივან გრიგორიევიჩმა უკანასკნელ გზაზე გააცილა ანა სერგეევნა. ვეღარ გაუზიარა მას ყველაფერი, რაც იფიქრა და მისი ავადმყოფობის თვეებში ჩაიწერა.

ივან გრიგორიევიჩმა გარდაცვლილის ნივთები სოფელში წაიღო, ალიოშასთან ერთი დღე დაჰყო და კვლავ არტელში დაბრუნდა სამუშაოდ.

27

შემოდგომაზე ივან გრიგორიევიჩი ზღვისპირა ქალაქში გაემგზავრა, სადაც მწვანე მთის ძირში მამისეული სახლი იდგა.

მატარებელი ნაპირის გასწვრივ მიდიოდა, ივან გრიგორიევიჩი ხანმოკლე გაჩერებაზე ვაგონიდან ჩამოვიდა და მომწვანო-მოშავო, მღელვარე ცივ წყალს უყურებდა, რომელსაც მარილის სუნი ასდიოდა.

ზღვა და ქარი იყო მაშინ, გამომძიებელი ღამის დაკითხვაზე რომ იძახებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინაც, ეტაპზე გარდაცვლილი პატიმრისთვის საფლავს რომ თხრიდნენ; მაშინაც, როცა სამსახურებრივი ძაღლები ბარაკის ფანჯრებთან ყეფდნენ და ბადრაგას ფეხების ქვეშ თოვლს ჭრაჭაჭრუჭი გაუდიოდა.

ზღვა მარადიულია და ივან გრიგორიევიჩს ეგონა, რომ ზღვის თავისუფლების მარადიულობა გულგრილობას ენათესავებოდა. ზღვას ივან გრიგორიევიჩთან არაფერი ესაქმებოდა მაშინ, როცა იგი პოლარული წრის იქით ცხოვრობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მასთან არც მქუხარე და მჩქეფარე თავისუფლებას ექნება საერთო. მან გაიფიქრა, რომ სწორედ მონობაა — დედამიწაზე მოსული ასტრონომიული სივრცე, მამოძრავებელი და გულგრილი მარადიულობის ნამსხვრევი.

ზღვა — მონობაა, მას ჰგავს, მისი სიმბოლოა... და, რა მშვენიერია თავისუფლება, როცა მისი გახსენება, მისი მსგავსი რამ ადამიანს ბედნიერებით აავსებს.

ღამე სადგურში გაათია, დილით ადრე სახლისკენ წავიდა. ულრუბლო ცაზე შემოდგომის მზე ამოდიოდა, ისეთი მზე იყო, გაზაფხულის მზისგან ვერც კი განასხვავებდი.

ივან გრიგორიევიჩი უდაბურ და მიძინებულ სიჩუმეში მიდიოდა. ისე აფორიაქდა, რომ ეგონა, მისი მრავალტანჯული გული მეტს უკვე ვეღარ გაუძლებდა. ამ წუთებში სამყარო ღვთაებრივად უძრავი გახდა. მისი ბავშვობის საყვარელი სალოცავი მარადიული და უცვლელი იყო. ის ოდესღაც ამ გრილ რიყის ქვებზე დარბოდა; ბავშვური თვალებით შემოდგომის შეწითლებულ, ჟანგისფერდაკრულ, მომრგვალებულ მთებს უყურებდა. მას ესმოდა ქალაქის ნარჩენებზე — საზამთროს ქერქებსა და შემოხრული სიმინდის ტაროებზე მორაკრაკე ზღვაში ჩამდინარე ნაკადულის ხმაური.

ქუჩაში, ბაზრის მხარეზე, მოხუცი აფხაზი მიდიოდა. შავი სატინის პერანგი ეცვა, წელზე ტყავის წვრილი პატარა სარტყელი ჰქონდა შემორტყმული, კალათით წაბლი მიჰქონდა.

იქნებ ბავშვობაში ამავე გაჭაღარავებულ მოხუცებულისგან ყიდულობდა ივან გრიგორიევიჩი წაბლსა და ლეღვს. სამხრეთის დილის ჰაერი ისეთივე გრილი და თბილი, ზღვისა და მთის ცის სურნელით, სამზარეულოს ნივრის ბუღით და ვარდების სუნით იყო გაჟღენთილი, როგორც ორმოცი წლის წინ. ისევ იგივე სახლები ჩანდა მიხურული დარაბებითა და დაშვებული ფარდებით. თითქოს ორმოცი წლის წინ რომ იყვნენ, ისევ იგივე ბავშვები დარბოდნენ, ამ მიხურული დარაბების მიღმაც თითქოს ისევ იმ მოხუცებს ეძინათ.

გზატკეცილზე გამოვიდა და მთას აუყვა. ნაკადული მირაკრაკებდა. ივან გრიგორიევიჩს მისი ხმა ახსოვდა.

თავისი სიცოცხლე თავიდან ბოლომდე არასდროს დაუნახავს, ახლა კი დაინახა.

დაინახა და ადამიანებისადმი გულისწყრომა გაუქრა.

ყველა ის, ვისაც ივან გრიგორიევიჩი კონდახის კვრით გამომძიებლის კაბინეტში მიჰყავდა, ვინც მას დაკითხვებზე არ აძინებდა და მის პიროვნებაზე ცუდს ამბობდა; ის ადამიანებიც, ვინც კრებებზე ივან გრიგორიევიჩზე უნამუსოდ საუბრობდნენ, ყველამ, ვინც მასზე ხელი აიღო; ის, ვინც მას ბანაკის პურს პარავდა და სცემდა — თავიანთი სისუსტით, უხეშობით, სიბოროტით ცუდს იმიტომ როდი აკეთებდნენ, რომ მისთვის ვნება მიეყენებინათ.

ისინი ღალატობდნენ, ცილს სწამებდნენ, მასზე უარს ამბობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ იცოცხლებ. დაიღუპები, — და მაინც, ისინი ადამიანები იყვნენ. განა ამ ხალხს უნდოდა, რომ ივან გრიგორიევიჩს სიყვარული დაეკარგა და მოხუცს, ეულს, თავისი მიგდებული სახლისკენ ევლო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანებს არავისთვის ცუდი არ უნდოდათ. მთელი ცხოვრება კი სიბოროტეს თესდნენ.

და ადამიანები მაინც ადამიანები იყვნენ. უცნაური და საოცარია: ნებსით თუ უნებლიეთ, ისინი თავისუფლებას არ კლავდნენ. მათში ყველაზე საზარელი ადამიანებიც კი თავისუფლებას თავის საშინელ, დამახინჯებულ და მაინც ადამიანურ სულში ინახავდნენ.

მან ვერაფერს მიაღწია. მისი გარდაცვალების შემდეგ არც წიგნები, არც სურათები და არც აღმოჩენები არ დარჩება; მან ვერ შექმნა სკოლები და პარტიები. არც მოწაფეები ჰყავდა.

რატომ იყო მისი ცხოვრება ასეთი მძიმე? ივან გრიგორიევიჩი არავის უქადაგებდა, არ ასწავლიდა — ყოველთვის იმადვე რჩებოდა, რადაც დაიბადა — ის ადამიანი იყო.

აი, მთის კალთაც გადაიშალა, გადასავალიდან მუხის კენწეროებიც გამოჩნდა. ბავშვობაში იქ, დაბურულ ტყეში დადიოდა. ათვალიერებდა ჩერქეზების გამქრალი ცხოვრების ნაფეხურებს — ბაღის გაველურებულ ხეებსა და საცხოვრებლის ირგვლივ დარჩენილი გალავნების ნანგრევებს.

იქნებ მშობლიური სახლიც ისევე უცვლელად დგას, როგორც ქუჩები, მდინარეები...

აი, გზის კიდევ ერთი შესახვევი. წუთით მოეჩვენა, თითქოს მიწა უჩვეულოდ ნათელმა შუქმა გაანათა, როგორიც არასდროს უნახავს. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი — და ამ შუქში საკუთარ სახლს დაინახავს. მასთან, ძე შეცდომილთან დედა მივა, შვილი მის წინ მუხლს მოიყრის და დედაც მშვენიერ ხელებს მელოტ, ჭაღარა თავზე დაადებს.

მან სვიისა და ეკლის ბარდები დაინახა. აღარც სახლი, აღარც ჭა — მზით გადატრუსულ მტვრიან ბალახზე მხოლოდ რამდენიმე ქვა მოჩანდა თეთრად.

ივან გრიგორიევიჩი იდგა თავის ნასახლარზე — ჭაღარა, წელში მოხრილი, მაგრამ ისევ ისეთივე უდრეკი და ერთგული.

თარგმნეს ეთერ გალიაშვილმა და ლია შარვაშიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი გიგაური

## ბედისწერა

გინდაც დიდი,
გინდაც მომცრო,
თითო-თითოდ,
წყება-წყებად,
ყველა ვიღაცისთვის ცოცხლობს,
ყველა ვიღაცისთვის კვდება.

ყველა ვიღაცისთვის მღერის,
ყველა ვიღაცისთვის ტირის, —
სიხარულით ანაფრენი,
მწუხარებით განაწირი.

ყველა ვიღაცისთვის შრომობს,
ყველა ვიღაცისგან ითლის,
ყველა ვიღაცასთან ლომობს
და მოგებულს ჩუმად ითვლის.

ყველა ვიღაცაზე ზრუნავს,
ყველა ვიღაცაზე ლაყბობს,
ვერ აუდის ლოცვა-კრულვას
ეშმაკის თუ ხატის საყმო...

ყველა ვიღაცისკენ ილტვის
და სასურველს ყველა ზვერავს,
ითქვიფება მღვრიე ზვირთში
სულის წვა და ბედისწერა.

●

შავ ზღვაზე ფრთები დაკეცა გედმა,
ჯანღი დაეცა მაღალ მწვერვალებს,
ძუძუმტემ ძუძუ მოაჭრა დედას
და დაუშრიტა სული მღელვარე.

მტერმა მამაცი ძმები გათიშა,
შურმა გათანგა სიამე გულთა,
სისხლით ზელავენ მიწას საფიცარს
და უარესი რაღაცა უნდათ...

გედო, გაშალე ფრთები ორბულად,
გაფინე ზღვაზე,
გაფინე ველად,
რომ ვერ შეგიკრას გზები ორგულმა,
რომ გონს მოვიდეს ძუძუმტე ყველა.

## გაყოფილი ლუკმა

*თენგიზ ბუაჩიძეს*

როცა ვიყავი
ნატრული ლუკმის,
დიდი ქალაქის მცირე ხიზანი,
მიძმე მთებიდან დამფრთხალი ნუკრი
და ჩემი სულის სიმი იცანი.

იმედს და რწმენას
მმატებდი მარად,
თან გაურანდავს
მიქებდი სტრიქონს, —
ვლოცავ ხარირმის გამოწვდილ
ბალახს
და იმ ჭაბუკურ დღეებზე ვფიქრობ.

გქონდა სიმდიდრე,
თვითონაც ღარიბს,
სიმდიდრე განცდის,
სიმდიდრე გრძნობის,
გასავლელ გზაზე გეჭირა თვალი,
ნამდვილი ფასი იცოდი ძმობის.

ბიჭებს სუფრასთან
გვიწვევდა დედა,
ელენე დედა,
დაღლილი ქალი:
არსთა გამრიგე შემინდობს ნეტა,
გადაუხდელი რომ დამრჩა ვალი?..

გაყოფილ ლუკმას
გიმადლი გულით,
დამათრევს ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმა და დალმა
და ერთგულების ვალალებ წყურვილს,
ლექსში ჩადებულს სიკეთის ნალმად.

მესაიდუმლევ მამულის ხმების,
გოზომილ სიტყვას
ხმალივით იქნევ,
გელიან ჩემი ლამაზი მთები,
მწვერვალებისკენ გავწიოთ იქნებ.

## დავით-გარეჯი

სიცხე,
ალმური,
ასპიტთა როკვა
მაგონებს ავბედ ამინდს წარსულის,
ქარტეხილებთან ნაბრძოლ გემს
მოჰგავს
გარეჯა ბეწვის ხიდზე გასული.

ჭაღარა ბერთა დალეწილ ნეკნებს,
ციხე-კოშკების დაფლეთილ ანძებს,
თუ შევიცნობ და
თუ ერთად შევკრებ —
მთელ ისტორიის გასაღებს მაძლევს...

მინამ გაუძლო
ცეცხლსა და ყინვას.
წვიმამ წალეკა
გესლი ავსულის,
მარადისობის ნათელით ბრწყინავს
გარეჯა ბეწვის ხიდზე გასული.

## ღვთისმშობლის ხატთან

ქალწულმა გაშალა ოცნების
აფრები —
შემწე და მაშველი ლამაზი მიზნისა,
ლოცულობს ღვთისმშობელს,
ზეცისკენ გაფრენილს,
თვითონაც მიჰყვება კიბეებს
ნისლისას.

ლოცულობს ქალწული —
სიცოცხლის აკვანი,
მამულის ნათელში სიმებად
ჩაწნული,
ლოცულობს ქალწული და თანაც
კანკალით
უტკბეს დედობაზე ოცნებობს
ქალწული.

## გადარჩენა

მოჩვენებების ალყაში ვწევარ,
ვითვლი ჭინკებს და ვებაასები,
სიცხის ტორებით გათანგულ მძევალს
თავს დამდგომიან კუპრის თასებით.

ვერ დავიბევე დრო-ჟამი ლხენის,
ვერ გაიხარა ჩემმა არწივმა,
ავადმყოფობამ მომხვია ხელი
და მწუხარება გამინაწილა.

ძალაწართმეულს გამიკრთა ძილი,
გამიორგულდა სიამე ხვალის,
მლოშნიან დევნი ცეცხლოვან პირით,
მიმაცილებენ მხრჩოლავი კვარით.

წოჯარდნენ მტრები ახალიც,
ძველიც,
ვიღაცამ თოფის ტალი დაპირა...
არსთა გამრიგემ ჩამკიდა ხელი,
სიცოცხლის სხივთან გამინაპირა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თენგიზ კაკუშაძე

●

დღეს მხოლოდ ეს მზე და ეს ხე
მიყვარს,
სხვისთვის ამჟამად მე არ მცალია,
ჩემი სიძეა — მზე რომ წვავს ფიქალს,
ხე რომ კეკლუცობს — პატარძალია.
დაწყვეტილი აქვს წლების შორტები,
ჩემსას, ოცნებებს ღვთისგან
ბოძებულს,
ვცილდები მე თუ ვუახლოვდები
სამყაროს ასე შესისხლხორცებულს?!
და სივრცე ნეტარ ყოფაში მახვევს,
თითქოს მლოცავს და თითქოს
მამადლის,
დღეს მე ვეკუთვნი ამ მზეს და ამ ხეს,
დღეს მე ვუყვარვარ მხოლოდ ამ
ადგილს.

●

იმ უახლოეს წარსულს ვიგონებ,
იყვნენ ამქვეყნად, აღარ არიან,
მათი ღიმილით ვათბობ სტრიქონებს,
ყველაფერი ხომ წარმავალია.
დავიწყებული ბუხრის ბოლია,
სინანულის და სევდის წყალობა,
ახლო წარსულმა გამიყოლია
და ჩამომეხსნა დამაშვრალობა.
ზამთრის სუსტი მზე გაალღობს
ნაღვერდს,
დაიძვრებიან ნაღვლის რუები,
ნატვრის და ჟამის ერთობას არღვევს
წადილი შენგან განაბრუები.

ზაფხულის სიცხეც მოგუდავს
ნაღველს
და ჩამოვაყრდნობ ნიკაპს რაფაზე,
რად მათხზევევინებ, შენს ერთხელ
მნახველს,
შენზე ლეგენდებს, შენზე ანდაზებს.
იყვნენ ამქვეყნად, აღარ არიან
თვალს ეფარება ნისლების სვეტი,
ო, ყველაფერი წარმავალია
და ყველაფერი გულდასაწყვეტი.
მაინც რა სწრაფად გასულა ეს დრო,
რაღა აზრი აქვს წუხილს და ურვას,
და მე არ ვიცი, თუ რაღას ვენდო,
და მე არ ვიცი, მივეყრდნო თუ რას.

●

სინათლე და მადლი მიპყრობს
ცხრა მზისა და ცხრა ხვითოსი,
ცარიელი ქუთაისი,
დღეებია აგვისტოსი.
მოგონებებს ნაბიჯს ვადგამ,
თითქოს ამჭრა მჟავემ კბილი
და ჰამაკში მენატრება
ბავშვური და ტკბილი ძილი.
თეთრი ხიდი დაქანაობს
თეთრი ქვების ცოტა ზევით,
სული ამიფორიაქდა
იმ წარსულის გამოწვევით.
მღვრიე წყალთან ვაჩერდები
ეკლის ხეებს მზეში მტირალს,
ფეხები ძლივს მიმყვა სახლში,
ნაგზაურს და ნაქვიტირალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთო, რად მატირებ,
გამიხსენი გულის კარი,
იმ ბავშვობის წარმოსახვებს
ერთხელ კიდევ შემასწარი.
ცაოელი ქუთაისი,
დღეებია ცხელი თვისა,
მარადიულს ეს ობოლი
აული მარად შეგეთვისა.
მოგონებებს ნაბიჯს ვადგამ
და კანკალებს გულის კუნთი,
არაფერი აღარ მინდა,
შენ გნახე და დაგიბრუნდი.
დაგიბრუნდი წლებგავლილი,
უსახო და უბორკილო,
ჩამომჯდარი სადმე წყალთან,
მატირო და დამიტირო.

●

საღამოს ცაც იხსნება და სივრცეც,
„ცეკვავს აამეფოდ ნაქარგი ქოში"
და აუხდენელს ნამდვილად მიქცევს
და მიმიძლვება იმ ნეტარ დროში.
და გააფრენად მზად არის რაში,
მზის სხივები კი დგანან ხიდებად,
მთელი სიცოცხლის განმავლობაში
ეს სინანული სად მეზიდება.
აფორიაქდა აწმყო და ნამყო,
თამაშის შემდეგ მიყრილ კარტივით,
რა ნაწილებად — მიბრძანეთ — დავყო,
სიცოცხლე რთული და თან მარტივი.

●

რამ შემიცვალა ნეტავი ნირი,
შრიალებს ნაზი ქალწულის კალთა,
ვდგავარ სურათთან და გულში
ვტირი,
გამოხურული წარსულის კართან.
თავჩაღუნული მტირალი ძეწნა,
ცრემლების რუსთან მივსულვარ
კენტად,
ეს სინანული ვინ მიანდერძა
და ყველაფერზე ნერვების წყვეტა.

●

მაშინ წყალი მიდიოდა,
მღვრიე წყალი შრომის პირად,
ორშაბათი, ხუთშაბათი,
ყველა დღე რომ მიჩნდა
კვირად.
მაშინ მზე რომ ჩადიოდა,
მოალერსე და კაპასი,
ჩასულია? გევედრები,
იმ შხეფების ნამი მასვი.
და ხეები ალმაცერი,
მოელოდა კრთომით ბინდებს
ის ხატი და ის მზის წირვა,
გულში როგორ დავიმკვიდრე,
სულსწრაფობა, ფეხჩქარობა,
რა სიზმრები მიმელიან,
ნელ-ნელა რომ მეფარება
ღამეული ფრინველია.
ო, რამდენი დრო გასულა,
ო, რამდენი, ო, რამდენი,
ცრემლად წყალიც არ მეყოფა
ამ გზის პირად მონადენი.
სად წავიდე, მეც არ ვიცი,
ვის ვეკუთვნი ან რას ვშვრები,
საფეთქლებზე ოფლი ჟონავს,
ქვენა ქარში თუ გავშრები.
ამერია დრო და სივრცე,
ეს გზები და ეს მანძილი,
დავიქანცე, მოგადექი,
მომენატრა ბავშვის ძილი.

●

ცაზე ღრუბლები ისევ არიან,
ღამით შფოთვების ისმის არული,
არც ნიავია და არც ქარია,
ამინდები დგას ნიავქარული.
შუქია ცერად, მზე გაელამდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინდს ისრუტავენ მჟღერი მინები,
სინანულების წყალთან და ლამთან
ამ ნიავქარებს ვეპოტინები.
მე ჩემთვისა ვზივარ ამ ნიავქარში,
სიჩუმე ლეწავს ფიქრების კალოს,
რა არის ახლა, რა მოხდა მაშინ,
მითხარ, ჩამქრალი ოცნების კვარო.

შენ აღარა ხარ, ნაკვთები შენი,
სხვაშია, თანაც არის, არც არის,
ლამაზი თმები გადაგეშლება,
შენს საფლავზე რომ დაბერავს ქარი.
რატომ უფრთხოდი სიკვდილს და შორეთს,
შენ ისევე ხარ, შენ ხარ და სხვა ხარ,
შენს ლამაზ თითებს სხვა იმეორებს,
მარადისობას თუ სული გაჰყვა.
თქვი, სულთამჰყრობო, სული რა არი,
ვერ იგონებს და არც კი ტრიალებს,
მის საფლავზე რომ გადირბენს ქარი,
ჟამის ფირფიტებს შეაზრიალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ჩორდელი

# იალკიალი

მოთხრობა

შარაზე, წყაროსთან, რადიო-სატელეფონო ხაზის ბოძზე ჩამოკიდებული თუნუქის რეპროდუქტორი გადაცემებს შორის წუთშესვენებებს წინასწარმეტყველ სინოპტიკოსთა ცნობებით ავსებდა. ამინდთან ერთად, კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი, აუთვლელ-ჩამოუთვლელი რამე-რამეები აინტერესებდა მთებში შემორჩენილ სოფელს — ამ აღმოსავლეთისა თუ იმ დასავლეთისა, აქეთა ქვეყნის ბეღლისა თუ იქითას მუცლისა, ცისა თუ მიწისა, მდინარისა თუ ზღვისა... და იმიტომაც იყო, რომ, გამვლელსა თუ გამომვლელს, ყველას რადიოსკენ ეჭირა ყური.

იმ დღეს, ხმამაღლა მოლაპარაკე თუნუქი, რატომღაც დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა.

— რა ენა ჩაუვარდა, რა ჭირი ჭირს ამ რადიოსო, — იკითხა შარაზე ვიღაცამ.

— ყელი ტკივაო, — იქვე შეაშველა მეორემ.

— სიცივემ გლანდები გაულიზიანაო, — სალაპარაკო მიეცა მესამეს.

— კაცო! არა გამოგვრჩეს რაო, — თქვა ისევ მეორემ.

— რა უნდა გამომრჩეს, პროგრამა წინასწარ ვიცი! გაზეთიდან ამოვჭერი და კედელზე მივაკარი! ისე, რაც შეეხება ამინდს, თუ ოდნავ გონი გაქვს და თვალი გიფახულობს, კი უნდა შეატყო გარემოს! ზამთარში მოთოვს, აპა, ბამბას ხო არ ჩამოყრის! შენ სხვა რამე, სხვა სიკეთე მითხარი, თვარა... — ენად გაიკრიფა მესამე.

— შენი ენა მაგ რადიოს, — ჩაიქნია ხელი ვიღაცამ.

...და იმ ღამეს, ვახშმობა რომ კარგა ხნის გადასული იყო, სოფელს რომ გულისგულ ეძინა, მდინარე ჯეჯვრის ხეობას ისე ამოჰყვა გრიგალისმაგვარი გაუხედნავი ცივი ქარი და ყიაგაყინული სუსხი, ფიქრი წამსვე აგიგორდებოდათ — მთის ქვეყანას ავადსახსენებელი ურდო ხომ არ დაესხაო. ორჭეებიდან ქარის სტვენა ყიყინასავით ისმოდა. ღობე-ღობე დაძრწოდა უკმეხი ქარაშოტი... ძაღლებსაც გამოეღვიძათ, შეშინებულებმა კუდები ამოიძუეს და გაუთავებელი ყმუილით ქარის შემოკივილს აებანნენ.

რა თქმა უნდა, ძილი გაუტყდა სოფელსაც — ხან ერთი ფანჯრიდან გამოკრთა სინათლე, ხან კიდევ — მეორედან. იქით მესამე აინთო, დაბლა — მეოთხე. ქვედა უბანი, რატომღაც, ერთხმად წამოიშალა. საზამთრო საცვლებში გამობუდნილმა, თვალდაჭყეტილმა მოხუცებმა ფანჯრებიდან ეზო-კარსა და სოფელ-ქვეყანას გამოსჭვრიტეს.

მიხელა მინასიძე სოფელს ხომ არ გამოაკლდებოდა, თვალი მანაც მოიფშვნიტა, მერე მიაყურადა და მიაყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადა. კაი გვარიანი ქარიაო, ყური მოატარა კედელყურეს და, ძილის შესაქცევად გვერდი ისევ იბრუნა. მისმა ცოლმაც იცვალა მხარი...

დამფრთხალ-დაფეთებული, გადარეული ულაყივით დაეტაკა მიხელას ჭიშკარს აგორგოლებულ-აზვინებული ქარი...

— კესარია, ქალო, გაიღვიძე. მგონი, სტუმარია ჭიშკართან! — მიხელამ ისევ ათხოვა ყური კედელ-კუთხეს, მერე საწოლიდან გადმოვიდა, ფლოსტებს ფეხი წაუყარა, სინათლე აანთო და ფანჯრიდან გაიხედა.

კესარია ლოგინზე წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა, შალით საგულდაგულოდ შეფუთნილი თავი მოიმწყაზარა და ქმარს მთელი წინადადება მკვახედ ესროლა:

— რას უციცქვინებ და უჭვრიტინებ ამ შუაღამისას ბალ-ბოსტანსა და საბძელ-ბოსელს, შე საცოდაო, შენა!

— ქვეყანა იქცევა მგონი, ქალო, ისეთი ქარი და თოვლი მოდის, — წყნარად უპასუხა მიხელამ ცოლს.

— თოვლი და ქარი, თვარა, შენც თბილ ქვეყნებში ხარ გაზრდილი და გეხამება, აი! დღემოსწრება შენი სიცოცხლისა, წვიმის, ტალახის, თოვლის, ქარისა და ჭუჭყის მეტი რა გინახავს! დაწექი, არ გაცივდე, თვარა მაგ გამოფშკვერილ უკანალს მიტუაანთ რძალს სულ პენიცილილების ნემსებით ავაჭრელებინებ! — დააშინა კესარიამ ქმარი და საბანში თავი ისევ ჩარგო.

„დაბერდა ეს ქალი და ოხერი ენა მაინც ვერ დაიმოკლა. თეთრიც მაგან გამომირია და ძალ-ღონეც მაგან გამომსხლიტა. რო გამოვა ზოგი ისეთი, მტრისას მერე!“ — ამის გაფიქრება კი მოასწრო მიხელამ და სინათლეც გამოირთო.

— ახლა, ეს დენია თუ ეშმაკების ეშმაკი, ორი კვირა მაინც არ ექნება სოფელს! ბოძი წაიქცეოდა სადმე! ბოძი კი არა, ბოძები! მე შენ გეტყვი და, მის გაახლებაზე დალვარა ოფლი ვინმემ ამ ზაფხულს, აი! ფეხებზე კიდია ყველას შენი სოფელიცა და მთაც... ჰო, კი... გაგიხარია, წალებაში ყველა მარჯვეა... რა გაგანადონ, იმაზე არიან გადასული. რას არ წერენ სოფლების გადარჩენაზე, მის განაშენიანებაზე, განახლებაზე, კაცის უკან მობრუნებაზე... წერე და იკითხე... ჰო, ჰო, სოფლის თავკაცებო, ჯანიანო ბიჭებო, წერეთ და იკითხეთ! — ხმას აუწია ბოლოს მიხელამ.

— კაცო, შენ არ გეყურება, არ გაცივდე, ჩაწექი-მეთქი? შენღა აკლიხარ ამ სოფელს მისახედავად კიდევ, აი!.. ბართლომე თურმე დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაჭიმავს ფეხებს, მისმა რძალმა მითხრა ამ დილით... ქვედაუბნელ კატოს იქ წასაღებ წერილისთვის ბოლო წინადადება ვერ მიუწერეს, თორემ კარგა ხანს იქნებოდა გამგზავრებული, ჩემი თვალით ვნახე... სიკოია მაისურაძე შარშან, 6 მაისს, გამოიტირეს, დამბლა რო დაეცა იმ დღეს! ახლა ტუჩი მთლად მოჩორთვია საწყალს, ისველებს და ინაგავებს თურმე, მაგის სიცოცხლეს სიკვდილი არ ჯობია?.. დაწე, კაცო, დაწე-მეთქი! ქარი ირბენს, იქშენს, იდავიდარაბებს და მიეგდება მერე თავისთვის! — დაბეჯითებით ჩამოუყაჭა ბოლო სიტყვები კესარიამ სიბნელეს შერჩენილ ქმარს.

— კიდე რა ამბავია სოფელში, გეცოდინება და ბარემ მოყევი ბოლომდე, ძილი მაინც აღარ მომეკარება თვალზე და...

— რა ამბავია და, ნეკრასეს ბუხუტის საბჭოში განცხადება შეუტანია განქორწინებაზე. მერე მოვარდნიან ცოლისძმები და ერთი კარგად, გემოზე, მიუჯეჯგვიათ ბუხუტისთვის ის გასივებული ცხვირი... ბუხუტის არც კი მოუბანია თურმე პირი, ისე გაქცეულა რაიონში, მილიციაში გასაცხადებლად. რამდენად მართალია არ ვიცი, მარა იმათაც კარგად უზესკვიათ ფერდებში, დაიკარგე აქედან, რა დროს შენი განქორწინებაა. სამი შვილი ქუჩაში რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყარო, წამოზრდას არ დაელოდებიან. ზოგი ბოზობას დაიწყებს, ზოგიც ქურდობასო. მერე მოგებია ჭკუაზე ბუხუტი უბედური და კი მობრუნებულა სახლში.

— უყურე მაგ ბუხუტის შენ!..

— დიტოს რძალი მეზობელ კაცთან რო ამბავში ყოფილა, ისე მიუსწრიათ...

— დიტოს რძალი ხო თბილისშია...

— თბილისში რა, იქ არ შეიძლება კაცი ქალთან მიისწრონ?

— კი, მარა...

— არავითარი მარა, აქვე ეტყობოდა იმას, რა ნალიასაც მიაწნევინებდა მის პატრონს. თვალებს რო აკვარკვალებდა, კი თქვეს მაშინვე ქვედა უბანში, დიტოიას რძალი მალე აიქნევს კურტუმოსო... პირველ მთქმელს ყველამ კვერი დაუკრა, რას გამოაპარებ შენ სოფლის თვალსა და ყურს... მისი ქმარი თურმე დღე და ღამე რესტორანშია...

— ქეიფობს? — ეწყინა მიხელას ეს ამბავი.

— ქეიფობს, კი, მისმა თავის გახეთქამ, სულ ყანწი უჭირავს თურმე ხელში და ცოლის სადღეგრძელოს გაიძახის!.. მპოვარია, მზარეული... დილას ექვს საათზე გადის თურმე სახლიდან და საღამოს თორმეტზე ბრუნდება შინ. ცოლს დილას მძინარეს ტოვებს, საღამოს კიდევ დაძინებული ხვდება. ფულს შოულობსო, კარგს აცმევს და ახურავს, ძვირადღირებულს აჭმევს ცოლ-შვილსო, ენა ამომჭამეს იმ წინეებზე მისმა დუნდლმა მამიდებმა, ყური გამიხვრიტეს ტრაბახითა და ბაქიბუქებით! ეე, აჭამოს ახლა და ბრილიანტებით დაუსხას თითები... კაცს მოწყურებული ქალი ან მეზობლის კაცთან შეიჭვრეტს, ან კიდევ ქუჩაში გამოჭენდება!..

უუუ... ზზუუუ... — გლეჯდა ქარი გარეთ ყველაფერს.

— ქალო, რა ენად გაილესე, რას მიქვია, მეზობლის კაცთან შეიხედავს... ტყუილი იქნება! შენნაირი ჭორიკანების მოგონილი იქნება! ახლა მოიგონე ეგა, თორემ აქამდე ხო იტყოდი, ან სხვა იტყოდა. არც პელაგიას აკავდება ენაზე რაიმე. გუშინწინ ერთი საათი ეჭორავებოდა მელეეთ რძლებს... ტყუილი იქნება!

— დაწე, კაცო... სიმართლე არავის უნდა... დაწე-მეთქი, თორემ შემოვდგი გამოსახარშად პელიცილილის ჯამი, შარშანდელი ხო არ დაგავიწყდა! — უფრო მოიფუთნა კესარიამ თავშალი.

ქარი ახლა სახლის აივანზე გაჭენდა, ფანჯრებს ჩაუსისინა, მერე ქოხ-ბოსლისკენ იბრუნა პირი და სახურავს ასახდელად დაემუქრა.

— რაღაც დიდი უბედურება ხდება გარეთ... მეორედ მოსვლა დაიწყო ნამდვილად! — თქვა მიხელამ და ლოგინში შიშნადებად ჩაწვა.

— მოთოვს, კაცო, ამ ზამთრის თვეში. აპა, რა უნდა ქნას! დიდთოვლობამ კარგი მოსავალი იცის, ჯანსაღი ხილეული, ასე არაა?

— კია, მარა... ამნაირ ქარს, დავბერდი კაცი და ჯერ არ შევსწრებივარ ამ მიყრუებულ მთის ძირში.

— რადიომ ხომ თქვა, ძლიერი ქარი იქნება რიონის ხეობაშიო. რა გინდა მეტი, არ ახდა თუ?! — ქალმა რადიოპროგნოზი შეახსენა ქმარს.

— კაცო, მე მაგ რადიოსი მიკვირს, რიონის ხეობაშიო, რო იტყვის, სულ ველოდები, ან აგერ იტყვის, ან აგერ, ამა და ამ სოფელში ესა და ეს ამინდი იქნებაო, შენც არ მომიკვდე! მაგას, მე მგონი, რიონის ხეობა შავი ზღვიდან ქუთაისამდე გონია! ქუთაისის ზევითაა, თუ არის რიონის ხეობა კავკასიონის მთებამდე! ხეობა მართლა ამას ქვია, თვარა, ქვევით სულ ჭალა-მინდორ მიიზლაზნება იმოდენა წყალი. რა გავიგო ახლა მე, ძლიერი ქარი ზევითაა თუ ქვევით! გამოკვეთილად უნდა ამბობდეს, რაჭა-ლეჩხუმში, ონსა და ამბროლაურში, ესა და ეს ამინდია მოსალოდნელიო... მივწერ მე იმათ, სოფლელების შენიშვნაც გაითვალისწინონ! აპა, რას გავს ეს, ეგებ არც კი ვართ ამნაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ქარისა და თოვლისთვის მზად, მერე? უნდა ამოგვხდეს სული?

— ძილი ნუ გამიტეხე, სიზმარი ნუ დამიფრთხე, დაიძინე, თუ ღმერთი გწამს! — გაჯავრდა კესარია, გვერდი მუჯლუგუნით იცვალა.

ქარმა ახლა იქიდან აქეთ გამოიჭენა, ჭდებოსთან წამით შედგა, მერე, უცბად, ცულნაკრავივით, მოსწყდა ადგილს და ქვედა მეზობლის ბაღ-ბოსტნისაკენ ქნა პირი.

„უყურე შენ, რა ავი და მამაძაღლი რამეა... უჩინარი მოძალადე... დაძრწის, დაეხეტება... საავკაცოდაა მოსული... სულ მიხლეწ-მოხლეწავს ხეხილს... ვინ იცის, რამდენ ხანს არ ჩაიფერხნებს ახლა მაგ ოხერი... გრიგოლას ასთმას რაღა ეშველება, რა შეაჩერებს, რომელი ექიმბაში, უბრალო ნიავზე იხრჩობოდა ხოლმე ის უბედური და.. გუშინ დილას დათიას ხო შევხვდი, კაცო, რატომ არაფერი მითხრა? ერთი კვირით ადრე ცნობს ხოლმე ამინდის შეცვლას და... ეტყობა, მოურჩა რემატიზმი". — ქარს მიყურადებული თვალდახუჭული მიხელა სხვისა და თავის სატკივარ- სადარდებელზე ფიქრს კუდში მისდევდა.

ძაღლებს ყელი არ მოუნაცვლებიათ, გაუთავებლად ყმუოდნენ...

●

ორი დღე კარში არავის გამოახედა ფრთააშვებულმა ქარმა. მესამე დღეს, ასე, საშუადღეოზე, სოფლის ბიბლიოთეკის შენობის საკვამლე მილიდან თავპირ მჭვარტლივით კვამლი ამოვიდა, შემდეგ განაცრისფრდა ბოლი, გაბაცდა, გასიფრიფანდა. თითქოს კვამლი ნიშანი იყოო, აქეთ-იქედან წამსვე გამოჩნდნენ აქტიური მკითხველები. ქარი კი იყო, ასე თუ ისე, ვითომ ჩამცხრალი, მაგრამ თქოში და ჭირხლი უფრო შემოჭეროდა იქაურობას. ფეხქვეშ თოვლი ისე ღრაჭუნობდა, თითქოს კომბოსტოს ბოსტანს ცხრათავიანი დამშეული დევი გადადებია და კბილში გამოჰყავსო. ქარსა და ყინვას ღელის წყალი ერთიორად გადაეყინულებინა, ალაგ — გადაეკასკასებინა, ალაგ გადაესარკა. ბეღურები ისე დაეფოფრა სუსხს, შორიდან ხარაჭველებსაც კი ჩამოჰგავდნენ.

ბიბლიოთეკას, რაღა თქმა უნდა, ზამთარში ჰქონდა დიდი გასავალ-გამავლობა. თავშეყრის ადგილი მარტო საჭორაო, თხოვა-გათხოვებისა და შუამავლების საპუტუნო ადგილი როდი გახლდათ! ჭადრაკის რამდენიმე დაფა, განსაკუთრებით ერთი ძველთაგანი, მთელი დღე ვერ იცლიდა! ერთი კი იყო, ხოსრო ართმელიძე ჰყავდათ ამორჩეული, ყველა „დეტსკი მატით" უგებდა უბნის „დიდოსტატს" (ასე ეძახდა თავის თავს ხოსრო), მაგრამ, ნურას უკაცრავად, დამარცხებული, მუხლზე დავარდნილი ხოსრო ჯერ არავის უნახავს... ბიბლიოთეკის ერთ კუთხეს — „დედამიწის ზურგის" ამბებს — არისტო ლებანიძე განაგებდა. კარგა ხანი გავიდა მას მერე, არისტოს რომ გვარი შეუცვალეს და არისტო ტელე დაარქვეს (არისტო — სახელი, ტელე — გვარი). არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ არისტო ლებანიძემ არისტოტელეობა მართლაც შეიფერა, პირველ რიგში წვერი მოუშვა, თმა წინ ჩამოივარცხნა, უფრო დახვეწა საუბრებისა თუ თემების მრავალსახეობანი, ეს კი არა და, გამონაწიორებული პენსიით, მრავალარხიანი რადიომიმღებიც იყიდა, შეისწავლა არხიდან არხზე გადართვის, გრძელი და მოკლე ტალღების მოძებნის ხერხები და ეშმაკობები და აქითაურებს ვილა დაგიდევდათ, იქითაურების, მოცლილი, მოლაყბე და ჭორიკანა რადიოსადგურების გადმოცემასაც კი გამოჰკრა ყური. მაგის მოსმენის გულისთვის, ეგებ გაგკოჭონ კიდეცო, ბევრჯერ უთხრეს უბნელებმა ხუმრობით, მაგრამ არისტოს პასუხიც იქვე ჰქონდა მომზადებული ყოველთვის: ისეთი რადიო გამოუშვან, იმნაირი ტალღები რომ არ ჰქონდესო. უფრო მეტსაც ამბობდა ხოლმე: მეზობელს რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა უნდა მისცე სალაპარაკო და საქილიკოო... რომ არ უნახავს, იმისთანა ამერიკა არც მას მოსწონდა და უყვარდა და არც მის თანასოფლელებს. არც ის ეპიტნავებოდა, ზოგიერთები ქებას რომ დაუწყებდნენ იქითაურებს... მაშინვე იაპონიაში ჩამოგდებულ ორ ბომბზე ჩამოაგდებდა სიტყვას; ბიბლიოთეკაში თავშერგულ დიდსა თუ პატარას თავით-ფეხამდე ქრუანტელი დაურბენდათ. არისტოს, რატომღაც, ინგლისელებისკენ ეჭირა გულისყური. ხშირად ამბობდა ხოლმე, ეგენი კარგი ხალხია. ჩვენი კარგი მეზობლები არიანო. არისტოს დაჟინებას ორჯერ იყო თუ სამჯერ, სისუას ბიჭი, შალია აუხირდა. რის მეზობლები, რა მეზობლები, შენ თუ შენს სიმაღლეზე არა ხარ, გადაგჯეგენ, გადაგთქერენ, ყოფას გიტირებენო. აგერ, აა, რაღა შორს მივდივართ, გერმანელები უფრო ახლო მეზობლები არ იყვნენო? კი გახსოვთ, მეორე მსოფლიო ომში რა ორომტრიალი გადაგვხდა თავსო. ერთხელ შალია კობურიძე ისე გააბრაზა არისტოს ინგლისელებმა, რომ ბიბლიოთეკის კედელზე ჩამოკიდებულ შინმოუსვლელთა დაფას ეცა, ჯერ შუბლი მიახეთქა კედელს, მერე მუშტები უბრაგუნა, მერე კი ორჯერ (ჯერ წაღმა, მერე უკუღმა) დაითვალა სოფელს გამოკლებული ბიჭების სურათები. მეც მაგას გეუბნები, რომ ინგლისელები სხვა ხალხიაო, არისტომ უფრო შეუკეთა ცეცხლი შალიას. არა, ძმაო, არა. სადაც კაპიტალიზმია, ყველგან ჩვენი მტერია ჩასაფრებული, ამას წყალი არ გაუვაო, თავგადაკაპნილი ამტკიცებდა კობურიძე. ყველა კამათის წერტილის დამსმელი ბიბლიოთეკარი გახლდათ. მიაღწევდა თუ არა უმაღლეს წერტილს ენაჩართული ყაყანი, წამოდგებოდა ფეხზე წიგნთსაცავის შეფი და იტყოდა: აპა, დავიშალეთ, სახლში უნდა გავიქცე. ახლა გამახსენდა, ლობიო მქონდა შემოდგმული ცეცხლზე, წყალი დაშრებოდა და, ვინ იცის, ეგებ ცეცხლიც კი უკიდიაო უკვე. გამოცდილებით იცოდნენ, შეკამათება არ შეიძლებოდა. ერთხელ გაბედა ვილაცამ და ოთხი დღე ამოსპალული იყო ბიბლიოთეკის კარი, ის კი არა, მეხუთე დღეს დიდი ხვეწნა-მუდარით გაალებინეს...

ქვედა უბნის საზამთრო გართობებში ძაღლების ჩხუბი და წეწვა-გლეჯა ყველაზე კარგ საშუალებად ითვლებოდა. წლევანდელ წელს ძაღლებმა ნამდვილად დაისვენეს — ქალაქიდან ჩამოსულმა ზაზამ (სამეცადინოდ ჩამოვედი, უმაღლესისთვის ვემზადებიო, ირწმუნებოდა) ორი წყება დომინოს ქვები და ახალთახალი ორი საშუალო ზომის საანგარიშო ჩამოიყოლა. კიკოლა ბაბუას ბუხრის წინ მაგიდა და ჯორკო სკამები უმალვე გაჩნდა. დღე იყო ზაზას ჩამოსვლისა და ბუხარში მუგუზალს ენა ჩაუვარდა, ხმა აღარ ამოუღია, ანდა, ვინ ამოაღებინებდა, დომინოს ქვების ტკაცატკუცი ოთახის კუთხე-კუთხე დადიოდა და გარეთ გასასვლელს ეძებდა. ტასიკო ბებიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუ ასე იმეცადინა ბიჭმა, უმაღლესში მასწავლებლებს ნამდვილად გადარევსო.. ორ კვირაში უკვე კარგ „სპეციალისტებად“ ითვლებოდნენ ანტიფოს სოსია, აგაფოს რეზიკო, სამსონას ლადო და კიდევ ერთი-ორი. მომავალ „სპეციალისტთა“ საკანდიდატო სიაც ჩამოიწერა: პირლია ნუქარდა, ზოზია, რეზია, მიმინო, დათია, ჯამპურა, მუქთა (მეტსახელად ერქვა ქოჩორა ბორიას) და...

თოვლი იყო, ზამთარი იყო და სამუშაო არაფერი იყო, აბა, ზაფხულში გენახათ, ტყე და ველს იყვნენ მოდებულნი ბიჭებიცა და კაცებიც! ცარიელ ბიბლიოთეკაში, მარტოდმარტო, იჯდა ბაიყუშივით, სოფელს შემობერებული, გაუთხოვარი ნინუცა და, უნდოდა თუ არ უნდოდა, თითებს ილესავდა — გაუთავებლად ქსოვდა და ქსოვდა ჭრელა- ჭრულა ნაირ-ნაირებს...

მეხუთე „დეტსკი მატი“ ჩაუჯინა ხოსრო ართმელიძეს ზემოუბნელმა ვასილას მუტრუკმა (მუტრუკს მარტო ხოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ეძახდა ვასილას ბიჭს). ხარხარი ატყდა, მაგრამ რა ხარხარი... სხვას ვინ ჩიოდა. მატჩის მთავარი არბიტრები, კოწია და გურგენა, კინაღამ სიცილით გაიფხრიწნენ.

— ბატონო ხოსრო, პატარა კი უნდა იკითხო საჭადრაკო წიგნი, სვლები კი არაა მარტო საქმე, კომბინაციებიც უნდა ისწავლო...

— კომბინაციები რომ ისწავლა შენმა ძმამ, კი ხეხავს ვირის აბანოში მერვე წელს! — ფარ-ხმალი არ დაყარა ართმელიძემ.

—მაგ გრძელი ენის ლაშუნს, ყოველ შემთხვევაში, თამაშის სწავლა ჯობდა, ისე, არც ბიძაშენსა აქვს ნაკლები ნახეხი ქურდობაზე, — გაწყრა პატიმრის ძმა.

— იცი, რა გითხრა? ყველამ თავის კუდაპრეხილ მამიდას მიხედოს, — პატიმრის ძმას ულმაცერად შეხედა ხოსრომ, — გამიგე?.. თეთრებით ახლა მე ვთამაშობ და გიჩვენებ სეირს! — ვასილას ბიჭს მოუბრუნდა კოპშეყრილი ართმელიძე და ფიგურების დალაგებას შეუდგა.

— გამარჯობათ თქვენი, გამარჯობათ! — კარი კარგად არც კი იყო შემოღებული, რომ ჯერ სალამი შემოვიდა, მერე — მიხელა მინასიძე.

— ოჰ, მიხას გაუმარჯოს, მიხელას, წიგნის ნამდვილ ჭიამჭამელს, — თავის ნათქვამზე გაეცინა ხოსროს.

მიხელა ბატონო, რა რისხვა დაგვატყდა თავს, რა ხდება ზესკნელსა თუ ქვესკნელში. ეგება იცი რამე და არ დაგვიმალო, გვითხარი! რა წერია კარაბადინში, რაო!.. ერთი ორჯერ ისე მოაწვა ქარი ამ ქოხმახს, გავფრინდებოდით გვეგონა! — ვასილას ბიჭმა ფიგურების დალაგებაში კარგა გრძელი კითხვაც მოასწრო.

— რა ვიცი, რა გითხრა ბიძია, რადიომ თქვა, რიონის ხეობაში სუსტი, ზომიერი, ძლიერამდე ქარიო და, აა, სუსტიც ესაა, ზომიერიც და ძლიერიც! იმათ უკეთ იციან და ასე ამბობენ, მე რაღას დავუმატებ მეტს, თუ არა იმისა, ქარიშხალი იქნება-მეთქი. რადიოპროგნოზებს დათიას რემატიზმით ვამოწმებდი ხოლმე და, მგონი, გაგვჭრა ყელი, მოურჩა იი ტკივილი და აწი რა გვეშველება, ღმერთმა უწყის... ისე, ბიძია, ზამთარი წელშია გატეხილი, წელს დიდთოვლობა არ იქნება, დასტურს ვიძლევი, ახალი წლის შემოდეგს კი შემოექამა ნახევარი იანვარი და, ახლა...

— მაისში არ გინახავს ჩვენთან ჩამოთოვილი? ერთხელ ხუთ ივნისსაც კი მოთოვა, აბიბინებული ყანები და ბაღბოსტნები სულ მიბელ-მობელა! — შეაწყვეტინა მიხელას გადარეული სოსიას სიმამრმა ტატუშა ლობჟანიძემ.

— რა მაგის პასუხია და გუშინ იცით, რა მოხდა ამერიკაში?

— მოეშვი მაგ ამერიკას, ჩემო არისტო, თუ კაცი ხარ, ისინი თავისთვის არიან, ჩვენ კიდევ ჩვენთვის ვიყოთ! — ხოსრომ ამასობაში მხედრით გააკეთა სვლა.

— მაგ სვლას ოფიცრით თამაში ჯობდა, — კოწიამ ახლა შეაწია სიტყვა ართმელიძეს.

— თავიდან ვერ მითხარი?

— მსაჯები ნუ ერევიან მატჩის მსვლელობაში. ისე, თუ გინდა, დააბრუნე ეგ ბეხრეწი ცხენი და გამოწკეპული ოფიცერი ითამაშე! — უშელავათა ვასილას ბიჭმა ხოსროს.

— ესე იგი, არ იცით, რა მოხდა გუშინ ამერიკაში, ხომ? — გაიმეორა კითხვა არისტო ტელემ.

— ჩვენ კი ვიცით, იმათ თუ იციან, აქეთ რომ გრიგალი დაგვატყდა და ცაში აფრენას რო გვიპირებდა? — ჩაერთო კამათში მეორე არბიტრი, გურგენა მოლარე.

— ჩემო არისტო, წელანაც კი გითხარი, ამერიკას თავი დავანებოთ- მეთქი, გამოცდილი კაცი ხარ, ბევრის მომსწრე და მნახველი, მითხარი, თუ ღმერთი გწამს, წელს დიდს ითოვლებს თუ არა? ამაზე არაფერს ამბობენ ამერიკელები? თივა არ მაქვს სამყოფი და მიტომ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგჩივლე: ეგება გული გავიქეთო. თვარა! — ართმელიძემ ახლა დედოფალი ჩამოაჩოჩა მეფისკენ.

— შეიძლება მოთოვოს, შეიძლება — არა!

— ეგ ხომ მეც ვიცი!

— აპა, თუ იცი, რაღას მეკითხები, შე კაცო! ამერიკის ამბავი მკითხე! გეტყვი, აქაურისთვის მცალია ახლა მე?

— ხუმრობ თუ მართლა ამბობ?! — მიხელამ ალმაცერად გახედა არისტოს.

— ხუმრობისა რა მეტყობა! ისეთი ამბავია ახლა ამერიკაში, რომ...

— მოთოვს, დიდს მოთოვს, უსაშველოდ დიდს მოთოვს, ხარ-მარხილი რო ვერ გაინძრეს, ისეთს მოთოვს! — ხელი ხელზე შემოიკრა ტატუშა ლობჯანიძემ.

— შენ თუ კაცის გულის გასახეთქი არა თქვი რა, ისე ხო არ მოგასვენებს გამჩენი! — ორმაგად დაეღრიჯა სახე ართმელიძეს, ფიგურა სულ უმოწყალოდ მოაკვლევინა ვასილას ბიჭს.

— თვალში ვერ იხედები? — გაუწყრა კოწია.

— ტატუშა ლობჯანიძის ენის გადმოგდების მერე თვალში გამოხედვა კი არა, შეიძლება კაცს სისხლიც ჩაექცეს, — ისევ დაილმიჭა ართმელიძე.

— სისხლი თვარა, შენც ანკარა გაქვს, აი! — უკბინა ტატუშამ.

— არა, არა, ნუ გეშინია, ხოსრო, არავითარ შემთხვევაში არ მოთოვს ისე უსაშველოს, რომ თივა არ მიგიწვდეს გაზაფხულის პირამდე. ნახევარი ზამთარი გასულია! ტატუშა რა, თოვლით სავსე წისქვილის ხვიმირას უზის და სარეკელა ხელში უჭირავს, თუ? მაგის ამოროყინებას მოუსმენს მამაზეციერი? მეტიმც მეხი ტატუშას თავს, რავარც! — მიხელა მინასიძემ წყალში ჩაუყარა ტატუშას მთელი ზამთარი.

— თუ დიდი არ მოთოვოს, კაცი არ ვიყო მაშინ! — ისევ დაჩემებულად, დაჟინებულად თქვა ლობჯანიძემ.

— ტატუშ, შე ყიამყრალო, გულს ნუ მიხეთქ, მეყოფა ნერვების აშლა, მგონი კიდევ ვაგებ პარტიას! — ართმელიძემ ახლა იქით, კარგა გრძელზე ჩააჩოჩა დედოფალი.

— რას დაათრევ აქეთ-იქით მა კახპა დედოფალს! — შეუყვირა კოწიამ.

— ჩემს დედოფალს მინდა აქეთ მოვისვამ, მინდა — იქით! — ეწყინა ხოსროს ამდენი დარიგება.

— არა, ნამდვილად არ მოთოვს, არა! — მტკიცედ თქვა მიხელა მინასიძემ და ღუმელს შეშით შეუჩინჩხალა.

ქარში არეულმა ხოშორა თოვლმა ერთი გვარიანად დაუსისინა ბიბლიოთეკის შენობას და ფაიებში ამოყვანილ ფიცრებს წკაპაწკუპი დააწყებინა...

— ჩვენ მეორე სერიაში გავფრინდებით! — წყნარად თქვა ვასილას ბიჭმა, სასიამოდ გაიზმორა, მერე მარცხენა ხელი ფრთხილად შეახო თავის ფიგურას და ხოსრო ართმელიძეს, ყოველგვარი ხარისხის გარეშე, თვალსა და ხელს შუა, ტურა (ეტლი) ააფცქვნა.

ხოსრო ისე დაილმიჭა, თავის თავი კი არა, მგონი, ტურა შეეცოდა.

— გახედეთ, ხალხო, გახედეთ, როგორ თოვს, მეტრზე მეტს დადებს სამ დღეში! — არ იშლიდა თავისას ტატუშა ლობჯანიძე.

— კაი, კაი, შენი ნათქვამა იყავი მთელი ცხოვრება და ამ სიბერეში რა ეშმაკი გამოგასწორებდა! — ცხვირი გვერდზე მიიღო მიხელა მინასიძემ.

— შეიძლება მოთოვოს, შეიძლება — არა! — კიდევ ერთხელ დაასკვნა არისტო ტელემ.

— ნაძლევი დავდოთ, ნაძლევი, აპა! ვისაც გინდათ! დღეს ხოა თვრამეტი იანვარი? ხო ვარ სწორი, ნინუცა, ბოშო, ჰა? ოცდახუთში ერთი მეტრი იქნება, შეიძლება მეტიც! — აზარტში შევიდა ტატუშა.

— კაი, კაი! — ახლა აქეთ მოატრიალა ცხვირი მიხელამ.

— რა ცხვირს იბზეკ, დავდოთ ნაძლევი! — თვალი დაადგა მიხელას ტატუშამ.

— წააგებ, შე გაჭირვებულო, და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე. კაი გრძელი თორმეტი თვე. მთელ სოფელს. შენი ცრემლი გაუხდება საწ-მეხდად.

— თუ ოცდახუთ იანვარს ერთი მეტ-რი თოვლი არ იქნა, ჩემ შავ მოზვერს ამოვიყვან და შენს ბოსელში ჩემი ხე-ლით დავაბამ. თუ იქნა და. ეჭვიც არ მეპარება. მისი საფასური. სოფელი რო შეაფასებს, უცრემლოდ გადამიხა-დე! გაწყობს? — ხელი გაუწოდა ტა-ტუშა ლობჯანიძემ მიხელა მინასიძეს.

— შენი შეშინებული კაცი შევარცხ-ვინე, ისიც მიხელა მინასიძე! მოვდი-ვარ! — ხელს ხელი შეაშველა მიხე-ლამ. — ჩაჭერით ბიჭებო. მოწმეე-ბო. — დაიყოლა ბოლოს მინასიძემ.

— ასე ალია-ბალიაზე არა. დაწეროს ნინუცამ. ჩაავვირისტოს. მერე ხელი მოვაწეროთ ჩვენცა და მოწმეებმაც! — მკაცრად მოითხოვა ტატუშამ სანაძლე-ოს გაფორმება.

— ტვინი რო არა გქონდა. მაშინ მივხვდი. გადარეულსა და შოლოფორთ სოსიას შვილი რო გაატანე ცოლად. მარა სულ თუ არა მოგეპოვებოდა რა მაგოდენა გიდელივით თავში. ფეტვის მარცვლის ტოლა მაინც. ეს კი აღარ მეგონა! — თამაში მიატოვა ხოსრო ართმელიძემ და სანაძლეოს გაფორმე-ბის ცერემონიალში ჩაყო ცხვირი.

— ესე იგი. რა მოხდა გუშინ ამერი-კაში, კალიფორნიის შტატში. არ იცით, ხო? — მოგვიანებით წამოყო თავი არისტო ტელემ.

ისეთი სიცილი ატყდა, ბიბლიოთეკას კინაღამ ჭერი ჩამოექცა.

— ამერიკა ვის რაში სჭირდება, ან ვინ ოხერია და ტიალი...

— კაი, ბატონო, კაი. ძალიან კაი. მოვეშვათ ამერიკას... ამით ერთი კვირა მაინც გაერთობით თქვენცა და სოფე-ლიც — ან მოთოვს, ან — არა!.. მარა. ჩვენ რაი. მოწმეებს. ვირის ფეხები? — არისტოც ჩაერთო სანაძლეო-საქმეში.

— პურ-მარილი ნინუცასთან ერ-თად! — ბეჭედი დაუსვა მიხელა მინა-სიძემ. მერე კი. რაიმე იმხაირი არ მოხ-ცესო. ძალიან გარკვევით მოაწერა ხე-ლი ფურცელს და რიცხვიც გულმოდ-გინედ დაუსვა.

ესეც კიდევ ერთი მოგებული სა-ნაძლეო. ერთიასად. ერთიასად! — მჯი-ლი დაიკრა ტატუშა ლობჯანიძემ. მერე კალამი აიღო. ასო-ასო ჩაავვირისტა თავისი სახელი და გვარი და ისე შვე-ბით ამოისუნთქა, თითქოს მოგებული მიითვალა და. ეს-ესაა. სახლისკენ უნ-და გაუდგეს გზასო.

ქარმა თითქოს პირი შეიკრაო. მთელი ათი წუთი სოფლისთვის თავი არ შეუხ-სენებია. სამაგიეროდ ისე გულიანად და კიწკიწ ბარდნიდა. ბიბლიოთეკის ფანჯრიდან პირველი მოსახლე აღარც კი მოჩანდა.

ტატუშა ლობჯანიძე წუთი წუთზე ფანჯარაში აძვრენდა მზერას და გულში ჩადებული იმედის საწყაო ნელინელ ევსებოდა.

მართალია. ხვავრიელად თოვდა, მაგ-რამ მიხელა მინასიძეს ეშმაკიც კი ვერ დააჯერებდა. ერთი მეტრი თოვლი მო-ვა. მაინცდამაინც ოცდახუთი იანვრის-თვისო. თუმცა შიშის ჭია რომ სახვრე-ლად შეუძვრა. უმალვე დაეტყო — ხშირად გაურბოდა თვალი ფანჯრისკენ, ფანტელებს ისე უყურებდა. თითქოს ითვლის კიდეცო.

...ქარმა ისევ მოიქნია კუდი. ფრთა აიხვია, აირგოლა, ბიბლიოთეკის ფან-ჯარასთან დატრიალდა. ქარბორიო დას-ცა. მერე მაღლა აიწია, აისვეტა, საკ-ვამლე მილს ჩაქშინა. სამკითხველო დარბაზში მჭვარტლიანი კვამლი მკით-ხველ-მოკამათეებს ზედ სახეზე შეაფრ-ქვია. ვაი-უშველებელი ხველა და ცემი-ნება აატეხინა. მერე. ვითომც აქ არა-ფერიო. ზურგი შეაქცია იქაურობას და შემოშიშლიგებულ ხევში ჩაისისინა.

ხოსრო ართმელიძე პირდაპირ კარის წინ უჯდა ღუმელს და. იმას დღე ეწია. ისე გაიმჭვარტლა. ცოლი კი არა. რიო-ნიც ვერ გარეცხავდა.

არც კოწია იყო ნაკლებ დღეში. გურ-გენა მოლარემ. — გასასვლელში იჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, — მალე უშველა თავს. ტატუშა ლობჟანიძემ კი გაიფერთხა ყავისფერი პიჯაკი, მუხლებზე ჩაიკრა ხელი, მაგრამ, რატომღაც გული აერია, გარეთ გავარდა და ფურთხებასა და გინებას ერთად მოჰყვა... ერთი სიტყვით, სკასავით არივ-დარია ქარმა სამკითხველო დარბაზი...

— ხომ ვთქვი, მოთოვს-მეთქი! ნაღდად მოთოვს! გამოხედეთ, გამოიჭვრიტეთ, — კარი ფართოდ გაალო ტატუშამ. — აა, ნახავთ, თუ არ მოთოვს! აგერ — მე, მადერ — თქვენ! — ეს სიტყვები ხმამაღლა დააგდო ლობჟანიძემ ბიბლიოთეკის ზღურბლზე და იქაურობას გაერიდა.

— არ მოთოვს, არა! — არისტომ სიტყვა გაადევნა ტატუშას.

— წამოგვპარვია საღამო, მოსულა წასვლის დრო. ჩვენ ვერ მოვიგონეთ და ქარმა აგვშალა. პირუტყვს რწყულება უნდა, ჩაკარებ-ჩასუფთავება, უნდა! — მიხელა მინასიძემ სკამი კედლისკენ მიაჩოჩა, მუხლი გაიმართა, ხელები მიიფშვნიტ-მოიფშვნიტა, დაამთქნარა კიდეც.

— ტატუშას ჯინაზე არ მოთოვს, არა! — ახლა მინასიძეს შეეხმიანა არისტო ტელე და იმანაც გვარიანად გაალო პირი, ჯერ დაამთქნარა, მერე კი ყვრიმალები მოიზილა...

ნინუცამ გრძელი მაგიდა სახელდახელოდ მოაწესრიგა, ღუმელს შეშა მოარიდა, მერე ბიბლიოთეკას ბოქლომი დაადო, ქოლგა გაშალა და შარას გაუყვა...

●

ტატუშა ლობჟანიძე სიფრთხილით მიუყვებოდა გზას. ნამეტნავად ურჩევდა ფეხს, არ შემცდეს, ყინულზე არ დავადგა, არ მოვსრიალდე და ზღართანი არ მოვადინოო. სანამ იაგორას კაკლის ხეებამდე ჩავიდოდა, ოცჯერ მაინც ახედა ცას; პირჯვრის გამოსახვას ხომ სათვალავი არ ჰქონდა — გულით თხოვდა მამაზეციერს, ოცდახუთ იანვრამდე ნუ გამიგრძელებ, ნუ გამტანჯავ, უკეთეს დროს როდისღა იპოვი, ღრუბელიც ფეხწინ გაქვს და თოვლიც, ამაღამვე მოუშვი ხვიმირას თოკები, სარეკელას თითო შემოკვრამდე ბათმანბათმან აყრევინე და აბარდნინეო...

ქარმა ლობის ღრეჩოდან თავი გამოყო და შარას დაუსისინა...

„შენ ჩადექი! ჩადექი-მეთქი, გეუბნები! იცოდე, ღრუბლები არ გადარეკო! თუ მეხმარები, პირიქით ქენი, აქეთ ჩამორეკე, აქეთ, ჩვენს სოფელში! რავა, ადგილი არ გიტევს, მე შენ გეტყვი, თუ? თოვლი მინდა მე! მარტო მე კი არა, მთელ სოფელს, ქვეყანას! მიხელას გარდა, ახლა ყველას უნდა თოვლი! კარგი და ძვირფასი მოსავალი იცის დიდთოვლობის მერე! ნაძლევსაც მოვიგებ და მთლად უკეთესი!.. ნაძლევის მოგებაზე უკეთესი არა არის რა!.. გაუწვდი ხელს, გამოგიწვდის! იტყვი, მოგყვება! ის — აგებს, შენ — იგებ! შენ რომ გიხარია, იმაზე მეტად ცოლი ივსება და იბადრება სიხარულით! კი, ასეა შეხმატკბილებული ოჯახი, ჩემმა მზემ!.. ეს კი, მარა, — უცბად სახე მოექცა ტატუშას, — რო არ მოთოვოს?! ეაუჰ!.. არ მითხრა და არ გამაგონო, თუ კაცი ხარ, მაგნაირი სიტყვები! რას მიქვია, არ მოთოვოს! რაღაი ვთქვი, უნდა მოთოვოს კიდეც, აპა!.. შენ ხარ ჩემი ბატონი და მე ვარ შენი... მე შენზე მლოცველი ვარ და არ მიყელო ახლა, თოვე და თოვე, რა გენაღვლება, რას კარგავ ამით, რასაც გასცემ, მეტს თუ არა, ნაკლებს მაინც არ მიიღებ, თანაც ხალხს უნდა დიდი თოვლი... ჰო, ახლა გამახსენდა, არც ხოსრო ართმელიძეს უნდა დიდი თოვლი... იცი, რატომ არ უნდა? გეტყვი ახლავე! ზარმაცია, ოხერია და ტიალი! მთელი ზაფხული იგორავა სახლსა და ბიბლიოთეკაში, ღვიძლი მაწუხებსო! ჯობდა, სინდისს შეეწუხებინა და კოლმეურნეობაში ჩემნაირად ემუშავა და ოფლი ეღვარა! თივა არ მაქვსო! საიდან ექნება, თუ არ მოთიბა და მოზვინა, თუ არ გეიხარჯ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავში!.. არისტომ რო მიოხრა, გასკდი გულზე. არ მოთოვსო? ჰა! იმან ხო ბევრი რაღაცები იცის?!. მართლა რო არ მოთოვოს, ხო დავილუპე და ის არის! ამხელა მოზვერი, თვალებბრიალა, შავტუხა მოზვერი. არ გინდა გადააგდო ერთი ხელის გაწვდაზე, მუქთად?!. რავარია, ახლა, ჩააბა საბელი და გადაიყვანო ეზოს გარეთ, მიხელა მინასიძის ბოსლის ბაგამდე მიაცილო!.. ყოველ წელს თოვდა ორ მეტრამდე და ახლა რა ეშმაკი გადააფიქრებინებს!.. ვთქვათ და, მოთოვა! არა, რას მიქვია, ვთქვათ და, რო მოთოვს, ეჭვიც კი არ მეპარება, მოთოვს, აპა, რას იზამს! ჰო, ჰო, როგორ გაეხარება ჩემს დედოფალს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმის ვითარებას გაიგებს და ფულსაც რო მიითვლის, წინასწარ ვიცი, გაიბადრება სიხარულით, სანთელივით დადნება და რაღაცნაირი წაქეზებით მეტყვის: კაცმა წვალებით, ჯახირითა და ოფლის უშნო ღვრით კი არ უნდა იცხოვროს, გუმანითა და ჭკუა-მოხერხებითო! კი და კი! ჰო და ჰო! გეთანხმებით, ქალბატონო ელპიტე, სწორი ბრძანდებით, ცამდე მართალი!“

ცამ ტატუშას ნაძლევი გაახსენა და ისევ მაღლა აახედა. ჩამოქუფრული, ჩამოტყვიებული ღრუბლები მძიმედ ჩამომხობოდნენ სოფლის გაღმა- გამოღმეთს...

„კარგია, თოვე და თოვე, თოვე დაუსრულებლად, აჰა, შენ იცი, ოც იანვრამდე რამდენ მტკაველს ჩამოყრი... თუმცა... თუმცა რატომ რამდენიმე მტკაველს, რაღა აკლია მეტრა თოვლს, რაღაც ოცდასამიოდე სანტიმეტრი... დილამდე თუ ასე უშინა და უჟიჟირაკა, მორჩა და გათავდა, ხვალვე შემიძლია სანაძლეო ოჯახში მოვიტანო“.

ის იყო თვალი კიდევ იბრუნა ცისკენ, რომ გოგიტაანთ ჭიშკარს, მეზობელი სოფლიდან ახლად მოყვანილი, ნაჩუქარი ნაგაზი მოაწყდა და ისე ხმამაღლა ატეხა ყეფა, ტატუშას ჯერ გული შეუქანდა, მერე, კისრის შებრუნებაზე, ფეხიც აუცურდა და თოვლწაფარებულ ყინულზე ისეთი ზლართანი მოადინა, თეძოს თუ წამოიწევდა, თვითონაც აღარ ეგონა.

— მეტი არა გააჩუქა რა შენმა გამომჩუქებელმა და მერე ახალმა პატრონმა! — მიაძახა ძაღლს.

ძაღლმა თითქოს წყევლა გაიგონაო, უფრო ატეხა ყეფა, ის კი არა, ღობეზე გადმოხტომაც კი დააპირა, დაბალ ადგილს დაუწყო ძებნა.

— ნძააა, ნძააა! — დატუქსა ახალმა პატრონმა ნაგაზი.

— კარგად დაუძახე, გულიანად, არ გადმოხტეს და არ დამკბინოს, თორემ, სახლამდე როგორ ვერ მივალ, გამოვიტან იმ ორლულიან თოფს, ამოვალ და მაგ რეგვენ შუბლს ვაშლივით გაგიხლეჩ, მერე მაგ ძაღლსაც ზედ დაგაკლავ... ერთი შენც ხარ, რა... რა ეშმაკად გინდოდა ძაღლი, თვითონ ძაღლი არა ხარ? თუ, ნაკლები ყეფა იცი!.. ძაღლი... ძაღლი მიგაკვდა სულში... მე შენ გეტყვი, ზანდუკები გაქვს სავსე ფულითა და ოქროთი და არავინ გაგძარცვოს, იმის გეშინია, გიცხონდა ბაბუის საფლავი, წიიტ, შე უნიფხო, შენა! — ბოლო სიტყვები რატომღაც ისე ჩუმად თქვა ტატუშამ, მეზობელს კი არა, ძაღლსაც არ გაუგონია.

— ნძაა! ნძაა! — ისმოდა ჭიშკრის იქით მეზობლის ხმა.

ტატუშამ ფეხათრევით ჩაიარა თოვლიანი შარა...

●

...მიუყვებოდა აღმართს მიხელა მინასიძე და გულში ჩაგდებულ სანაძლეოზე აშლილ ათასნაირ ფიქრს ჯარასავით ატრიალებდა...

„ რა ღმერთი და ხატი გაუწყრება და მართლა ერთ მეტრს მოთოვს! მახსოვს და... კი, რავა არ მახსოვს! ერთი მეტრი კი არა, ოცდაათი სანტიმეტრიც კი არ მოუთოვია კარგა ხანია... ერთი ორჯერ კი იყო ვითომ დიდთოვლობა, მარა, არც ისეთი უსაშველო. მეტრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი არც კი იქნებოდა.. რაღა წელს გადაირევა ცა და ღრუბელი... ისე, კი უნდა მენახა, რამდენი სანტიმეტრი იყო ახლა... ტუტუშა ლობჯანიძე ეშმაკზე ერთი თვით ადრე როა გაჩენილი, კი უნდა გამხსენებოდა სანაძლეოს დადებისას. ვნახავ აპა, — ეს სიტყვები ხმამაღლა თქვა მიხელამ. დაიხარა, გაშლილი ხელი აფუმფლილ თოვლში ჩაყო და წამსვე ენა ჩაუვარდა. მერე ნელინელ გასწორდა და ისევ ფიქრზე გადავიდა, — ვაი, შენს მიხელას და უი! ეს კი იქნება ახლა კაი სამოცდაათი სანტიმეტრი, თუ მეტი არა და. მიყარე კაკალი ახლა!.. არა, რავა პატარა ბავშვივით ერთი ხელის გამოწვდაზე დავენაძლევე... გავსულიყავი გარეთ, ძირს თუ არა, სახურავებისთვის მაინც შემევლო თვალი და თოვლის სისქე თვალზომაში დამედგინა!.. არა, არა, რავა დავიჯერო, გაგიჟდება ზესკნელი და მეტრა თოვლს ჩამოყრის. ერთი კვირის იქით კისერიც მოუტეხია, იმდენი უქნია და უთოვია, ზვავებსაც ჩამოუტანია ფოცხვრების მთა და ხევი, როგორ თუ მოთოვს, ყველა წინასწარი პროგნოზები ხუთი თითივით ვიცი და მახსოვს, არა, არავითარ შემთხვევაში არ მოთოვს! ის მოზვერი მალე გადმოებმება ჩემი ბოსლის კანდრივზე!.. აივნიდან რო გადმოიხედავს, კესარიას სიხარული ნახე მაშინ: ბოშო, ამოიღე ხმა, სად შეიძინე, ვინ გამოიმეტა გასაყიდად ეს მშვენიერი მოზვერი? ამოიღე, ბიჭო, ხმა, ენა ხომ არ გადაყლაპე, ბეჩა! მე ისევ ჩუმად ვარ, კესარია მინდა გამოვაბრაზო, საბელი ახვეული მაქვს და კრიალოსანივით ვათამაშებ. ახლა კი, ცოტა გულმოსული, კესარია მესამედ გაიმეორებს: ბოშო, არ იტყვი, რა დაჯდა მაგ მოზვერი? აა, ახლა კი ვიღებ ხმას: ჩემო კესო, ეს მოზვერი ერთი ჭკვიანი კაცის ჭკუა დაჯდა-მეთქი! როგორ თუ ჭკუაო, მეტყვის აუცილებლად, როგორ და ჩვეულებრივად-მეთქი, ვეუბნები მე და ვაგრძელებ: მე უფრო ჭკვიანი ვარ, საზრიანი და გუმანიანი, ვიდრე ტატუშა ლობჯანიძეა-მეთქი! რავა, ბოშო, ეგ აქამდეც არ იცოდიო? შეიყრის წარბს კესარია, მარა იქვე ვპასუხობ, მე კი ვიცოდი, მარა, იმას არ ცოდნია-მეთქი! მერე გავაღებ ბოსლის კარს და ნიშა ხარის გვერდით კანდრივს გამოვუნასკვავ ახალ ბინადარს, გავიფერთხავ ხელებს. ეს ერთი და სხვა მრავალი-მეთქი, ვიტყვი, შევალ სახლში, ჩამოვჯდები თბილი ღუმელის გვერდით და თავიდან ბოლომდე, მარცვალ-მარცვალ, ჩამოვუკაკლავ კესარია ქალბატონს ნაძლევის ამბავს, აპა, კი, ასე იქნება ეს, წყალი არ გაუვა..."

მიხელა მინასიძეს მარჯვენა ფეხი დაუსხლტა, წაიფორხილა, არ დავეცეო, მარცხენა ხელით თოვლს დაეყრდნო, უსიამო ჟრუანტელმა დაურბინა თავითფეხამდე, არ ესიამოვნა, თოვლის საფარი რომ მაღალი იყო, ახლოს რომ იყო სანაძლეოს ზომამდე. მწყრალად შეხედა ცას, ღრუბელს შეაფურთხა კიდეც, მერე, კარგა გასაგონზე, თავის თავს უთხრა: შენ ხომ იცი, კაცო, ქარი როცაა, გრიგალი როცაა, თოვლი ზუსტად მაშინ არ მოდის, არავითარ შემთხვევაში, ასე ვიცი და ასე გამიგონია ძველებიდანაც, თოვლს, შენ ხარ ჩემი ბატონი, უფრო წყნარი, ჩამჯდარი ღრუბელი, უქარო დღეები და სულ სხვანაირი სითბო-სიცივე უნდა, ხომ ვარ სწორი, ამოიღე ხმა, თუ ძმა ხარ!..

კესარია გამოჩნდა გზაზე, ქვევით მოუყვებოდა. ცოლის დანახვაზე მიხელამ ლაპარაკი მიატოვა, წამით შეჩერდა კიდეც. მერე ნაბიჯი ისევ გაიმართა, ხელები ლონივრად მიიფშვნიტ-მოიფშვნიტა, დაწყებული სათქმელ-სადარდებელი თუ საფიქრალ-საამბობელი ისევ მოადგა ენაზე, მაგრამ ახლა უკვე ხმადაბლა, ჩიფჩიფის მაგვარად, ტუჩების ცმაცაცმუცში გამოიჭეჭყა: „კესარია, რა იყო, შე ქალო, რა წარბი გადაგიფსკვნია, მომყავს ტატუშას მოზვერი და მოვდივარ. იიჰ!.. რა მოხდა, ცოტა თუ შემაგვიანდა, ნადავლი ხო მოგწონს, ხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირს საღირლად, ხო ღირს ერთ ბოსელ საქონლად!.. აჰა, ამხელა კაცი, ტყუ[illegible]ად მოვცდებოდი ამ წლიოდენ დღ[illegible]!".

ქმარი რომ დაინახა, კესარია გაჩერდა. წამის მესედით მიხელაც შეყოვნდა, გუნებაში ერთხელ კიდევ მოქაჩა მოზვერსჩაბმულ საბელს. მერე... მერე, თითქოს, გულის ძირზე რაღაც უხილავმა უკბინაო, მისდა უნებურად გააყრუოლა. წამით ხასიათი მოეწამლა, სახე ხუთ-ექვსნაირად მიექც-მოექცა... „კი მარა, მიხას ვენაცვალე, მიხელა ბატონს, რო მოთოვოს?!, რო მოთოვოს, რა გინდა, რო ქნა მერე! ხო აგიკლო ცოლმა, აგაოხერტიალა, მტრისას, კესარიას გადარევა, ვისაც არ უნახავს, ნურც ანახოს ღმერთმა... მერე და მერე ხომ შეგჭამს სოფელი და შეგახრამუნებს! სოფლის ყბაში ჩავარდნას, ნიანგის ყბა ათასწილად სჯობია, გადაგყლაპავს ქე მაინც და შენც მორჩები და ისიც! სოფელი გამოგიღეღრლავსა და გამოგიტკვერს, როცა დაჭირდება, მაშინ წამოგძახებს! არაა! არა! არ მოთოვს ერთ მეტრს ოცდახუთი იანვრის საღამომდე, არა და არა! რავა მოთოვს, კაცო, ნუ გამაგიჟებთ, ამ ჭკვიან კაცს! — ხელები ისე გაასავსავა მიხელამ, თითქოს სანაძლეო ფურცლის ხელმოწერაზე მტკიცე უარი თქვაო, — ღმერთმა ნუ ქნას, თორემ კესარიას რა გაუძლებს, ხო გამომიყვანა ფწკალაში, ხო მადინა ზურგზე ბული, ხო გამიხვრიტა ყურის ბარაბნები, რამ დაგანაძლევა, რამ აგაკოკოცა, რამ გაგაბრიყვა მაშინ, როცა ენაძლევებოდიო! ჭკუა რატომ არ გაგიწვდა, როცა მაგ საქმეს ჩადიოდიო! არ იცოდი, რო ყინვა-ყიამათ იანვარში ერთი მეტრი კი არა, ორი მეტრიც კი შეიძლებოდა მოსულიყოო? თუმცა, როდის გქონია ტვინი, ახლა რო ამოგჩენოდაო! მთელი ზაფხულის ნაგროვებნაწვალები, გროში-გროშ ნაკოწიწები, უნდა გამოვფალო მუთაქიდან და სულწაწყმედილ ტატუშა ლობჟანიძეს ჩავუთვალო ცხრადდაკერილ ჯიბეშიო! გიცხონდა მამა, რავარც, მიხელა მინასიძეო!.. არა, არა, ასე არ იქნება! არ იქნება, შე ქალო, რავა წინასწარ მიხეთქ გულსა და მიპრეწავ ნერვებს, იმედის ნატეხი მაინც მომეცი, მთელი თუ არა გაქვს და ვერც შოულობ, კაცი იმედით ცოცხლობს, გამიგონია ოდითგან! რაღა ახლა მოთოვს, მთელი ბოლო ათი წელი ფიორ-ფიორა ზამთარი იყო და ახლა გაგიჟდება, ახლა გადიქცევა მოსავლეთად?.. კესარია უფრო ცხარდება მიხელას გულდამშვიდებაზე და უფრო უწევს ხმას: კაცო, შენ რა იცი, როდის გაგიჟდება ზევით ვიღაც! ათი წლის ღანაზოგი ერთად რომ ჩამოყაროს, ერთი მეტრი კი არა, სახლის სიმაღლე არ ეყოფაო! კარგი ვინმე ხარ, რა! ზამთარში თოვლის მოსვლაზე როგორ ენაძლევებოდი კაცსო! ზაფხული რომ იყოს, კიდევ მესმისო! არ გინდა ახლა კოპის შეყრა, კესარია ძვირფასო, მოვეშვათ ახირებულ რაღაც-რაღაცეებს, წაგება იქით დარჩეს ტატუშა ლობჟანიძეს, დარჩება კიდეც. აპა, სხვანაირად რაფერ იქნება!.. შენ კი, ქალბატონო კესარია, ჩამომართვი კრიალოსანივით ასხმული საბელი და მოზვერს გულიანად მიხედე!"

— ეგ ოხერი ბიბლიოთეკა, ახლა, სიბერეში რო ვაკვირდები, ნამდვილად გეთაყვანებს! საერთოდ რა ხდება მაგ წიგნების საკუჭნაოში, არ მესმის!.. რავა ბედოვლათივით მოლაყუნობ, რა იყო, მოხდა რამე ისეთი? — კესარიამ თვალი გაუწვრილმანა ქმარს.

— თუთხმეტი ხელი ჭადრაკი წააგო ხოსრო ართმელიძემ!

— ხო-ხო-ხო-ხო! მაგასაც საგვარეულო დედულ-მამული ექნებოდა ჩადებული ნაძლევში, აი!.. ხოსრო ართმელიძეს რავა მიუჯდება ჭკვიანი კაცი და მთელ დღეს მისი ყურებით მოცდება! აგერ აა, ახლახან, გაზეთში წავიკითხე, მთიან სოფლებში, დიდ ზამთრობას, რას აკეთებთ, თავს რითი და როგორ ირთობთო, ეკითხებიან ვილაცები მთიელებს. რას გვიქვია, ვირთობთო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიზიაქობენ, ეჩხუბებიან და ერთ ვაივიშს აწევენ შემკითხველს, ვისაც რა შეგვიძლია, ვისაც რა გამოგვდის ხელიდან, იმას ვაკეთებთო, აკვნებს ვთლითო, ნიჩაბ-სახვეტებსო, ტოტებს ვაწყობთ, ვრანდავთ, ვაშალაშინებთ, ჭირს ვიხდით, ლხინს ვიხდითო...

— მოიცა, ქალო, მოიცა!.. გაზეთებში სულ ეგრე წერია, სწორია და ეგრეც უნდა ეწეროს, მარა, ჩვენ, პირადად, ამ წუთში, არც აკვანი გვჭირდება და არც ნიჩაბ-სახვეტი, არნადი რო ქვია ისა, — შეაწყვეტინა მიხელამ ცოლს. — ჩვენთვის ახლა ყველაზე მთავარია, დიდი არ მოითოვოს, ერთი მეტრი!.. ერთი მეტრი თოვლი დიდი უბედურების მომტანია ჩვენთვის! — დაუსვა ბეჭედი მიხელამ თავის ნათქვამს, ცოლს მკლავში ხელი გაუყარა, მიაბრუნა და სახლისკენ წაიყვანა.

— გამიშვი, ბოშო, ხელი, დაგვინახავს ვილაცა და...

— ვილაცა, თვარა, ხმას გაიტანენ, მიხელა ისე ელლაბუცებოდა ზედ შუა შარაზე კესარიას, რაცხა იმნაირი ხდება მაგათშიო!.. ოთხი შვილის დედასა და თხუთმეტი შვილიშვილის ბებიას... ეეე, სიბერის ჭირს რა ვუთხრა, თვარა... თვარა, კიდე გამოგიტკვერდი... წირვას გამოგიყვანდი... — სალიმილო იერმა ლოყები ამოუბურცა მიხელას.

— რა, მიწუნებ, თუ? მეხიც კი დაცემია შენს გამგიჟებელს, იმ კუბოსავით ბიბლიოთეკას! უყურე შენ?!. ძალლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო!.. კაცო, წისქვილში ხო ხარ ერთხელ მაინც ნამყოფი! კი, ხო? ჰოდა, წისქვილში ზედა დოლაბი მუშაობს, ქვედა კიდევ ვაჟკაცურად უხვდება... რო დაბერდი, აჯა მაინც არ გინდა გაიტეხო?! კი მახსოვს, გუშინდელი დღესავით მახსოვს, ნაგაზი ძალლივით თვალლია რო უწევქი ჩემს საწოლს და ილრიინებოდი!.. რავა, შენ არ გახსოვს?.. აი, დედასა, მე უნდა ვყოფილიყავი კაცი და მერე გიჩვენებდი, როგორ უნდოდა ჩამუხლება!..

— კესარია...

— არ უნდა ახლა კესარია-მესარია, შენ პირდაპირ ბოსელში წადი, პურუტყვს მიხედე, დაიხრჩო უწყლობით საქონელი, მე სალაფავს მოვიტან ლორებისთვის, ქათმებიც მშივრები არიან.., ნამეტანი რაცხა ჭირს დიდ მამალს, იმდენს ჩინჩლავს, არაქათი გამოსვლია, ყივილის თავი აღარა აქვს, დავამწყვდიოთ ცალკე, თვარა დააკვდება იმ ოხერტიალს ზედ და ვიზარალებთ...

— უცნაური თუ არ თქვი, დღეს რავა დაალამებ ისე! წაველი ბოსელში! — ხელი აწია მიხელამ.

კესარიამ სალაფავით სავსე ვედროებს კიდევ მიურ-მოურია ექვსთითა ლაფეხი, ცხელი არ იყოს, ლორებს პირი არ გამოწვასო, საგულდაგულოდ შეამოწმა, ოთხ-ოთხივე თითი ჩაყო შიგ, მერე წინსაფარი აიკალთავა, მარჯვენა თეძოსთან ქმრის ყურში ამოიყვანა, მოხალული ქერის მარცვლით აივსო, პურის ნატეხიც ჩაიდო წინსაფრის ჯიბეში, ხბოს ყბას გავუხსნიო, მერე ვედროებს წამოავლო ხელი და ბოსლისკენ წავიდა.

მიხელა გახევებული იდგა შუა ბოსელში, საწუნწუხესთან და ადგილს უთავისუფლებდა ტატუშას ხელიდან გამოსულ შავ მოზვერს.

„კაცი ბრძენი უნდა იყო, არც მეტი, არც ნაკლები! დიახ, ბრძენი! ჭკუას ისე უნდა ხმარობდე, როგორც კბილსა და ენას!.. ტატუშას შავი მოზვერი ნამეტნავად კარგად მოუხდება ამ ბოსელს! რა, სიმაღლეს დაუწუნებს თუ სიგანეს! ბაგის თავს ისე შეავსებს, მტერს თვალი წამოუვარდება... ისე, თივა კი მაქვს საყოფი, მაგი კი არა, კიდე რო რამე მაგნაირი მომაგებინა, იმასაც კარგად გამომიზამთრებსა და გამომიზაფხულებს!.. საბოლოოდ ამ დიდ ხარს გავყიდი და იმ ფულით პიანინოს ვუყიდი მეთექვსმეტე შვილიშვილს... კი, მარა, ბიჭი თუ დაიბადა? რათ უნდა ბიჭს პიანინო, პიანინო ქალების საქმეა! მანქანას ვუყიდი, ტანკს ვუყიდი!.. აჰ, არა,

ტანკი ღმერთმა დაწყევლოს! ისევ პიანინო ჯობია! დაუკრავს, იმღერებს, იცეკვებს... კი, მარა..., მარა... შენ ხარ ჩემი ბატონი, რო მოთოვოს? რო მოაღოს ცამ პირი სომიწო მეწყერივით და უსაშველოდ ჩამოყაროს?! რა პიანინოსაც იყიდი, იმასაც ვნახავ, მიხელა ჩემო"...

ეჭვნაჭამი მიხელა ბოსლიდან გარეთ გავარდა, ქუდი მოიძრო და ცას გულისგულ ახედა. სიღრმეში, ცის გუმბათში, ღრუბელი ჯავრივით ირეოდა, ფანტელი კი ფიორ-ფიორ მოთამაშ-მოფარფატებდა...

— არა, არ მოთოვს, გასკდი გულზე, ტატუშა ოხერო, არ მოთოვს!..

— უნდა მოთოვოს, კაცო, რას ამბობ შენ, თოვლი მოსავლის დედაა! — ბოსლის კარამდე მოაღწია კესარიამ.

— არა, არ მოთოვს! ვთქვი და მორჩა, არ მოთოვს!.. თოვლი კი არა, კაცია და მისი მარჯვენა მოსავლის დედაცა და მამაც, ბებიაცა და ბაბუაც!

— ზამთარი იმის ზამთარია, უნდა მოთოვოს, ჩამობარდნოს... ჩამოყრის კიდეც, აპა, რას იზამს, — არ იშლიდა კესარია.

— არ უნდა მოთოვოს, რათ გვინდა ოხერტიალი ცივი თოვლი, ყინული და თქოში! — იყვირა მიხელა მინასიძემ და ხელები ცხრანაირად დაპარჭყა.

— შენ, ავათ ხო არა ხარ, კაცო?! — თვალში ჩახედა კესარიამ ქმარს.

— ავათ არა, ისა, კიდე...

— აპა, უთოვლო ზამთარი სად გინახავს და გაგიგონია... ახლავე უნდა ჩამოყაროს, რომა გაზაფხულისთვის არა შემოიტოვოს რა, ყვავილში არ ამოწვას ხილეულ-ბოსტნეული...

— ეეჰ, შენცა ხარ რა... დაჩემებული მოლაპარაკე... —ხელი ჩაიქნია მიხელამ, შებრუნდა და წაბლა ძროხას საურველი ჩამოუსვა თეძოზე.

ნიშა ხარმა, რატომღაც, ცოხნა მიატოვა, თავი გაიქნ-გამოიქნია, ნესტოებიდან საბერველივით დაუბერა, მერე ფილტვები ძალუმად გაივსო და, ქვეყნის გასაგონად, მკივანა ხმით დაიბღავლა...

მიხელა მინასიძემ ახლა ნიშა ხარს დაუურვა...

●

ტატუშა ლობჯანიძის ცოლი, ელპიტე ბოცვაძე, შარაზე ჩამომჯდარ ჭორიკანებსაც თუ დავუჯერებთ, ფრთიანი ქალი იყო. გაჭენებული ცხენიდან ოცი ვაჟკაცი მაინც ჰყავს ჩამოღებულიო, მითქვამ-მოთქვამდნენ ეზო-კარისა და შარა-შარა..., ეს კიდევ არაფერიო, — სოფლის ენას რა გამოულევდა საწეწკს, — დაჟინებით ამბობდა ზელიმხანა ჯოხაძე, ელპიტემ თქვა, დავდექ დედამიწას აზარმაცი და თუ ვერ გადავაბრუნებ, იმასაც გიჩვენებთო... ბევრი ამტკიცებდა, სოფლის ავანი, ჩიჩინი არ უნდა, თუ მიუშვი ელპიტე, მაგ საქმეს ნაღდად იზამსო, არც ტატუშა იყო ქვეყნის ობოლი, იმაზეც კარ-კარებს აბზობდნენ, ეგ ისეთი ოხერი ყავს გამჩენს, ქვაზე დასვამ, ქვის სახლს ააშენებს, ხეზე მიაბამ, ხის სახლში დაგხვდება, წყალში ჩააგდებ ყელზე ქვაშებმულს, წყლის სასახლეში მიგიპატიჟებსო... ერთი სიტყვით და ერთი პასუხით, სოფლის ენასა და ყურს თუ დავუჯერებთ, ელპიტე და ტატუშა ერთმანეთს შებერებული კარგი წყვილთაგანი იყო...

საღამო რომ ჩამოიღამა, ტატუშამ მსხვილფეხობას კიდევ ჩახედა ბოსელში, თივა-ჩალა ჩაუყარ-ჩამოუყარა, ნაქელი შუაყანოზე მოაგროვა, იქედან უტრიალა და ეფერა, აქედან ათვალიერა და დაუურვა შავ მოზვერს, ორჯერ- სამჯერ ლოიაზეც მოუტკაპუნა ხელი, მერე, გარეთ გასულმა, ცას კარგა ხანს უყურა და უყურა...

„რამ წამომაყრანტალა, რამ მათქმევინა, მაინცდამაინც ერთ მეტრს მოთოვსო. რავა, ოთხმოცდაათი სანტიმეტრი რო მეთქვა, სახაძლეოს მოგებას არ ეყოფოდა?" — ფიქრობდა ტატუშა თავისთვის და თან პირჯვარს ისახავდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგებას შესთხოვდა, ჩამომხედე, სიტყვაში არ მაღალატებინოო.

ვახშმობისას ისე ხმამაღლა ააყაყანა ხაზის რადიო ტატუშამ, შორიდან მაცქერალსა და მსმენელს ეგონებოდა, რადიოა ნამდვილი მასპინძელი, ელპიტე და ტატუშა კი — საპატიო სტუმრებიო.

— რა იყო, კაცო, სადაური უცუნი გეცა დღეს, რო, დღევახშმობამდე, ყურთასმენა მოგაკლო! რას აყვირებ მაგ პატიოსან კაცს, ჩამოაკელი ცოტა! ეგეც არ იყოს, მოშარავე მეზობელი ენას აიხვევს, ელპიტემ და ტატუშამ ერთმანეთს ისე დაუშინეს, ვიღაც, მესამე, ხმამაღლა აზავებდათო! — ენა მოიფხანა ელპიტემ.

— პროგნოზი მაინტერესებს, ქალო, ამინდის პროგნოზი! ბევრი რამეა დამოკიდებული თოვლზე, ამინდზე! — მძიმედ ილუკმებოდა ტატუშა.

— ღმერთმა დაწყევლოს თოვლი და უბედური ამინდი! რა გვეთოვლება და რა გვექარბუქება!.. ქალაქში ჩასასვლელები ვართ და ერთი და მეორე!.. შვილები მომენატრა, ფახულიები მინდა ვნახო და ჩავიხუტო გულისგულში... უმცროსი რძალი მინდა ცოტა ენაში გამოვიყვანო... თოვლიო, რა დროს თოვლია, მაგას რავა თხოვ ცისა და მიწის განმგებელს, მაგაზე რავა აწუხებ ღმერთს! არ გამაგონო მეორედ!..

ელპიტეს ენას ძვალი რომ არ ჰქონდა, საბოლოოდ დარწმუნდა ტატუშა ლობჯანიძე...

ხაზის რადიოდან ტკაცუნი გაისმა, წამით ყურები ცქვიტა ტატუშა ლობჯანიძემ, უკეთ მოსასმენად, რატომღაც, მარცხენა თვალი მოხუჭა, მარჯვენა წარბი აზწია, კისერი რადიოსკენ წაიგრძელა და გახევდა...

— ხვალ, ოც საათამდე, დასავლეთ საქართველოში, — დიქტორის ხავერდოვანმა ხმამ ოთახი შეავსო, — ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ნალექი, მთებში თოვლი, უღელტეხილებზე ლიპყინული, რიონის ხეობაში იქროლებს სუსტი, ზომიერი, ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა მთაში ნოლი-ხუთი გრადუსი ყინვა, ბარში — სითბო, ექვსი-რვა გრადუსი... აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია...

— მოსალოდნელი აქეთაა საინტერესო, შენ, მოიცა, თუ კაცი ხარ! თოვლიო, გაიგონე, ქალო, თოვლიო! — წამოიყვირა ტატუშამ და ფეხზე წამოხტა.

— მოიცა, კაცო, ქალაქის ამინდიც მომასმენინე, მარტო რიონის ხეობაა საქართველო? მტკვარი და ალაზანი დაშრა თუ?..

— თოვლიო, თოვლიო! — ხელები შემართა ტატუშამ, ცეკვისნაირად, რაღაც თამაშის მაგვარად ჩამოუთამაშა, მერე კარს მივარდა, გამოაღო და აივანზე თოფნაკრავივით გავარდა.

ტატუშა სვეტს ისე აეყუდა, თითქოს სიცივეს დაემალაო, მერე ხელი გადაყო აივნიდან; მოფართიფურთე ფანტელებმა კვანჩხი დაუთოვეს თუ არა, გუნებაში ერთხელ კიდევ გადაითვალა მიხელა მინასიძესთან ნაძლევში მოგებული ფული.

ამ ორომტრიალში არც მიხელა იყო ყურთაბამბისად. მისმა რადიომაც რომ გამოაცხადა, თოვლიო, კინაღამ ელდა ეცა! გველნაკბენივით გაუსივდა სასმენელი, მერე ნერვებშენთებულმა ცეცხლმა დაურბინა თავით-ფეხებამდე. წუთით მზერა ცოლს მიაშტერა, მერე მუხლი აიყოლა, აივანზე გავიდა, ეზოში ფრთხილი ნაბიჯით ჩაიპარა და ცას სახემოქცეულმა ახედა...

— ბარდნი, ხო?! უნდა წამაგებინო, ხო?! გადაიღე, კაცო, გადაიღე!.. ოცდაათი იანვრიდან დაიწყე, რა გეჩქარება, გეგმა გაქვს შესასრულებელი, ჩვენი კოლმეურნეობის არ იყოს, თუ რა! შენთვის სულ ერთი არაა? რა ნერწყვი და მადა აგეშალა ისეთი, რომა... მოიცა ცოტა ხანს, რა ფეხს ისწრაფი, შე კაი დედმამიშვილო... ყოველ შემთხვევაში, კვარტალი ახალი დაწყებულია!..

კესარია ხელსაქმით იყო გართული. ქმარს რომ შეაგვიანდა, გულმა არ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთმინა, აივანზე გავიდა და იქაურობას მიაყურადა.

მიხელას ხელები შეემართა და ცას შებუტბუტებდა.

— რა შვრები, კაცო, ლოცულობ?

— ვლოცულობ არა, ისა...

— რა სულელივით დგახარ შუა თოვლში, ამოდი, კაცო, გაცივდე, გინდა?! ყინვა-ყიამათს ეხუმრები? შენ რა, ყორამან ყანთელი გგონია თავი?! ხო არ დაგავიწყდა, როგორ აკეთებს ნეფსებს მიტუაანთ რძალი, წელიწადი არ მოგირჩება ნაჩუჩხურები!..

— არ მინდა, რო მოთოვოს, ნამდვილად არ მინდა! — ხმამაღლა თქვა მიხელამ და ხელი ერთხელ კიდევ შემართა ცისკენ.

— რას ამბობ, კაცო, შენ! იმხელა თოვლი უნდა მოვიდეს, ჩვენს კოკოლიკა საბძელს სახურავამდე აწვდეს, აპა!.. პელიცილილები ბევრი ჩამოგვიტანეს ქალაქიდან და პირამიდონები, პური ბევრი გვაქვს ბეღელში და ლობიო, საქონლის საჭმელი ჩალა-ბულა და თივა ქოჩში არ გვეტევა! მოთოვოს, რის გვეშინია! შენ რაღაც გეტაკა დღეს, თვარა... ამოდი, ამო, არ გაცივდე და ქვემოუბნელ კატოს მაგიერ ბოლო სიტყვები შენ არ გაგატანონ, ისაო, აქ კარგადა ვართო!... — არ მოასვენა კესარიამ ენა.

მიხელა მინასიძე კიბეს აუყვა მეხუთე საფეხურზე შეჩერდა, კიდევ ახედა ცას, მერე რაღაც შეიგინა, ისე, გუნებაში, გადააფურთხა კიდეც...

— ამოდი, კაცო, ამოდი! რავა ითრევ მაგ მუხლს, კვრისტავში წყალი ხო არ ჩაგიდგა! — კიბესთან მივიდა კესარია.

— წყალი და მერე როგორი! უწერაში რო ამოდის, მარილებიანი! — არ აცტოვა ცოლი უპასუხოდ მიხელამ, ერთხელ კიდევ ჩაიქნია ხელი და სახლში შევიდა.

...ტატუშა ლობჯანიძემ ვახშამს ოთხი ჭიქა ღვინო დააყოლა, მერე შეძვრა საბანქვეშ და ძილის გუდას თავი მოხსნა... როდის ჩაეძინა არ ახსოვს, მაგრამ მისი გამოღვიძებაც იყო და მამალმაც იყივლა. ხუთიოდე წუთის მერე ისევ გაისწორა ყელი მისმა მამალმა, ზედა უბნიდანაც ჩამოაღწია გამოძახილმა... ორჯერ თუ სამჯერ იცვალა გვერდი ტატუშამ, რაღაც მოუსვენარი შეუჯდა ტანში... კარგა ხანს ჩაიჩუმი აღარ ისმოდა, ერთი კი იყო, სხვენში თაგვს შემოღვიძებოდა და კაკლის გატეხაზე მუშაობდა — გაიტანდა ბოლოში, წაეთამაშებოდა, წამოიღებდა უკან, ჩახრავ ჩამოხრავდა, ისევ წაიღებდა იქით... უსმინა კაცმა და ისე გაეწეწა გული, ფიქრადაც კი მოუვიდა, ავძრები პერში, გავუტეხავ, თორემ ეგ ისეთი თვალჭყეტია მამაძაღლია, არ დამაძინებსო... „თაგვი იმის თაგვია, უნდა ხრას, მარა ძაღლებს რაღა მოუვიდათ! სოფელში ერთ კაცზე ორი ძაღლი მაინც მოდის, რა ერთად ჩაუვარდა ყველას ენა, რატომ არ ყეფენ?.. ალბათ, ისე ხავრიელად თოვს, რომ... მარა, ვაი თუ არა თოვს? მოიწმინდა ცამ, ყინვამ მოუჭირა და ძაღლებს ენა ჩააგდებინა, მერე?!. მოდი, გავიხედავ, აპა, რამდენი მოთოვა!“

მძინარე ელპიტემ ისე მოიქნია ხელი, თითქოს ზღვაში შეცურდაო.

„ბანაობ, ხო? ხმელთაშუა ზღვაში ხარ, ხო! არ მითხრა ახლა, ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს მივაპობო!.. შენ რო იცოდე, რაზე დავდე ნაძლევი, საცურაო და საჭყუმპალო ხასიათი აღარ გექნება, შეიძლება ძილშიც გამომჭრა ყელი... თუ წავაგე, შენი ნაფერავები მოზვერი მიხელა მინასიძემ უნდა წაიყვანოს. სანტიმეტრიც რო აკლდეს, წაგებული ვარ, მარა!.. სიზმარი ხო ვნახე გუშინ ღამეს, შენც ხო გითხარი მაშინვე, კვერიც ხო დამიკარი, დიდთოვლობა იცისო, ჰოდა, უშიშრად დავენაძლევე კიდეც!.. ისე, მოგება და წაგება ძმები არიან... არა, მე და მიხელა კი არა ვართ ძმები, მარა... რა თქმა უნდა, მოგებული ძმა ჯობია, გალაღებული და გახარებული... ნეტა, თუ თოვს ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა?“ — ფიქრობდა თვალდაჭყეტილი ტატუშა ლობჟანიძე.

თავგმა, ალბათ, მესამედ მაინც გაა-გორა კაკალი...

„კერკეტი იქნება ეგ ოხერი კაკალი და ვერ გატეხა. საიდან შეერია მაინც. სულ ხელიხელ გადავარჩიე და...“

ელპიტემ მძიმედ ამოიხვნეშა და კი-დევ მოიქნია ხელი.

„ახლა ნამდვილად ანტარქტიდაშია და ვეშაპებზე ნადირობს. თუ ასე არაა, აპა, რა ხელების ქნევა აუტყდა, რა ეშ-მაკი შეუძვრა... შეიძლება ჩემს გასა-ლახად და გასაბრეგვად ვარჯიშობს, ჭკუა კი არ დაუშლის... გაიგო, ნაძლევს რო ვაგებ და მკლავებს იყენებს... არ შეშინდე, არა, არ წავაგებ... როდის იყო, რაიმეს ვაგებდი!.. ისე, მართალი თუ გინდა, გითხრა, არ უნდა დამედო ნაძლევი, დავბერდი კაცი, რაღა დროს ჩემი ამნაირებია... ოთხმოცდაათი სან-ტიმეტრი მაინც მეთქვა... ოთხმოცდა-ხუთი... არშინი მეთქვა რა, თუმცა, არ-შინს რაფერ ვიტყოდი, კარგა ხანია გა-ცდა მაგ სიმაღლეს... აფუმფული თოვ-ლი უნდა ჩამითვალოს, აპა, თუ დანამ-ბულდა, დაიტკეპნება და ნახევარი აღარ დარჩება... კი, ასე უნდა დამყვეს...“ — მისდევდა ფიქრის გორგალს ტატუშა.

ზ მოუბანში მამალმა სოფელს თავი შეახსენა...

ტატუშას გულმა აღარ მოუთმინა, ფრთხილად გამოძვრა საბანქვეშიდან, აივანზე საცვლების ამარა გაიძურწა, სვეტთან აიტუზა და გარემოს გულის-გულ მიაყურადა. ჩუმი შრიალით, ფა-თაფუთით ჩამოსდევდა ფანტელს ფან-ტელი...

„თოვს, ხედავ, ბატონო? ვერა? რო-გორ თუ ვერა! გაიშვირე ხელი ჩემსა-ვით და ნახავ, თუ არ თოვს! ასე თუ თოვა, ოცდახუთამდე კი არა, ოცდაორ-შიც კი უნდა მივილო მოგებული, კი, მე და ჩემმა ღმერთმა! აპა, ახლა, ვიტ-ყოდი და არ შესრულდებოდა? — ტრა-ბახიც კი დაიწყო ტატუშამ. — შეიძ-ლება ისიც აივანზეა გამოყუდებული და ცივ სვეტზე შუბლს იგრილებს, პირ-ჯვარს ისახავს, ღმერთს ეხვეწება, სა-თოვლე ხვიმირას ხელი მიაფარეო... არაფერი გამოუვა, გულზეც რო გაი-ხრიწოს, მაინც მოთოვს, მაინც მო-თოვს!..“

— ცუდად ხო არა ხარ, კაცო, რას ჩახუტებიხარ მაგ სვეტს! ვერ გამაღ-ვიძე, თუ რამე გჭირდა? როდის აქე-თიდან დამიწყე დაზოგვა! რაცხა, ვე-რა გცნობ დღეს!.. შემო, კაცო, სახლ-ში, გაცივდები და სადავიდარაბო გა-მიხდები! ჩაგეცვა რამე მაინც! გრიპი და სიცხე გინდა ახლა შენ? ამ სიბერე-ში? ხო არ დაგავიწყდა მიტუაანთ რძლის ნაკეთები ნეფსების გემო!.. ისე, ახლა ამბობენ, ამ ბოლოს, ხელი გამო-იკეთაო... სირცხვილიც კიაო, ამხელა სოფლის აფშკვერილ უკანალზე ფეხ-ბურთს ისწავლის კაცი და ნეფსების კეთება რაღა ისეთიაო, გუშინწინ, შა-რაზე, სიცილ-ხარხარით ქილიკობდა პიპინაანთ რაჟდენა... შემო, შემო სახ-ლში, ერთი კარგად უნდა შეგხედო თვალებში, წნევამ ხო არ აგიწია, — ელპიტემ მკლავში გამოსდო ხელი ქმარს.

...მიხელა მინასიძის ძაღლმა მაშინ ატეხა ყეფა, როცა ხელგაშვერილი პატ-რონი გვარიანად შეანჯღრია მეუღლემ.

— რამე ხო არ გჭირს, კაცო, შენ! რას დგახარ, რას დაყუდებულხარ ამ ყინვა-ყიამეთში საცვლების ამარა, რამდენი ხანია, რაც მიტუაანთ რძალი მოგენატრა?.. შელავათი კი გექნება, ნეფსების გამოხარშვა უსწავლია ამ ბოლო დროს! ამოწყდა მაგის აქ გა-მომთხოვებელი პირველ რიგში და მე-რე მისი ჯანდაცვაში მამუშავებელი! ეგ ჯანდაბაში უნდა მუშაობდეს!.. შეიძ-ლება ცოტა იქითაც!.. რავა დამავიწყ-დება ის მწარე დღეები, მაგის ნახელა-ვის შემწეობით ორი ტაშტი რო ავა-ვსე ჩირქით!..

— ქალო, მაშინ ხო წამალი აღმოჩ-ნდა ძველი... რა მაგის ბრალი იყო... მშვენიერი ექთანია, მშვენიერი...

— ჰო, ჰო, გადასარევი!.. შემოდი სახლში, თვალებში ჩაგხედო, ნაღველი ხომ არ გაგეშარა სისხლში. სიყვითლე ხო არ დაგეწყო! — კესარიამ წინ გაიძღოლა ქმარი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ტყუილად ემდურიან მიტუაანთ რძალს... ზოგსა, კაცო, გაფშეკილი და მიმხმარი უკანალი აქვს, ნეფსი ზედ ძვალზე დადის და რა ქნას მაგანაც... ტყუილად ემდურიან...

— ჰო, ჰო, ტყუილად! ჭორს ტყუილად უყრიან! რა ტყუილად, არ გახსოვს, სამი თვე ოშოშას ბალახი რო გედო დანაჩირქებზე?.. ნაყიდი დიპლომი ქონია... მაგ ბოთესა და უკაისმქნელოს, მიტუას ბიჭსაც შემოატყუეს, შემოაჩეჩეს, ქალიშვილობის ბეჭედი ნაადრევად ქონია დაკარგული... ის კი არა, ერთი კორპუსის ბიჭები მაგაზე ვარჯიშობდნენო! პიპინაანთ რაჟდენას ხო არა გამოეპარება რა დუნიაზე, რასაც იტყვის, წყალი არ გაუდის! ის დასამსები, ასაბუთებდა კიდეც, აპა! — ისე მოფხიზლდა კესარია, ლაპარაკის სალერღელი აეშალა.

ახლა ქვედა უბანში შეახსენა მამალმა სოფელს თავი...

●

თოვდა...

ტატუშა ლობჯანიძეს ისე ავსებოდა გული სიხარულით, ეზოში კინაღამ ჩამოუცეკვა. არა, ერთი დაწყება, ხელიც კი გაშალა, მაგრამ წამსვე მიატოვა, მეზობლები დამინახავენ, სხვანაირად მომნათლავენო, მაგათ ყბაში მტერი ჩავარდაო. სასიხარულო კი ჰქონდა. უკვე ოთხმოცდაათ სანტიმეტრზე მაინც იდო თოვლი. ესეც რომ არ ყოფილიყო, ცეკვა რომ მისი მოგონილი იყო, სოფელმა კი არა, მთელმა ხეობამ იცოდა...

„სოფელს ენა აქვს ავშარამიშვებული, მტერს და ავს!.. რა აცეკვებსო, მეზობლის ყანაში გადავიდაო?!. იხარხარებენ!.. გასკდით გულებზე, სასაცილოდ არ გავიხდი საქმეს, არა და არა!.. მე ჩემს ყანაში ვარ, ჩემს ჭიას ვახარებ და, საერთოდ, ჩემს თოვლში ვარ!" — ფიქრიდან ხმამაღალ ლაპარაკზე გადავიდა ტატუშა.

საბძელის კუთხესთან მიწოლილმა ძაღლმა ცხვირზე მიფარებული კუდი ორჯერ-სამჯერ ააქიცინ-ჩამოაქიცინა, თავი მძიმედ წამოსწია და პატრონს, რატომღაც იჭვნეულად გახედა. მერე, თითქოს, ჩამომვლელმა წამოუარაო, ყეფა ატეხა... ტატუშა ძაღლის ყეფამ წააქეზა, წაცდა ნერვი და ერთი-ორი კიდეც ჩაუბუქ-ჩამოუბუქნა... ახლა ძაღლი წამოვარდა, ორიოდ ნახტომით პატრონს გვერდით დაუდგა, მკერდზე შეეპოტინა, მერე შეურბინ-შემოურბინა... ტატუშამ კიდევ ჩაუმუხლ-ჩამოუმუხლა... ძაღლს უფრო მოეწონა მარჩენალის ახუნდრუცება, ისე მოუმატა ხტომასა და სირბილს, ისე უჩვეულოდ კოტრიალობდა თოვლში, თეთრ ბდღვერში გაეხვია იჟაურობა...

„ამ კაცს რაღაც ჭირს, — აივანზე გადმომდგარი ელპიტე თვალგაცეცებული მიშტერებოდა ქმარს, — რაღაცა შეუძვრა, უბედური და უსახური თორემ... თორემ, კაცო, რა ეხუნდრუცება, რა ეთამაშება, რა ღლაბუცი ჩამოუჯდა გვერდით. ჰა! მაგისმა მზემ, კარგა ხანია, ერთი მილიონი მანეთი მიაბარაგინა და, აგერ, მეორე, შუაზე აქვს მიყვანილი, აი!"

ტატუშამ ერთხელ კიდევ წაურ-წამოურია თოვლს ხელი, მერე პიჯაკის კალთები ჩამოიფერთხა, ქუდი შეისწორა, ძაღლს მოუწრუპუნა, წამით ცას თვალი ათხოვა, გული საგულეს დაიბრუნა, შებრუნდა, ნაბიჯი გაშალა, ბაღიდან გავიდა და კიბეს მიადგა.

„ამ კაცს რაღაცა ჭირს... ამ კაცის საქმე არაა კარგად... შევაბერდით ერთმანეთს, მაგას იმნაირი სისულელეები აქვს ჩადენილი, ენა ვერ გაიმეორებსა და ყური ვერ მოისმენს... კი, ბატონო, ახალგაზრდული ქარი უბერავდა მაშინ მის გონებას... ახლა, ამ თოვლში, მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო, თუმცა მარტო რატომ, ძაღლთან, ნაგაზთან ერთად ცეკვა გაგონილა?! არა, ამ კაცს რაღაც ჭირს, დიდუუ, მომკალი ღმერთო!“ — ელპიტეს თავის ქალას ეჭვის ჭიამ ხვრა დაუწყო

თოვდა...

●

თოვდა... მიხელა მინასიძე მთელი დღე მჟავე ხასიათზე იყო. ღიმილი რომ ღიმილია, ისიც კი არ გათამაშებია ბაგეზე... ახედავდა ცას, წუთში ათასამდე ფანტელს მაინც ჩამოითვლიდა, გული უფრო შეეკუმშებოდა. მერე... მერე გულის უკანა პარკუჭის კუნთი დაუწყებდა წიწკნასა და ჰწკენას. ერთი სიტყვით, ძველი ნაავადმყოფარი, თავს რიგიანად შეახსენებდა... ბოლმა ყელში მოებჯინებოდა... მერე სამზარეულოში გარბოდა თვალის მისაფარებლად...

სალამო ხანზე მიხელამ ბარ-ნიჩაბი მოძებნა, ეზოდან გადავიდა, ღელის პირზე, სადაც წისქვილი იყო წამოყუნტებული, თოვლი ლამაზად ჩაჭრა, მიწამდე დაიყვანა და პირი მოუსუფთავა. ჯოხის მოსაძებნად შებრუნდა შეშის საჩეხში. ყავრის ნახლეჩი მოხვდა ხელთ, მოეწონა კიდეც, შეატრიალ-შემოატრიალა, თვალით გაზომა, კარგიაო, მეტი რა საჭიროაო, ისევ გაბრუნდა უკან, ყავარს წაუწვეტა, ჩაარჭო, მერე, ერთი მეტრის სანიშნებლად, ჩაუკბილა, ესეც ასეო, დააყოლა.

„წყალი არ გაუვა, ოთხმოც სანტიმეტრზეა მოთოვილი... შეიძლება მეტიც იყო, მაგრამ დანამბულდა... ასე თუ თოვა, ამ ყავარს ორ დღეში დაფარავს, კი, ასე მოხდება და... მერე რას შვრები, მიხელა ბატონო, რაფერ გინდა, რანაირად გინდა, კესარიის ფული გამოგლიჯო ხელიდან?!, ხო გამოიბდღვნა ყველაფერი... ეგებ არ მოთოვოს... მეც კაი ვინმე ვარ, რავა გავუწოდე ხელი, გაუზომავად, შტერივით... ეგ რისი შემრჩენია, რწყილს უკულმა ატყავებს..., მოიცა, კაცო, მოიცა, არც მაგრეა საქმე, რაღა წელს ჩამოიქცევა ცა და ზესკნელი, რა პირი მოექცევა ისეთი, მეტრა თოვლს ჩამოყრის ორ დღეში!.. არა, არა, ნამდვილად არ მოთოვს!.. იმას ეშინოდეს, იმ სულელს, იმ ოჩოპინტრეს, რა ისეთი გარანტია აქვს, ოცდახუთ იანვრისთვის რო მეტრა თოვლს დადებს.. ისე, ჩემი არ იყოს, ისიც კარგი შტერია... თოვლის საზომი მე არცა მჭირდებოდა, ხო ვიცი, რო არ მოთოვს... მაგის მეტი რა ვიცი... თუმცა, თავი ხო უნდა შევიჯერო... ის ყველანაირ ტყუილის იკადრებს! აპა, რავარია, მოზვერი ბოსლიდან გადაიყვანოს... ეს ყველაფერი კი, მარა, რო დადოს ერთი მეტრი? მერე?“ — ჰოკი-არას ფიქრი არ ასვენებდა მიხელას.

— რა არის, კაცო, ეს, ამინდის პროგნოზის კანტორაში დაიწყე მუშაობა? თოვლის ზომვა და ფიფქების თვლა გაკლდა კიდევ! დაინახავს ამას სოფლის რომელიღაც მოღლაბუცე და ჭორს დაგიყრის, ასეო და ისეო, მიხელა ცას შეკოკოცობდაო და ფანტელებს ეთამაშებოდაო, წამო, კაცო, სახლში, რა გჭირს, ეს ორი დღეა, თუ ღმერთი გწამს!..

— უსაქმური კაცის ამბავი ხო გაგიგონია, მახათის ყუნწში უყრიდაო, ისა მჭირს ახლა მე, — ხუმრობაში გადაიტანა მიხელამ თავისი საქმიანობა.

— არ უნდა იყოს ეგ მაინცდამაინც ტყუილი, — გაეღიმა კესარიას, მერე კოპი უცბად შეყარა და კითხვა გაუმეორა, — არა, მაინც რა გააკეთე, რა ისაქმურე?

არაფერი ისეთი, თოვლი მინდოდა გამეზომა, რამდენ სანტიმეტრზე ჩამოყარა, იმან დამაინტერესა.

„რაღაცაშია საქმე, გუშინაც ცას შეჩერებოდა სულელივით, ფიფქებს ითვლიდა, მგონი, კი, კი, ისეთი შუბლი ქონდა, მეტს ვერც იფიქრებს ადამიანი... კარგი არ უნდა ჭირდეს... შეიძლება ბიჭებსაც კი შევატყობინო ქალაქში.. ორ დღეს დავაკვირდები კიდევ, მივუდარაჯებ და...“ — წარბშეყრილი კესარია ფიქრს თითისტარივით ატრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლ-ქმარი სახლში შევიდა...
გარეთ ხვავრიელად ბარდნიდა...

●

ტატუშა ლობჯანიძე აივანზე გავიდა. მძიმე ნაბიჯით გაიარ-გამოიარა, თოვლში გახვეულ გაღმა-გამოღმეთს კარგა ხანს უყურა, მერე კიბის საფეხურები დინჯად ჩათვალა და ბიბლიოთეკისკენ გასწია.

„სამისდღეშიოდ მოვჭრი სოფელს კბილს, ხო ვთქვი. მოთოვს-მეთქი, არ გამართლდა? ხო თოვს გულიანად! ესეც თქვენ! მიხელა მინასიძეს სულმა წასძლია და იმ წამსვე პატარა ბავშვივით. დამენაძლევა, ალბათ, ისიც კი იფიქრა, ბრიყვი ჩავიგდე ხელშიო!.. რისკზე კი წავედი, მარა ხო კარგია, როცა გიმართლებს? ურისკოდ, ალბათ, არასდროს ღირებულა ცხოვრება!.. ზის ახლა კედელ-ყურესთან გულგაფხრეწილი მიხელა და დღეში ასჯერ მაინც ზომავს თოვლის სისქეს, თანაც განგებას ეხვეწება, ცის მოღებული პირი მოკუმე, მოავიწროვე, კბილზე კბილი დააჭერინეო!.. კესარია რო გაიგებს ნაძლევის ამბავს, მერე ნახე შენ ალიაქოთი!.. ტიტუუ, კესარიას კოპები!.. საწყალ მიხელას ორ კბილზე გაღეჭავს!.. არა, ისე, კაცმა რო თქვას, მიკერძოება რო არ იყოს, ჩემი ოჯახობაც კარგი აფთარია, არც ის დამაყრის კარგ დღეს!.. მილიონჯერ ნათქვამს ერთს მეც შევამატებ და ვიტყვი: ყველა ქალი ერთ თარგზეა მოჭრილი, მხოლოდ ჭკუა აქვთ სხვადასხვა სიდიდისა და ზომისა და სხვადასხვა კაცებს მიყვებიან ცოლებად!.. კი, კი, ბატონო!“ — ტატუშამ თავის ნათქვამს თვითონვე დაუკრა კვერი, მერე ის იყო, მოგებული ფული, სახალისოდ, კიდევ გადაითვალა და საგულდაგულოდ ჩაიდო ჯიბეში, რო გოგიტაანთ ჭიშკართან ხეჭეჭურის ხეს ამოფარებული ნაგაზი გულგადავარდნილი მოაწყდა ღობეს.

— რა თვალი დამადგი!.. თვალში ხო არ გეპატარავებთ!.. ხო არავისში გეშლები!.. ერთხელაც იქნება, სადმე მოგიხელთებ და მაგ უტვინო ტვინსა და შუბლს ტყვიით შუაზე გაგიხსნი!.. კი, კი, ილოცხლა ჩემმა თავმა, როგორც... ისე, რავა ახალი პატრონივით ბრიყვი ხარ, შე უპატრონო! — ხმამაღლა გაპასუხა ძაღლის ვაი-ვიშს ტატუშა, თუმცა მის მეტს არავის გაუგონია, ნაგაზი იქაურობას აქცევდა.

ძაღლის ყეფამ ბიბლიოთეკამდე მიაცილა ტატუშა. კარი შეაღო თუ არა, ოთახში დაგროვილი ქირდვა და ღლიცინი წამსვე, თავით-ფეხამდე, შემოეხვია. სალმის თქმამდე ერთი გაფიქრება მოასწრო: რა პატარაა კაცი მაშინ, როცა სხვას დასცინისო, მერე უგერგილო სალამი თქვა, მიწოდებულ სკამზეც დაჯდა და, რატომღაც, გულისძირით ამოხვნეშა.

ხოსრო ართმელიძემ ტატუშას სალამსა და ბოყვის ამობრუნებას მაშინ უპასუხა, რა იყო, შე კაცო, შენი სარჩენები ხომ არ ვართო, როცა მიტუშას მეფისკენ ცხენი ასკუპა და ყველას გასაგონად, „შახიო“ დაიბუხუნა.

— ქიში ქვია მაგას, ბატონო ხოსრო! — ქართული ლექსიკონი მოიშველია მიტუშამ.

— მთლად უკეთესი!.. დაუქშინაო, დაუ... დაუ... როგორც არის, რა... ისე, მე თუ მკითხა ვინმემ, პასუხს რავა დავამადლი, იქვე ვეტყვი, ქიში უფრო გავს შეტევას... ქშენა, ქშუილი, ზმუილი, ბდღვერა, ვიდრე კინკილა „შახი“, მარა... ესე იგი, ქიშმატი, არა?

— „მატი“ კი არა, შამათი, ბიჭო! — შეყვირებით წამოეხმაურა მიტუშას კოწია არბიტრი.

— ესე იგი, ქიშ შამათი!.. მოიცა, მოიცა, აპა, ჭადრაკი რაღა ეშმაკია. თუ კაცი ხარ, მითხარი ერთი! ნუ დამაბნევთ, თქვენი ჭირი მე და ჩემი სახადი თქვენ! მაშინ შახის მაგიერ ასე უნდა უთხრა: ჭად! რო დაამარცხებ — რაკს ეტყვი. — ახლა გურგენა მოღარეს, მეორე არბიტრს, წაჰკრა იდაყვი.

— ვიცი და არ გეუბნები?!. ისე, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადიო, რო თქვი, მაგი შენს სიდედრს არ აცდენოდეს, რა გინდ დასაწყევლად არ მემეტებოდეს, მაინც!.. სახადიო!.. ჭადრაკი თამაშია, სახადი კიდევ — ჩამომავალი ტკივილი!..

გურგენამ თვლემამორეული ქუთუთოები უსიცოცხლოდ დააფახულა და ახლა უკვე, ეს საქმეც ხომ მოვილიე, კაცს ჭკუა ვასწავლეო, ჩამოყვინტილებული თავი ერთხელ კიდევ დააკანტურა და ნიკაპი უფრო გულიანად ჩამოდო მაგიდაზე.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა...

მიტუშამ მეფე ხიფათს გაარიდა...

— კიდევ ჭაად, ჩემს სუსტს!.. წუხელ, ეტყობა, ტვინი გაგეყინა, არც გაგემტყუნება, კი იყო მაგარი სიცივე და ქირხლა-ჭურხლი!.. ბატონო ტელე, — მიუბრუნდა ლუმელს მიხუხულ არისტოს ხოსრო, — ეგ აგური მომაწოდე, საკვამლესთან რო დევს, კი იქნება გვარიანი ცხელი, დავადებ ამ საცოდავს გასიებული თავის კეფაზე და... ხო, ხო, ეგებ გაულღვეს, ყინულმა ფეხი აიდგას, გაეხსნას ჩასირისკინებული უჯრედები...

— უჯრედები, თვარა, მაგასაც უთვლელი ექნება, თავზე საყრელი, აი! ამომშრალ ღელესავით ერთი ნაწყალევი თუ მოეძებნება, კიდე მადლობა უთხრას ღმერთს, — დაუსვა ბეჭედი არისტომ, მერე, უცბად, ენა შეაბრუნა და, ვითომცა აქ არაფერიო, განაგრძო: — რა მაგის პასუხია და, იცით, რა მოხდა გუშინ ამერიკაში?

— შენ, კაცო, შეკრული ხო არ ხარ ინგლისელ-ამერიკელებთან? — უკბინა ხოსრომ მეზობელს.

— რაო, შეკრულიო? — წარბი ასწია არისტომ.

— ჰო, ჰო, შეკრული!.. შეკრული კუჭში კი არა, იმათთან... იმათი აგენტი ხარ აქედან, პირდაპირი ხაზი გაქვს გამოყვანილი, კი, ასე მგონია მე, — ჩამომარცვლა სიტყვები ხოსრო ართმელიძემ.

— მაგ თამაშს რომ მიჯდომიხარ მთელი დღე და ადგომა ვერ მოგიგონებია, კი უნდა კითხო ვილაცას ჭკუა... რადიოს უნდა უსმინო, ქაღალდი უნდა იკითხო, გაზეთში უნდა ჩაიხედო, აპა, ისე, ჰაერზე კი არ მოდის ცოდნა...

— კითხვასა და ტვინის ჭყლეტას რა მნიშვნელობა აქვს, აგერ, ტატუშა ლობჯანიძეს, ყველის გასახვევად თუ გაუშლია გაზეთი, თვარა, ისე, შიგ რა წერია კი არა, ხელიც არ ექნება მოკიდებული, მარა, ზესკნელი და ქვესკნელი ერთი ერთ მუჭში ყავს გამომწყვდეული, მეორე — მეორე მუჭში!.. ვაჟკაცურად თქვა, მოთოვსო და ეე, თოვს კიდეც! მოზვერიც კი ჩავიდა ნაძლევში, მე, მაგალითად, ყივილისგან ყელჩახრინწულ მამალზეც ვერ გავყვებოდი მოპასუხეს, — შეცვალა ხოსრომ საუბრის თემა.

— ქიში, ხოსრო ბატონო, ქიში და მიხედე საქმეს, — ფეხზე ადგა მიტუშა და გულიანად გაიზმორა, მერე კი, რატომღაც, ხელები მოიფშვნიტა...

— შენ აგაქიშებ კარგად! უყურე შენ ამ მამაძაღლს! ფიგურა მომპარა ჩუმად, თვარა, „მატი“ ასე უცებ საიდან? რას უყურებთ, კაცო, მსაჯები ხართ თუ ვირის ფეხები! — აყვირდა ხოსრო.

— თუ გაგიგონია, ხოსრო ბატონო, დომინო სად გამოიგონეს და ვისთვის? — ხმამაღლა შეეკითხა არისტო ხოსროს.

— გუშინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს! — იპოვა გამოსავალი ხოსრომ.

— სწორედ შენთვის უმუშავნია იმის გამომგონებელს და მათთვის საერთოდ, გუშინ რა ჭამა, რა მიირთვა და დღეს რომ არ ახსოვს!.. ხომ აქვს წერტილები დასმული დომინოს ქვებს...

— კი აქვს, მერე? — შეაწყვეტინა რომელიღაცამ არისტოს.

— ერთნაირ წერტილებიანი ერთმანეთს უნდა მიესვას, ხომ ასეა? ჰოდა, ასე შემდეგ, აეწყობა ნელინელ... ეს თამაში ჭკუაგაუხსნელ ბავშვებისათვის გამოიგონეს, უჯრედების მაგიერ ცარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელი სავაშლე ყუთები რომ უწყვიათ ფაქვეშ. არაა მაგი მთლად ისეთი სასირცხვილო. კაცმა თავი ჩამოიკიდოს... მერე ის ბავშვები იზრდებიან. ვირდებიან. ზოგი ინგლისის ქუჩებს აფარებს თავს. ზოგი ამერიკაში ცხოვრობს. ზოგიც ჩვენს სოფელში... ერთი სიტყვით, რა ჩვენი, რა იმათი, მაგნაირები ყველგანაა მოდებული... ჭადრაკს ამოდენა უჯრედები აქვს. ამოდენა გამოსათვლელი... ცხენი საით გაკვინტილდება, აფიცერი რა სისულელეს ჩაიდენს, ტურა რას ჩაახრამუნებს. პაიკი როდის აიხდენს ოცნებას და გადედოფლდება, ჩემო ხოსრო. მაგდენს შენ ვერ გაიგებ, სამოცდაოთხ უჯრამდე დათვლა კი არა, ორჯერ ორის მიმატებაც არავის გაუგია შენგან. შენი საქმე დომინოა, რო არ დაგიმალო, დროა, დომინოზე გადახვიდე. თორემ მიტუშას ბიჭს მეტი ჭკუა კი არ მოეკითხება, წირწკილაზე რო საგიჟეა, არ შერცხვება და იქამდეც კი ღიღინ-ღიღინით ჩაგაცილებს, — დამოძღვრა არისტომ ხოსრო.

— მაგი სიბრძნე მთლად არ შემოგეხარჯოს. არისტო ბატონო, მთლად არ შემოგელიოს. თვარა, უფროსი ბიჭის ბალანა გახანგრძლივებულ სკოლაში რო დაგიდით, იმისთვის აღარ გეყოფა, — ართმელიძეს საპასუხო ენა რომ არ გამოეყო, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა.

— ხვალ ბიბლიოთეკა არ იმუშავებს, რაიონში მივდივარ, რაზე გამომიძახეს, რა უნდათ, არ ვიცი! — ნინუცას მოულოდნელმა განცხადებამ თანასოფლელებს კამათი შეაწყვეტინა.

— ააუჰ!.. კი მარა, რას გავს ეს! ჩვენ, საერთოდ, არაფერს გვეკითხებიან?! — ახლა კოწია არბიტრმა აზიდა წარბი მაღლა. — აქ, ძმაო, სოფელია, ხალხი ცხოვრობს. ვიღაცას რაღაცა ხო არ ეშლება. ჰააა!

— მოადგილე უნდა გყავდეს! ამხელა ბიბლიოთეკას მეორე მუშაკი კი უნდა ემსახურებოდეს! ყველას ყავს ხელქვეითი და მოადგილე ამ ქვეყანაზე და, მიპასუხე, მე შენ გეკითხები, ჩვენმა ბიბლიოთეკამ რა დააშავა? არა, ვიღაცას თვალში ხო არ ვეპატარავებით?.. კარგი, ჩემო ბატონო, ერთ დღეს შეგეცლევით, როცა ყოს. ჯანდაბა ჩვენს მტერს, მარა შენ რო ავად გახდე, ლოგინში რო ჩაკოტრიალდე, ხო დაეხშო გონება სოფელს და ეგ არის!.. მოადგილე მოვთხოვოთ ზემდგომს! — არისტოს სერიოზულ კილოში ეჭვს ვერ შეიტანდით.

— მოადგილე კი არა, ისეთი კულტურის განყოფილების გამგე ყავს რაიონს, ზამთარში თოვლს არ გამოგიწვდის, — ჩუმად თქვა ტატუშა ლობჟანიძემ.

— თოვლზე ხარ გადასული, ფიფქების კორიანტელზე ხარ გადართული, ჩემო ტატუშა, გიჟირს რაცხა, თვარა, კაცის სიძუნწეზე ლამაზად ნათქვამი სიბრძნე არ მოგაგონდებოდა! — ხოსრომ არც ტატუშა დატოვა უპასუხოდ.

— მოიცა რაა, თოვლი რა შუაშია! — დაიღმიჭა ტატუშა.

— შუაში ეგაა, თუ არი... ფიფქებს რო თვლი, კი ვხედავ მე... ისე, ნაძლევის მერე, რამდენი სანტიმეტრი მოთოვა, გეცოდინება და ნუ დაგვიმალავ, გვითხარი აწი! — ირონიამ თავი ვერ დამალა, ეშმაკურად გაეცინა ართმელიძეს.

— მაგი მიხელას უნდა ჰკითხო... ანდა, რა თავს იწუხებ, რა ენას ილლი, ოცდახუთში თვითონ იტყვის მინასიძე, წავაგეო და მიხვდები, რამდენიც იქნება მოთოვილი...

ტატუშას თავდაჯერებულ ნათქვამზე ბიბლიოთეკის მესვეურმა სიცილფხუკუნი ატეხა...

„ესენი აწი მე არ მომასვენებენო, ენის მოსაფხანს ეძებენო, გასართობს თუ კუდი გამოუხსნეს, მერე მტრისასო, წასვლა ჯობია და წავალ კიდეცო." — ამ ფიქრის გულში გავლებაც იყო და მისი ფეხზე ადგომაც, კარგად მენახეთო, ზედ ზღურბლზე დააგდო ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა, ქარი გაიხურა და იქაურობას ფაცხა-ფუცხით გაერიდა.

●

საგანმანათლებლო ცენტრის საკვამლე მილიდან მეორე დღეს მართლაც არ ამოდიოდა ბოლი. თოვლსა და ყინვაში რა უნდა ეკეთებინა სოფელს. საქმესაქნარი შემოლეოდა დიდსა და პატარას. მეზობლები ერთიერთმანეთთან გადამძვრალ-გადმომძვრალიყვნენ, ვინ არაყს წრუპავდა, ვინ ღვინოს უსინჯავდა ჭაშნიკს, ვინ მწნილსა და ტყემლის წვენს აქვალიებდა... საჭოროოდ გალესილ ენას ძვალი რომ არ ჰქონდა, სადავო აღარ იყო, ცხრა პირი ტყავი ჰქონდა გადამძვრალი... ზედა უბანი, უმეტეს წილად, ქვედას ჭორავდა, ქვედა — ზედას, შუა უბანს კი ორივე ფლანგზე ჰქონდა გაშლილი ჭორის მრავალთავიანი გორგალი.

ნაშუადღევს ქარი ისევ შემოძვრა ხევებიდან, სოფელს თავს დაუარა, ქედებიდან ღრუბლები აიკალთავა, გაღმა, კლდიანეთიც მოაშიშვლა, მერე უნაგირას მთაზე კარგი მხედარივით წამოიმართა და შემოგარენი ნალი-ნალზე შემოიჭენ-შემოიჯირითა.

ტახტზე მიწოლილმა მიხელამ მიაყურისგულა. რადიოკვანძის ხაზებში გახლართულმა ქარმა სამწყესურში ძალით გაგზავნილი, გაჯავრებული ბიჭივით სამ-ოთხჯერ ხმამაღლა რომ დაუსტვინა, მინასიძეს სიხარულის ალი ცეცხლივით მოედო, წამოდგა, ჯერ ფანჯარაში გაიჭვრიტა, მერე კარს მივარდა, იქეთ აჯაჯგურა, აქეთ მოუსინჯა ანჯამა, გაიღე შე ოხერო, რომელი სალოცავის ხატი შემოგწყრაო... მერე მუშტების ბრახუნს და ქაქანს მოჰყვა:

— ღმერთო! დიდო ღმერთო! ცის ღმერთო, მიწის ღმერთო, გადმომხედე კეთილად, ქენი ცახურვილის იალქიალი, მიეც ძალა მუხლში მშრალ ქარსა და ქარბორიოს! უბრძანე, ღრუბლის ჭაჭანება არ გააჩეროს ზესკნელში! ქენი იალქიალი, ნამდვილი იალქიალი!.. ქარმა და ქარაქვეტმა თოვლი არ იცის! თუ იქარბუქე, ნაძლევს მოვიგებ, ქვეყანაზე არ შევრცხვები!.. ღმერთო და გამჩენო, იალქიალი, იალქიალი ჩემი სოფლის ცაზე! — ხელაშვერილი მიხელა ჭერს შელაპარაკობდა.

მაიცდამაინც, არც ისეთი ქარი იყო, ღრუბლები ცხვრის ფარასავით გადაერეკა ერთი საძოვრიდან მეორეზე, თუმცა, არც თოვლი იყო გულს მოწოლილი, გუშინდელივით აღარ ბარდნიდა, ფირფლავდა...

„არა, არა და არა, ნამდვილად არ ვიზამ! იმოდენა მოზვერს ამ სისულელესა და სიბრიყვეში როგორ გამოვართმევ! როგორ დავაბამ ჩემი ბოსლის ბაგაზე უშრომლად, უოფლოდ, უსირცხვილოდ, იმოდენა მოზვერს, იმოდენა პირუტყვს! ამას ის იზამს, ვინც სირცხვილ-ნამუსიდანაა გარეცხილი!.. დრო რო უფრო მალე გასულიყო, სოფელს მხიარულება ჰქონოდა, ტატუშას გამონაგონ თამაშს ავყევი; აპა, ხოსრო ართმელიძე ხო არ აჰყვებოდა, ან კოწია შტერი!.. მეტრა თოვლი სიგანით თუ შეიძლება მოთოვოს, თვარა, სიმაღლით, წლები გადის, არ მინახია!.. რავა, ტატუშამ არ იცის, რო სიმაღლეში, ერთ მეტრს მართლა არ მოთოვს?!. არა, არავითარ შემთხვევაში, როგორ გეკადრებათ, მოზვერს ხელს როგორ მოვკიდებ, საბელს რავა შევეხები!.. კიდეც რო მოთოვოს იმ ღამესვე დაანამბუ- ლებს და მტკაველს მაინც დაიკლებს.. არა, არა, მოზვერს როგორ შევეხები, საბელს ხელს რავა მოვკიდებ!.. მოიცა, მოიცა!.. მოიცა, თუ ძმა ხარ, ნამეტანი ხო არ გაუტიე, ბატონო მინასიძე, საწყაო ხო არ შეგეშალა!.. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!.. მე კი ვფიქრობ ასე და, ამას წყალიც არ გაუვა, მარა, ის, ის რას ფიქრობს, იმას რა აქვს გულში, იცი?.. ხურჯინი ბოლმა და ჯავრი დაჰქონდა სოფელ-სოფელ ამ წინეების იქით და ახლა, რავა დავიჯერო, ერთიც აღარ შემორჩებოდა?!“ — ფიქრობდა სვეტს მიყრდნობილი მიხელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიშკარში კესარია გამოჩნდა, წყლით სავსე ვედროები მოჰქონდა.

„რავა დამრია ხელი ერთმა ნაჩქარევმა და სულელურმა ნაძლევმა... ამ თოვლში წყალი მე უნდა მომქონდეს და კესარიას მოაქვს... წელან კი ვფიქრობდი. მხიარულებისთვის გამოვიგონეთ ეს თამაში მე და ტატუშამ-მეთქი, მარა, ახლა რო ვაკვირდები, არ უნდა იყოს ეს მთლად მართალი. თავს ვიტყუებ კარგა გვარიანად. რის დამთმობია ტატუშა ლობჯანიძე!.. რაღაცაზე გულმოსულმა სიდედრს ძილში ისე შეაჭრა თმა, საწყალი ქალი ერთი თვე მზეს ემალებოდა!.. ეგ თმებჭრია კაცი რამეს დამითმობს?..“ — ამ ფიქრით კიბეს მიაშურა მიხელამ, კესარიას შეეგება და ვედროები ჩამოართვა.

— კაცო, დაბამბული ვერ ჩაიცვი? არ იშლი და არ იშლი, არ იჯერებ ადამიანის სიტყვას! მაინცდამაინც გაციება გინდა, ნეფსების ჩხვლიტინი გინდა? ვის ეჯიუტები, ვის ეურჩები, ვიცოდე მაინც! — გაუწყრა კესარია ქმარს.

— დაბამბული არა ისა, იხვის ტოლმა! როგორც თოვს, განა ისე ცივა! — ამოიხვნეშა მინასიძემ.

— გამოსავალი სულ ხელში გიკავია, სულ ენაზე გადგია, კაი, კაი! — კესარიამ ხელთათმანები წაიძრო და ერთმანეთს შეაფერთხა.

მიხელა და კესარია ოთახში შევიდნენ. კაცმა ვედროები ძელურაზე დააწყო თუ არა, ხელი შემართა და ამოიხივლა:

— აპა, ახლა, სწორდიი! ზურგისაკენ! მომყევ-ვიი! ერთი-ორი, ერთი-ორი! ბოსლისაკენ! ერთი-ორი, ერთი-ორი...

...პირუტყვს რომ ნაბაგური მოუწმინდეს და თბილ ოთახში დაბრუნდნენ, მიხელამ ღილ-კილო გაიხსნა, ქირზის ჩექმები გაიხადა, პირჯვარი გადაისახა და ტახტზე მიწვა. ამინდი რო იცვლება, გული ზევით-ქვევით ამდი-ჩამომდისო, დააყოლა ცოლის გასაგონად.

— გაზაფხული მთაშიც მალე შემოიჭრება... იჭენებს, მერე კი უნდა წახვიდე თბილისში, ისევ იქ დაწვე. ადრე რო იწექი, კარდიოლოგში, ზღვის იქიდან შემოტანილი ნეფსები შეიჩხვლიტინო და მორჩები უმალვე!.. რაცხა, სულ გარეთ რო გიჭირავს თვალი, არ მომწონს, შიში ხო არ აგედევნა! რამემ ხო არ შეგაშინა, ბიჭო! ვინმემ და რამემ ხო არ მოგაკითხა, ბიჭო! — კესარიამ წარბი შეიყარა.

— ნუ გეშინია, კესარია, ნუ გეშინია, კარგა ხანია, ვეფხვები მაკითხავენ, მარა, მე, ლომივითა ვარ, ლომივით! ლომის დაჩაგვრა ვის გაუგონია, დიდი ხელმწიფისა! წელან რო გითხარი, ნუ გადაირევი, შე ქალო, ისე გითხარი, აპა, რას იტყვის-მეთქი, იიჰ, ყველაფერს კი არ უნდა გამოსდიო, ყველაფერი კბილით კი არ უნდა წეწკვო, იიჰ! — ხელი აიქნია მიხელამ.

— მაშინ, სიმონაანთსა ჩავიდეთ, შამშე ყოფილა შეუძლოდ და მოვინახულოთ, ძვლის მჭამელი გაჩენია თურმე მაგ უბედურს, მაგ საწყალს!.. არაფერი ეშველებაო, ექიმების ნათქვამი ამოიტანეს ამ წინეებზე მაგისმა რძლებმა... ისე, ბევრ რძალს რო არაფერი დაეჯერება, ამის პრაქტიკა არ გაკლია, ჩემო „ლომო“, — ბოლო სიტყვას ირონია დააყოლა კესარიამ, — მარა... რძალ-დედამთილი, ჰოო, რძალ-დედამთილი სულ სხვა რამეა.. ჯერ მე ვიყავი რძალი ამ ოჯახისა, ახლა კი დედამთილი ვარ, მერე ის გახდება დედამთილი, მისი ბიჭის ცოლი კი — რძალი... რძლებს არ დაავიწყდეთ, რომ ერთხელ დედამთილობაც მოელით, ღმერთმა ქნას, რო უდედამთილოდ და უსიდედროდ არ გადასულიყოს ჩვენებური ქალი... შენს შვილს, იმ შტერ ანდროს უთხარი, მის ცოლს მეტი აბორტი არ გააკეთებინოს... შვილის გაზრდა იოლი ხო არ გგონია, რო გაყვირის მიკიოტივით, ბებია უჭყავა აკვანში, ჩემს ბიჭს რო ხელი ჩაავლო, დაილლიავა და მიისაკუთრა, იმ ბიჭის გაზრდა მაგას იოლად ხო არ მოეჩვენა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო რამე ვუთხრა. დედამთილმა ასე და ისე მაკადრაო, იტყვის. მაგას დამჯერეც გამოუჩნდება.. შენს ბიჭს უთხარი, დიდი გოდორი მოწნას, ეგება მასაც დაჭირდეს მთიდან დასაგორებლად!.. — მწარე სიმართლე თქვა კესარიამ. მერე მივიდა, ქმარს კისერზე ხელი მოხვია, წამით ღუმელიც კი გაიტრუნა, მერე ისევ გააგრძელა. — ჰო, ჰო, ჩავიდეთ! კაი კაცი, სოფლის იმედი, სიტყვის მთქმელი და ბეჭედი რო იყო ამ ხეობის, გაღმა-გამოღმეთის, დიდხანს ემახსოვრება აქაურსა თუ გადამთიელს... მისი ოჯახი, ალბათ, საერთოდ ვერ დაივიწყებს მაგ კაცის სიკეთეს... კაი კაცის დავიწყება სოფლის წაქცევის დასაწყისიაო, გამიგონია პაპაჩემისგან... ადე, ადე, ჩავიდეთ! — არ იშლიდა კესარია.

მიხელა ცოტა ხნით რაღაცის ფიქრმა გაიყოლია, მერე ღიმილმა სახე გაუნათა, მარცხენა თვალი მოჭუტა, ტუჩები მოჭუჭკა, მარჯვენა წარბი ასწია და ცოლი ალბათ, უკვე, მემილიონეჯერ ათვალიერ-ჩაათვალიერა.

ქალმა კაბის კალთა გაისწორა, ყმაწვილქალურმა სიმორცხვემ თავითფეხამდე დაუარა..

თუ გახსოვს, ჩემო კესარია, აი, ის პირველი დღეები, ჩვენი დაქორწინებისა... — თავის გამოყვანა სცადა მიხელამ, — თავში შენ გაგიჭირდა, ბოლოში — მე, ბარიბარში ვართ... არაა ჩემი ბრალი, გამგებელს რაც მოაქვს კაცისთვის, ისევ იმდენი მიაქვს კაცისგან... მოდი, მე სახლში დავრჩები, აქ მირჩევნია. ქალების ჭორაობის თავი არა მაქვს... აგერ, შვილივით გვერდით მდგომ რადიოს მოვუსმენ, ცოტაც და, ქართული ხალხური სიმღერები დაიწყება, რა ჯობია „წინწყაროს“ მოსმენას! წინ შემხვდა ქალი ლამაზიო, რო იტყვიან, ჩემი პატარა ბიჭობა დამიდგება თვალწინ! დღეს, ალბათ, „ჩაკრულოს“ იმღერებენ, „მრავალჟამიერსაც“.. ეგებ „ქვედრულა მოდიდებულაც“ იმღერონ ჩვენმა რაჭველებმა... ამ სიმღერას მე და დოტიაც კარგად ვმღეროდით ორპირულში... კარგი ხმა ჰქონდა დომენტის ჯეელობაში, ნამეტანი კაი... კაი კაცს ყოველთვის კაი ხმა აქვს... გასათხოვარი და ცოლსათხოვი შემოელია ამ მთას, თვარა ახლა ვერ მოვილღერებდით ყელს თუ? ჰაი, დედასა, ბებერი ხარის რქანი როცა არ გაწევს, მაშინ უჭირს სოფელს, თვარა, ახლა კიდევ გვიდგას სული.., სერაც მაგრად მღეროდა და მღერის დღესაც, ძალიან გულიანი, გამგებიანი კაცია და ღმერთმა მის მონაგარს გაუმარჯოს... მთამ მთისა იცის, ბარმა —ბარისაო!.. გაიგე, ქალო, რა ვთქვი?.. ეეე, თუმცა შენ რას გაიგებ, ტყიდან ძლივძლივობით გამოგიყვანე...

— რაო? — შეაწყვეტინა ცოლმა ქმარს, — ტყიდანო? ვაი, შენ, ჩემო თავო, ვაი, ვაი!.. ვითომ შენ ასჯერ შემოგეშალა ფეხზე ქალამან-წუღა-ბანდი ქალაქში ცხოვრებითა და ქუჩებში სეირნობით.. უი, უი, ყვავმა ყვავს წასძახა, შე ყვანჩლიანოო...

— კაი, ქალო, გეხუმრე... რავა, გალახვას ხო არ მიპირებ....

—უყურე შენ, ტყიდანო! თვარა შენც ქალაქში წამიყვანე, აი! ისევ ტყეში არ მომიყვანე? უარეს ჯურღმულში?

— მართლა ხო არ მოგივიდა გული? ამ სიბერეში სულ გამოპრუტუნდი? ჰო, კაი ახლა, კაი, შენ წადი, რაღა გინდა, წადი, მე სახლში დავრჩები, ჩემთვის ასე ჯობია, — მშვიდად ამოიხოხინა მიხელამ, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოიდო და ფანჯარას ალმაცერად გახედა.

— მე ჩავალ აპა, კაი, ბატონო, მე ჩავალ, ენას მაინც მოვიბრუნებ, იცოდე, მაგრე არ ჩაგეძინოსა და ცეცხლი არ გამოგიქრეს, თვარა მიტუაანთ რძალი დღეცისმარე ნეფსებს ხარშავს და ახალ-ახალ ანთებიანებს ელოდება, — დაიბარა კესარიამ და კარი გაიხურა.

ათას ფიქრს მიეცა მიხელა: ყმაწვილკაცობა გაიხსენა, მაშინდელი დუხჭირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება, მწყემსობის წლები მოიგონა, ცოლის შერთვის ამბავიც არ გამორჩენია, პირველი ბავშვის დაბადების სიხარული ახლაც კი წამოეწია... ამასობაში ღუმელში ცეცხლი და ნაკვერჩხალი მიინავლა. მძიმედ წამოდგა კაცი ტახტიდან. ღუმელს შეშით შეუჩინჩხვარა, მერე ოთახში მოუსვენრად გაიარ-გამოიარა, ნაცრისფერ რადიოს ხმა აუწია და ისევ ტახტზე მიწვა.

„მორიგი გადაცემების დაწყებამდე, — გაისმა უცბად დიქტორის ხმა, — გაგაცნობთ ამინდის ცნობას. საქართველოს ჰიდრომეტცენტრი გვატყობინებს: ხვალ, დასავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ბარში წვიმა, მთებში — თოვლი, რიონის ხეობაში იქროლებს ქარი ათითხუთმეტი მეტრი წამში. აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია...“

მოსალოდნელიას მოგცემ, თავში რო წამოგისვამ ხელს, უყურე შენ ამას? ტყუიხართ! ტყუის რადიო, ნამდვილად ტყუის, როდისღა თოვს, ხომ გადაიღო, რაღას გვიხეთქავენ გულებს! — შეუყვირა თაგვისფერ კოლოფს მიხელამ, ბარძაყებზე ორივე ხელი შემოირტყა რატომღაც, მერე კარი გაიჯახუნა და აივანზე გავარდა.

დასავლეთით კი იყო სათოვლე ღრუბელი, მაგრამ აქაც და იქაც აღარ თოვდა. მიხელამ ახლა აღმოსავლეთის ცისკენ გააპარა თვალი და სიხარულმა უცბად თავით-ფეხამდე დაუარა, ერთი მსხვილი ვარსკვლავი ღრუბლების ღრეჩოში ისე გამოიყურებოდა, თითქოს ცას შუშის თვალი აქვს ჩასმულიო.

„მორჩა ტატუშას მოზვრის საქმე, მორჩა და გათავდა! მართალია, არ გამოვართმევ, მარა, რო მოვიგე, ხო კარგია“, — გული საგულეში დაიგულა მიხელამ, ოთახში შებრუნდა, რადიოს ალმაცერად, დამცინავად შეავლო მზერა და ისევ ტახტზე მიწვა.

ვახშმობა კარგა ხნის მორჩენილი იყო, კესარია რომ დაბრუნდა სიმონაანთიდან. ოთახში შემოსვლაც იყო და, მძინარე მიხელას, არც აცია, არც აცხელა, აფთარივით დაეტაკა.

— რა იყო, ქალო, ხო არ შეიშალე, ჰკუიდან ხო არ გადახვედი, რა ეშმაკი დაგიხვდა გზაში, რა გჭირს! — დაფეთდა მიხელა.

— კიდე შენი იღბალი, იმან თქვა, იი უმგვანომ, მეტრა თოვლს მოთოვსო და შენ არ ამოგცდა პირიდან, თვარა, ვერ გადამირჩებოდი ცოცხალი! პირში გემრიელად ლუკმას არ ვიდებ, სარჩოსა და საბადებელს შვილებსა და შვილიშვილებს ვუნაწირორებ, შენ თურმე, ამ სიბერეში, გაგიშლია ხელი და მთელი წლის ნაშრომ-ნაწვალებს, ნაოფლარს ნიძლავში ისე ჩადიხარ, ისე ისვრი, ვითომც და აქ არაფერი! არა, კაცო, მითხარი ერთი, როდის აქეთია, შეიცვალე, ნიძლავები და გოჯილაობები დაიწყე! კიდე შენი ბედი, იმას უთქვამს, მოთოვსო, თვარაა! უიმეეე! ხო გამოვიწიწკნიდი ყველაფერს, ბეჩააა!!. — ისე შლიდა ხელებს კესარია, შეშინებულმა მიხელამ კედლისკენ ჩაიჩოჩა.

— რო არ მოთოვდა, ხო ვიცოდი! გაიხარა სოფელმა, საჭორაო მიეცათ, ერთი კვირა სადილ-ვახშამი არ ენდომებათ... რამდენი წელია, აღარც კი მახსოვს, დიდი თოვლი არავის უნახავს და ახლა, წელს, ამ კვირაში რა ღმერთი გაუწყრებოდა ცასა და ღრუბელს, პირს მოაღებდა ზესკნელი, დაუშვებდა და დაუშვებდა გაუმცდარად და ტატუშას ნიძლავს მოაგებინებდა! მერე, ესეც არ იყოს, ჩვენ ხო ვიხუმრეთ, მეტი რა იყო... აა, აგერ შენ და აგერ მე, ხო მაქვს მოგებული და ეგ არის, მარა, რავა მოზვერს გამოვართმევ? ან ის რა სინდისით წაიღებს ფულს უბრალო ხუმრობაში? ჰკუაზე ხო ხარ, ქალო!

— რას ამბობ, კაცო, შენ! ჰკუაზე მართლა შენ არა ხარ! ვითომ არ იცნობდე მარცხენა გასახმობ ტატუშა ლობჟანიძის უკულმართობას! ვითომ არ იცოდე მაგის ბნელი წარსული! მოიგოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ წაილოს? ხო მოიკლავს თავს! „დოკუმენტი" თურმე ხელში უჭირავს, სასამართლოს კარზე მიგიყვანს და მოწმეებს პირზე დაგიყენებს! იცი, საიდან მოსდგამთ მაგათ უკულმართობა? არა? ეეე, თურმე პაპამაგისმა ორჯერ გაატყავა საწყალი რწყილი, საქალამნე ტყავს დამაკლდაო, აპა! შენ მაგი მოგებულს დაგიტოვებს? მეტი არაა ჩემი მტერი! — კესარიამ აშლილი ნერვების დასალაგებლად ქვედა ტუჩზე ორჯერ იკბინა.

— რა რწყილი, რის რწყილი, გამოგონებული ამბავია. მამჭირნე იყო პაპამაგისი, შეშურდათ მისი შრომისა და გამოუგონეს. ტატუშასთან არც მაგრეა მთლად საქმე, ჩემო კესარია... ისე, რომელმა ჩიტმა ჩაგიჭიკჭიკა ნიძლავის ამბავი, მითხარი ერთი, ქალაქში გაქცეულ შვილებს გაფიცებ.

ჭირწასალები ხოსრო ართმელიძე შემოლაყუნდა სიმონაანთსა. გადმობრუნებული ქონდა ფაშვი, გამძღარი იყო, ნივრისა და ღვინის სუნი ერთიან ამოქირქილობდა მიწაჩასადებ პირიდან. სკამზე ჩამოჯდა თუ არა, მე გამომხედა და უმალვე სიჩუმე მოითხოვა, მომისმინეთო. გაისუსნენ მეზობლები. ქალბატონო კესარია, ბოსელში ადგილი თუ გაქვთო. რა ადგილი-მეთქი, წარბი შევიყარე, რაცხა უკულმართს იტყვის-თქვა და მოვემზადე. ერთი კარგი შავი მოზვერი რო დაეტიოსო. ვერ მივხვდი, რი მოზვერი, რა მოზვერი-მეთქი, რა სისულელეს აროხინებ, პირდაპირ მითხარი-მეთქი. მოყვა მერე თქვენი ვაჟკაცობისა. გუნებაში კი გადავირიე, სიბრაზისგან უკანარზე ექვსჯერ-შვიდჯერ მაინც ვიჩქმიტე, სხვანაირად იქ ხო არ შევიმჩნევდი რაიმეს, ხალხში, შენც არ მომიკვდე. მერე ათას რამეს იტყოდა შარად გასული მისი ყიამყრალი ენა. თუ წააგებს, რატომაც არ გადაიხდის-მეთქი, მივახალე! ალაშუნა და ალაშუნა ძირში მისაჭრელი ენა, ხან შენ დაგეტაკა, ხან ტატუშას, მერე ისაო, ფულის დასათვლელად მე დამიძახეთ, თქვენ არ გადაგიყვეთო, აპა, ასე დააყოლა ბოლოს და ისე ხმამაღლა გადაფიჩინდა, მომაკვდავ შამშეს მარჯვენა უპე აუთამაშდა.

— კიდე რაიო, მაგ უტვინომ, მაგ „შახმატის" ბეცმა.

— ამაზე მეტი რა უნდა ეთქვა, რავა, კიდე ხარ ვინმესთან რაიმეზე დანიძლავებული? არ გადამრიო და არ შემშალო სიბერეში წასული ქალი, კაცო, შენ! — ახლა კი მოიძრო კესარიამ თავშალი.

— შოშმან, კესარია, შოშმან! დაიმშვიდე გული, დაშოშმინდი. როდის იყო, სისულელეებს ჩავდიოდი. სიბრიყვე და უჭკუობა ტატუშას მოკითხე, ისაა მაგის ოსტატი, — საკუთარ რწმენას ძალა შემატა მინასიძემ.

— კაი, ვთქვათ, ბრძენი ხარ, წინასწარმეტყველი, კი ბატონო, მარა, რო გაწყრეს ღმერთი და მოთოვოს? აი, რა შვრები მერე, საიდან გინდა, როგორ გინდა, გადაუხადო ფული იმ ჯანდასაწვავს! კარზე ტალახს აგიშენებს, ჭალაზე გლეხებს აგიყრის, სოფელ-სოფელ საჭორაოდ ივლის, სანამ არ წაილებს, ვიცი, ასე იქნება ეს! — გამეტებით დაიკრა მჯიღი კესარიამ.

— არ მოთოვს, მორჩა და გათავდა!

— მაშ, თუ არ გეშინია, ის საზომი რატომ გააკეთე? ფიფქებს რატომ ითვლი მარცვლა-მარცვლა? ესე იგი, გეშინია, იცი, თუ მოიგო, წაილებს და აგერ აა, გულმაც კი დაგიწყო თავის შეხსენება! — კესარიამ ისევ აუწია ხმას.

— შოშმან, კესარია, შოშმან!..

ღუმელს გიზგიზი მიეტოვებინა და ცოლ-ქმრის კამათს გულისყურ უსმენდა. გარეთ, ეზო-ეზო მოხეტიალე, ქარაქვეტი ძაღლებს ბალანს უშლიდა, ძილს უფრთხობდა, აქეზებდა და ასისიანებდა...

●

ელპიტე ბოცვაძემ რომ გაიგო ქმრის ნასულელები, ელდა დაუტრიალდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთ ეცა კედელს, იქეთ მიაწყდა კარს, მკლავებს ვილა ჩიოდა, ლოყებიც გვარიანად დაიჩქმიტა, ერთი სიტყვით, საჩეჩელზე დაჯდა. მერე ბიბლიოთეკაში მეზობლის ბიჭი აფრინა. ტატუშას უთხარი, ელპიტემ შემოგითვალა, ახლავე სახლში გაჩნდი, სტუმარი გვყავს გაღმიდან, ნათლულის შვილები-თქო.

„კაი მოსატყუებელი კი დავუგე. სტუმრები რო არ მეხსენებია, საღამომდე არც კი მოიწერდა წარბს და სახლს არც კი მოაკითხავდა. რა ენაღვლება, ჩემს მოვლილსა და ნაფერებ მოზვერს ნიძლავში ჩადის. წაგება-გალალვა ფეხებზე კიდია. საბელიც ეგერ უკიდია. ჩააბამს და მიხელა ნაიფაქტალს აგვრის სახლში, შეიძლება ბაგაზეც დაუბას. შენ არა მოგეწიოს რაო. კარგია, კი!.. ვაიიი, ვაიიი. ტატუშა, შენ შავ დღეს მერე!“ — ფიქრიდან ხმამაღალ ლაპარაკზე გადავიდა ელპიტე, მერე ორჯერ-სამჯერ ისე გამეტებით დაიკრა მკილი, კინაღამ გულისფიცარი ჩაილეწა.

„სიბერეში კაცი ბრძენდებაო, ძველებისგან გამიგონია... ამას რა შავი ჭირი ეტაკა, რამ გამოაცალყურა, რამ გამოაპრუტუნა! არ მოთოვსო, რო ეთქვა და დაეჩემებია, კიდე მესმის, კიდე რაღაცას გავს! მოთოვსო, კაცო, მოთოვსო მაინცდამაინც ერთ მეტრსო, რამ წამოაყრანტალებინა! რომელი ცისა და მიწის გამგებელი ეგა მყავს, რომელი წინასწარმეტყველი ეგ დატოვა მამამისმა!.. ამ მოზვრის გაყიდვაგაის შემოდგომაზე მინდოდა, ბალნებს დასაკრავს ვუყიდი-მეთქი, სიმღერას ისწავლიან-თქვა, არ მაცლის თვალდახელშუა ნაჯაფ-ნაწვალებს?.. უიმეეე, ტატუშა მიწადასაყრელოო, შენ შავ და გაჭირვებულ დღეს, ხო დაგაბდღვნი მაგ ფაჩხა ულვაშს მერეეე?!. — ახლა უკვე კაპასად დავარდა ელპიტე ბოცვაძე.

დიდი დრო არ გასულა, შარაზე ტატუშა გამოჩნდა, ნაბიჯს ფართოდ მოიქნევდა. მეზობლის ძაღლმა არც ახლა ჩამოატარა დაუყეფრად. ლობჯანიძემ თვალი ძაღლის პატრონისკენ გააპარა და გუნებაში ერთხელ კიდევ შეუკურთხა.

ვინ უნდა მსტუმრებოდა ამ თოვასა და ყინვა-ჭირხლშიო, — მაშინ გაიფიქრა, როცა კიბის საფეხურები ათვალა და აივანზე შედგა ფეხი.

ოთახის კარი ელპიტემ გაუღო.

— რა გჭირს, ქალო, ლამის თვალები გადმოგიცვივდეს, წნევამ ხო არ აგიწია, რას გავხარ! — დააბნია ცოლის უცნაურმა სახემ ტატუშა.

...ოცი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ტატუშა გინებითა და ფურთხებით გამოვარდა სახლიდან. ლოყაზე ხელი მოისვა, ქუდი უფრო ჩამოიფხატა, მერე კიბე ჩაიჯლიგინა, ეზოდან ერთხელ კიდევ შეაგინა ცოლს, ჭიშკარი გაიხურა და შარას მარჯვნივ გაუყვა.

კარის მეზობელს, პიპინაანთ რაჟდენას, ქვეყანაზე არაფერი გამორჩენია და ეს როგორ გამოეპარებოდა, მოჰკრა თუ არა თვალი გინებ-გინებით მომავალ ტატუშას, მაშინვე ცოლს უთხრა: ელპიტემ ქმარს რაღაც ნაძლევზე ლოყები შემოალეწაო, გაიხარა რაჟდენას ცოლმა, წამოავლო კოკას ხელი და სოფლის წყაროზე გაიქცა, ვინმე რავა არ იქნება, სიტყვა-სიტყვით ჩავუკაკლოო, აბა, რავა გონია, სულ მაგის ლორები და ქათმები რო მინადგურებენ ეზო-კარს, მაგას შევარჩენო? და ყურმოკრული, პაი-პარად ნათქვამი ასად იქცა, ჭორი და ჭორიანტელი უბანუბან, ეზო-ეზო, ჭიშკარ-ჭიშკარ ესტუმრა მთელ სოფელს..

●

ბიბლიოთეკის ოთახი ისე იყო გაჭედილი, სკამი აღარ მოიძებნებოდა ჩამოსაჯდომი. ხოსრო ართმელიძეს რამდენი ხელი ჭაღრაკი ჰქონდა წაგებული, უკვე აღარ ახსოვდა, სათვალავი არეოდა, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა შემდგომი პარტიის სათამაშოდ — ხოსროს, თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის. საკუთარი წესი და კანონი ჰქონდა გაჩენილი. მხოლოდ მოგებულები ტოვებდნენ საჭადრაკო დაფას. წაგებულები კი თამაშს აგრძელებდნენ...

არისტო რომ ბიბლიოთეკას ესტუმრა, შუადღე გადასული იყო. საერთაშორისო მიმომხილველი მოვიდაო, თქვა ერთმა და სკამი წამსვე დაუთმო. ხეირიანად დამჯდარი არც იყო სკამზე არისტო, რომ ჯიბიდან ექვსად გაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა და თქვა:

— იცით, რა მოხდა გუშინ ამერიკაში?

ამის თქმა იყო და იხუვლა სიცილმა. ჭერი თუ არ ჩამოინგრეოდა, არავის ეგონა.

— რა გაცინებთ, ხალხო, რა! რა გახარხარებთ, რა! დემოკრატია აქვთ ამერიკელებს! ესაა მათი დემოკრატია? გუშინ პრეზიდენტს დაესხნენ თავს! — ყვირა არისტომ.

— პრეზიდენტს კი არა, ამ ცისა და მიწის წარმართველს, ტატუშა ლობჯანიძეს დაესხა ცოლი თავს, შე კაცო, და ეგ გიკვირს, პრეზიდენტს რო დაეცნენ? ვინ მიგდია ამერიკის შეერთებული შტატების ვიღაც პრეზიდენტი, კაი, კაცო!.. ისეთი შემოუკრავს ელპიტეს ტატუშასთვის, ქვედა ყბის ორადორი მოფამფალებული კბილი მომპასის კამფეტებივით უყლაპინებია, აპა, კაცო!.. ჩემო არისტო, მთელი სოფელი მაგაზე ლაპარაკობს და, ჩვენ ამერიკის პრეზიდენტი გვინდა? გვაცალე, ძმაო, საკუთარი სატკივარი! — ხოსრო ართმელიძემ ანგარიშივით ჩააბარა არისტოს ტატუშას გალახვის ამბავი.

— წაგახდინათ ღმერთმა, ყველაფერს თქვენ უნდა გამოაბათ კუდი, ჰორიკნები ხართ, მოყბედეები და მეტი არაფერი! — გაუწყრა მთელ საკრებულოს არისტო, მერე გაზეთი საგულდაგულოდ დაკეცა, ისევ გულის ჯიბეში ჩაიდო და ფანჯრის მიღმა კუშტად ისროლა მზერა.

— შეინახე, თვარა, აგერ კი არ გვაქვს, აი! თუმცა ნინუცა კი მალავს, არავინ არაფერი წაიკითხოსო, იმ წუთშივე მახათზე წამოაგებს და კონჭავს, გამებნევაო, — შენიშვნა შეიტანა ბიბლიოთეკარის მუშაობაში რომელიღაც ენაგრძელმა.

— მაინც რა ღონე ქონია ელპიტეს, ერთის მეტი არ დაურტყავს და ადგილზე გაუქვრია ჩვენი ტატუშა! — ახლა კოწიამ გამოუცირცქნა ჰორს მეორე ნასკვი.

— მოგეხმარო, რა ვქნა? — გურგენა მოლარემ თვალები ორივე ხელის ცერა თითებით ამოისრისა.

ვინ იცის, კიდევ რამდენნაირ კუდს გამოაბამდნენ თანასოფლელები ტატუშას კბილების ყლაპვის ამბავს, ბიბლიოთეკას რაიონის სახანძრო დაცვის ინსპექტორი რომ არ სწვეოდა.

ნინუცამ წამსვე სიჩუმე მოითხოვა, ზრდილობა მოჰკითხა პასიურ მკითხველებს, მერე ისიც კი შეაპარათ, სული მოგვათქმევინეთ, ქვედა უბანში ჩადით, იმას, იმ გენიოსს, სამი ხელი დომინო აქვს ჩამოტანილი სამეცადინოდო...

მეხანძრე-ინსპექტორი, მართალია, ხელს კი ითბობდა ღუმელზე, მაგრამ მის გაზგიზს ალმაცერად უყურებდა...

ბიჭები ნელი-ნელ, წელათრევით გაიკრიფნენ...

●

ოცდაოთხი იანვრის საღამო ვისთვის მძიმედ და ვისთვის მსუბუქად დაეშვა ფოცხვრების მთიდან. მაშინვე მიხვდებოდით, ტატუშასა და მიხელას ოჯახებში წამით თუ შეიჭვრეტდით...

...ახლა აღმოსავლეთის ცა იყო მოქუფრული, ჩალუსკუმებული, დასავლეთის ცას კი იალკიალი დადებოდა — გათხელებულიყო ღრუბლები, გახლეჩილიყო აქა-იქ, ვარსკვლავებსაც გამოეჭვრიტათ. მთებს ნისლები მუხლებამდე აეწიათ...

ნაძლევს შერიგებული მიხელა და კესარია ოთახში იმ ფანჯარასთან ისხდნენ, საიდანაც დასავლეთის ცა მოჩანდა. ქვედა უბანში კი ტატუშა და ელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიტე აღმოსავლეთის ღრუბლიან ცას გასცქეროდნენ...

— არ იქნება ხვალისთვის მეტრა თოვლი! დღეს არ გამიზომია, მარა, გუნება მეუბნება, არ იქნებაო! — გული გაიკეთა მიხელამ.

— გვიან საღამოს ცოტაღა აკლდა, ერთი ხელის დადება, მე შევამოწმე, — კესარიამ საჩვენებლად მარჯვენა ხელი გაშალა.

— ცოტასაც მოთოვა უნდა! — ერთხელ კიდევ გაექცა თვალი მბჟუტავი ვარსკვლავისკენ მიხელას. — იალკიალი, ღმერთო, იალკიალი ქენი!..

ტატუშა ლობჯანიძე ჩუმად, წარბქვეშ გახედავდა ხოლმე ცოლს, მერე თავის ნაჩქარევსა და ნასულელარს კიდევ ერთხელ ჩაიწნილებდა, გუნებაში ჩაიმჟავებდა და მეუღლის სანუგეშოდ შუბლს გაიხსნიდა:

— შენ თუ იცი, ჩემო ელპიტე, მეტრაზე მეტი რომაა თოვლი! ხე რო ხრილს იწყებს, თოვლი მაშინ ნამბულდება, იწევს ძირს, ჯდება, აპა! ჰოდა, ის, რავა გგონია შენ, მე არ მეთვლება. თუ?! ჩავალ რაიონში, ჰიდრომეტცენტრიკოსს მოვიყვან, იმას გავაზომინებ და იმასვე დავაწერინებ დასკვნას! ოთხმოცდაათ სანტიმეტრამდე კი იყო ამასწინ, ხო გახსოვს, რადიომაც რო გამოაცხადა! ჩვენი სოფელი არ უთქვამს, მარა. მთებშიო, ხო თქვა. ან ის რათ მინდა, აგერ, გავჭრი და ვნახავ!

— სახურავზე რო გაგეზომა ამაღამ? — ელპიტეს არ მოუსვენა ეჭვის ჭიამ.

— გაგიჟდი? სახურავზე ნახევარი არ ჩერდება! ბუხრის სითბო ყოფას ტირობს! მაგ გაზომილი კი აწყობს მიხელა მინასიძეს, მარა, ვერ მივართმევ, მეც მჭირდება მოზვერი, მერე კიდევ მოგებული ფული, აპა! — ტატუშამ ხელები მოიფშვნიტა და გუნებაში ფული ორჯერ-სამჯერ გადაითვალა.

— დავწვეთ, კაცო, გამომიცვდა თვალები ფანჯარაში ყურებით. ცოტას კი ფირფლავს და... — ელპიტემ გულიანად დაამთქნარა.

— ამ დილასაც ხო თოვდა, — გააგრძელა ტატუშამ შეუაგაწყვეტილი სათქმელი, — სამხრობისასაც კარგად წამოუშინა, ყველაფერი ჩემკენ არის, სიტყვაც, ღმერთიც და... როდის იყო, ტატუშა რაიმეს აგებდა! ისეთი იმედი მაქვს, თუ გინდა, ფული ჯიბეში მდებოდეს, რავა, აგერ არაა ჰიდრომეტცენტრი? ფთილა-ფთილა დავათვლევინებ და მაინც გამოვაყვანინებ მეტრა თოვლს!.. ისე, ფულს მაინც არ გამოვართმევ!.. გადავწყვიტე, არ გამოვართვა! ადრე კი ვფიქრობდი, ცხელ გულზე, მოგებულს რავა შევარჩენ-მეთქი, მარა... არ ღირს, რას იტყვის სოფელი, ნაიფაქტალს ფული წაართვაო... არა, არა, ყველაფერი ფულით არ გაიზომება, სოფელი წმინდა უნდა დარჩეს... — ახლა რატომღაც ხმადაბლა ლაპარაკობდა ტატუშა.

— იმან, იმ ოხერმა რო მოგიგოს, შეგარჩენს? საწყალ რწყილს უკულმა ატყავებდა ბაბუამისი თურმე, ქონს ჭურში ასხავდა, ჩონჩხს კიდევ ბაზარზე ყიდიდაო, გამიგონია ჩემი ცხონებული მამამთილისაგან! შენ რა, ეგ ნაკლები წუნკალი გგონია? ტვინს ამოგჭამს, მოვიგე და ჩემიაო! საბალახეზე დაიჭერს, თოკს ჩააბამს, სახლში წაიყვანს, ბაგაზე გამოასკვნის და უყარე კაკალი მერე! მაგას რო თავი დავანებოთ, კესარია ერთიანად გამოიწიწკნის ათჯერ დაკერილ ნიფხავს, აპა! — უდასტურებდა ელპიტე ქმარს.

— ქალებმა ბევრი ენა იცით, ეეეჰ! — ჩაიქნია ხელი ტატუშამ და ბოლთის ცემას მიჰყვა.

...ზედა უბანში ძაღლები აყეფდნენ, მიხელას ძაღლიც ალავლავდა, ხრინწიანი ხმა ჰქონდა, უსიამო.

— შენ შეგჭამა მგელმა, შენა! რა უცნაური ხმა გაუხდა, მაგ ამოსაწყვეტს! — დაიჩივლა მიხელამ თავისი ძაღლის სიბერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცის, რო წააგებ და გესამძიმრება, რა შეუძლია მეტი მაგას!

— რას წავაგებ, ქალო, არ გადამრიო! მოვიყვან მეტეოცენტრს და ფიფქებს სულ ჩოთქზე დავაანგარიშებინებ! ღმერთმა ნუ ქნას, მეტრა თოვლი მოთოვოს, ხომ წალეკა აქაობა წყალმა და მეწყერმა, რას ამბობ, შენ, ქალო, აზრი დააყოლე! — გაწყრა მიხელა. — ეგეც არ იყოს, მოზვერს, რავა, მის მოზვერს ბოსელში დავიბამ და სოფელს თვალებში შევხედავ მერე? თფუ, შეგარცხვინათ ღმერთმა! რა ხართ ეს ქალები! — გულის ცემა აუჩქარდა მიხელას.

— ბატონი ხარ, ნუ დაიბამ მის მოზვერს, მარა, წაგებულს რო ჩაგატანიებს და ჩაიჯიბავს, ეს ხო იცი შენ? მაგის წუნკალი წარსული დაგავიწყდა? ჩემი მამამთილისგან გამიგონია...

— მოიცა, ქალო, მოიცა, მამამთილი არა ისა! — შეაწყვეტინა მიხელამ ცოლს, ფანჯარას მოცილდა და გარეთ გავიდა.

— ძალით გინდა გაცივდე, ხო? გამოვბარში ნეფსები, ხო? კაი, ბატონო, გაცივდი და მერე ვნახავ შენს სეირს. — საცე წამოენთო კესარიას.

მიხელა ისევ შებრუნდა ოთახში და ბოლთის ცემას მიჰყვა.

ის იყო ღამემაც ივახშმა და ღრუბელს მიფარებულმა მთვარე-ვარსკვლავმაც, რომ ელპიტემ საკმაოდ ხმამაღლა წამოიკივლა.

— რა იყო, ქალო, რა გულს მიხეთქავ, წნევამ ხო არ აგიწია! — ტატუშა ცოლს მივარდა.

— წნევამო? ეგება წნევამაც კი ამიწია! არიქა, ტატუშ, წყალი, გული მიმდის!

ტატუშა ვედროს ეცა, წყალი მოარბენინა. ელპიტემ სამი ყლუპი მოსვა, მერე სკამის საზურგეს მიეყუდა.

— გამაგებინე, რა გჭირს, ქალო! მეზობლებს დავუძახებ! — შეშინდა ტატუშა.

— ვაიმე, ვაიმეეე, რა ვნახე! ჯვარი აქაობას, ჯვარი აქაობას, ჯვარი აქაობას! დედაა, შვილოოო!

— რა იყო, ქალო... მითხარი, ქალო, მე კიდე შიშის ჭამა მინდა?

— რამ დაგანიძლავა, ერთ მეტრსაც მოთოვს და კიდე მეტსაცო! მაშინვე პირი უნდა გამოგერეცხა! თვალწინ მიდგას, შვილოოო!.. ჩამოვიყვინტილე, წავკურდღლე, ძილმა წამართვა თავი და უცბათ სიზმარში შევედი! შვილოო, შვილოო, ვაი, შენს დედასა, შვილოო!

— მოყევი და დამაყენე საშველი, ბიჭოს! — გაწყრა ტატუშა.

— დიდი მოთოვა, ერთი მეტრი, კიდე მეტიც, მთელი სოფელი ზომავდა, წონიდა, დასამსები ხოსრო ართმელიძეც ზომავდა სათამაშოს ქვებით, უცხო კაციც იყო მოსული, ისიც ზომავდა, გამარჯვება შენ მოგაკუთვნეს, მარა, რად გინდა მერეე, შვილოოო... მომიტა ისევ წყალი, არიქა კაპლი! — ფერი დაეკარგა ელპიტეს.

ფერფურწასულ მეუღლეს თვალებში ჩაშტერებოდა ტატუშა.

— ოსიაანთ ოჯახი ხო გახსოვს! ის ბავშვი ხო გახსოვს, მერცხალივით ბიჭი რო იყო!

— კი, საწყალი, როგორ არ მახსოვს, იმ ზვავის წამოსვლის ამბავი გუშინდელ დღესავით მიდგას თვალწინ...

— ჰოდა, აი, თითქოს შენი დანაძლევებული თოვლი მოწყდა ნაზლოფერი გორას, და, რა ნახა ჩემმა თვალებმა, დედააა, შვილოოო, უცბად ის მერცხალივით ბიჭი გამოჩნდა ზვავში თავამოყოფილი... დედააა, მიშველეთო, ყვიროდა... ეს რა ავი სიზმარი ვნახე, შვილოოო... მთელი წელი ძილი არ მომეკიდება, შვილოოო...

ტატუშამ კაპლიანი წყალი ისევ მიაწოდა ცოლს...

— შვილოოო, შვილოოო, — ყრუ ხმით იმეორებდა ელპიტე.

— სოფელს არა მოეწიოს რა, ავი არაფერი დაგვიტრიალდეს და მეორე მოზვერს წმინდა გიორგის ეკლესიას შევწირავ. ისედაც ცოტანი ვართ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ კიდე ზარალი გვინდა? ღმერთმა ნუ ქნას, ჯვარი ჩვენს სოფელს! — ტატუშამ სამჯერ გამოისახა პირჯვარი და ცას ფანჯრიდან ამრეზით გახედა.

ელპიტე საწოლზე მიწვა და ჭერს თვალი მიაშტერა...

მთვარეცა და ვარსკვლავებიც ახლა უკვე შუა ძილში იყვნენ. ტატუშას ქვედა უბანში ჩასძინებოდა, ზედა უბანში კი — მიხელასა და მის ცოლს...

გამთენიისას, მოლაპარაკებულებივით, სოფლის დიდმა თუ პატარა მამალმა ერთხმად ატეხა ყივილი... თეოზე ძაღლებიც ალავლავდნენ... სწორედ ამ დროს ტატუშა ლობჯანიძე სიზმარს ხედავდა: სადღაც მიდიოდა და ვერც მიდიოდა, გაღმა-გამოღმეთი, ტყიანეთი თუ კლდიანეთი, სულიერი თუ ცულნაკრავი, ყიამეთი თუ ყიყრანტალი ახლად დადებულ უსაშველოდ დიდ თოვლში ჩაფლულიყო. ნაბიჯს ვერ აცილებდა ნაბიჯზე, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა. მარჯვენა ხელი უკან გაეშვირა, გრძელი საბლით თითქოს და შავი მოზვერი მიჰყავდა შესაწირავად წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. თავისი ხმა გარკვევით ესმოდა, საიდანღაც ანასხლეტი: ღმერთო, შენ აპატიე ჩემს სოფელს სულელური ნაძლევი, ნუ მოთოვ, დიდზვაობა იცის ნამბულმა თოვლმა, ღმერთო, ქენი იალკიალი!..

მიხელა მინასიძემაც ნახა სიზმარი. დიდი ამბავი მომხდარიყო, თოვლჭყაპს სულ ერთიან წაელო იქაურობა, მთა და ველი, მინდორი თუ ყანა. წყლადქცეულ მიდამოს ყვავი და ყორანი დაყრანტალებდა ციდან. აი, გავიდა ზღვის გაღმა... მოზვრის საფასური ფული ორთავე ხელში უჭირავს და ვილაცას ისე ჩუმად ეხვეწება და ეჩიფჩიფება, თვითონაც არ ესმის ნახვეწარნაჩიფჩიფარი... კესარია გამოჩნდა ბექობზე, ისე დაბერებულიყო, კინაღამ თვითონაც გაუჭირდა ცოლის ცნობა. ახლოს მივიდა, ცასმიყურადებულ კესარიის ნიკაპთან საგულდაგულოდ ჩამცნეულ თავსაფარში ცრემლის გუბე ჩასდგომოდა...

...მიხელას მამალმა ერთხელ კიდევ დაიყივლა...

მომძლავრებული ნათელი მთიდან ბარად დაეშვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაურ მოლაშხია

## აქ თუ არ წახდი!

წუთისოფელი! დიდი სოფელი! რომელი არის,
მოყვასო, ნალდი?
არ ვიცი! მაგრამ ყველგან, ყოველთვის გმირი ხარ, ძმაო,
აქ თუ არ წახდი!
დრო — გველაძუა და ყოვლისმცოდნე — მირქმეულ ნილაბს
სუყველას ახდის.
იქ, მიღმეთშიაც იქნები ნალდი, უწინარესად,
აქ თუ არ წახდი!

## ეშმა

მოგელაქუცა რამდენჯერ ეშმა —
მაცდუნებელი სულთა უძლურთა...
ჯერ ვერ დამკვიდრდა შენთან თუ
შენში,
ჯერ ვერ დაგაბა თავის კუნძულთან.

მაგრამ ნუ ფიქრობ—მოგშორდა იგი,
ნუ მიეცემი მაცდურ ზმანებებს...
ეშმა ეშმაა — მკაცრიც და მშვიდიც
და თავს ადვილად არ დაგანებებს.

●

ნერვი დაწყვეტილია...
მთები დამეწყრილია...
ვინ შეგიკრავს ამ ულოს?..
ილია —
დღეს არა გვყავა, მამულო!

ფითრი აკრავს ხილიანს...
ვაზი აჩეხილია...
ვდგავართ უხმოდ, უფაროდ...
ილია —
კვლავ გვალირსე, უფალო!

●

ეს რა ხმა ისმის, რა ამო,
თითქოს და სივრცე წკრიალებს;
შეჟღალებულა სალამო,
დასავლით რაღაც ციალებს.

გაყურსულია შორეთი...
მღერის გოგონა ლერწამა!
— „სიყვარულისთვის მოვედი,
უსიყვარულოდ ვერ წავალ!.."

●

თავის საწუხარს გამცნობს მავანი...
განესტიანებს ეს ბინა — სორო!
არც წარსულია, არც მომავალი,
მხოლოდღა ერთი ცხოვრებით
ცხოვრობ!

თითქოს მოხვედი სხვა სამყაროდან
და იქ განძივით დაგრჩა იმედი...
აქ მოგაჩეჩეს ბნელი ხარო და
ზიხარ უჩუმრად და მოთმინებით.

100
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო გაწრიალებს განუყოფადი
და თვით ყოფნაა შავ-თეთრი აორო...
არც წარსულია და არც მყოფადი,
მხოლოდღა ერთი ცხოვრებით
ცხოვრობ!

●

შიშით დახარა თავი იელმა, —
ცაზე როს ელვამ გადაიელვა...

ამ შუადღეზე მთელი დუნია
რაღაც იდუმლად დაბინდულია.

გაბმულად ჟღერენ სივრცის სიმები...
ალბათ, დრო მოდის დიდი წვიმების.

●

ძახილი! ნეტავ, საიდან ისმის?
თითქოს მოყვასი მაფრთხილებს...
ია მის
ხმას მოჰგავს სწორედ!..

ვიღაც მალულად ქვას ჩემსკენ
ისვრის,
ჯერ ხელს ტალახით ამაოდ ისვრის...
გავყურებ შორეთს!

ისევ მაფრთხილებს ხმა
მიმხმობელი, —
ხან მეოხი და ხან ულმობელი
ქვას ვიღაც მესვრის!..

ვითმენ... მოთმენით რაღას მოველი?
აქეთკენ მოდის მგზავრი ყოველი, —
ყიყანი მესმის!..

●

ვერ წამიკითხავს ბოლო დროს
ლექსიც
და, უფრო მეტიც, თვითონაც ვერ
ვწერ...
ხან ვებრძვი მეწყერს, ხან ღვრიან
ჩემს სისხლს,
ვერ ვხედავ მართლის გამგებს თუ
შემწეს!

დღეს, გუშინდელი მოყვარე ჩემი
უგულოდ გულში მიმიზნებს ტყვიას...
ხელშებორკილი უმწეოდ ვრჩები
და... მაინც თურმე მჩაგვრელი მქვია!

●

ტყიდან ჭინკები იძახდნენ — ჭიტაა,
იყო სიმწვანე სულის შემძვრელი...
ზაფხულში, როცა წვიმდა და წვიმდა,
ტყეში მუხლამდე იდგა ლეჟერი...

დააცხუნებდა ციდან ოდეს მზე, —
გამოისმოდა ტყიდან შუილი...
ორთქლი თუ ნისლი — ხეთა
ტოტებზე
იყო გაშლილი აბრეშუმივით.

## ჯერ კიდევ ვცოცხლობთ...

მართლაცდა არის ცხოვრება შარზე,
გაუფიქრებელს ყინჩად მაბრალებს...
თუ დავეცემი სადმე — შარაზე, —
ვერ ამოვავსებ ყოფნის ნაპრალებს!

დამშლის, დამღეჭავს დრო
ლუკმასავით,
თითქოს ვიყავი და არც ვიყავი!..
მოუხილავი მრჩება ვარსკვლავი
და ხვალის წიგნი — წაუკითხავი.

მთვარესთან ერთად დავკარგე
ჩრდილიც
(გზაო ყოფნისავ, ნუ დამოკლდები!),
ჯერ კიდევ ვცოცხლობ, ჯერ კიდევ
ვილი
და სიკვდილამდე მეც არ მოვკვდები!

●

ღამე ბაცდება, როდესაც
მზე მოიჩქარის მაღლით...
უკვე მისი ხმაც მომესმა
ყურუმი ფერით დაღლილს.
თითქოსდა ხორცის აღარ ვარ,
სული მიმიძღვის წინ და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალჩნდა ტაძარი — მაღალი
და ლოცვასავით წმინდა.
დრო გადის — დაუნახველი...
მზე მოისწრაფვის ჩვენსკენ!
გაუმხელელი ნაღველი
ცრემლად ჩამოსდით
ფრესკებს.

●

ბედი უჩინარი მომაღირსებს შველას,
შველას მომაღირსებს უჩინარი
ბედი...
დედი, მომიტევე უბინაოს ჯერაც,
ჯერაც უბინაოს მომიტევე, დედი.

სევდის ნარი დროზე ჯობდა
მომეცელა,
მომეცელა ჯობდა დროზე ნარი
სევდის...
დედი, ბინა ნაღდი ბოლოს
მომეცემა,
მომეცემა ბოლოს ნაღდი ბინა,
დედი.

### გვანცას

გითვალთვალებს ზღვის მგვანი ცა,
ფრთა გაშალე შვილო, გვანცა,
მამაშენი დაიქანცა, —
ან შენია ვრცელი სივრცე!

შენი მზეა შუქთა მფენი,
ბორჯღი გიცდის სულ ნათელი, —
მუდამ წმინდა, მუდამ მრთელი
დრო სვიანად მოიმტკიცე!

გვერდს გიმაგრებს ორი ძმა და
სიანკარე დაგცქერს ცათა;
თუკი ჟამმა გამოგცადა —
გული მამულს უნდა მისცე!

### შენ არ გჭირდება ფერისცვალება

არ გილიქნია გარდასულ ჟამთან,
არ გეშინია უკან მიხედვის...
ისევ გწამს იგი — რაც გულით
გწამდა, —
ასეთი არის შენი წილხვედრი!

არ გიცხოვრია აქამდე ტკბილად,
ეშმას გუშინაც მუშტებს
უღერდი...
რაიც გტკიოდა — დღესაც ის გტკივა,
დღესაც მას უმღერ —
რასაც უმღერდი!

შენ არ გჭირდება ფერისცვალება,
ასეთი არის შენი იღბალი...
კარგად იციან შენიათანებმა —
ვინ ვისთან იდგა ჭრელი
ნიღაბით.

ზოგი იუდას ცოდვილ ვერცხლს
ითვლის,
შენ კი... ცხოვრობდი შენი
ხილვებით...
არ მოხიბლულხარ ბრჭყვიალა
ნივთით
და არც არასდროს
მოიხიბლები!

### ჭრილობა ბაზალეთური

დღემდე ვერაფრით ვერ მოვიშუშე
ბაზალეთური მწარე ჭრილობა...
ფეხდაფეხ მომდევს ძმათა შუღლი და
ცუდმედიდობა, შური, ცილობა...
ვარ სინათლეში თუ სიბნელეში? —
ვერ გავერკვიე...
ამღრია ალმური...
დავითის სიახლთან ამ ჩვენს გენებში
ნუთუ ძგერს გენიც —
შადიმანური?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა იათაშვილი

# მოთხრობები

## ვარიაციები სიკვდილის თემაზე

ვარიაცია № 1

### ცეცხლი

**ამდენი** ხნის შემდეგ, ამხანაგებმა ძლივს აიყოლიეს და ქალაქგარეთ გაიყვანეს. ღამით მინდორში ცეცხლი დაანთეს და სიცილ-ხორხოცით ირგვლივ შემოუსხდნენ. გოგონებმა ვახშმის თადარიგი დაიჭირეს. ბიჭებმა გიტარას ჩამოჰკრეს. ის კი იჯდა გარინდული და მობრიალე კოცონს მიშტერებოდა. ცეცხლი, ყოველ წამს ცვალებადი, მოუხელთებელი, განუმეორებელი და მაინც რაღაცით ერთფეროვანი და მოსაწყენი, მომხიბლავი და, ამასთან, დაუნდობელი, თითქოს სამყაროს მოდელს წარმოადგენდა... მან თავი მუხლებში ჩარგო და გაირინდა. დიდხანს იყო ასე. გონებაში ხელმეორედ აგიზგიზდა სხვა დროსა და სივრცეში ჩანავლული კოცონი... იჯდა... მერე წამოდგა, კიდევ ერთხელ შევიდა ტყეში და კიდევ ერთხელ შეაგროვა ფიჩხი. რომ ბრუნდებოდა, იგრძნო, როგორ უდუნდებოდა ნელ-ნელა სხეული, ძლივს მიიტანა ფეხები უკან. გამხმარი ტოტები კიდევ ერთხელ აქეთ-იქიდან შემოუწყო და მოლზე დაეშვა. „მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, — სამყაროს ოთხი პირველსაწყისი, ოთხი სუბსტანცია.. ძველბერძნებს შეეძლოთ ამ ოთხიდან ნებისმიერი ეწამათ, რამეთუ ყოველი მათგანი წმინდა იყო მაშინ, ახლა კი... ახლა შეირყვნა ყველაფერი: მიწაც, წყალიც, ჰაერიც... და მხოლოდ ცეცხლი დარჩა კვლავაც სუფთა, კვლავაც უცვლელი და მარადიული, კვლავაც ისეთი, როგორიც იყო თავდაპირველად და შენც ამიტომ მას უნდა მიაბარო, რათა მერე თვით მან ძიგაბაროს მარადიულობას..." ფიქრი გაწყდა, დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ. მისი ყურადღება ერთმა წერტილმა მიიპყრო. ფიჩხის გროვაში ხელის ლამაზი მტევანი მოჩანდა. მან მუხლებზე წაიჩოქა, წინ გადაიზნიქა და თითებზე ეამბორა. მაშინვე ის ღამე წარმოუდგა თვალწინ... როგორც კი გაეღვიძა, იმწამსვე იგრძნო უცნაური სიცივე. მერე მოეჩვენა, თითქოს სამყარო რაღაც შემაძრწუნებელ გარინდებაში ჩაფლულიყო. ქალისკენ გაიხედა. თვალი მისი სახის სითეთრემ მოსჭრა. ტვინში საშინელმა აზრმა გაუელვა. და როგორც კი ხელი ხელზე შეახო, რატომღაც მაშინვე დარწმუნდა, რომ ეს აზრი მართალი იყო. იცოდა, ეს წუთი მალე დადგებოდა. ორივენი შეჩვეულნი იყვნენ ამაზე ფიქრს, მაგრამ არ ეგონა, თუ ყველაფერი ასე მოულოდნელად მოხდებოდა. არ უტირია, თითქოს მშვიდადაც კი შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ მერე აღეგზნო, გადაირია ისე, როგორც არასდროს. მთელი სამი საათი ეხვეოდა, კოცნიდა სითბოდაკარგულ ტუჩებში, თვალებში, კისერზე, მკერდზე, მუცელზე, ფეხებზე, ისევ ტუჩებში, ისევ თვალებში, ისევ კისერზე და ასე დაუსრულებლად, ეხუტებოდა, ეფერებოდა, სრესდა, თითქოს უნდოდა თავისი სხეულის სითბო ჩაეღვარა მის გათოშილ ძარღვებში, თავისი სუნთქვით ამოევსო მისი დაცარიელებული ფილტვები, თავისი ვნებით გაეღვიძებინა სადღაც მასში ჩანავლული ჟინი... და ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ მზის სხივებმა დენივით არ გაუარა ამღვრეულ გონებაში და შეძრწუნებული არ მოაშორა საყვარელ სხეულს. და მან, აკანკალებულმა, თვალები დახუჭა. დიდხანს იყო ასე. მერე ისევ მისი სხეული დაინახა: ქათქათა, სალუქი, ლამაზი... უცბად შეკრთა, შეამჩნია, მის მკერდზე როგორ აცოცდა მოწითალო-მოშავო, გრძელი მატლი და გალოლდა... მერე მუცელზე დაუნახა მეორე, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე... მატლები კი მილოლავდნენ და მილოლავდნენ... „არა.... არა... — თქვა ჩუმად — მე, ეტყობა, ჩვეულებრივზე მეტად მიყვარდა შენი სხეული, ამიტომაც ვერ შევძლებ მის ისეთნაირად გამეტებას, სხვები რომ ახერხებენ. შენი სხეული ან ასეთივე უნდა დარჩეს, ან უნდა გაქრეს... სხვა გზა არ არსებობს..." იგი დაიხარა, კიდევ ერთხელ აკოცა ფიჩხის გროვიდან გამოყოფილ ხელს, მერე ჯიბიდან ასანთი ამოიღო და გაჰკრა. ცეცხლი ჯერ სუსტად წაეკიდა გამხმარ ფოთლებს, მერე თანდათანობით აბრიალდა... აქეთ-იქიდან ერთმანეთში არეული გაურკვეველი ხმები მოესმა. თავი მძიმედ აიღო და ჯერ მოგიზგიზე კოცონს შეხედა. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე გარშემო მხდომ ამხანაგებს. ყველანი თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი. წამოდგა და პირდაპირ კოცონისაკენ გაეშურა. ზოგიერთებმა გაკვირვებით ამოხედეს. მან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იგრძნო, როგორ აუწვა ალმურმა სახე...

## ვარიაცია № 2

### ვერსია

ანა ზ. — 25 წლის. ჰყავს დედა, ძმა და შვიდი წლის გოგონა. მეუღლე ორი თვის წინ გარდაეცვალა. 1989 წლის 22 მარტს საკუთარ ბინაში, სარეცხის თოკით კარნიზზე თავი ჩამოიხრჩო. ამ ქმედების ამხსნელი არავითარი წერილი ან საბუთი არ დაუტოვებია.

გამოძიებამ რამდენიმე თვის შემდეგ დაადგინა, რომ თვითმკვლელობის მიზეზი გახდა ფსიქიური შეშლილობა, რაც განვითარდა მეუღლის ტრაგიკული სიკვდილის შემდგომ. ეს დასკვნა გაკეთდა ქალაქის №1 საავადმყოფოში მოძიებული ავადმყოფობის ისტორიისა და მკურნალი ექიმის ჩვენებების საფუძველზე, აგრეთვე ანა ზ.-ს ნაცნობ-მეგობრების, ნათესავების, მეზობლების დაკითხვიდან გამომდინარე.

დადასტურდა, რომ ანა ზ., 1989 წლის 28 იანვარს, დედამ საკონსულტაციოდ მიიყვანა პროფესორ გ. გ.-სთან, მეუღლის, ნოე ზ.-ს დაკრძალვიდან მეოთხე დღეს. პროფესორმა გ. გ.-მ მიიჩნია, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ნერვული აშლილობა, გამოწვეული გადატანილი დაძაბულობით და შესაბამისი მკურნალობა დაუნიშნა. რამდენიმე დღის შემდეგ ანა ზ.-ს დედა, სერიოზულად შეშფოთებული, მარტო მივიდა პროფესორ გ.გ.-სთან და მოახსენა, რომ დანიშნულმა მკურნალობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო და რომ მდგომარეობა, პირიქით, კიდევ უფრო გაუარესდა. ამასთან, ანა ზ.-ს დედამ აღნიშნა, რომ მის ქალიშვილს აღარ სურს მკურნალობის განგრძობა და არც საავადმყოფოში მისვლას აპირებს. პროფესორმა გ. გ.-მ ურჩია ანა ზ.-ს დედას, როგორმე დაეყოლიებინა შვილი საავადმყოფოში გამოსაკვლევად დაწოლილიყო. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, დედის დიდი ხვეწნა-მუდარის, ნათესავებისა და მეგობრების უშუალო ჩარევის შემდეგ, ანა ზ. დათანხმდა საავადმყოფოში დაწოლაზე. 1989 წლის 8 თებერვალს იგი დააწვინეს № 1 ფსიქიატრიული საავადმყოფოს № 47 პალატაში. მკურნალ ექიმად დაუნიშნეს ბ. კ.. მრავალმხრივი დაკვირვებებისა და ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ანა ზ.-ს რაიმე სერიოზული ფსიქოპათოლოგიური ცვლილება არ აღენიშნებოდა. ამასთან, პარალელურად ჩატარებული მკურნალობის კურსის შემდეგ, მისი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ზემოთქმულის საფუძველზე და, აგრეთვე, ანა ზ.-ს დაჟინებული თხოვნის გათვალისწინებით, იგი 1989 წლის 21 მარტს საავადმყოფოდან გამოწერეს მკურნალობის გაგრძელებისა და შესაბამისი მეთვალყურეობის მოთხოვნით. მეორე დღეს, როცა ანა ზ.-ს დედამ გოგონა სკოლაში წაიყვანა, შინ მარტოდ დარჩენილმა ანა ზ.-მ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარნიზზე სარეცხის თოკით თავი ჩამოიხრჩო.

გამოძიებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია იმას, თუ რაში გამოიხატებოდა ანა ზ.-ს ფსიქიური აშლილობა. უნდა ითქვას, რომ სურათი საკმაოდ ცალსახა გამოდგა. ყველანი, ვისაც კი ანა ზ.-სთან ამ ბოლო ხანებში ურთიერთობა ჰქონდა, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მეუღლის გარდაცვალების დღიდანვე ანა ზ.-ს აეკვიატა აზრი, რომ იგი იყო არა მხოლოდ ანა ზ., არამედ მისი გარდაცვლილი მეუღლე — ნოე ზ.-ც. მომდევნო დღეებში მოხდა ამ პათოლოგიური იდეის განვითარება, რაც იქამდე მივიდა, რომ ანა ზ. ხშირად ლაპარაკობდა არა თავისი, არამედ მეუღლის სახელით, მისი სახელით მიმართავდა საკუთარ თავს, შემდეგ საკუთარი სახელით მეუღლეს — ნოე ზ.-ს, ნოე ზ.-ს სახელით კვლავ საკუთარ თავს და ასე დაუსრულებლად. ესე იგი, მართავდა გარდაცვლილ მეუღლესთან დიალოგს. ამასთან, დასჩემდა ნერვიულობა, გულმავიწყობა, შიში, გახდა გულჩათხრობილი, ხშირად ამბობდა, რომ აღარ იცოდა, ვინ იყო — ანა ზ. თუ ნოე ზ. თუ ორივე ერთად. მეუღლე მიცვალებულად არ მიაჩნდა. დასაფლავების შემდეგ მხოლოდ ერთხელ იყო საფლავზე და ძალიან შეშინდა. ამის შემდეგ, როგორც კი სასაფლაოზე წასვლას უხსენებდნენ, ფითრდებოდა. ცრემლიანივით თრთოლვას იწყებდა და სასტიკ უარს აცხადებდა. ბავშვს ხან დედის სახელით მიმართავდა, ხან — მამის, რითაც ბავშვში შიშის გრძნობას იწვევდა. ბოლო დროს დაიწყო ლექსების წერა და ყველა ლექსს თავისი მეუღლის გვარს აწერდა. ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ ადრე ლექსი არასოდეს დაუწერია და ეს ლექსები დაწერილი იყო ნოე ზ.-ს აშკარად გამოხატული პოეტური ხელწერით. ისედაც, როდესაც ანა ზ. მეუღლის სახელით ლაპარაკობდა, თანდათან სულ უფრო აშკარად იკვეთებოდა აწ განსვენებული ნოე ზ.-ს საუბრის მანერა, მისი აზროვნების სტილი, ინტერესთა სფერო.

გამოკითხულთა აზრით, ყველა ამ სიმპტომის გამომწვევი მიზეზი იყო ანა ზ.-ს უსაზღვრო სიყვარული მეუღლისადმი და ამის საფუძველზე ჯიუტი უარყოფა მისი გარდაცვალების ფაქტისა. ანალოგიური დასკვნა გააკეთეს ექიმებმაც: პროფესორმა გ.გ.-მ, მკურნალმა ექიმმა ბ. კ.-მ, ნევროპათოლოგმა ა. ხ.-მ, სექსოპათოლოგმა მ. ნ.-მ და სხვებმა. გამოძიებამ აღნიშნული ვერსია ჭეშმარიტად მიიჩნია და საქმე დახურულად გამოაცხადა.

სიმართლე რომ ითქვას, გამოძიების დასკვნა არ გამოხატავდა მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ აზრს. ყველა, შორეული ნაცნობებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებული, დედით დამთავრებული. დარწმუნებული იყო, რომ ანა ზ. თვითმკვლელობამდე მართლაც მეუღლისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და, აქედან გამომდინარე, მისი დაკარგვით გამოწვეულმა უმძიმესმა სულიერმა ტრავმამ მიიყვანა. თავიდან მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ მერე და მერე, მომხდარ ფაქტს უფრო მეტად რომ ჩავუღრმავდი, ეჭვი შემეპარა თავდაპირველი ვერსიის ჭეშმარიტებაში. გამიჩნდა საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ ეს მოსაზრებები იმდენად არამეცნიერული და მისტიკური იყო, არავისთვის გამინდვია. თუმცა რამდენადაც კი შემეძლო, ვაზუსტებდი ჩემთვის საინტერესო დეტალებს. მნიშვნელოვანი იყო აღმედგინა ნოე ზ.-ს გარდაცვალების უკანასკნელი წუთები. დიდის მცდელობით მოვახერხე ეს და განვცვიფრდი, იმდენად დაემთხვა ჩემი წარმოდგენები რეალურ სურათს. კიდევ რაღაც-რაღაცები დავაზუსტე და საბოლოოდ ჩამოვაყალიბე ამ თვითმკვლელობის ამხსნელი ჩემეული ვერსია, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

როდესაც ტრაგიკული შემთხვევის შედეგად სარეცელს მიჯაჭვული ნოე ზ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, ანა ზ., რა თქმა უნდა, მის გვერდით იმყოფებოდა და იმედდაკარგული და დაბნეული ცდილობდა რითიმე ეშველა საყვარელი ადამიანისათვის. თუმცა, ისიც ცხადი იყო, რომ ნოე ზ. დიდხანს ველარ გაატანდა. როცა ეს უკვე აშკარა გახდა, სასოწარკვეთილი ანა ზ., ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩაეკრო მეუღლეს და გაშმაგებულმა დაუწყო კოცნა შუბლზე, თვალებზე, ტუჩებზე, ხელებზე, მკერდზე, ბოლოს კი, უკვე მომაკვდავს, ბაგეებზე დააკვდა. როდესაც ექიმებმა ანა ზ. მეუღლის ტუჩებს ააგლიჯეს, კაცი უკვე მკვდარი იყო. ეს დაადასტურეს იმ დროს იქ მყოფმა ექიმებმა ს. ტ.-მ და ა. ვ.-მ და აგრეთვე ექთანმა ლ. ე.-მ. ჩემი აზრით, სწორედ ეს მომენტი იყო გადამწყვეტი და სწორედ სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე გაჩენილმა ამ ამბორმა განსაზღვრა ანა ზ.-ს მომავალი ბედი. მაშინ, როდესაც ნოე ზ.-ს სული ხორცს უნდა გაჰყროდა და ცალკე აღვლენილიყო, მაშინ, სწორედ მაშინ, ანა ზ.-ს ტუჩები გადაეფარა მას უკვდავებისაკენ მიმავალ გზაზე, არ მისცა თავისუფლება და აიძულა ერთი სხეულიდან მეორეში გამომწყვდეულიყო. ნოე ზ.-ს სულმა დატოვა სხეული, რათა სულთა სასუფეველს შერთვოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, კვლავ სხეულში აღმოჩნდა. სხეულში, სადაც ისედაც ბუდობდა კიდევ ერთი სული. ასე იქცა ერთი სხეული ორი ადამიანის, ორი სულის, ორი სამყაროს საყუდრად და რამეთუ სხეულს ერთი სულის ტარებაც კი უჭირს, მით უფრო გაუჭირდა ორი სულის ტარება. მათ სიმძიმეს ვერ გაუძლო და მოტყდა. მოტყდა იმიტომაც, რომ ამ ორმა, ერთმანეთის მოსიყვარულე სულმა ვერ იგუა ასეთი ნამეტანი სიახლოვე. ასეთ სულებს ხომ უფრო მეტად ის აკავშირებთ, რაც ერთმანეთისაგან დაფარული აქვთ, ხოლო თუკი მათი საიდუმლოებანი ერთმანეთში გაჟონავს, მაშინ უკვე ვერარავითარი ძალა ვერ შეძლებს მათ გაერთიანებას. სული ზღარბია, როგორც კი მასთან მიახლოებას დააპირებ მაშინვე დაგორგოლავდება და ეკლების მეტს არაფერს გამოაჩენს. ანა ზ.-ს სხეულში მოთავსებული სულები კი ჰგავდნენ საშინლად ვიწრო საკანში გამომწყვდეულ ორ, ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ ფანტასტიკურ ტუსაღს, რომლებიც ყოველ წუთს იზრდებიან და ბოლოს ველარ ეტევიან პატარა საკანში, რის გამოც ერთმანეთის მტრები ხდებიან, საბოლოოდ კი ორივენი იღუპებიან სივრცის უკმარობის გამო... იღუპებიან... იღუპებიანო, ვთქვი მე, მაგრამ განა მართლა ასეა? განა ანა ზ.-მ თავისი საქციელით ეს საკანი არ გაანგრია და ტუსაღები სამშვიდობოს არ გაუშვა? მე მგონია, რომ სწორედაც ასეა... მე მგონია, რომ მან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ჩემი ვერსია ჭეშმარიტია. ვერსია, რომლის სისწორეშიც მე რატომღაც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. თქვენ? თქვენ, როგორც გნებავთ, ისე განსაჯეთ. გინდათ, ახალი ვერსია მოიგონეთ. ეს თქვენი უფლებაა. მე ჩემი უფლება უკვე გამოვიყენე და ბოლომდე დავიცავ მას.

## ვარიაცია № 3

## სტუმარი

კაცი მარტო იყო. მეუღლეს ბავშვი ექიმთან წაეყვანა და წერილი დაეტოვებინა. მალე მოვიდოდნენ, ალბათ. მარტო იყო, ტახტზე იწვა და გაზეთებს ათვალიერებდა. ზარმა დარეკა. „მოვიდნენ", გაიფიქრა კაცმა და წამოდგა. სათვალთვალო მილში არც გაუხედავს, ისე გააღო კარი. კარში ახალგაზრდა კაცი იდგა—მისი სიმაღლის იყო, მისი თმის ფერი, მისი თვალები, მისი ცხვირი, მისი ნიკაპი ჰქონდა... მისი შარვალი, მისი პერანგი, მისი ფეხსაცმელი ეცვა... კაცმა შეძრწუნებით უკან დაიხია — ზღურბლზე ის იდგა, თვითონ... თუმცა ის როგორც სხვა იდგა, მაგრამ ის სხვა თვითონ იყო... სტუმარმა დერეფანში შემოაბიჯა. ოდნავ წელში მოხრილი და თან ნელა, რაღაც უსუსური ნაბიჯებით მოდიოდა. არა, სიარულში მას ნამდვილად არ ჰგავდა, სხვა მხრივ კი... კაცს შემოსასვლელში დაკიდებული სარკისაკენ გაექცა თვალი. მერე ისევ უცნობს შეხედა. იგი ისევ ნელა, ლანდივით მოჩანჩალებდა. კაცს უნდოდა, ეყვირა, მაგრამ ხმა წაერთვა, უნდოდა, ხელი მოექნია, მაგრამ ღონე გამოეცალა. სტუმარი მძიმე-მძიმედ შემოვიდა ოთახში და სავარძელში ქშენით ჩაესვენა. კაცი კედელს მიეყუდა და გაფითრებული სახიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუ გიკვირთ, — უთხრა უცნობმა სუსტი, გაბზარული ხმით, მაგრამ კაცმა ვერ წარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა მსგავსი რამ არ გაკვირვებოდა. — მე სხვა ვარ, ოღონდ გარეგნული იერი შევიცვალე და თქვენ დაგემსგავსეთ.

— რატომ? — ძლივს ამოღერღა კაცმა ერთადერთი სიტყვა.

— მე უნდა მოვკვდე, — თქვა უცებ სტუმარმა, — აქ, ახლა, აი, ამ სახლში. — იგი გაჭირვებით ლაპარაკობდა, ელრიალა, არახასიათოვნო ხმით.

— როგორ თუ მოკვდეთ? — დაიჩურჩულა კაცმა და გამოცვიებული თვალები თავის ორეულს მიაპყრო.

— მე მოხუცი ვარ, ღრმა მოხუცი, — უპასუხა სტუმარმა მართლაც ბებრული ხმით, და კაცს მისი ბებრული სიარულიც გაახსენდა. — მართალია, ახალგაზრდულად, ანუ თქვენსავით გამოვიყურები, მაგრამ მაინც მიხრწნილი ბერიკაცი ვარ... მხოლოდ გარეგნობა შევიცვალე, რათა თქვენს მაგივრად მოვკვდე აქ, ამ სახლში...

— კი მაგრამ, კი მაგრამ... ვინ მოგცათ ამის ნება... ჩემს მაგივრად მე თვითონ მოვკვდები ჩემივე სახლში, როცა ამის დრო მოვა... ვინა ხართ თქვენ, საიდან გაჩნდით ან რა უფლებით ბედავთ ჩემს ბინაში სიკვდილს და ისიც ჩემი იერით! — კაცი ათრთოლდა, სახე წამოუჭარხლდა, ხმა გაუტყდა, გული ზარბაზანივით უგუგუნებდა.

— მისმინეთ, — მოუჭრა უცებ სტუმარმა მტკიცედ. — მე მარტო ვარ, სულ მარტო. ამ ქვეყანაზე იმდენი ხანი ვიცხოვრე, რომ ყველა ახლობლის სამარის კარამდე მიცილება მე მოიწია. ასე რომ უპირისუფლო ვარ, ისე უნდა მოვკვდე, გულშემატკივარი და დამტირებელი არავინ მყავდეს. იქნებ დასაფლავებაც კი არ მეღირსოს, ისე ავყროლდე... — უცნობი ლაპარაკისაგან დაიღალა, მძიმედ ამოიქშინა, სული ძლივს მოითქვა და განაგრძო: — მე კი მინდა სხვებივით ნორმალური, ადამიანური სიკვდილი. მეც მინდა ვინმემ იგლოვოს ჩემს ცხედართან, შავები ჩაიცვას და ლოყები დაიხოკოს... მინდა, მოვიდნენ პანაშვიდებზე, გვირგვინები და ყვავილები მომიტანონ, დამწუხრებულებმა შემომხედონ და შემიცოდონ... მინდა, მეც ჩამასვენონ ძვირფას კუბოში, ხალხის წინაშე მთელი ცერემონიებით გამომასვენონ და საპატივცემულო ადგილას დამკრძალონ... მინდა, ჩემს საფლავზეც მოვიდნენ ჭირისუფლები, სარეველა მომაცილონ, გულზე მომეფერონ და ჭიქა ღვინო წამიქციონ.... დიახ, მე ეს ყველაფერი მინდა და მივაღწევ კიდეც ამას თქვენი საშუალებით...

— რატომ ჩემით! — იყვირა თავზარდაცემულმა კაცმა. — რატომ ჩემით! რატომ! გამაგებინეთ! გამაგებინეთ! რაღა მე ამომარჩიეთ, რაღა ჩემს ოჯახში მოგინდათ სიკვდილი, რაღა ჩემი სახელით მოინდომეთ საიქიოს წასვლა! — კაცი ყელში სწვდა თავის ორეულს, სავარძლიდან წამოხწია და გავეშებულმა ნჯღრევა დაუწყო: — გამაგებინეთ! გამაგებინეთ-მეთქი, გეუბნებით, გამაგებინეთ, რაღა მაინცდამაინც მე ამომარჩიეთ ამოდენა ხალხში, რაღა მე ამომარჩიეთ! — სტუმარი წინააღმდეგობის ნატამალსაც არ ამჟღავნებდა. მოჩჩვარული ეკიდა მის ხელებზე და გადმოკარკლული თვალებით მიშტერებოდა. „შემომაკვდა!" — მეხივით დაეცა კაცს ფიქრი და შეძრწუნებულმა მოხუცს ხელი ცივად გაუშვა. მოხუცი სავარძელში დაჩუტული ბუშტივით უხმაუროდ ჩავარდა და თავი მკერდზე ჩამოუვარდა. კაცი ერთხანს დაზაფრული უყურებდა, მერე მივიდა და ნიკაპი აუწია. სტუმარი აზრდაკარგული, თუმც კი ჯერაც ცოცხალი თვალებით მიაჩერდა. „გადავრჩი", — გაიფიქრა კაცმა და თავის ორეულს მოსულიერება დაუწყო.

— მე სიმდიდრე და ზომაგადასული ბრწყინვალება არასოდეს მიზიდავდა, — ამოთქვა სტუმარმა, როგორც კი ცნობიერება დაუბრუნდა. — მუდამ იმითაც კმაყოფილი ვიყავი, თუკი იმდენი მქონდა, რაც ჩვეულებრივ, საშუალო ადამიანს აქვს. არც სიკვდილის შემდეგ მინდა რაიმე ზედმეტი, ამიტომაც აგირჩიეთ თქვენ, სრულიად შემთხვევით, რასაკვირველია... თქვენნაირები ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, მაგრამ იმ ბევრშიც ერთი მაინც ხომ უნდა ამოირჩეს... ნუ განრისხდებით და ნურც გაოცდებით, უმჯობესია, ბედს შეურიგდეთ... ბედს ვერავინ გადაახტება, ნურც თქვენ შეეცდებით... ახალგაზრდა ხართ, ჯან-ღონით სავსე, კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე გიდევთ წინ... კიდევ მოახერხებთ ახალი ცხოვრების დაწყებას, მე კი სიკვდილის მეტი აღარაფერი დამრჩენია და მინდა ადამიანურად მოვკვდე... მესმის, რომ ამით რაღაცას გართმევთ, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც სიცოცხლე ჰქვია... თქვენ ჩემთვის, მოხუცისათვის, დავრდომილისთვის მცირე მსხვერპლს გაიღებთ და სანაცვლოდ სიმშვიდეს და სიკვდილისშემდგომ ნეტარებას მომანიჭებთ... ამით ბევრი არაფერი მოგაკლდებათ, რადგან ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ბრძანდებით, ეს კი ყველაზე მთავარია... და კიდევ ერთი, მაღალი ღმერთი ყველაფერს ხედავს და საწყალი მოხუცის ნუგეშისათვის თავის წყალობას არ მოგაკლებთ... სასუფეველი იქნება თქვენს მოლოდინში დღეის შემდეგ... ხოლო უკეთუ ბედისწერას ქედს არ მოუხრით, ვერ მოგენიჭებათ ბედნიერება და ნეტარება ვერც სააქაოს და ვერც საიქიოს... ეს ჩემი რჩევაა, კეთილი რჩევა ბევრისმნახველის და ბევრისმცოდნის... გახსოვდეთ, რომ ცოცხალი ხართ და განწირულებას ნურასოდეს მიეცემით, — თქვა მოხუცმა და ლაპარაკისაგან ღონემიხდილი, სულმთლად მოიმჩვარა.

— მისმინეთ, — დაიწყო კაცმა ცოტა ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ. — განა რას მოგცემთ, ჩემს მაგივრად რომ დაგასაფლავონ. ისინი ხომ მე დამიტირებენ და არა თქვენ, მე მომიტანენ ყვავილებს და არა თქვენ, მე გამიჭრიან საფლავს და არა თქვენ, მე წამიქცევენ ჭიქას და არა თქვენ, მე დამადებენ მარმარილოს და არა თქვენ.... გესმით? მე! მე! მე! და არა თქვენ!

— თქვენც და მეც, — თქვა სტუმარმა წყნარად, — ან კი სულ ერთი არ არის? მაინც ხომ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია...

— სულ ერთია?!! — იღრიალა კაცმა. — თქვენთვის შეიძლება სულ ერთი და გადაწყვეტილია, მაგრამ ჩემთვის არაფერიც არ არის გადაწყვეტილი! თქვენ გგონიათ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც გნებავთ, მაგრამ მე თქვენს ნება-სურვილზე არ ვითამაშებ! ახლავე დატოვეთ აქაურობა და მეორედ არ დაგინახოთ, თორემ ამ წუთასვე კატასავით მიგაბრჩობთ! — სტუმარი ისევ ისე ურეაქციოდ იჯდა. კაცმა მოხუცს პიჯაკში ხელი წაავლო და ფეხზე წამოაგდო. — ახლავე გაეთრიეთ აქედან და ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ, როგორ და სადაც გინდათ, იქ ჩაძაღლდით. მე თქვენთან არაფერი მესაქმება! — ამ სიტყვებზე კაცმა თავის ორეულს ხელები ჩასჭიდა და კარისკენ გაათრია. ორეულმა უსუსურად გაიბრძოლა, ოთახში შესასვლელი კარის წირთბლს ფეხი წამოჰკრა და ჩაიკეცა. კაცმა მისი წამოწევა სცადა, მაგრამ უცებ იგრძნო, თუ როგორ დამძიმდა მოხუცის სხეული და როგორ მიიზიდა იატაკმა მისი გაქვავებული ტანფეხი. კაცმა სტუმარი გულაღმა გადააბრუნა და მის ვვერდით მუხლებზე დაეშვა. შუშის თვალებმა ტვინი ულმობლად გაუბურღეს და საფეთქლებში ზარები დაურისხეს. კაცი პულსს ეცა, მერე სახეზე შეავლო ხელი, ქუთუთოები ჩამოუწია, სუნთქვა შეუმოწმა... მკვდარი იყო... მკვდარი... საფეთქლებში ზარების ნაცვლად მიცვალებულის სიტყვები აგუგუნდნენ — წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შემზარავი დამაჯერებლობით ნათქვამი სიტყვები... ის კი იდგა მუხლებზე და ამ სიტყვებს უსმენდა... ერთი წუთი... ორი... სამი... იქნებ ხუთი... იქნებ ათი... მერე წამოდგა, კარადასთან მივიდა, ის შარვალ-კოსტიუმი ჩაიცვა, რომელიც მის ორეულს ემოსა, საწერი მაგიდის ქვედა უჯრა გამოაღო, ფული ამოიღო, დათვალა, ჯიბეში ჩაიდო, მერე ისევ ამოიღო, ნაწილი გადათვალა და ისევ უჯრაში ჩადო... დერეფანში გავიდა... მიცვალებულს გადაალაჯა, კარი გამოაღო და გარეთ გაიხედა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. გავიდა და ქვევით დაეშვა... უცბად ელდანაკრავივით შედგა, სწრაფად შებრუნდა სახლში, ლოჯიაში შევიდა, თაროდან უუთი გადმოიღო, ერთხანს ხელები აფათურა, მერე ის სურათი ამოარჩია, რამდენიმე დღის წინ რომ გადაიღო სამივემ ერთად პარკში, უუთი თავის ადგილას შედგა, სურათი კოსტიუმის შიგა ჯიბეში ჩაიდო, ნელი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ, მიცვალებულს კიდევ ერთხელ გადაალაჯა, გავიდა, კარი გაიხურა და თავჩაქინდრული ჩაუყვა კიბეს...

## ბოლო ვარიაცია

## სიკვდილის კოდექი

„იგი მოკაკული იწვა იატაკზე და წერდა. ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც წერდა. მთელი სხეული საშინელ ტკივილებს აეტანა, თვალები ებინდებოდა, თითებს ვერ იმორჩილებდა, მაგრამ მაინც ნელ-ნელა და ჯიუტად გამოჰყავდა ოკრობოკრო ასოები თითქმის მთლიანად აჭრელებული საერთო რვეულის ბოლო ფურცელზე. იცოდა, რომ ეს მისი ბოლო ნოველა იყო, შეიძლება საუკეთესოც კი, და უნდოდა, ძალიან უნდოდა მოესწრო მისი დამთავრება. მაგრამ ეს არ იყო ადვილი. ტკივილები ყოველ წამს სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. უკვე სუნთქვაც უჭირდა. დამძიმებული ჰაერი თითქოს ყელზე თავის უხილავ ხელებს ხვევდა და ახრჩობდა. კაცმა ყრუდ დაიკვნესა. წითლად შეღებილი კალმისტარი გასისხლიანებულ და აკანკალებულ თითებში მთელი ძალით ჩაბღუჯა და გონებაში გაელვებული მორიგი ფრაზის ქაღალდზე გადატანას შეეცადა. ცერა და საჩვენებელი თითიდან ჩამოდენილი სისხლი იმავ წამს დაწერილ ასოებს დაეწვეთა. კაცმა მარცხენა ხელი გაფატრულ მუცელს მოაცილა და თითქმის გაშავებული და გაზინქული თითებით რვეული ბოლო გვერდზე გადაშალა. ამ დროს იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა. თუმცა არა, კი არ შემოვიდა, არამედ მას, მის სხეულს, მის სულს, მის გონებას გამოეყო... კაცმა თავი ასწია და მიმქრალი მზერა გარშემო მიმოატარა. მაგრამ ავეჯის მეტი ვერაფერი დაინახა. არადა, აშკარად გრძნობდა თავის გვერდით იმ ვიღაცის არსებობას...

— ვინა ხარ! — უნდოდა დაეყვირა, მაგრამ გამშრალ სასასა და გაქვავებულ ენას ვერაფერი დააცდინა.

— სიკვდილი, — იყო პასუხი, ოღონდ საიდან, კაცი ამას ვერ მიხვდა.

— ძლივს, — თქვა ან გაიფიქრა მან, — ოღონდ რამდენიმე წუთი დამაცადე, რომ ეს ნოველა დავამთავრო.

— ეს ნოველაც სიკვდილზეა?

— რა თქმა უნდა, აბა სხვა რაზე შეიძლება იყოს, მით უმეტეს, ახლა.

— ახლა?

— ჰო, ახლა, როცა სიკვდილი მოვიდა.

— მერე, არ გეშინია მისი?

— არა.

— რატომ?

— რატომ? მე მთელი სიცოცხლე სიკვდილზე ვფიქრობდი.

— ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითქმის მთელი ჩემი შემოქმედება სიკვდილს მივუძღვენი.

— ვიცი.

— ამისათვის სიცოცხლეშივე სიკვდილის პოეტი შემარქვეს.

— ესეც ვიცი.

— აბა მაშ, რაღას მეკითხები?

— რას?

— თუ რატომ არ მეშინია შენი!

— რატომ არ გეშინია?

— რა, კიდევ გაუგებარია?

— კი.

— მისმინე. ახლა მოდის ის, რაზე ფიქრსაც მთელი სიცოცხლე შევალიე და ბოლომდე მაინც ვერ გავერკვიე მის არსში. ახლა მოდის და მიჩვენებს თავის ჭეშმარიტ სახეს. ეს ხომ ბედნიერებაა, ბოლოს და ბოლოს გაერკვე იმაში, რაზეც მთელი ცხოვრება თავს იმტვრევდი. შენ კი ამბობ, რატომ არ გეშინიაო. არა, მე არ მესმის, მართლაც არ მესმის შენი...

— არც მე მესმის შენი. ნუთუ გული არ გწყდება, რომ ბოლომდე მაინც ვერ გაარკვიე ის, რასაც მთელი სიცოცხლე მიუძღვენი?

— ბოლომდე ახლა გავარკვევ.

— მაგრამ ჩემი დახმარებით. დამოუკიდებლად კი მაინც ვერ შესძელი ამის გაკეთება.

— ამის იმედი არც მქონია.

— აბა, მაშინ რატომ შეალიე ამდენი დრო და ძალ-ღონე ამ საქმეს?

— იმიტომ რომ, შენთან მოვსულიყავი.

— მე ყველასთან მივდივარ. შენთანაც მოვიდოდი.

— არა, ეს სულ სხვაა. შენ კი მოხვიდოდი, მაგრამ მე მინდოდა, თავად მოვსულიყავი შენთან. და მოვსულიყავი ღირსეულად. თავაწეული, უშიშარი, ბედნიერი...

— და შენ გგონია, ეს შესძელი?

— მგონია და ასეცაა. აი, თუნდაც გაიხსენე, ვინ იყო ის, ვინც მე დანა გამიყარა...

— მე ხომ მას არც კი ვიცნობდი. შეიძლება არც მენახა არასოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც გამიმეტა მოსაკლავად. და გახსოვს, რა მითხრა მანამ, სანამ დანას დამარტყამდა?

— მახსოვს.

— მერე რა გამოდის? მან ხომ ფაქტობრივად ჩემი ნაწერებისათვის მომკლა. ასე მითხრა: შენ იმდენს ფიქრობ სიკვდილზე, რომ სინამდვილეში უფრო მეტად მკვდარი ხარ, ვიდრე ცოცხალი და ამიტომაც უმჯობესი იქნება, თუკი ახლავე გამოესალმები სიცოცხლესო.

— მერე მართალი იყო?

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ამით ის მინდა დაგიმტკიცო, რომ მე მოვედი შენთან და არა შენ ჩემთან. რომ არა ჩემი ამგვარად განვლილი ცხოვრება, რომ არა ჩემი ლექსები, რომანები და ნოველები, ასე არ მოვკვდებოდი. მე ჩემი როლი შევასრულე და მჯერა, არცთუ ისე ცუდად. მე ხალხი სიკვდილზე ჩავაფიქრე. თუმცა, პირველი არ ვყოფილვარ, ვინც ეს მისია დაისახა და, იმედი მაქვს, არც ბოლო ვიქნები. მე, უბრალოდ, ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. ვაღიარებ, ყველას ვერ გავწვდი. უფრო ზუსტად, მხოლოდ ერთეულებს, მაგრამ ეს არც ისე ცოტაა. მე მჯერა, რომ რამდენიმე ადამიანი მაინც გადავარჩინე. გადავარჩინე იმ გაგებით, რომ როცა მათთან სიკვდილი მივა, ისინი სხვებივით არ შეშინდებიან, არ აცახცახდებიან, არ ატირდებიან, დაბნეულები და სასოწარკვეთილები არ შეხვდებიან მას. მე ჩემი თავიც გადავირჩინე. თუ არ გჯერა, აგერ, შემომხედე, ხედავ, რას ვგავარ. სისხლში მოთხვრილი, ტკივილებატანილი, იატაკზე მიგდებული, მაგრამ მაინც დაუმფრთხალს ხელში ისევ კალამი მიჭირავს, მშვიდად გესაუბრები და თან ჩემს ბოლო და, ალბათ, საუკეთესო ნოველასაც ვამთავრებ. ამაზე მეტი რაღა მტკიცება გინდა?

— იცი, რა, ჩვენ თავიდანვე არასწორად დავიწყეთ კამათი. შენ გგონია, რომ ადამიანები სიკვდილზე არ ფიქრობენ და გინდა აიძულო იფიქრონ, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. სიკვდილზე ყველა ფიქრობს.

— არ ფიქრობს ყველა!..

— ფიქრობს.

— შეიძლება ფიქრობს, მაგრამ არასაკმარისად.

— იმდენს არ ფიქრობს, რომ შეძლოს თავად მივიდეს სიკვდილთან ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი უეცარი მოსვლისა არ შეეშინდეს.

— და მერე ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ღირს ამისათვის სიცოცხლის შეწირვა?

— ღირს.

— კარგია, რომ გწამს ამისი.

— მე ყოველთვის მწამდა, და ხედავ, რომ ახლაც მწამს, რამეთუ ახლაც იმავე საქმეს ვაკეთებ.

— ჰო, მართლა, შეიძლება შენი ეს ბოლო ნოველაც წავიკითხო?

— შენ რა, სხვებიც გაქვს წაკითხული?

— ყველაფერი, და მინდა, ამასაც ვიცნობდე.

— მაგრამ ჯერ რომ არ დამიმთავრებია?

— მერე როდის გინდა დაამთავრო?

— როდის დავამთავრო? რა ვიცი... თუმცა, არა, ვიცი. მე ამას ვერ დავამთავრებ. შენ უნდა დაამთავრო.

— მე?

— ჰო, შენ. შენ უნდა დამეხმარო ამ ნოველის დამთავრებაში. ბოლოს და ბოლოს, დედამიწის ზურგზე ხომ უნდა არსებობდეს ერთი მაინც ჭეშმარიტი ნოველა სიკვდილზე?

— უნდა არსებობდეს.

— ჰოდა, მაშ დამეხმარე.

— ჯერ მაცადე, წავიკითხო, რა დაწერე.

— აჰა, წაიკითხე, — კაცმა ნახევრად შემხმარი და გასისხლიანებული ხელი დალაქავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვეულის კიდეს მოჰკიდა, ორიოდე ფურცელი უკან გადაშალა და შეატრიალა. მერე კიდევ ერთხელ აიხედა ზევით, მაგრამ ავეჯის გარდა ისევ ვერაფერი დაინახა. თუმცა აშკარად იგრძნო, როგორ ჩაცუცქდა ვიღაც მის წინ და იმ ადგილს შეხედა, სადაც ეწერა:

## სიკვდილის კოცნა

„იგი მოკაკული იწვა იატაკზე და წერდა. ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც წერდა. მთელი სხეული საშინელ ტკივილებს აეტანა, თვალები ებინდებოდა, თითებს ვერ იმორჩილებდა, მაგრამ მაინც ნელ-ნელა და ჯიუტად გამოჰყავდა ოკრობოკრო ასოები თითქმის მთლიანად აჭრელებული საერთო რვეულის ბოლო ფურცელზე. იცოდა, რომ ეს მისი ბოლო ნოველა იყო, შეიძლება, საუკეთესოც კი, და უნდოდა, ძალიან უნდოდა მოესწრო მისი დამთავრება, მაგრამ ეს არ იყო ადვილი. ტკივილები ყოველ წამს სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. უკვე სუნთქვაც უჭირდა, დამძიმებული ჰაერი თითქოს ყელზე თავის უხილავ ხელებს ხვევდა და ახრჩობდა. კაცმა ყრუდ დაიკვნესა, წითლად შეღებილი კალმისტარი გასისხლიანებულ და აკანკალებულ თითებში მთელი ძალით ჩაბღუჯა და გონებაში გაელვებული მორიგი ფრაზის ქაღალდზე გადატანას შეეცადა. ცერა და საჩვენებელი თითიდან ჩამოდენილი სისხლი იმავ წამს დაწერილ ასოებს დაეწვეთა. კაცმა მარცხენა ხელი გაფატრულ მუცელს მოაცილა და თითქმის გაშავებული და გაზინქული თითებით ბოლო გვერდზე გადაშალა. ამ დროს იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა. თუმცა არა, კი არ შემოვიდა, არამედ მას, მის სხეულს, მის სულს, მის გონებას გამოეყო... კაცმა თავი ასწია და მიმქრალი მზერა გარშემო მიმოატარა, მაგრამ ავეჯის მეტი ვერაფერი დაინახა. არადა, აშკარად გრძნობდა თავის გვერდით იმ ვიღაცის არსებობას...

— ვინა ხარ! — უნდოდა დაეყვირა, მაგრამ გამშრალ სასასა და გაქვავებულ ენას ვერაფერი დააცდინა.

— სიკვდილი, — იყო პასუხი..."

რვეული ბოლო გვერდზე იყო გადაშლილი. მეტი არაფერი ეწერა.

— სულ ეს არის? — მოესმა კაცს შეკითხვა.

— ჰო. ჯერჯერობით სულ ეს არის, მაგრამ თუ ცოტას მაცდი და ნებასაც მომცემ, მინდა ის ჩავიწერო, რაზეც ახლა მე და შენ ვილაპარაკეთ.

— და მერე ეს შენი ნოველა იქნება?

— აბა, ვისი?

— ჩემი და შენი, ერთობლივი.

— იყოს ერთობლივი, ოღონდაც დამამთავრებინე.

— რად გინდა ასე ძლიერ ამის დამთავრება?

— ხომ გითხარი უკვე. ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ნოველა იქნება სიკვდილზე. თანაც, — კაცმა გაიღიმა, — თანაავტორად თავად სიკვდილი ეყოლება.

— არა, არა, თანაავტორობაზე უარს ვამბობ. რა დროს ეგაა. საქმე ისედაც თავზე საყრელადა მაქვს. სჯობია, შენ თვითონ დაწერო და შენი გვარიც მოაწერო. მე კი აგერ აქ ჩამოვჯდები და დაგელოდები. ხომ ხედავ, არ გაჩქარებ. დაამთავრე შენი ნოველა.

— მადლობა... დიდი მადლობა, — თქვა კაცმა და სისხლიანი კალმისტარი ისევ ჩაბღუჯა აკანკალებულ თითებში... დიდი ხანი გაჭირვებითა და ტანჯვა-წამებით წერდა. ფურცელი აღარ ეყო, ყდაზე გადავიდა, ყდაც რომ შეავსო, გაფორთხდა, მაგიდაზე გაშლილ თაბახის ფურცლებს მისწვდა, იატაკზე დაყარა და ახლა მათზე განაგრძო წერა. ბოლოს გაჩერდა. მერე ისევ წაიღო ხელი, ორიოდე სიტყვა დაწერა და მაშინვე გადაშალა. ისევ დაწერა, ისევ გადაშალა, ყრუდ ამოიგმინა და გაჩერდა.

— დაამთავრე?

— არ ვიცი, — თქვა კაცმა დაღლილი ხმით.

— ეს როგორ?

— აი, ნახე, — კაცმა მისკენ შეაბრუნა რვეული და ფურცლები. ისევ იგრძნო, როგორ ჩაცუცქდა მის წინ ვიღაც და კითხვა განაგრძო.

. . . . . . . .

„— ვინა ხარ! — უნდოდა დაეყვირა, მაგრამ გამშრალ სასასა და გაქვავებულ ენას ვერაფერი დააცდინა.

— სიკვდილი, — იყო პასუხი...

რვეული ბოლო გვერდზე იყო გადაშლილი. მეტი არაფერი ეწერა.

— სულ ეს არის? — მოესმა კაცს შეკითხვა.

— ჰო. ჯერჯერობით სულ ეს არის, მაგრამ თუ ცოტას მაცდი და ნებასაც მომცემ, მინდა ის ჩავიწერო, რაზეც ახლა მე და შენ ვილაპარაკეთ

— და მერე ეს შენი ნოველა იქნება?

— აბა ვისი?

— ჩემი და შენი, ერთობლივი.

— იყოს ერთობლივი, ოღონდაც დამამთავრებინე.

— რად გინდა ასე ძლიერ ამის დამთავრება?

— ხომ გითხარი უკვე. ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ნოველა იქნება სიკვდილზე. თანაც, — კაცმ გაიღიმა — თანაავტორად თავად სიკვდილი ეყოლება.

— არა, არა, თანაავტორობაზე უარს ვამბობ. რა დროს ეგაა. საქმე ისედაც თავზე საყრელად მაქვს. სჯობია შენ თვითონ დაწერო და შენი გვარიც მოაწერო. მე კი აგერ აქ ჩამოვჯდები და დაგელოდები. ხომ ხედავ, არ გაჩქარებ. დაამთავრე შენი ნოველა..."

აქ ნაწერი თავდებოდა. კაცმა იგრძნო, რომ კითხვა დაამთავრეს და უხილავი მოსაუბრისაკენ გაიხედა.

— გასაგებია... — თქვა მან ორაზროვნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა?

— რა და, ის, რომ შენ ამ ნოველას ვერ დაამთავრებ.

— რატომ ვერ დავამთავრებ?

— იმიტომ, რომ ეს შენს შესაძლებლობებს აღემატება. შენ მართალი იყავი, ამ ნოველის დასრულება მხოლოდ მე ძალმიძს, მაგრამ მე ეს არ მსურს...

— იგი დაუმთავრებელი უნდა დარჩეს. ასეა საჭირო.

— ვისთვის?

— ყველასთვის. ჩემთვის და მასწისთვისაც. შენთვისაც, სხვათა შორის.

— ჩემთვის რატომ?

— იმიტომ, რომ არ გეგონოს, ყველაფერში მართალი ხარ და ყველაფერი შეგიძლია.

— და მაინც...

— რა მაინც?

— ეს ნოველა ყველაზე ჭეშმარიტი ნოველა იქნება სიკვდილზე, მიუხედავად იმისა, რომ დაუმთავრებელი დარჩება.

— კარგია, რომ გჯამს ამისი.

— მე კი მჯამს, მაგრამ მაინც მინდა შენც მითხრა, ხომ იქნება ასე?

— ალბათ, ასე იქნება.

— რატომ, ალბათ?

— იმიტომ, რომ შენს შემდეგ, ალბათ, კიდევ მოვა ვინმე შენნაირი, შენსავით მხოლოდ სიკვდილზე რომ დაიწყებს ფიქრსა და წერას.

— და ის ჩემს ნოველაზე უფრო ჭეშმარიტ ნოველას დაწერს?

— ვინ იცის, შეიძლება დაწეროს კიდეც. შენ რა, გწყინს ეს?

— არა, არა, პირიქით, ბედნიერი ვიქნები, თუკი ეს მოხდება.

— მოხდება. ახლა კი, მგონი, დროა.

— დროა?

— ჰო, დროა წაგიყვანო...

— არა, მე შენი წაყვანა არ მჭირდება. ხომ შევთანხმდით ამაზე. მე თვითონ მოვალ შენთან.

— მოდა, მოდი.

— მოვალ... მოვალ... აი, მოვდივარ კიდეც... მოვდივარ... მოვდივარ..."

აქ ნაწერი წყდებოდა.

— სულ ეს არის? — იკითხა ვიღაცამ.

— ჰო, ეს არის. ეტყობა, უკანასკნელ წამებამდე წერდა. ხედავ, ბოლო ასოები როგორაა დაჩხაპნილი. ძლივს იკითხება.

— ეჰ, უცნაური კაცი იყო, სიკვდილითაც უცნაურად მოკვდა. თუმცა ეს ალბათ, მოსალოდნელიც იყო.

— მართალი ხარ, თანაც ეს ნოველა... ასეთი რამ, რამ დააწერინა... ამისთანა არაფერი წამიკითხავს.

— აუცილებლად უნდა გამოვაქვეყნოთ.

— აუცილებლად.

— რა ჰქვია ნოველას?

— სიკვდილის პოეტი

— ჰმ, სიკვდილის პოეტი... ეს ხომ თვითონაა. განა ხუყველანი სიკვდილის პოეტს არ ვეძახდით?

— ვეძახდით და მოკვდა კიდეც პოეტურად.

— ეე, პოეტურად, პოეტურად... ეს არის პოეტურად? კაცი თავით-ფეხებამდე სისხლში ცურავდა.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს. თუმცა ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, აქ კი მოსახმარებლადა ვართ მოსული. ხედავ, მეზობლიდან სკამები გამოაქვთ, მივიდეთ, შევეშველოთ.

— მივიდეთ.

— ამ რვეულს და ფურცლებს რაღა ვუყო?

— წამოიღე, მერე გადავბეჭდოთ და სარედაქციოდ მოვამზადოთ.

— კარგი... იცი, მე მეჩვენება, რომ ეს მართლა ყველაზე ჭეშმარიტი ნოველაა სიკვდილზე დაწერილ ყველა იმ ნოველას შორის, რომელიც კი წამიკითხავს...

— მეც ასე მეჩვენება.

— რაკი ორივეს ასე გვეჩვენება, ალბათ, ასეც არის.

— ალბათ..."

აქ ნაწერი წყდებოდა.

— სულ ეს არის? — იკითხა ვიღაცამ.

— ჰო, ეს არის, — იყო პასუხი.

აქ ნაწერი წყდებოდა...

# გემდლაბი

ყველა ქალაქს, თუნდ სრულიად უმნიშვნელოსა და უსახურს, მაინც აქვს თავისი ღირსშესანიშნაობები. ცხადია, სრულიად უმნიშვნელო და უსახური, მაგრამ მაინც... ქალაქი კი, რომელზეც მინდა მოგითხროთ, სულაც არ იყო ასეთი და, ბუნებრივია, რომ ღირსშესანიშნაობებიც ჰქონდა. კერძოდ, პარფიუმერიის ფაბრიკა, ყვავილები და პეპლები... რაო? ეგ რაღა ღირსშესანიშნაობებიაო, იკითხავენ, ალბათ, ისინი, ვისაც გონებას წინ ენა უსწრებს და ზედ, ალბათ, ბევრ სხვა რამესაც მოაყოლებენ, აქაოდა, ბნელები არ გეგონოთ, ჩვენც ვიცით ღირსშესანიშნაობების ფასი, ჩვენც გვინახავს ლუვრი, ერმიტაჟი, დისნეი-ლენდი და სტალინის სახლ-მუზეუმი გორშიო, მაგრამ, მოდით, ნუ ავყვებით მათ ენამრავლობაში, თორემ აქეთურ-იქეთურში ჩავვითრევენ და მთავარ სათქმელს გადაგვაცდენენ. გადაგვაცდენენ კი არა, შეიძლება საეროოდაც გადაგვავიწყონ და მართლა ასე რომ არ მოხდეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნუ ავყვებით ენაჭარტალებს გრძელსიტყვაობაში, დავდინჯდეთ, ცოდნა და აზრი მოვიკრიბოთ და დავიწყოთ თავიდან. თავიდან და უმთავრესიდან, ანუ ქალაქის ცენტრში მოკცელუცე უზარმაზარი პარფიუმერიის ფაბრიკიდან...

ნდაა... ვიღაცამ, საკმაოდ ძნელ საქმეს შევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკიდეთ, ჩემო კარგებო, მაგრამ, რაკილა შევეჭიდეთ, აწი უკვე გაქცევაზე ფიქრიც კი სირცხვილია და ჩვენც ბოლომდე უნდა ვიჭიდაოთ ავად თუ კარგად. გასამხნევებლად კი ძველი ფილიპინელები გავიხსენოთ, რომლებიც თურმე რაიმე ძნელ საქმეს რომ მოჰკიდებდნენ ხელს, ასე იტყოდნენ ხოლმე: სხვა ადვილი რაღაა ამ დალოცვილ დედამიწაზეო... დიახ, დიახ, თურმე ზუსტად ასე ამბობდნენ. მე ეს ერთმა ნაცნობმა მითხრა საიდუმლოდ, ადრე ჯაშუშად თუ მზვერავად რომ მუშაობდა ინდონეზიაში. ინდონეზია კი, ნოგეხსენებათ, იქვე, ფილიპინებთან მდებარეობს და იმ ჩემ ნაცნობს ხანდახან შეთავსებით იქაც უწევდა საქმეების მოკვარახჭინება. თანაც იქ ყველაფერი ისე დალაგებულად როდი ყოფილა, როგორც შეიძლება გვეგონოს ჩვენი რუკებისა და გლობუსების შემყურეს. თქვენც იცით, ორივე ქვეყანა უამრავი კუნძულისაგან შედგება, ჰოდა, თურმე ეს პატარ პატარა კუნძულები ისე ერთმანეთში არეული, რომ როგორც ძველი მადაგასკარელები იტყოდნენ, ძაღლი პატრონს ვერა სცნობს. ის კი არა და, ბევრმა არც კი იცის, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს, — ფილიპინებში თუ ინდონეზიაში და, სიმართლე რომ ვთქვათ, დიდად არც ენაღვლება. არის წამოწოლილი მზართეძოზე და ნთქავს ბანანებსა და ანანასებს. თუმცა ჩვენ გაფრთხილებისდამიუხედავად, მთავარ გეზს მაინც ავცდით ჩვენივე ენაგრძელობის წყალობით და, ღმერთმა იცის, სად არ აღმოვჩნდით. ეს ფილიპინებით, ის მადაგასკარით... ჰოდა, ამიტომ დროა, რუკას წესიერად დავხედოთ და ალმა-დალმა წოწიალის ნაცვლად, ჩვენი ქალაქი და მისი პარფიუმერიის ფაბრიკა მოვძებნოთ.

მაშ ასე, როგორც უკვე ვთქვით... თუ არ გვითქვამს, ზუსტად აღარ მახსოვს... ფაბრიკა ერთადერთი დიდი საწარმო იყო მთელს ქალაქში და იქ დასაქმებული იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ფაბრიკა გახლდათ ყოველი მოქალაქის სიამაყის საგანი, მისი სიმდიდრის, ფუფუნების, ბედნიერებისა და რწმენის ერთადერთი და დაუშრეტელი წყარო. იგი სახელგანთქმული იყო არა მარტო მთელ სახელმწიფოში, არამედ მსოფლიოშიც. უშვებდა ათი ათასობით დასახელების უმაღლესი ხარისხის სუნამოებს, რომლის იმპორტი უზრუნველყოფდა ყოველ მოქალაქეს საკვებითა და ჩასაცმელ-დასახურავით, კომფორტითა და ათასგვარი გასართობით. ქალაქში არ იყო არც ტრიკოტაჟის ფაბრიკები და არც საავტომობილო ქარხნები, არც ტრესტები და არც სინდიკატები, იყო მხოლოდ ერთადერთი პარფიუმერიის ფაბრიკა, როგორც სიმბოლო და სუბსტანცია ქალაქისა, მისი სახე და მისი არსი... უპ, გაზეთივით გამომივიდა, მაგრამ ძალიან გეხვეწებით, თავიდან დაწერა არ მომთხოვოთ, მეზარება, და თანაც ისეთი რა მოხდა, ხალხი რომანებსა წერს გაზეთივით და მე რომ ერთი აბზაცი დავწერო ქვეყანა დაიქცევა? ალბათ, არა, მაგრამ, გესმით, რას მეუბნებიან? ციც, მე ეშმაკო, ეს ერთი აბზაცი უკვე გაგვაპარე, მაგან მეორეს მოაყოლებ, მერე — მესამეს და მერე... ყველაფერს ვიტყვი. მართლები ხართ, მაგრამ მე ამ აბზაცს თავიდან მაინც არ დავწერ. რაც გინდათ, ის გიქნიათ, თქვენი ნებაა, თუნდაც მეტს ნუღარც წაიკითხავთ და როგორც გაზეთი, დანიშნულებისამებრ გამოიყენეთ ფეხსალაგში, უფლებას გაძლევთ...

მდაა... სად გავჩერდით? ჰო, მერე ის მინდოდა მეთქვა, ფაბრიკის სიმძლავრე იმდენად დიდი იყო, რომ სუნამოების დამათრობელი სუნით იყო გაჟღენთილი მთელი ქალაქი დღისით და ღამით. თვით ქალაქელები ისე მიჩვეულები იყვნენ ამას, რომ ვერც კი ამჩნევდნენ და უკვირდათ კიდეც, როცა ტურისტი ან მათ ქალაქში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი ქუჩებში დარეტიანებულივით დადიოდა. ქუჩები კი მტვრიანი, ხმაურიანი და მანქანებით გადაჭედილი კი არ იყო, არამედ სუფთა, წყნარი და ყვავილებში ჩაფლული. ყვავილები, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ქალაქის მეორე ღირსშესანიშნაობა გახლდათ. ყვავილები იყო ყველგან — პატარა გაზონებსა და უზარმაზარ პლანტაციებშიც და ეს ის ყვავილები იყო, რომლებიც შემდეგ პარფიუმერიის ფაბრიკაში დამათრობელ და განსაცვიფრებელ სუნამოებად გადაიქცეოდა ხოლმე. ქალაქელებს საოცრად უყვარდათ ყვავილები, აღმერთებდნენ, ეფერებოდნენ და ელოლიავებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მათ გარეშე პარფიუმერიის ფაბრიკა არარაობად იქცეოდა. ამის გამო იყო, რომ პარფიუმერთა შემდეგ ქალაქში ყველაზე მრავლად მეყვავილეები იყვნენ. მათ ყოველთვის დაინახავდით ქუჩებსა და მოედნებზე, პარკებსა და პლანტაციებში. ისინი რგავდნენ და რწყავდნენ, ეფერებოდნენ და იცავდნენ ყვავილებს დიდი რუდუნებით. ხოლო როცა დრო მოვიდოდა, ოდნავი სინანულით კიდევაც წყვეტდნენ და ფაბრიკაში მიჰქონდათ გადასამუშავებლად.

მდაა... ესეც თქვენი მეორე ღირსშესანიშნაობა, ახლა კი ნება მომეცით, მესამეზეც — პეპლებზეც გადავიდე, რამეთუ მათ გარეშე ქალაქის სურათი სრულიად არასრულყოფილი გამოგვივა. პეპლები დაფრინავდნენ ყველგან, მთელ ქალაქში და პირველად აქ მოხვედრილს, ალბათ, ისე არც სუნამოს თავბრუდამხვევი სურნელი გააოცებდა და არც ყველგან მობიბინე ყვავილები, როგორც ქალაქში მოფარფატე პეპლები. ვერსად, ვერც ერთ ბაღში, ვერც ერთ მინდორში ვერ ნახავდით იმდენ პეპელას, რამდენსაც აქ. ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ ყოველ საღამოს ქუჩები, პარკები და გაზონები მკვდარი პეპლებით იფარებოდა. ამ პეპლებს მეპეპლეები ლამაზი ცოცხებით ხვეტავდნენ, კალათებში აგროვებდნენ და ფაბრიკაში მიჰქონდათ. დიახ, დიახ, მე არ შემშლია, სწორედაც რომ პარფიუმერიის ფაბრიკაში, რამეთუ ამ პეპლებისაგან იქ მერე ყველაზე საუცხოო, ყველაზე ძვირფას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველაზე არომატულ სუნამოს ამზადებდნენ, რომელიც საფრანგეთსა და ამერიკაშიც ძლიერ იშოვებოდა სპეკულაციურ ფასებში. ფილიპინებზე კი მხოლოდ იმპერატორის მეუღლესა და საყვარლებს ჰქონდათ ხოლმე ტრადიციულად და, ალბათ, ამის მიზეზიცაა, რომ ფილიპინებზე დედოფალმა ტრადიციულად ყოველთვის იცის, თუ ვინ არიან მისი მხუხაგი მეუღლის სასიყვარულო ემზაკობების ობიექტები, თუმცა მათ მეტოქეობას, რა თქმა უნდა, ასევე ტრადიციულად, მოთმინებით იტანს. ყველაფერ ამას მე, ცხადია, ჩემი ნაცნობი მომიყვა, აი ის, თუ გახსოვთ, კაზუშამდე რომ მუშაობდა და რომ გამოპანღურეს (კიდევ კარგად გადარჩა). თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმეა, ვინ ვისი საყვარელია ან ვინ ვის უთავაზა წიხლი, ამეებს რკვევას აჯობებს, ბოლო-ბოლო დალაგებულად მოგიყვეთ, რაც იმ უცნაურ ქალაქში მოხდა. მაშ ასე, ჩუ! არავითარი გადახვევ-გადმოხვევები, არავითარი ფილიპინები, არავითარი კაზუშები! საქმე, საქმე და მხოლოდ საქმე (ინდონეზიელები ამბობენ: სწავლა, სწავლა და სწავლაო)! ჰოდა, რაკი ასეა, ჩვენც ჩვენი საქმე გავაგრძელოთ, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქალაქის მაცხოვრებლები მეტად საქმიანი ხალხია.

სად გავჩერდით? ჰა? რა ბრძანეთ? პეპლებზე? დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით, ზუსტად იქ შევწყვიტეთ თხრობა, მკვდარი პეპლები პარფიუმერიის ფაბრიკაში რომ მიჰქონდათ კალათებით. პეპლები ყოველდღიურად, რაც მართალია, მართალია, მრავლად იხოცებოდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალაქში მათი რიცხვი მაინც არ მცირდებოდა. ერთი პეპელა კვდებოდა, მაგრამ მის სანაცვლოდ მაშინვე მეორე იჩეკებოდა. ქალაქელებს, რაღა თქმა უნდა, ძალიან უყვარდათ ეს პეპლები და სწორედ ამიტომაც იყო, რომ პარფიუმერთა და მეყვავილეთა შემდეგ მეპეპლეები ყველაზე ჭარბად იყვნენ ქალაქში. უცხო თვალს ისინი შეიძლება უბრალო და სხვაგან ეგრე აბუჩად აგდებული მეეზოვეები ჰგონებოდა, მაგრამ აქ ისინი ყოვლად პატივცემული, საჭირო და საყვარელი ადამიანები იყვნენ და სახელიც კი ასეთი ლამაზი და პოეტური ჰქონდათ. პოეტური ჰქონდათო, გითხარით და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც დავუმატებ, რომ პარფიუმერთა, მეყვავილეთა და მეპეპლეთა შემდეგ, ქალაქში ყველაზე დიდ პატივში სწორედ პოეტები იყვნენ. ისინი ხოტბას ასხამდნენ პარფიუმერთა, მეყვავილეთა და მეპეპლეთა შრომას, უმღეროდნენ ქალაქს, წერდნენ სიყვარულზე, მშვენიერებაზე და ამით სრულ ჰარმონიას ანიჭებდნენ მოქალაქეთა გულებს. ისე კი, საერთოდ, ქალაქელებისათვის რომ გეკითხათ, რა არის ყველაზე მთავარი: პარფიუმერიის ფაბრიკა, ყვავილები, პეპლები თუ პოეზია, ისინი საშინლად დაიბნეოდნენ და ვერც ერთს ვერ მიაგებდნენ სხვებზე მეტ პატივს, თუმცა კი ბოლოს, ალბათ, დარცხვენით მაინც იტყოდნენ, პარფიუმერიის ფაბრიკაო, რამეთუ იგი იყო თავიდათავი ყოველივე დანარჩენისა. მოკლედ, ბევრი რომ აღარ ვილაყბოთ, ცხოვრობდა ქალაქი თავისი მშვიდი, ბედნიერი და ნათელი ცხოვრებით, სანამ არ მოხდა მანამდე გაუგონარი ამბავი, რამაც მთელი ქალაქი შეაძრწუნა და თავდაყირა დააყენა. ერთ მშვენიერ, ჩვეულებრივ სამუშაო დღეს ელვის უსწრაფესად გავარდა ხმა, რომ ქალაქის ყველაზე პატივცემულმა, ყველაზე სახელმოხვეჭილმა, ყველაზე საყვარელმა პირველმა პოეტმა თავი მოიკლა. ეს ამბავი იმდენად დაუჯერებელი და უჩვეულო იყო, რომ ხალხი ვერაფერს მიხვდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ პოეტი ბუნებრივი სიკვდილით მიიცვალა, როგორც სხვა მისი წინამორბედები და მასაც, ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად, ყვავილების გორაზე დიდი პატივით დაასაფლავებდნენ. მაგრამ... მაგრამ სულ მალე ქალაქში ახალი ხმები დაირხა. ლაპარაკობდნენ, რომ სიკვდილის წინ პოეტმა დატოვა წერილი, სადაც განმარტავდა თუ რამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე და სადაც თურმე ამბობდა, რომ უკვე აღარ მოსწონდა ყველასათვის ასე საყვარელი და ასე ძვირფასი ქალაქი. იქვე ჩამოთვლილი იყო ბევრი უცნობი სიტყვა, რომელთა მიმართაც, როგორც ეტყობა, იგი პატივისცემით იყო გამსჭვალული. მადაგასკარელთაგან ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო და, მალე ზოგ-ზოგებმა კიდეც დაიწყეს ხალხში პოეტის ანდერძის ჩუმ-ჩუმად გავრცელება. ხალხი ყველაფერმა ამან ფრიად გააოცა, რადგან მათ ქალაქში ნამალავად არაფერი კეთდებოდა და ქალაქის ხელისუფლებას მოსთხოვა, რომელიმე ცენტრალურ გაზეთში: „პარფიუმერში“, „მეყვავილეში“, „მეპეპლეში“ ან, რაც ყველაზე უმჯობესი იქნებოდა, „პოეტში“ გამოექვეყნებინა ანდერძი, მაგრამ, მათდა გასაკვირად, ცივი უარი მიიღეს.

მდაა... ისევ საგაზეთო სტატიის სტილზე ხომ არ ავეწყვე, ჩემო კარგებო? მგონი კი, არა? ნუ მოგერიდებათ, გულახდილად მითხარით. თქვენს მეტი, ხომ იცით, მოსაუბრე არა მყავს და ისევ თქვენ თუ არ მიმითითებთ ნაკლოვანებებზე, მოგიხდებათ ბრტყელ-ბრტყელი და მოსაწყენი წინადადებების კითხვა. ჰოდა, რაკი ასეა, მოდით შევთანხმდეთ, როგორც კი ჩემი მოთხრობა „პრავდის“ ან „პარფიუმერის“ სტატიას დაემსგავსება, მაშინვე შემომძახეთ ხოლმე ეპე-ჰე-ჰეიიი!.. ანდა სულაც აი ასე: აუუუუუ!.. ან როგორც მოგეპრიანებათ, ოღონდაც გამაგონეთ, რომ დროზე მივიღო გადამჭრელი ზომები, თორემ ხომ გაგიგონიათ ძველი ფილიპინელებისაგან, ღორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაცოცდებაო... თუმცა არა, ეგ რა შუაშია, ეგ ანდაზა აქ სულ არ გამომადგება. უნდა მეთქვა, მედლესხვალიე კაცსაო [illegible] მოადგა ცარსაო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო. მაგრამ თუკი მართლა ასეა, ალბათ, აჯობებს, ისევ ჩემს ქალაქელებს მივუბრუნდე. ასე საგონებელში რომ ჩააგდო ხელისუფლების ცივმა უარმა და მოგიყვეთ შემდგომ ამისა მოქმედება როგორ განვითარდა. თქვენ კი, თუ საჭიროდ ჩათვლით, მაშინვე შემეხმიანეთ „აუთი" ან „ემე-შეითი" და მეც იმწამსვე თქვენთან გავჩნდები. მოკლედ, აბა თქვენ იცით, თქვენი სიფხიზლის იმედადა ვარ და ცოტა არ იყოს, გულდამშვიდებული ვაგრძელებ აწმის თხრობას.

ჰოო... იმ ცივი უარის შემდეგ ქალაქელები კიდევ უფრო მეტად დაინტერესდნენ და რამეთუ ხალხის ცნობისმოყვარეობას წინ არაფერი დაუდგება, მალე მთელმა ქალაქმა მეტ-ნაკლები სიზუსტით იცოდა, თუ რა ეწერა იმ „საიდუმლო" წერილში. პოეტი თურმე წერდა, რომ მას ადრე სხვებივით ეგონა, რომ მისი ქალაქი იყო ბედნიერების სავანე და აქ სრულყოფილებაა აღწევდა ადამიანის სულიერი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები და რაკი ეს სჯეროდა, სრულიად გულწრფელად ხოტბასაც ასხამდა ყველაფერ ამას. მაგრამ გვიან, ძალიან გვიან, როცა უკვე არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა, მიხვდა, რამდენად უვიცი და განუვითარებელი იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში და, მასთან ერთად, ასეთივე უვიცი და განუვითარებელი იყო მთელი ხალხი. ამის შემდეგ ჩამოთვლილი იყო უამრავი უცხო სახელი, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლებს არაფერს ეუბნებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც თუთიყუშივით იზეპირებდნენ ამ სახელებს და ერთმანეთს ჩურჩულით უმეორებდნენ. აი ისინიც: ფროიდი, ბიბლია, დოსტოევსკი, ნიცშე, კამასუტრა, მარკესი, დანტე, ბეკეტი, ბჰაგავად-გიტა, აინშტაინი, მარკიზი დე სადი, კანტი, დარვინი, ბოდლერი, ჰეგელი, ყურანი, მარქსი, კაფკა, რილკე, შოპენჰაუერი, ფოლკნერი, შტაინერი, კამიუ, კირკეგორი და ასე შემდეგ. ქალაქი შეპყრობილივით იმეორებდა ამ ჯადო-სიტყვებს და ვერ მიმხვდარიყო, რა ისეთი საიდუმლო იყო მათში ჩამარხული, რომ ქალაქის პირველ პოეტს აზრი უგრერიგად შეუცვალა და თვითმკვლელობამდეც კი მიიყვანა. თანდათანობით მთელი ქალაქი ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ყველას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში, ყველა მხოლოდ იმის ფიქრსა და მცდელობაში იყო, როგორმე ის მაგიური წიგნები მოეხელთებინა და, რაკი ადამიანის მონდომებას საზღვარი არა აქვს, ყველაზე უფრო აქტიურები და გავლენიანები ახერხებდნენ კიდეც ზოგიერთი მათგანის შოვნას, მაგრამ უმრავლესობისათვის ეს ჯერაც აუხდენელ ოცნებად ქცეულიყო და სწორედ მაშინ, როცა მოთხოვნილებამ ამ წიგნებზე ზენიტს მიაღწია, ხოლო დაკმაყოფილების გზები ფრიად შეზღუდული იყო, ქალაქში შავმანტიიანი, ნილბოსანი მამაკაცი შემოვიდა.

დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც ბუმ, დლაც ბუმ, მოაბოტებდა იგი რკინისქუსლიანი ჩექმებით ქალაქის ქუჩებში და გამვლელ-გამომვლელთ ყურადღებას არ აქცევდა. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა ან როგორ დაუძვრა გაძლიერებულ სასაზღვრო ჯარის კოლონებს, საით მიიწევდა და რა ესაქმებოდა ქალაქში. ის კი არაფერს ამბობდა, მონუსხულივით უვლიდა ქუჩებს, პარკებსა და მოედნებს თავისი ორტაქტიანი ბუმდლაცით და გარეთ გამოსულ საქმიანსა და უსაქმურს თავის გარშემო იკრებდა. მერე კი, როცა პარფიუმერიის ფაბრიკაში სამუშაო დღე დამთავრდა და მომუშავეები ჯგუფ-ჯგუფად გამოეფინენ ქალაქის მთავარ მოედანზე, რომელიც პარფიუმერიის ფაბრიკის ამშენებლისა და მისი პირველი დირექტორის სახელსატარებდა, შავმანტიიანმა მამაკაცმა პირდაპირ ამ მოედნისაკენ აიღო გეზი და მის უკან შეკრებილი მოზრდილი ბრბოც თან გაიყოლა.

დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, გავიდა იგი შუა მოედანზე, შედგა — ბუმ! — და მის წინ მდგომ ხალხს შეეკითხა, სურდათ თუ არა მათ ყველას, სათითაოდ, უკლებლივ მიეღოთ ყველა ის წიგნი, რომლებიც პოეტმა თავის ანდერძში ჩამოთვალა. გვინდაო, — აღრიალა აღფრთოვანებულმა ბრბომ და შავმანტიიანს შემოეხვია. თქვენ აქ უმრავლესობა პარფიუმერები ხართ, მაგრამ მეყვავილეებსაც ხომ უნდა ვკითხოთ უნდათ თუ არაო, — იკითხა შავმანტიიანმა. უნდათო, — იხუვლა ხალხმა, თვითონ მოვიდნენ და თვითონ თქვანო. — განაცხადა შავმანტიიანმა. გვინდაო, გვინდაო, — იყვირეს მეყვავილეებმა, რომლებიც უკვე საკმაო რაოდენობით მოგროვილიყვნენ მოედანზე. მეპეპლეებსო? — იკითხა კიდევ ერთხელ შავმანტიიანმა. ჩვენც გვინდაო, — დაემოწმნენ შემოერთებული მეპეპლეებიც. პოეტებსო? — ავანდა კი არა, პირველ რიგში ჩვენ გვინდა, ხომ უნდა გავიგოთ ბოლოს და ბოლოს, რისთვის მოიკლა თავი ჩვენმა უფროსმა თანამოკალმემ, იღრიალეს გაგიჟებულმა პოეტებმა. სხვებსო, სხვებსაც უნდათო? — იკითხა ერთხელაც შავმანტიიანმა. ყველას გვინდა, ყველასო, — ერთხმად იხუვლა მოედანზე შეკრებილმა ხალხმა. მე შეგისრულებთ სურვილს, ოღონდ მხვერპლის გაღება მოგიწევთო, — თქვა შავმანტიიანმა. რა მსხვერპლისო, რა მსხვერპლისო, — აჩოჩქოლდა ხელად ხალხი. ამას წინასწარ არ გეტყვით, მხოლოდ იცოდეთ, თქვენ თვითონ არაფერი მოგავათ, უვნებლები გადარჩებითო, თქვა შავმანტიიანმა. მაშინ თანახმა ვართ! — წამოიძახა ვიღაცამ ბრბოდან. თანახმა ვართ, თანახმა ვართო, — მხარი აუბეს სხვებმაც. ყველანი თანახმა ხართო? — კიდევ ერთხელ იკითხა შავმანტიიანმა. კიო, კიო, თუ ჩვენ არაფერი მოგვივა, მაშინ თანახმანი ვართო, — აყაყანდა უცებ ყველა ერთად. მაშინ მიყურეთო, — თქვა შავმანტიიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცას აწვდა. მანტია მოიხსნა და ჰაერში რამდენიმეჯერ მაგრად დაიქნია. უცებ ხალხმა დაინახა, რომ ჰაერში მოფარფატე პეპლები თითქოს პირცეში ერთი წამით გაიყინნენ, გაშეშდნენ, შემდეგ ფრთები რამოდენიმეჯერ დაიქნიეს და მიწისაკენ მოწყვეტით წამოვიდნენ. მოედანზე შეკრებილებმა ვერც კი მოასწრეს გააზრება იმისა, თუ რა მოხდა, რომ უეცრად ჰაერში მოფრიალე წიგნები დაინახეს. წიგნები მოჰქროდნენ ფურცლებაფრიალებულები. წითელ-ლურჯ-ნარინჯისფერყდიანები, ტყაპატყუპით ეცემოდნენ მათ ფეხებთან გაზონებზე, ყვავილებზე, ასფალტზე, ეცემოდნენ ზედ მათ თავებზე და ისინიც ხელებს იშვერდნენ, იკუზებოდნენ. წიგნებს მიწიდან იღებდნენ და შიგ ხარბად იყურებოდნენ, მერე პირდაღებულები ისევ მაღლა იხედებოდნენ, ისევ წიგნებს უბრუნდებოდნენ, ერთს იღებდნენ, აგდებდნენ, მეორეს სწვდებოდნენ, მესამეს ფურცლავდნენ, იღლიაში იჩრიდნენ, ქამარში იტანიებდნენ, ახალი დასახელების წიგნებს ეძებდნენ, მერე ისევ კითხვას იწყებდნენ, ერთმანეთს უდარებდნენ, ისევ კითხულობდნენ, ისევ თავს ანებებდნენ და, სხვადასხვა წიგნებით დატვირთულები, მოედანზე დაძრწოდნენ იმაში დასარწმუნებლად, რომ არც ერთი წიგნი არ გამორჩენოდათ. ზოგიერთები პირდაპირ გაზონებზე მოკალათებულიყვნენ, გარშემო წითელ-ლურჯ-ნარინჯისფერი წიგნები შემოეწყოთ და ჩაჰკირკიტებდნენ. გვიან ღამემდე არ დაშლილა მოედანზე და მის შემოგარენში ხალხი. შემოგარენში კი არა, მთელ ქალაქში, რამეთუ მთელი ქალაქის ქუჩები, პარკები და მოედნები დაფარული იყო ნაირფერყდიანი წიგნებით. მერე კი, მერე მთელი ღამე არ ჩამქრალა არც ერთ ოჯახში არც ერთი წუთით შუქი, ხოლო დილით ამაოდ გაჰკიოდა ფაბრიკის საყვირი. ამაოდ ელოდნენ ყვავილები თავიანთ აქამომდე სოცრად ერთგულ და მზრუნველ მეყვავილეებს. ქუჩაში არავინ გამოჩენილა. ღამენათევ და შთაბეჭდილებებით დატვირთულ ქალაქელებს მკვდრებივით ეძინათ. პარფიუმერები, მეყვავილეები და პოეტები შეიძლებოდა კიდევ დასჭირვებოდა ქალაქს აი, მეპეპლეები კი სრულიად უსარგებლონი გამხდარიყვნენ გუშინდელს აქეთ. ზეცას აღარ სერავდნენ პეპლების ფარატინა ფრთები, თუმცა მეპეპლეებს ამის დარდი ახლა სულაც არა ჰქონდათ, ზოგსაც ტკბილად და ზოგსაც შფოთიანად ეძინა და სიზმარში კამასუტრას პოზებსა და წარღვნის სცენებს ხედავდნენ.

უუჰ... ცოტა არ იყოს, ხომ არ დაიღალეთ, ჩემო კარგებო? ხომ არ აჯობებდა, ცოტა ხანი შეგვესვენა, ფეხზე წამოვმდგარიყავით და ოთახში მაინც გაგვევლ-გამოგვევლო? შეიძლება, ერთი ორჯერ ხელიც კი გაგვექნია და წაგვევარჯიშა, ხოლო თუკი გარეთ კარგი ამინდია, გავსულიყავით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფანჯარა მაინც გამოგვეღო და სუფთა ჰაერი ჩაგვესუნთქა? გარდა ამისა, შეიძლება ცოტათი მოგშივდათ კიდეც და თუ მაინცდამაინც ხიზილალა ან გოჭის ნეკნი არა გაქვთ, ცხელი ჩაი მაინც დაგელიათ? თქვენი არ ვიცი, მე კი ახლა ნამდვილად შემერგება ორიოდე ნაჭერი კარაქიანი პური ძეხვით ან ყველითურთ. ასე რომ თქვენი საქმისა თქვენ იცით, გინდათ, დაისვენეთ, გინდათ, განაგრძეთ კითხვა, მე კი თქვენი ნებართვით, ცოტას წავიხემსებ და ტელევიზორსაც გავკრავ თვალს მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღეა არ მიყურებია. ამის უფლება კი მე — როგორც პოლიტიკურ მიმომხილველს, არა მაქვს. მე ვალდებული ვარ ყურადღებით ვადევნო თვალი საინფორმაციო გამოშვებებს, რადგან შეიძლება იმ ქალაქზეც თქვან რაიმე ახალი, რომელზეც მე ახლა თქვენი შემწეობით და „ეკეკეიაუთი“ ნარკვევს ვწერ და ამან შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს მისი ის ნაწილი, რომელიც, მართალია, ჯერ არ დაწერილა, მაგრამ ტვინში დახაზულად გამზადებულია. ასე რომ მინდა-არმინდა, „ვრემიას“ ყურება მაინც საჭიროა. თანაც იმედია, ერთი პატარა რეპორტაჟი ფილიპინებიდან თუ არა, ინდონეზიიდან მაინც უეჭველად იქნება და შესაძლებლობა მომეცემა, შორიდან მაინც დავტკბე ამ ბრძენი ხალხის ნათელი სახეების ხილვით. ერთი სიტყვით, ცოტა ხნით დაგტოვებთ და თქვენც გირჩევთ ასევე ცოტა ხნით შეისვენოთ, რამეთუ ძველ ფილიპინელებს უთქვამთ, მოჩქარეს მოუგვიანდესო...

მდაა... კაი გამარჯობა თქვენ, ჩემო კარგებო უჩემოდ ხომ არ მოიწყინეთ? რაც მართალია, მართალია, პირშავადა ვარ თქვენთან. გუშინ ტელევიზორმა ისე შემიყოლია, დაპირებისამებრ, მალევე ვერ შეგეხმიანეთ, მაგრამ, იმედი მაქვს, ამ უნებლიე დანაშაულს მაპატიებთ, რამეთუ, ალბათ, თქვენც იცით, თუ რა მაცდური რამაა ეს ოხერი ეგრეთ წოდებული ცისფერი ეკრანი. იცით, კანტის ერთი გამონათქვამი გამახსენდა: „მართე შენი ბუნება, თორემ ის გმართავს შენ“. მე მას ასე შევცვლიდი: „მართე შენი ტელევიზორი, თორემ ის გმართავს შენ“, როგორია, ჰა?.. არა უშავს?.. რა ბრძანეთ?.. საქმეს მივხედოთ? აა, საქმეს?.. აუცილებლად, აუცილებლად. მართალი ბრძანდებით, სავსებით მართალი. მე აქ ათასგვარ აბდაუბდას ვლაპარაკობ, თქვენ კი, ალბათ, ერთი სული გაქვთ, გაიგოთ, მერე რა მოხდა, რით დამთავრდა ის ფრიად უცნაური ამბავი. ახლავე მოგახსენებთ, ახლავე... მაშ ასე, ესე იგი, ჩვენ თხრობა იმ დილას შევწყვიტეთ, როცა მთელ მოსახლეობას ტკბილად ეძინა და არც ერთს სამსახურის დარდი არ ჰქონდა. პარფიუმერიის ფაბრიკა, მთელი თავისი არსებობის განმავლობაში პირველად, იდგა უქმად. მოსალოდნელი იყო, ქალაქელები მომდევნო დღეს მაინც გაიხსენებდნენ თავიანთ მოვალეობას თუ არა, ფაბრიკისადმი უანგარო და ყოვლისმომც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ სიყვარულს მაინც, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პარფიუმერთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოცხადდა სამუშაოზე და ისინიც, მუშაობის ნაცვლად, სულმოუთქმელად ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს წიგნებით მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. ასე გაგრძელდა მესამე დღესაც, მეოთხე დღესაც, მეხუთე დღესაც... ყვავილები გადახმა, პეპლები აღარსად ჩანდნენ, პარფიუმერიის ფაბრიკა თუკი მუშაობდა, უკიდურესად არარეგულარულად და მცირე დატვირთვით. შრომის ნაყოფიერებაც დაბალზე დაბალი იყო. ქალაქი ბიბლიომანიას შეეპყრო, ანუ ჩვენებურად, წიგნომანიას, ანუ კიდევ უფრო ჩვენებურად, წიგნისჭირობას და მისთვის სულ ერთი გამხდარიყო საკუთარი ბედ-იღბალი, აწმყო და მომავალი. ხელისუფლების ყოველი მცდელობა, აღედგინა წესრიგი, უნაყოფო გამოდგა. არ გაჭრა არც მუქარამ, არც დაყვავებამ, არც მოწოდებამ. მთელი თვე გაგრძელდა უსაქმურობა. ქალაქი ერთ მთლიან ბიბლიოთეკას დაემსგავსა. მერე კი დაიწყო კრიზისი. ცარიელდებოდა მაღაზიები, ილეოდა მარაგი საწყობებში, სანაცვლოდ კი არაფერი შემოდიოდა. ქალაქელები თითქოს გამოფხიზლდნენ, თითქოს სცადეს ცხოვრების ძველებურ რიტმს დაბრუნებოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ყურადღება ეფანტებოდათ, სამუშაოს გულს ვერ უდებდნენ, თითქოს დაზგებსა და ჩარხებსაც კი ველარ სცნობდნენ და, რაც იცოდნენ, ისიც დავიწყებოდათ, თუმცა, რომც სცოდნოდათ, მაინც ბევრი არაფერი ხეირი ამისგან არ იქნებოდა, რამეთუ დამჭკნარ ყვავილებს შორის მხოლოდ აქა-იქ კიაფობდა სასწაულებრივად გადარჩენილი ვარდები და ყაყაჩოები, პეპლები კი იმ საღამოს შემდეგ თვალითაც არავის ენახა. ქალაქი უკვე სულს ღაფავდა. წასაკითხი რაც იყო, უმრავლესობა თითქმის წაიკითხეს, უკვე გულიც აღარ მიუწევდათ წიგნებისკენ უწინდებურად, კარგი საჭმელი და სასმელი კი ისევ ყველაფერს ერჩიათ. ა? რა ბრძანეთ? ეჭვი? ააა... გასაგებია, გასაგებია, სულ ერთი წუთით მოითმინეთ და შევეცდები ყველაფერი გამოვასწორო სულ ერთი წუთით... ჰო, მოკლედ, საჭმელი, მით უმეტეს კარგი საჭმელი, თითქმის აღარ დარჩა და თუკი მაინც რამეთი შესძლებდნენ კუჭის დაწყნარებას, დიდი-დიდი „კამასუტრასდა" თუ გადაშლიდნენ მეუღლეები, საყვარლები და შეყვარებულები დაწოლის წინ. ეს იყო და ეს. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე და ბოლოს, როცა მაღაზიები და საწყობები პირწმინდად გამოცარიელდა, როცა მოქალაქეთა სულებიც საბოლოოდ გამოიფიტა და დაშრა, როცა იმედიც კი აღარავის შერჩა, ქალაქის გადახრიოკებულ-დამტვერიანებულ ქუჩებსა და პარკებში კვლავ გაისმა ნაცნობი ხმაური...

ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, მოაბოტებდა ისევ იგი რკინისქუსლიანი ჩექმებით და ყურადღებას არავის აქცევდა. სახლებში ჩაკეტილი და ყველაფერზე ხელჩაქნეული მოსახლეობა ფანჯრებს მიაწყდა. შავმანტიიანი ნიღბოსანი მამაკაცის დანახვაზე სუყველა შიშისა და გაურკვევლობის გრძნობამ შეიპყრო, მაგრამ მალე შიშმა ადგილი ცნობისმოყვარეობას დაუთმო, ხოლო ცნობისმოყვარეობამ ხელად იმედის ნაპერწკალიც გააღვივა და თითქმის მთელი ქალაქი გარეთ გამოფინა. გამოფინა და, შავმანტიიან მამაკაცს უკან აადევნა. ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, იარა შავმანტიიანმა, ნიღბოსანმა მამაკაცმა და ისევ მთავარ მოედანზე გავიდა, გავიდა და დლაც! — შედგა. მერე ხალხისაკენ შებრუნდა, მანტიის შიგა ჯიბეში ხელი ჩაიყო და წიგნი ამოიღო. ხალხმა უკმაყოფილოდ დაიზმუვლა. შავმანტიიანმა წიგნი გადაშალა. ხალხი გაისუსა და ბოროტი მზერა მიაპყრო უცნაურ სტუმარს. სტუმარმა ჩაახველა და კითხვა დაიწყო. ბრბო აჩოჩქოლდა. ყველამ გაოცებისა და აღშფოთების ნიშნად ერთმანეთს გადახედა. მათ ხელად იცნეს, თუ რას კითხულობდა შავმანტიიანი. ეს ერთ დროს ყველასთვის საყვარელი იმ პოეტის ლექსები იყო, რომელმაც თავი მოიკლა და რომლის ანდერძმაც ასე აურია მათ ცხოვრება. ყოველ მათგანს უნდოდა ეყვირა, კმარაო, მაგრამ თითქოს ყელში ბურთი ჩასჩხირესო, ვერც ერთმა ვერ შესძლო ხმის ამოღება. შავმანტიიანი კი მტკიცე და მჟღერი ხმით თავდაჯერებულად კითხულობდა ლექსებს. მისმა დამთრგუნველმა ძლიერებამ, მისმა ფოლადისებურმა და, ამასთან, თავისებურად ნაზმა ხმამ ხალხი აიძულა, ყური დაეგდოთ ყოფილი პირველი პოეტის ლექსებისათვის. მათ ეს ლექსები ბევრჯერ ჰქონდათ წაკითხული და მოსმენილი, მაგრამ ამ დღეს ისინი სულ სხვანაირად აჟღერდა. პეპლები და ყვავილები, სიყვარული და სიხარული, ნეტარება და ვნება, შთაგონება და აღფრთოვანება, ყველაფერი ის, რაც ასე უსასრულო და ულევი ეგონათ ცოტა ხნის წინათ და ასე უმოწყალოდ გაცამტვერებულიყო, დღეს თითქოს ფერფლიდან დგებოდა, ხორცს ისხამდა პირველი პოეტის ლექსებში. მოქალაქეებს სახეები შეურბილდათ, მოგონებები წამოეშალათ, გული აუჩუყდათ, სისხლი აუჩქროლდათ, თვალებზე ცრემლი მოადგათ დაბოლოს, სულაც ამოასკდათ ყელიდან ოხვრა და ქვითინი. შავმანტიიანის ბოლო სიტყვები საერთო ტირილში ჩაიკარგა. ყველანი დაემხნენ მტვრიან ასფალტზე და გულამოსკვნილი ზმუილი ამოუშვეს. ისინი ტიროდნენ სულელურად დაკარგულ ბედნიერებას, ტიროდნენ პეპლებს, ყვავილებს, სიყვარულს, ნეტარებას, პარფიუმერიის ფაბრიკას, პირველ პოეტს. შავმანტიიანი კი იდგა და ელოდა. წიგნი დაეხურა, გულზე მიეკრა და ნიღბის უკან მწარედ იღიმებოდა. ხალხი კი ტიროდა, ტიროდა დიდხანს, მერე კი, მერე თანდათანობით დაწყნარდა, დამშვიდდა, თვალები ამოიმშრალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შავ[illegible] ცოტა არ იყოს, დაბნეული[illegible] [illegible] მოულოდნელად წინ [illegible] შემართა [illegible] [illegible] წამით [illegible] გაიქცა და [illegible] გადაიქ[illegible] ფრთები დაიქნია და გამოცოცხლებულმა [illegible] თავზე აფართხალდა. მოქალაქეები ნამტირალევი თვალები ნელ-ნელა აუციმციმდათ, ისინი [illegible] შეჰყურებდნენ [illegible] ნარნარ [illegible] ერთადერთ პეპელას და სული [illegible] მაინც რაღაც აკლდათ [illegible], ალბათ, ის, რომ პეპელა მარტო იყო. ერთმა ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც ბაღში იდგა, სიხარულის ცრემლები მოიწმინდა და როცა ცხვირსახოცს ჯიბეში იდებდა, ხელს რაღაც მაგარი მოხვდა. ეს პატარა წიგნი იყო, სახლიდან გამოჰყოლოდა. ახალგაზრდა პოეტმა მოწიწებით ყდას შეხედა: „რაინერ მარია რილკე — ლექსები". ეწერა ოქროსფერი ასოებით. [illegible] წიგნია, გაიფიქრა მან, რამდენიმე ფურცელი გადაფურცლა და ადგილ-ადგილ კიდევ ერთხელ ჩაიკითხა. არა, ნამდვილად შესანიშნავია, გაიფიქრა კიდევ ერთხელ და ზევით აიხედა. ზევით კი ნარინჯისფერი პეპელა ჰაერში მარტოდმარტო დაფარფატებდა. ახალგაზრდა პოეტმა წიგნი დახურა და ჰაერში შეისროლა. ხალხს აღტაცების ყიჟინა აღმოხდა. ფურცლები ცის ფონზე უკვე ორი პეპელა ცეკვავდა... ახალგაზრდა პოეტს ლაპალუკით ჩამოსდიოდა ცრემლები... დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ გაისმა უცებ ნაცნობი ხმაური. შავმანტიიანი მამაკაცი მიდიოდა... გმადლობთ!!! — აკანკალებული ხმით დაუყვირა მას ახალგაზრდა პოეტმა. შავმანტიიანი შემობრუნდა და ახალგაზრდა პოეტს მიაჩერდა. გმადლობთ!!! კიდევ ერთხელ იყვირა მან და მოწიწებით პეპელას ახედა. შავმანტიიანმა ნიღბის უკან მწარედ ჩაიცინა, თავი დაიქნია, შებრუნდა და, დლაც, ბუმ, დლაც, ბუმ, —წავიდა. ახალგაზრდა პოეტმა მის ზურგს თვალი გააყოლა, ბოლო როცა იგი სახლებს უკან გაუჩინარდა, კიდევ ერთხელ გაიფიქრა, შესანიშნავი წიგნი იყოო და ზევით აიხედა. ჰაერში უკვე სამი პეპელა დაფრინავდა...

ასე, ამით დავამთავრებ ამბის მოყოლას, ჩემო კარგებო, თუ ნებას მომცემთ. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა თხრობის კვლავაც გაგრძელება, მაგრამ მგონია, სათქმელი უკვე ითქვა და აღარა ღირს თქვენი ყურადღებისა და გულისხმიერების ბოროტად გამოყენება. თუმცა კი გავკადნიერდები და მაინც გთხოვთ თქვენი პირუთვნელი აზრი მომახსენოთ წინამდებარე პოლიტიკურ ნარკვევზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნარკვევები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე და მათ შორის ფილიპინურზეც, ჩემთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა თუ რა აზრისა ხართ მათ [illegible] [illegible] და ცხვირსახოცით. [illegible] შენიშვნებს და [illegible]ბებს ჩემი მისამართით...

# მარტოკაცი

მე ძალიან ხშირად უნდა ვიყო მარტო. ყველაფერი, რაც კი მე შევქმენი, მხოლოდ და მხოლოდ მარტოობის ნაყოფია.

ფრანც კაფკა. დღიურებიდან

სახლში არავინ დახვდა. გაკვირვებულმა კარი თვითონ გააღო. ჩვეულებრივ, შინ ვილაც ყოველთვის იყო. ახლა კი ყველანი სადღაც წასულიყვნენ. უბეიროდ ისადილა. მერე ცოტა ხანს წიგნი იკითხა, ბოლოს კი ისევ თავის რომანს ჩაუჯდა. სიწყნარეში ძალიან კარგად იმუშავა. გაიფიქრა, ნეტა ხშირად ვრჩებოდე სახლში ასე მარტო, რამდენ რამეს მოვასწრებდი. მერე საათს შეხედა. შვიდის ნახევარი იყო. შვიდზე ლუიზას უნდა შეხვედროდა. წამოდგა, ჩაიცვა, ოთახიდან გავიდა და კარი დაკეტა. მერე მეზობელთან დარეკა ზარი. იფიქრა, ვკითხავ, შეიძლება იციან ჩემები ამდენი ხანი სად დაიკარგნენ. მაგრამ კარი არავინ გაუღო. მეორე მეზობელთან დარეკა. იქიდანაც არავინ გამოხმიანებია. მხრები აიჩეჩა, რა მოუვიდათ, ყველანი ერთად ასე სად გაქრნენ და კიბეს ჩაუყვა. ეზოში გამოსვლისას რაღაც ეუცხოვა. მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა, არც ბავშვები მოედანზე, არც მოხუცები ხეებქვეშ და არც დომინოს მოთამაშეები პატარა ოთხკუთხა მაგიდის გარშემო. არადა, კარგი ამინდი იყო. ქუჩაში რომ გავიდა, უკვე ელდა ეცა. იქაც არავინ იყო — არც ერთი ადამიანი, არც ერთი სულიერი... დაბნეული გაუყვა ტროტუარს. მიდიოდა, თან აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, იქნებ სადმე ერთ მანქანას მაინც ჩაევლო ან სადმე ვინმე დაელანდა. მაგრამ უშედეგოდ. თანდათან შიშმა აიტანა. შიშიც არ ეთქმოდა. რაღაც უცნაური განცდა იყო სიცარიელისა. ამასობაში დათქმულ ადგილზეც მივიდა. შვიდი ხდებოდა. ლუიზა უკვე უნდა მოსულიყო, მაგრამ მოვიდოდა კი? ირგვლივ მიმოიხედა. კვლავ არავინ ჩანდა. სრულიად არავინ... თანაც ბნელდებოდა და გაუკაცრიელებული ქალაქი თანდათან სულ უფრო და უფრო ირეალური და შემზარავი ხდებოდა. სიჩუმე ყურებში უწიოდა... უკვე რვის ნახევარი იყო. ლუიზა არ მოდიოდა.

— ლუიზააა!!! — იღრიალა მთელი ხმით. პასუხი არავინ გასცა.

— დედააა!!! — გაისმა ახლა ცარიელ ქუჩაში და კიდევ.

— დედააა!!! დედააა!!! მამააა!!! ალისააა!!! ლუიზააა!!! გიორგიიი!!! არავინ.... სულ არავინ... გარშემო აბსოლუტურად ჩამობნელებულიყო·

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძრწუნებული იქვე ჩაიკეცა. აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, რა ეფიქრა... უცბად იმედის ნაპერწკალმა გაჰკრა. „შინ! შინ! იქნებ ახლა მაინც დამხვდეს ვინმე!" ხელად ძალა მოემატა. წამოდგა და სწრაფი ნაბიჯებით გაეშურა სახლისაკენ. გზაში ფეხს აუჩქარა, მერე სირბილზე გადავიდა. შუა ქუჩაში მირბოდა თავქუდმოგლეჯილი. ყურებში სიჩუმე უსისინებდა. გონებაში ერთადერთი შემორჩენილი აზრი უტრიალებდა. ეზოში შევარდა და კიბე აქოშინებულმა აირბინა. ზარი არც დაურეკავს. პირდაპირ ბრახაბრუხი აუტეხა კარს. დიდხანს აბრახუნებდა, მერე მიხვდა, რომ უშედეგოდ... თავი კარს მიადო და გაირინდა... თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა, ააკანკალა, ყელიდან რაღაც ზმუილის მსგავსი ამოუშვა, რაც მერე ქვითინში გადაეზარდა. ბოლოს კი ბავშვივით ახლუკუნდა, კარგახანს ტიროდა ასე, შემდეგ თანდათან დაწყნარდა. ცრემლები მოიმშრალა. სრულიად სასოწარკვეთილმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მთრთოლავი ხელით კარი ძლივძლივობით გააღო. ოთახში შებანცალდა და თავის საწოლს დაემხო. ძალიან, ძალიან დიდხანს იყო ასე. გამომშრალ გონებაში სიცარიელეს დაესადგურებინა. ბოლოს ღონეგამოცლილი, ოდნავ წამოიწია, ყურმილს მისწვდა და ტელეფონის ნომერი აკრიფა. აკრიფა სრულიად დარწმუნებულმა, რომ არავინ უპასუხებდა.

— ალო, — გაისმა უცებ.

— ალო! ალო! რომელი ხარ! — იგი ფეხზე წამოიჭრა.

— ლუიზა ვარ...

— ლუიზა! ლუიზა! სადა ხარ, სად დაიკარგე, რატომ არ მოხვედი?! მე ვარ, მე! ვერ მიცანი?

— გიცანი, როგორ არა...

— მერე გამაგებინე, რა მოხდა, სად იყავი?

— მე ვიყავი მოსული...

— როგორ თუ იყავი? იქ არავინ ყოფილა.

— ვიყავი... მაგრამ შენ ვერ შემამჩნიე... შენ, საერთოდ, ხშირად ვერ მამჩნევ ხოლმე... მარტო მე კი არა, სხვებსაც ვერ ამჩნევ... მე დღეს მოვედი... ზუსტად შვიდ საათზე... შენ იდექი და მიყურებდი... პირდაპირ თვალებში მიყურებდი, მაგრამ ვერ მხედავდი... და მე მივხვდი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა... მე მივხვდი, რომ არ გჭირდები... შენ, საერთოდ, არავინ გჭირდება... შენ სხვისთვის არ არსებობ... შენ მხოლოდ შენი თავი გაინტერესებს და მეტი არაფერი... შენი იდეები, შენი ლექსები, მოთხრობები თუ ნოველები... სხვა ყველაფერი კი მხოლოდ საშუალებაა... მე კი არ მინდა მხოლოდ საშუალება ვიყო... ამიტომაც მივდივარ და გტოვებ. გტოვებ იმასთან, რაც შენთვის ერთადერთი და ღირებულია. გტოვებ შენს თავთან... პრინციპში, შენ მუდამ ასეთი იყავი და ამით შენს ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეიცვლება... ანუ, უფრო ზუსტად, მიზანი არ შეიცვლება... საშუალება კი... საშუალება რა დიდი ბედენაა... მის სანაცვლოს ყოველთვის მოძებნი თუ დაგჭირდა... ასე რომ ნახვამდის და მშვიდობით...

— არა! არა! ლუიზა, მოითმინე! არ დამტოვო მარტო! ყველამ, სუყველამ დამტოვა და ახლა შენც გინდა მიმატოვო.... არა, მე არ მინდა ასეთი საშინელი მარტოობა. მე შენ მჭირდები, მე ყველანი მჭირდებით, არ წახვიდეთ, არ დამტოვოთ, გესმის, ლუიზა? არ დამტოვო, არა, არ დამტოვო!..

— არა, შენ ცდები, შენ არავის არ დაუტოვებიხარ და არც არავის სურს, რომ მიგატოვოს. ეს შენ თვითონ მიატოვე ყველა, საკუთარი სურვილით და საკუთარი ნებით... ასე რომ ნურავის დაემდურები, ნურც მე და ნურც სხვას... შენ მთელი სიცოცხლე გსურდა, მარტო დარჩენილიყავი და შესძელი კიდეც ეს... რაღა გინდა ამის მეტი... დაჯექი და იფიქრე, წერე, ხატე... ხელს აღარავინ შეგიშლის... შენ ხომ მხოლოდ ეს გინდოდა... ალბათ, ამისთვისაც ხარ გაჩენილი... ჰოდა, ნუღარ ინერვიულებ... პირიქით, უნდა გიხაროდეს.... მეც წავალ. ჩემს გზას მოვძებნი... აქ კი ნუღარასოდეს დარეკავ. ნურც ჩემს ნახვას შეეცდები... სულ ერთია, აზრი არა აქვს...

ლუიზას ხმა გაწყდა. ყურმილში [illegible] სიგნალი გაისმა. მან დაბნეულმა გარშემო მიიხედ-მოიხედა. მთელს სახლში საოცარი სიცარიელე და წყვდიადი გამეფებულიყო. წამოდგა, ხელის ცეცებით მივიდა უახლოეს ჩამრთველთან და შუქი აანთო. მკრთალმა სინათლემ მაგიდაზე გაშლილი თაბახის სუფთა ფურცლები გაანათა. ჩაფიქრებული მძიმედ დაეშვა სკამზე, თვალები დახუჭა და მის ირგვლივ და მის შიგნით გამეფებულ სიცარიელეს მიაყურადა. ეს ყველაფერი ღირდა აღსაწერად... და რა წამს ეს გაიფიქრა, მიხვდა, რომ იმავე წამს ახალი ცხოვრება დაიწყო... ჯერ არ იცოდა, საშინელი თუ ბედნიერი, მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა... ახლა მთავარი იყო, დღეს განცდილი მარტოობა და სიცარიელე როგორმე ქაღალდზე წინადადებებად გადაეტანა...

# ლანდი

ადამიანებს შორის ერთი ლანდი ცხოვრობდა. ცხოვრობდა თავისთვის, მარტოსულად, გარშემომყოფთ თავაზიანად ეპყრობოდა და არ ცდილობდა თავის გამორჩენას იმით, რომ ლანდი იყო. საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობას და რიდს იწვევდა, რადგან თავისებური, მათგან ძლიერ გამორჩეული იყო და ამის გამო ძალაუნებურად პატივს სცემდნენ, თუმცა კი, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არავის უყვარდა. ჩვენ აქ ყველანი ადამიანები ვართ, ეს კი ადამიანობას უკადრისობს, თავის გამორჩენის მიზნით ლანდად ქცეულა და თვალებში გვეჩხირება, — ფიქრობდნენ ისინი ამრეზით. მაგრამ სინამდვილეში ლანდი სულაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო ასეთი. მას, პირიქით, ძალიანაც უნდოდა სხვებივით ადამიანი ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, განგებას ლანდად გაეჩინა და ლანდადვე უნდა დარჩენილიყო. არც სხვა ლანდები იყვნენ გარშემო და არც იცოდა ლანდმა არსებობდა თუ არა სადმე ლანდების ქვეყანა ან ერთი ლანდი მაინც, მის გარდა დედამიწაზე. არ იცოდა, თუმცა ძალიან უნდოდა ლანდებთან ერთად ყოფილიყო, როგორც ადამიანები იყვნენ ერთად და თავისი მუდმივი მარტოობა გაექარვებინა. მაგრამ არსად ჩანდნენ ისინი და ლანდი ოცნებამ შეიპყრო. საათობით, თვეობით იჯდა სავარძელში და თავის წარმოსახვაში ლანდების სამყაროს ქმნიდა, ელაპარაკებოდა სხვა ლანდებს, თავის ჭირვარამს უმხელდა, მათ ფიქრებსა და განცდებს სწვდებოდა და ასე, მისხალ-მისხალ, თანდათანობით გადაეშვა მათი სულების ყივილთა მორევში. გადაეშვა და როცა თავისი თავი მათში, ისინი კი საკუთარ თავში განურჩევლობამდე აურია, განახზეულა კიდეც ეს სამყარო ქაღალდზე დაწინწკლულ სიტყვებად. მან ეს მხოლოდ თავისთვის გააკეთა, ცალად მყოფი, განყენებული და ერთიანი სული დააქუცმაცა, დაფანტა და ყოველ მათგანს ცალკე სულიერი დამოუკიდებლობა და ერთიანობა მიანიჭა. ერთადერთი, საკუთარი სული ლანდისა უამრავ მსგავს სულად დახლიჩა, რათა საკუთარი მარტოობა დაემარცხებინა და ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ მისი სულიერი ჭურვის ეს ნამსხვრევები, კვლავაც ერთად შეკრებილი და ლანდთა მთელ სამყაროდ ქცეული, მხოლოდ მისთვის იქნებოდა გასაგები და საინტერესო, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. ადამიანები მიიზიდა ლანდის მიერ დაწერილმა წიგნმა თავისი უჩვეულობით და არაადამიანურობისა და ამასთანავე თითქოს ადამიანურის სიმბიოზით. ისინი სულმოუთქმელად კითხულობდნენ მოლანდებასავით გამოცხადებულ რომანს, ერთმანეთს ხელიდან აცლიდნენ, შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ და იმ ლანდს, რომელსაც ადრე, ცოტა არ იყოს, გულციეად და აგდებულად იხსენიებდნენ, ახლა ხოტბა-დიდებას ასხამდნენ. ლანდი თუმც კი ადამიანი არ იყო, მაგრამ არც მისთვის იყო უცხო პატივმოყვარეობა და რაკი ადამიანებმა მისი ნაწარმოები აღიარეს, თავი ვალდებულად ჩათვალა, მათი აღტაცება და მოწონება გაემართლებინა და ადამიანები ახალი, შესანიშნავი რომანით დაეჯილდოებინა. ლანდმა ისევ მოუხმო თავისთან უამრავ ლანდად დაფლეთილ საკუთარ თავს და აჩუქა ნაწილი, მთელი და მთელზე მეტი საკუთარი „მე“ იგივ „ქვემეებს“ და იყო იგი უფრო სრული, უფრო გამოწურვილი, ვიდრე მისი მსგავსი პირველი გაჩუქება თავის სულსხეულ ლანდისა ადამიანებისადმი და დამშლელსა და გამბოძებელს საკუთარი წილისა და კიდეებისა ეგონა, რომ უფრო დიდი იქნებოდა აღტაცება ადამიანთა, მაგრამ კვლავაც მოხდა პირუკუ ლანდისმიერი განსჯისა, რამეთუ უძლურია ერთი მატერიის გონება განჭვრიტოს სხვა მატერიის გონების მიმართულებით. ვერც ადამიანებმა განჭვრიტეს ლანდიანი გონის მიერ მოხაზულ კონტურებს იქით ვერაფერი. არც პირველ წიგნში მოუხელთებიათ რაიმე გარდა სლიპინა ზედაპირისა, მაგრამ პირველი იყო შოკი, პირველი იყო უცხო, პირველი იყო პირველი და ამიტომ აღიარეს როგორც პირველი, ხოლო მეორე იყო იგივ პირველი და ორივეს ჰქონდა ერთი სლიპინა კანი, ისინი კი არ წონიდნენ მათ, მხოლოდ შეხებით საზღვრავდნენ და არ იცოდნენ, რომ მეორე უფრო მძიმე იყო, ვიდრე პირველი და ამიტომ მეორე გაუტოლეს პირველს, ხოლო პირველი არასდროს არ უტოლდება მეორეს, რამეთუ იგი პირველია. და დარჩა მეორე რომანი — მოლანდება ადამიანებისათვის მეორედ, თუმც კი იყო პირველი და შემდეგშიც. მესამე დარჩა მესამედ, თუმც კი იყო პირველი და მეოთხე დარჩა მეოთხედ, თუმც კი იყო პირველი, და ლანდი მიხვდა, რომ ადამიანებისათვის მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა ლანდი გამხდარიყო პირველი, რადგან ადამიანებს მხოლოდ ადამიანების პირველობა ესმით და, ასე თუ ისე, მხოლოდ ადამიანების პირველობას იტანენ. ასე რომ თუკი ლანდს კვლავ პირველობა მოუნდებოდა, მაშინ მას ადამიანებივით უნდა ეფიქრა, მათსავით უნდა ეტანჯა და ეწერა. ლანდს კი არ შეეძლო ეს, მაგრამ იმდენად დიდი იყო წადილი წერისა და თვითდამკვიდრებისა, რომ იგი მაინც შეეცადა თავისი სულის ნაფლეთებისაგან ადამიანთა სამყარო შეექმნა და ეს იყო მისი საბოლოოდ დამარცხება. ეს ისევ ლანდთა სამყარო იყო და ადამიანებმაც დაინახეს ეს, დაინახეს და თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, რამეთუ საკუთარი თავი ლანდზე უფრო მაღალ არსებად მიაჩნდათ და, ალბათ, სამართლიანადაც, ვინაიდან ლანდი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ლანდია. ლანდის ლანდი კი, არც არსებობს და, თუკი არსებობს, მეტად საცოდავი და უსუსური რამ უნდა იყოს. და აი, ადამიანებმა არ მიიღეს ლანდის ეს ახალი, ადამიანებზე დაწერილი რომანი. უფრო მეტიც, მკრეხელობად გამოაცხადეს, წიგნი კოცონზე ყველას დასანახად დაწვეს და თვით ავტორს სასტიკი დევნა დაუწყეს. შეწუხდა ლანდი, გაჩუმდა, გაისუსა, მართლა ლანდივით დაიწყო სიარული, შეეცადა კიდევაც საერთოდ სადმე გადამალულიყო, მაგრამ სად დაიმალებოდა. ის ხომ, როგორც ეტყობა, ერთადერთი იყო დედამიწაზე და, სადაც უნდა წასულიყო, ყველგან იცნობდნენ, ყველგან მიაგნებდნენ, ადამიანები კი მას სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ და ბოლოს იქამდე მიიყვანეს, რომ სასოწარკვეთილმა ლანდმა გადაწყვიტა თავი მოეკლა. იშოვა რევოლვერი, მიიდო საფეთქელზე და გამოჰკრა სასხლეტს თითი. ტყვია გავარდა, გაუარა ლანდიან თავში, სადღაც, შორს მდგარ ადამიანს მოხვდა და სული გააცხებინა. თვითონ მას კი არაფერი მოსვლია, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ლანდი იყო და მეტი არაფერი. დაიჭირეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანდი ამ მკვლელობისათვის. მოუწყვეს სასამართლო და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ლანდმა ბევრი ამტკიცა, არავის მოკვლა არ მინდოდა, გარდა საკუთარი თავისაო, მაგრამ არავინ დაუჯერა. გაიყვანეს კედელთან, მიუშვირეს თოფები და ჰკითხეს, შენი უკანასკნელი სურვილი რა იქნებაო... ლანდმა იფიქრა, იფიქრა, და, ადამიანად გახდომაო,-თქვა. ეგ ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, რაც შეგვიძლია, ის გვთხოვეო, — უთხრეს. აბა, მე მეტი არაფერი მინდაო, — მიუგო ლანდმა. მაშინ ესროლეთო, — ბრძანა მეთაურმა. ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს. ხვდებოდა და ხვდებოდა ტყვიები ლანდს, მაგრამ ისევ ისე იდგა ცოცხალი და უვნებელი. დაიბნა მეთაური, შეცბა, შეაჩერებინა სროლა ჯარისკაცებს, მივიდა ლანდთან და ჰკითხა: — ცოცხალი ხარო? ცოცხალი ვარო, — უპასუხა ლანდმა. ეგ რანაირადო? — კიდევ უფრო შეცბუნებით ჰკითხა მეთაურმა. ეჰ, თქვენ გავიწყდებათ, რომ მე ლანდი ვარ, ლანდები კი, როგორც ჩანს, ადამიანებისაგან განსხვავებით, არ კვდებიანო, — უთხრა ნაღვლიანი ხმით ლანდმა. — კი მაგრამ, მე რა მეშველებაო, — შეშინდა მეთაური. — უფროსის ბრძანება შენი დახვრეტის შესახებ სისრულეში როგორ მოვიყვანოთ?.. მხოლოდ ერთი გზა არსებობსო, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა ლანდმა. — უკანასკნელი სურვილი უნდა ამისრულოთ და ადამიანად გადამაქციოთო. ეგ როგორო? — გაუკვირდა მეთაურს. არ ვიციო, — მხრები აიჩეჩა ლანდმა. კი მაგრამ, მერე შენ ეგ რაში გაწყობსო? — კიდევ უფრო მეტად გაუკვირდა მეთაურს. — ადამიანად რომ იქცე, მაშინვე მოგკლავთ, ხოლო თუ ლანდად დარჩები, უსასრულოდ იცხოვრებო. ეჰო, — ამოიგმინა ლანდმა. — ადამიანად რამდენიმე წამის სიცოცხლე მირჩევნია, საუკუნოდ ლანდად ყოფნასო. ვითომ რატომაო, — გაიოცა მეთაურმა, — შენ რა, ადამიანად ცხოვრება რაიმე დიდი ბედნიერება ხომ არ გგონიაო? ღმერთს შენსავის უკვდავება მოუნიჭებია, შენ კი უარს ამბობო. მე, მაგალითად, ოლონდ უკვდავი გავხდე და, ლანდად კი არა, თუ გინდა, მატლად ვიქცევიო. შენ კიდევო... მოკლედ, დაუფიქრდი, რაებს ლაპარაკობო. მე ბევრი ვიფიქრე და ჩემი საბოლოო სიტყვა ეს არისო, — უპასუხა ლანდმა. — ოლონდაც ადამიანად ვიქცე და მერე თუნდაც იქვე მოვკვდეო. ნება შენიაო, — გულგრილად უთხრა მეთაურმა და იმავე წამს დაინახა, რომ ლანდს რაღაც ემართებოდა. თვით ლანდიც კი ვერ მიხვდა, რა მოუვიდა. მისი სხეული ადუღდა, აჩქეფდა, აბობოქრდა, თვალებში ათასი, აქამდე უცნობი სხვადასხვა ფერი აირია და აბრჭყვიალდა, ხელებმა, ფეხებმა, სახემ, გულმკერდმა ნიავის საოცრად სასიამოვნო მოლამუნება იგრძნო. მან მთლიანად რაღაც აუწერელი, ჯერ არგანცდილი ნეტარება დაეუფლა. ნეტარება... დიახ, ალბათ, სწორედ რომ ნეტარება. გრძნობა, რომელიც ასე ხშირად ხვდებოდა ადამიანთა დაწერილ წიგნებში, მაგრამ რომლის მნიშვნელობას ბოლომდე არ ესმოდა, ისევე როგორც ბევრი სხვა სიტყვისაც, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ ეს რაღაც ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი უნდა ყოფილიყო. ლანდმა იგრძნო, როგორ ჩაელვარა გარედან შემოსული სითბო სხეულში, როგორ აუჩქროლდა რაღაც, — ჰო, ალბათ გული — მარცხენა მხარს ქვემოთ და მიხვდა, — ო, ღმერთო, ღმერთო! — იმ წამს, იმ წამს მიხვდა, რომ ადამიანად ქცეულიყო. თვალები აუციმციმდა, სახე ღიმილმა გაუპო, ხელები ზევით აღმართა და ლაღლაღა მზეს და კრიალა ცას აღფრთოვანებულმა შესძახა: — მე ადამიანი ვააააარ! მე ადამიანი ვააააარ! — მერე ორიოდე ნაბიჯი წადგა და პირველად იგრძნო, თუ რა სასიამოვნო შეიძლებოდა ყოფილიყო სიარული... წინ ერთრიგად ჩამწკრივებული ადამიანები დაინახა, ყველანი საოცრად ლამაზები ეჩვენა, ხელები მათკენ გაიშვირა და მოზეიმე ხმით ახლა მათ მიმართა: ხალხნო, ხედავთ? ხედავთ? მე ადამიანი ვარ! ადამიანი! ადამიანი! ადამიანი!

— ესროლეთ! — გაისმა მეთაურის მჭახე ხმა. ჯარისკაცებმა თოფები მოიმარჯვეს.

— მოიცადეთ! არ ესროლოთ! აცადეთ! ცოტა ხანი აცადეთ! ღმერთი არ გწამთ? რამდენიმე წამი მაინც აცადეთ! რამდენიმე წამი! — იყვირა მწყობრიდან ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, თოფი გააგდო, გამოვარდა და ლანდისკენ გაიქცა.

— ესროლეთ! ჩქარა ესროლეთ! — მთელი ხმით იყვირა მეთაურმა. ერთდროულად იჭექა რამდენიმე თოფმა. ლანდმა იგრძნო, როგორ შეზანზარდა ასე სასიამოვნოდ მფეთქავი გული, როგორ გაშავდა და ერთმანეთში აირია ასე ლამაზი ფერები და როგორ წაიქცა და ჩაეხუტა საოცრად ნაცნობ და საოცრად მტკიცე მიწას. ადრე მიწის სულ მუდამ ეშინოდა, ახლა კი პირველად შეიგრძნო, რომ ეს მისი მიწა იყო, ასე ძლიერი და ასე თბილი. იმ წამსვე სხეულში რაღაც ახალი, რაღაც უცხო ჩაელვარა, ამ რამდენიმე წამის წინ განცდილი გრძნობის — ნეტარების საწინააღმდეგო. „ეს, ალბათ, ტკივილია" — გაიფიქრა სულ ბოლოს და კიდევ უფრო მაგრად ჩაეხუტა მიწას. — მხეცებო! — იყვირა მის ახლოს ვიღაცამ. და კიდევ ერთხელ იჭექა თოფებმა. მწყობრიდან გამოვარდნილი ჯარისკაცი შებორძიკდა, ადგილზე დატრიალდა და მოკლულის გვერდით დაეცა. „ეს კი აღარ იყო საჭირო, მაგრამ, არა უშავს, რაც მთავარია, განაჩენი აღსრულებულია", — გაიფიქრა მეთაურმა და გაოფლილი სახე ჰუჰუიანი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სპარტაკ მხეიძე

●

თუ მიწას უმძიმს მისი ტარება,
თუ ზეცას უმძიმს მისი ყურება:
ეს არის კაცის გადაგვარება,
ეს არის ერის უბედურება.

ბრძოლა და ბრძოლა! უნდა
ვიბრძოლოთ,
რომ კვლავ აყვავდეს ერის ზნეობა,
თორემ რა ხდება, ბოლოს და ბოლოს,
იზრდება მხოლოდ მოსახლეობა...

## კავკასიონი

კავკასიონი — ატლანტი,
ლაჟვარდს რომ უდგას მხრებით,
თითქოს გენიის ნახატი —
მთები, მთები და მთები!
ჩემი ბავშვობის ოცნება,
მაღალი, მაღლად მხედი,
სიწმინდე, პატიოსნება
და რაღაც უფრო მეტი.
ზენიტს შეატყორცნის მწვერვალებს,
დააფარფაშებს არწივთ,
ცაზე სწერს ქართლის დიდებას
მთების მარადი ცარცით.
ბროლის და ლალის სტიქია
აზვავებული მზეში,
ჩემი სიცოცხლე იგია
ჯიხვის და შურთხის ეშხით.
კავკასიონი გაზაფხულს
ნაკადულებად აბნევს
და ნამეხარი დაიფენს
თეთრი ღრუბლების ბამბებს.

მისი სიმაღლე ზვიადი
სულს ვარსკვლავეთში უხმობს,
მისი ლოდის ქვეშ ნეტარი
მივიყუჟები უხმოდ...

●

რამდენ ტანჯვა-წვალებას
ვუძლებ როგორც იოგი,
რაა ჩემი ცხოვრება —
უდაბნო და ხრიოკი.

და მირაჟით გათანგულს
მელანდება მესია,
მოლანდება ყოველთვის
გაჭირვების წესია.

●

ეს მშვენიერი ზეცა,
ეს ვარსკვლავები გუნდად
როგორ ვიხილო კვლავაც,
თუკი ვიარე მრუდად.
წავალ, პირდაპირ წავალ,
მოდი, სიკვდილო, მოდი.
არ ენანება ჩემს მთიებს
ერთი უბირი ლოდი.
კაცი იმ ლოდის ქვეშაც
მჯერა დარჩება კაცად.
თუნდაც მიაგონ წყევლა
ქება-დიდების ნაცვლად.
გმირი გვიზარდე, გმირი,
ქართლის დედაო, გვედრი,
გმირს ელოდება შენგან
ქართლოსიანთა ხვედრი...

## ერთხელ მაინც

ერთხელ მაინც შემინთე შენი ცეცხლი, ხომლო;
ერთხელ მაინც იძუნწე თმების ვერცხლი, თოვლო;
ერთხელ მაინც იელვე, ჩემო ელვავ, ცაზე,
ერთხელ მაინც არ ვიყო — გულუკმარი — ასე.
ერთხელ მაინც დაჰკარი თეთრ დაირას, სულო,
ვთქვა წვა-დაგვით სათქმელი და მით დავასრულო.
თორემ წლები მძლავრობენ, სევდით ვითვლი წამება,
ვაი, თუ დილას ვერ შევხვდე და მივბარდე ღამეა...

## მფრინავი ფიქრები

შენზე რომ ვფიქრობ — მერცხალი შემოუქროლებს ჩემს
გულს, —
სისხლის მეწამულ მდინარეს მწვანე ჭალებით შემკულს.
ბედზე რომ ვფიქრობ, ყორნები აიშლებიან ცადა:
საიდან მოველ, სადა ვარ, უნდა წავიდე სადა?!
მტერზე რომ ვფიქრობ, არ ვიცი, ძერა არის თუ ქორი
ვერ შევიცანი ნილაბი — ახლობელი თუ შორი.
ქართლზე რომ ვფიქრობ, ნატყვიარა შამბში მგონია თავი,
ჩოფარფაშებს ფრთებს ჩემსკენ ასი უძლები სვავი.
შურისძიებას რომ ვფიქრობ — მიყვარს დავლანდავ
არწივს,

ცაზე იელვებს ლურსმული კავკასიონის ცარცის.
დაფრენენ ჩემი ფიქრები, არ ეკადრებათ დალლა,
ტოროლასავით დილის მზეს ეგებებიან ახლა,
მერე კი, მზე რომ დაცხრება, ლურჯი საღამო მოვა.
ჭოტის ტირილი მგონია დალუპულების გლოვა.
და მთელი ღამე განვიცდი ნამის თუ ცრემლის წვეთებს.
ღამურასავით ვეხლები მთრთოლავ ხეებს და კედლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლევ ტროცკი

# სტალინი

ამ წიგნის ავტორს ლევ ტროცკის უცნაური აღსასრული ხვდა წილად — იგი საკუთარი ნაწარმოების გმირის მიერ მიგზავნილმა მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს 1940 წლის 21 აგვისტოს.

ამ საბედისწერო დღემდე ლევ ტროცკიმ ბობოქარი ცხოვრების გზა განვლო, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთში გავრცელებულ მარქსისტულ და სოციალისტურ მოძრაობასთან; რუსეთის სამივე რევოლუციაში იგი თვალსაჩინო ფიგურა იყო, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პოსტები ეკავა ლენინის ბოლშევიკურ მთავრობაში და იმპერიის მეორე კაცად, ლენინის პოლიტიკურ მემკვიდრედ ითვლებოდა. მაგრამ ბოლშევიკური დიქტატურის მწვერვალისაკენ მას გზა გადაუღობა იოსებ სტალინმა და მათი პოლიტიკური გიგანტის მტრობა მილიონობით ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა იმპერიის ხალხებს.

„სტალინი" ტროცკიმ განდევნილობაში, მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში შექმნა, თუმცა მისი დამთავრება ვერ მოასწრო. ეს წიგნი საბჭოთა კავშირში პირველად 1990 წელს გამოიცა.

„სტალინი" „ცისკარში" მნიშვნელოვანი შემოკლებით იბეჭდება, მის ორტომეულს დასტამბავს საგამომცემლო კოოპერატიული ფირმა „ნუგეში".

### წინასიტყვა

როგორც მკითხველი დარწმუნდება, სტალინის პიროვნების ფორმირების პერიოდს უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ, ვიდრე მის ამჟამინდელ პოლიტიკურ როლს. უკანასკნელი ხანის ფაქტები ცნობილია ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ადამიანისათვის, სტალინის პოლიტიკის კრიტიკა კი მე მოცემული მაქვს სხვადასხვა ნაშრომში.

ამ პოლიტიკური ბიოგრაფიის მიზანია, ვაჩვენო თუ როგორ ჩამოყალიბდა სტალინის პიროვნება და რა საშუალებით მოიპოვა მან ესოდენ გამორჩეული როლი. აი, რატომ მიმაჩნია (საინტერესოდ) სტალინის ცხოვრებისა და ფორმირების ის პერიოდი, როცა მასზე არავინ ან თითქმის არავინ არაფერი იცოდა.

თავიდან ვცადე გამოწვლილვით გამეანალიზებინა ცალკეული, თვით წვრილმანი ფაქტები თუ მოწმეთა მონათხრობი. მაშინ, როცა ბოლო პერიოდზე საუბრისას, პირიქით, იმ ფაქტების ურთიერთკავშირში გადმოცემას შევეცადე, რომელთა უმეტესობა მკითხველისთვის ცნობილია.

კრემლის სამსახურში მყოფი კრიტიკოსები, როგორც ეს „რუსეთის რევოლუციის ისტორიის" გამოქვეყნებისას მოხდა, ალბათ, ახლაც დაიჩემებენ, რომ ბიბლიოგრაფიული წყაროების მიუთითებლად შეუძლებელია ჩემეული მოსაზრებების შემოწმება. სინამდვილეში, ბიბლიოგრაფიული წყაროები, ასობით და ათასობით რუსულ ჟურნალსა და გაზეთზე, მემუარებსა და კრებულებზე მითითება ძალზე ცოტას მისცემდა უცხოელ კრიტიკოსებსა და მკითხველს, ტექსტს კი მეტისმეტად დაამძიმებდა.

რაც შეეხება რუს კრიტიკოსებს, მათ განკარგულებაშია სახელმწიფო არქივები და ბიბლიოთეკები. ჩემს ნაწერებში რომ ფაქტობრივი შეცდომები და მცდარი ციტატები ყოფილიყო ანდა მასალები არასწორად გამომეყენებინა, ამაზე, რასაკვირველია, დიდი ხნის წინათ მიმითითებდნენ, მე კი ანტიტროცკისტულ ლიტერატურაში არსად შემხვედრია შენიშვნა, რომ წყაროებს არაზუსტად ვიყენებ. ვფიქრობ, უცხოელი მკითხველისათვის ეს სერიოზული გარანტიაა.

ჩემს „ისტორიაში" მთლიანად უარვყავი მემუარულობის ელემენტები და ვეყრდნობი მხოლოდ გამოქვეყნებულ ფაქტებს, რომელთა შემოწმებაც შეიძლება. აქვე ვიყენებ ჩემს საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარ მოგონებებსაც, რომელთა ჭეშმარიტებაც, ასევე, სადავოდ არავის გაუხდია.

წინამდებარე ნაშრომში შესაძლებლად ჩავთვალე ამ მეტად მკაცრი მეთოდის უარყოფა. თხრობის ძირითადი ქსოვილი, მართალია, აქაც დოკუმენტებს, მემუარებსა და სხვა ობიექტურ წყაროებს ეყრდნობა, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა არავითარ წყაროს არ შეუძლია შეცვალოს ავტორის მეხსიერებაში შემონახული ფაქტები და მოვლენები, თავს ნება მივეცი, მკითხველისათვის პირადი შთაბეჭდილებები გამეზიარებინა. ამასთან, ყველგან მივუთითებ, რომ ამჯერად გესაუბრებათ არა მხოლოდ ავტორი, არამედ თვითმხილველი და მოწმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბიოგრაფიაში იმავე მეთოდს ვიყენებ, როგორც „რუსეთის რევოლუციის ისტორიაში". ჩემმა მრავალრიცხოვანმა მოწინააღმდეგეებმაც კი აღიარეს, რომ ნაშრომი ეყრდნობა მეცნიერული მეთოდით შეჯერებულ ფაქტებს. მართალია „New York Times"-ის მიმომხილველმა უარყო ეს წიგნი, როგორც მიკერძოების ნაყოფი, მაგრამ მისი წერილის ნებისმიერი სტრიქონი მოწმობს, რომ ავტორი აღშფოთებულია რუსეთის რევოლუციით და თავისი აღშფოთება ამ რევოლუციის მეისტორიეზე გადააქვს.

ეს ჩვეულებრივი ცდომილებაა ყველა ჯურის ლიბერალი სუბიექტივისტებისთვის, რომელთაც არ ესმით კლასობრივი ბრძოლის თეორია. ისინი, ისტორიული პროცესის შედეგით უკმაყოფილონი, განაქიქებენ მეცნიერულ მეთოდს, რომელიც ნათელყოფს, რომ ეს შედეგი გარდაუვალი იყო.

ობიექტურია თუ არა ავტორის დასკვნები მთლიანად ან ნაწილობრივ, ბოლოს და ბოლოს, ეს კი არ არის მთავარი. გაცილებით მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდის შეფასება. აქ კი მე კრიტიკოსებისა არ მეშინია. ჩატარებული სამუშაო მთლიანად ემყარება ფაქტებსა და უტყუარ დოკუმენტებს; თუმცა, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის უმნიშვნელო შეცდომები, მაგრამ ამ ნაშრომში ვერავინ იპოვის ფაქტებისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, დოკუმენტების უგულებელყოფას ან მიკერძოებულ დასკვნებს.

მე უყურადღებოდ არ დამიტოვებია არც ერთი ფაქტი, დოკუმენტი და ჩვენება, რომელიც ამ წიგნის გმირის სასარგებლოდ ილაპარაკებდა. თუ ფაქტების კეთილსინდისიერი შეკრება და გამოწვლილვითი შესწავლა, ისტორიული და ბიოგრაფიული ჟანრისათვის მიღებული წესით მოწმეთა ჩვენებების განჩხრეკა და, ბოლოს, პირადი ცხოვრებისეული ფაქტების გამოყენება ობიექტურობად არ ჩაითვლება, ისღა დამრჩენია, ვიკითხო — რაღაში მდგომარეობს იგი?!

რამდენადაც სტალინის მიერ შეთხზული ფაქტების და წყაროების ჩემეული კრიტიკა [...] არა გარეგნულ სახეს, არამედ მათ არსს, ამდენად, შეუძლებელია მათი ანალიზის გარეშე შევამზადოთ მკითხველი ისეთი მოვლენების გასაგებად, როგორიც არის მოსკოვური პროცესები.

გარკვეულ წრეებში ხალისით ლაპარაკობენ და წერენ, რომ მე მძულს სტალინი და ეს სიძულვილი მიბიძგებს მუქ ფერებში დავხატო აწმყოც და მომავალიც. ასეთ შემთხვევაში მზრდების არჩევის გარდა არაფერი დამრჩენია. ჩვენი გზები ძალზე ადრე გაიყარა. სტალინი იქიდანვე მძლავრი იარაღია ჩემთვის უცხო, მტრული ისტორიული ძალების ხელში. რომ ჩემი პირადი გრძნობები მის მიმართ ცოტათი თუ განსხვავდება იმ გრძნობებისაგან, ჰიტლერის ან იაპონელი მიკადოსადმი რომ გამაჩნია.

ყოველგვარი პირადული დიდი ხანია ჩაქრა. თვით იმ სათვალთვალო პუნქტმაც კი, მე რომ მეკავა, ვერ მომცა საშუალება, რეალური ადამიანური ფიგურა ბიუროკრატიის ეკრანზე გამოსახული მისი გიგანტური ჩრდილისაგან გამერჩია. ამიტომ უფრო მართებული იქნება, ვთქვა: ჩემს შემეცნებაში სტალინი არასოდეს ამაღლებულა იქამდე, რომ ჩემი სიძულვილი დაემსახურებინა.

...ალორძინების ეპოქის ადამიანებს რომ შევადაროთ, ამისთვის სტალინს არ ჰყოფნის ინდივიდუალობა, გაქანება, წარმოსახვა, ქირვეული დიდსულოვნება.

ადრეულ სიჭაბუკეში, მას შემდეგ, რაც ჩამორჩენილობის გამო იძულებული გახდა, სემინარია მიეტოვებინა, იგი ერთხანს ბუღალტრად მუშაობდა თბილისის ობსერვატორიაში. ჩვენთვის უცნობია, როგორ აღრიცხავდა შემოსავალ-გასავალს ობსერვატორიის ჟურნალში, მაგრამ ეს კი არის, ბუღალტრული ანგარიშიანობა მან შემოიტანა პოლიტიკასა და ადამიანებთან ურთიერთობაში. მისი პატივმოყვარეობა, ისევე როგორც სიძულვილი, მკაცრ ანგარიშებს ექვემდებარება. ალორძინების მოღვაწეები გაბედულები იყვნენ. სტალინი ფრთხილია, დიდხანს მალავს სიძულვილს, სანამ გულში არ დაილექება, ხოლო მის შურისგებას გიგანტური გაქანება აქვს. იგი ხომ მიწაზე არ დგას — ყველაზე უფრო გრანდიოზული აპარატის მწვერვალზე იმყოფება. ამ აპარატს სტალინი საბოლოოდ დაეუფლა და თავისი ნების მსახურად აქცია. რადგან ბოლომდე მისი ერთგული იყო: იგი ღალატობდა პარტიას, სახელმწიფოს, პროგრამას, მაგრამ არასოდეს — ბიუროკრატიას.

...რომაელ პრეტორიანელებს, რომელნიც ხალხზე მაღლა და, გარკვეული აზრით, სახელმწიფოზე მაღლაც იდგნენ, იმპერატორი სჭირდებოდათ, როგორც უმაღლესი მსაჯული. ასევე ბიუროკრატიას, რომელიც ხალხზე და სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზე მაღლა აღმოჩნდა, თავისი ბელადი უნდა ჰყოლოდა.

ნერონის ბრძანებით გაჩენილი რომის ხანძრისთვის ქრისტიანებს ხოცდნენ, რომელნიც მთელი მისი მეფობის მანძილზე, საერთოდ, განტევების ვაცები იყვნენ. განტევების ვაცის როლს ნერონთან ქრისტიანები ასრულებდნენ, ჰიტლერთან ებრაელები, სტალინთან კი ტროცკისტები. სტალინის ხელისუფლება თანამედროვე კეისარიზმია. ეს არის თითქმის შეუზღუდავი მონარქია, ოღონდ გვირგვინისა და [illegible]-რობით, მემკვიდრეობითობის გარეშე.

XVIII საუკუნეში საქართველოს მეფე მოსკოვის ხელისუფლებას დაემორჩილა. XX საუკუნეში პატარა საქართველომ მოსკოვს თავს მოახვია საკუთარი მეფე.

...ზოგიერთი მეგობარი მსაყვედურობდა, რომ ჩემს შრომაში დიდი ადგილი უკავია ისტორიულ წყაროებს და ამ წყაროების კრიტიკას. მესმის, რომ თხრობის ასეთი მეთოდი არც ისე მომგებიანია, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდა. არავინ არის ვალდებული, ბოლომდე ენდოს ავტორს, რომელსაც პირადი ინტერესები გააჩნია და რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა იმ კაცის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვისი ბიოგრაფიის დაწერაც ბედმა არგუნა.

ჩვენი ეპოქა სიცრუის ეპოქაა; ამით იმას როდი ვამბობ, თითქოს სხვა ეპოქები სამართლიანობით გამოირჩეოდა. სიცრუე წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობს. იგი ბრძოლების, კლასთა შეჯახებისა და საზოგადოებისაგან პიროვნების გასხვისების ნაყოფია. ამგვარად, ის კაცობრიობის ისტორიის ერთგვარ კომპონენტად იქცა. მაგრამ არის პერიოდები, როცა სოციალური წინააღმდეგობები განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს. მაშინ სიცრუეც ზღვარს გადადის და ამ წინააღმდეგობებთან შესაბამისობაში იმყოფება.

ასეთია ჩვენი ეპოქა.

კაცობრიობის ისტორიაში არ მეგულება სიცრუის ისეთი გიგანტური ფაბრიკა, როგორიც კრემლმა შექმნა სტალინის მეთაურობით. ამ ფაბრიკის ძირითადი სამუშაო კი სტალინისათვის ახალი ბიოგრაფიის გამოგონებაა.

## ოჯახი და სკოლა

განსვენებულმა ლეონიდ კრასინმა — ძველმა რევოლუციონერმა, თვალსაჩინო ინჟინერმა, ბრწყინვალე საბჭოთა დიპლომატმა და, უპირველეს ყოვლისა, გონიერმა ადამიანმა, თუ არ ვცდები, პირველმა უწოდა სტალინს „აზიელი".

მან ამ შემთხვევაში რასობრივი თავისებურებები როდი იქონია მხედველობაში, არამედ ისეთი თვისებების ერთობლიობა, როგორიც არის თავდაჯერება, გამჭრიახობა, ვერაგობა და სისასტიკე, რაც ხშირად აზიურ ხელისუფალთა და[illegible] მახასიათებლად ითვლებოდა.

ბუხარინმა დააკონკრეტა ეს მეტსახელი და სტალინს „ჩინგისხანი" უწოდა. ამით ხაზი გაუსვა გულმხეცობაში გადაზრდილ მის სისასტიკეს. თვითონ სტალინმაც ერთხელ იაპონელ ჟურნალისტთან საუბრისას თავის თავს „აზიელი" უწოდა, მაგრამ არა ძველებური, არამედ თანამედროვე გაგებით. ამით მას უნდოდა წარმოეჩინა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის საერთო ინტერესები იმპერიალისტური დასავლეთის წინააღმდეგ.

თუ მეცნიერული კუთხით შევხედავთ, „აზიელი", მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ არის მართებული.

კავკასია თავისი გეოგრაფიით, განსაკუთრებით კი ამიერკავკასია, აზიის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ ქართველები, მონღოლურ-აზერბაიჯანული მოდგმისაგან განსხვავებით, ე. წ. ხმელთაშუა ზღვის ევროპულ რასას მიეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, სტალინი არ იყო მართალი, როცა თავის თავს „აზიელი" უწოდა, თუმცა გეოგრაფია, ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია საკითხს ვერ წყვეტს — მათზე მაღლა ისტორია დგას.

კავკასიის მთასა და ბარში ოდითგანვე დამკვიდრდა ხალხთა ნაკადი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აზიიდან ევროპისაკენ მიემართებოდა. ცალკეული ტომები და ჯგუფები აქ თითქმის თავდაპირველი განვითარების დონეზე გაიყინა, რამაც კავკასია ვეებერთელა ეთნოგრაფიულ მუზეუმად აქცია.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში ამ ხალხთა ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთისა და თურქეთის ბედთან და, ამრიგად, აზიურ კულტურასთან, რომელიც, თავის მხრივ, გამუდმებული ომებისა და აჯანყებების მიუხედავად, შეურყეველი რჩებოდა. სამყაროს სხვა გზაჯვარედინზე კაცობრიობის ისეთი მცირე ტოტი, როგორიც ქართველებია, უსათუოდ შთაინთქმებოდა ისტორიის ქურაში. მათი რიცხვი ამჟამად 2,5 მილიონს შეადგენს და, კავკასიის მთების წყალობით, შედარებით წმინდად შემოინახეს ეთნიკური სახე და ენა, რომელსაც ფილოლოგებმა, ვგონებ, დღემდე ვერ მოუნახეს კუთვნილი ადგილი.

დამწერლობა საქართველოში ჯერ კიდევ IV ასწლეულში შეიქმნა, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევასთან ერთად, რაც ექვსასი წლით უსწრებს კიევის რუსეთის მოქცევას.

X-XIII საუკუნეები საქართველოს სამხედრო ძლიერების, მისი ხელოვნებისა და ლიტერატურის გაფურჩქვნის ხანად ითვლება. შემდგომ მოდის უძრაობისა და დაცემის ასწლეულები. ჩინგისხანისა და თემურლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა თავისი კვალი დატოვა ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოსშიც. თუ ბედკრულ ბუხარინს ვენდობით, მათი კვალი თვით სტალინის ხასიათშიც გამომჟღავნდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე რუსეთის მფარველობაში შევიდა და თავისი საუკუნოვანი მტრების, სპარსეთისა და თურქეთისგან დაცვა ითხოვა. მიზანი თითქოს მიღწეული იქნა. ცხოვრება შედარებით მშვიდი და უსაფრთხო გახდა, მეფის მთავრობამ საქართველოში გაიყვანა სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, ნაწილობრივ განაახლა ქალაქები და შექმნა სკოლების ქსელი, უპირველეს ყოვლისა, უცხოტომელ ქვეშევრდომთა რუსიფიკაციისათვის. მიუხედავად ამისა, პეტერბურგის ბიუროკრატიამ ორი ასწლეულის განმავლობაში ვერ შეძლო ძველი აზიური ბარბაროსობის აღმოფხვრა ევროპული კულტურით. ეს აზიური ჩამორჩენილობა ხომ თავად რუსეთსაც ქარბად ახასიათებდა.

ბუნებრივი სიმდიდრისა და კურთხეული კლიმატის მიუხედავად, საქართველო მეტისმეტად ჩამორჩენილი და ღარიბი, ნახევრად ფეოდალური ქვეყანა იყო განუვითარებელი მატერიალური ბაზით. მას უფრო აზიური პატრიარქალიზმი ახასიათებდა, რაც აზიურ სისასტიკესაც არ გამორიცხავდა. მრეწველობა თითქმის არ არსებობდა. მიწის დამუშავება და მშენებლობაც ორი ათასი წლის წინანდელი მეთოდებით წარმოებდა. ყურძენს ფეხით წურავდნენ და თიხის უზარმაზარ ქვევრებში ინახავდნენ. კავკასიის ქალაქები, სადაც მოსახლეობის მხოლოდ მეექვსედი ცხოვრობდა, ტიპიური აზიური ქალაქები იყო ჩინოვნიკებით, ჯარისკაცებით, სავაჭროებით და პატარა ხელოსნური ცენტრებით.

მოსახლეობის ძირითად მასაზე გაბატონებული იყო უმეტესად უქონელი და დაბალი კულტურის მქონე თავადაზნაურობა, რომელიც გლეხთა ზედაფენისაგან მხოლოდ მყვირალა ტიტულებითა და წოდებრივი პრეტენზიებით თუ განსხვავდებოდა. საქართველოს ტყუილად როდი ეძახიან კავკასიის ესპანეთს. მასაც ჰქონდა თავისი ძლიერების ეპოქა წარსულში, ეკონომიკური უძრაობა აწმყოში, ჰქონდა მადლიანი მზე, ვაზი, ფუქსავატობა და, ბოლოს, ჰყავდა ჯიბეგახვრეტილ იდალგოთა ნაირსახეობა.

ქართველ თავად-აზნაურთა ახალი თაობა უნივერსიტეტებისკენ ისწრაფოდა, არღვევდა თავის წოდებრივ ტრადიციებს, რომელთაც რუსეთის ცენტრებში სერიოზულად არავინ უყურებდა, და რუს სტუდენტთა რადიკალურ ჯგუფებს ეკედლებოდა.

თავად-აზნაურებს კვალში უდგნენ შეძლებული გლეხები და ვაჭრები, რომლებიც, პატივმოყვარეობით შეპყრობილნი, ცდილობდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, თავისი ნაშიერისაგან ჩინოვნიკი, ოფიცერი, ადვოკატი ან მღვდელი გამოეყვანათ.

ამის შედეგად საქართველოში გაჩნდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, რომელმაც პროგრესულ პოლიტიკურ მოძრაობებსა და რუსეთის სამივე რევოლუციაში თვალსაჩინო როლი შეასრულა.

გერმანელი მწერალი ბოდენშტედტი, რომელიც 1844 წელს, ცოტა ხნით, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი იყო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველები არა მარტო ფეთხუმები და ფუქსავატები არიან, არამედ, კავკასიის სხვა ერებთან შედარებით, ნაკლებინტელიგენტურებიც. ისინი ჩამორჩებიან თათრებსა და სომხებს მეცნიერებათა ათვისებასა და უცხო ენების შესწავლაში.

ამ ერთობ ნაჩქარევ დასკვნას რომ [illegible]ლავდა, ელიზე რეკლიუმ გამოთქვა ჭეშმარიტად მართებული მოსაზრება, რომ აღნიშნული განსხვავება უნდა აიხსნას არა ეროვნულობით, არამედ სოციალური მდგომარეობით: ქართველი მოსწავლეები უმეტესად ჩამორჩენილი სოფლებიდან იყვნენ გამოსულნი, მაშინ, როცა სომხები ქალაქის შეძლებულ ბურჟუაზიულ ოჯახებში იზრდებოდნენ. შემდგომში ეს განსხვავება სწრაფად იშლებოდა.

1892 წელს, როცა იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასში იყო, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის თითქმის მეხუთედს ქართველები შეადგენდნენ (რუსები — ნახევარზე მეტი, სომხები — 11%, თათრები — 3%-ზე ნაკლები...). მაშინ ქართველთა რაოდენობა კავკასიის მოსახლეობის დაახლოებით მერვედი იყო.

კულტურის ერთ-ერთი უძველესი იარაღის, ქართული ენის თავისებურებები, როგორც ჩანს, მართლაც ართულებს უცხო ენების შეთვისებას, რამდენადაც მძიმე დაღს ასვამს გამოთქმას. მაგრამ არაფრით არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, თითქოს ქართველები მოკლებულნი არიან თავისუფალი მეტყველების უნარს. ცარიზმის ბატონობის ჟამს ისინი, როგორც იმპერიის სხვა ხალხები, დუმილისათვის იყვნენ განწირულნი, მაგრამ რუსეთის „ევროპეიზაციის" პარალელურად ქართულმა ინტელიგენციამ წარმოშვა ჯერ სასამართლოს, შემდგომ კი საპარლამენტო ტრიბუნის, თუ პირველი კლასის არა, ყოველ შემთხვევაში, დიდად გამორჩენილი ორატორები. თებერვლის რევოლუციის ბელადთა შორის ყველაზე დიდი მჭევრმეტყველი სწორედ ქართველი ირაკლი წერეთელი გახლდათ. ამიტომ სტალინის ორატორულ ღირსებათა უქონლობა მისი ეროვნული წარმოშობით ვერ აიხსნება და, საერთოდ, ფიზიკური შეხედულობითაც ის სრულიადაც არ წარმოადგენს

იმ ხალხის საუკეთესო ეგზემპლარს, რომელიც ულამაზესად ითვლება კავკასიაში.

ქართველთა ეროვნული ხასიათი, ჩვეულებრივ, მიმნდობია, შთამბეჭდავი და ფიცხი, იგი, ამავე დროს, მოკლებულია ენერგიას და ინიციატივას. რეკლიუ პირველ რიგში ახსენებს ქართველთათვის დამახასიათებელ მხიარულებას, პირდაპირობას და ადამიანებთან ურთიერთობის უნარს. ამ თვისებებთან, რომელიც ქართველებთან პირადი შეხვედრებისას მართლაც თვალშისაცემია, სტალინის ხასიათს ბევრი არაფერი აკავშირებდა.

ქართველი ემიგრანტები პარიზში არწმუნებდნენ სუვარინს — სტალინის ფრანგული ბიოგრაფიის ავტორს, — იოსებ ჯუღაშვილის დედა ოსი იყო და მის ძარღვებში მონღოლური სისხლი ჩქეფსო. ამის საწინააღმდეგოდ, ვინმე ირემაშვილი, რომელსაც ქვემოთ კიდევ შევხვდებით, ამტკიცებს, სტალინის დედა სუფთა სისხლის ქართველიაო, ოსი კი მამამისი იყოო:* „უხეში ტლანქი ნატურა, როგორც საერთოდ კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები". აღნიშნულ მტკიცებათა შემოწმება ძალზე ძნელია ან თითქმის შეუძლებელია. სტალინის მორალური სახის ასახსნელად ეს, ალბათ, არც არის აუცილებელი.

ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ბალკანეთში, იტალიაში, ესპანეთში ე. წ. „სამხრეთულ" ხასიათთან ერთად, რომელიც ზანტ უდარდელობასა და სიფიცხეს აერთიანებს, გვხვდება ცივი ხასიათები, რომელთა ფლეგმატიზმი შერწყმულია შეუპოვრობასა და ვერაგობასთან. აქ პირველი ტიპი ბატონობს, ხოლო მეორე ავსებს მას. როგორც ჩანს, ხასიათის ძირითადი თვისებები თანაბრად არის ჩადებული ყოველ ეროვნულ ჯგუფში, მაგრამ სამხრეთული მზის ქვეშ ისინი ნაკლებ ჰარმონიულად ვითარდებიან, ვიდრე ჩრდილოეთში და, მაინც, ნუ შევიჭრებით ნაციონალური მეტაფიზიკის უმადურ სფეროებში.

●

სამაზრო ქალაქი გორი თბილისიდან ამიერკავკასიის რკინიგზის 76-ე კილომეტრზე მდებარეობს, მდინარე მტკვრის ულამაზეს ხეობაში. გორი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და საკმაოდ დრამატული ისტორია აქვს. გადმოცემის თანახმად, XII საუკუნეში იგი დაუარსებიათ თურქეთიდან ლტოლვილ სომხებს* რომელნიც საქართველოში თავშესაფარს ეძებდნენ. მას შემდეგ ქალაქი არაერთხელ დაურბევიათ და გაუძარცვავთ, რადგან გორის სომეხი მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობას მისდევდა, საკმაო სიმდიდრე ჰქონდა დაგროვილი და მათი ქონება დამპყრობთათვის გემრიელ ლუკმას წარმოადგენდა.

ქალაქი ნელა იზრდებოდა. აქ თანდათან მკვიდრდებოდა ქართული და თათრული სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობა. ასე რომ, როცა ბესარიონ ჯუღაშვილი სოფელ დიდი ლილოდან გორში გადასახლდა, აქ საკმაოდ ჭრელი ხალხი ცხოვრობდა: იყო რამდენიმე ეკლესია, უამრავი სავაჭრო ფარდული და დუქანი, სამასწავლებლო სემინარია თათრული განყოფილებით, ქალთა პროგიმნაზია და ოთხკლასიანი სასწავლებელი.

ბატონყმობა თბილისის გუბერნიაში მომავალი გენერალური მდივნის, იოსების დაბადებამდე სულ რაღაც 14 წლით ადრე გაუქმდა, მაგრამ მისი გადმონაშთები კვლავ ცოცხლობდა სოციალურ ურთიერთობებსა და წეს-ჩვეულებებში.

საეჭვოა, რომ იოსების მშობლებს წერა-კითხვა სცოდნოდათ. მართალია, ამიერკავკასიაში ქართულ ენაზე ხუთი ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა, მაგრამ მათი ტირაჟი ოთხი ათას ეგზემპლარს ძლივს აღწევდა — ქართველი გლეხობა კვლავ ისტორიული პროცესების მიღმა იდგა.

უფორმო ქუჩების გასწვრივ გაფანტული სახ-

---

* ბესარიონ ჯუღაშვილის ოსური წარმომავლობის ლეგენდა, როგორც ჩანს, ემყარება მეორე ლეგენდას დიდილილოელი მოსახლეობის ოსური წარმოშობის შესახებ. სინამდვილეში, მათი ერთი ნაწილი თავის დროზე დიდ ლილოში შიდა ქართლის მთიანეთიდან გადმოსახლებულა და ადგილობრივ მოსახლეობას მათთვის ოსები შეურქმევია, რადგან ლიახვის ხეობებში მაშინ უკვე ოსების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა. ესეც რომ არ იყოს, ჯუღაშვილები დიდილილოელები არ ყოფილან. ცნობილია, რომ ბესარიონის მამა ივანე ჯუღაშვილი კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან (ვარაუდობენ მატანს) გადმოსახლებულა გარეკახეთში. რაც შეეხება სტალინის დედას, ცნობილია, რომ იგი გლეხის ქალი იყო სოფელ ღამბარაულიდან (მთარგმნელების შენიშვნა).

* არქეოლოგიური გათხრების მიხედვით გორი ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე წარმოადგენდა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს, ქალაქი გაიზარდა, სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა დავით აღმაშენებლის დროს (მთარგმ. შენიშვნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები და ხეხილის ბაღები, გორს მოზრდილი სოფლის შესახედაობას აძლევდა. ყოველ შემთხვევაში, ქალაქელ ღარიბთა სახლები იდნავ განსხვავდებოდა სოფლის ღარიბ გლეხთა საცხოვრებლისაგან.

ჯუღაშვილები ცხოვრობდნენ ალიზის ქვემო ქოხუნაში, რომლის კუთხეები აგურით იყო ამოყვანილი, ხოლო მიწური სახურავიდან თავისუფლად ჩამოდიოდა წვიმა. იოსების ყოფილი თანაკლასელი გოგოხია ასე აღწერს ჯუღაშვილების თავშესაფარს: „ოთახი სამზარეულოს გვერდით მდებარეობდა და ცხრა კვადრატულ არშინს არ აღემატებოდა. ეზოდან პირდაპირ ოთახში შევდიოდით, რომელიც კიბის ერთი საფეხურითაც არ იყო ამაღლებული. იატაკი აგურისა ჰქონდა. ვიწრო სარკმლიდან მკრთალად აღწევდა დღის სინათლე. ოთახის მთელ მოწყობილობას შეადგენდა პატარა მაგიდა, რამდენიმე ტაბურეტი და ფართო ტახტი, რომელზეც ჩილოფი იყო გადაფარებული“. ამ მოწყობილობას შემდეგში დაემატა იოსების დედის ხმაურიანი საკერავი მანქანა.

ჯუღაშვილის ბავშვობის პერიოდზე და ოჯახზე აქამდე არავითარი მასალა და დოკუმენტი არ გამოქვეყნებულა. სათუოა, რომ ისინი საერთოდ არსებობდნენ იმ გარემოში, სადაც იოსები იზრდებოდა. ცხოვრება ყოველგვარი მიწერ-მოწერის გარეშე მიედინებოდა და სამომავლოდ თითქმის არავითარ კვალს არ ტოვებდა. ჯუღაშვილების ოჯახზე მოგონებები გამოჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტალინმა [illegible] წელს [illegible]. ისინი იწერებოდა ან გააფთრებული ავტორების მიერ, ე. ი. არცთუ კეთილსინდისიერად და ხშირად მეორე პირის მონათხრობის მიხედვით, ან ძალაუნებური „მეგობრობისაგან“ — შეიძლება ითქვას, პარტიის ისტორიის კომისიების შეკვეთით, და ამიტომ ეს მოგონებები ხშირად მოცემულ თემაზე დაწერილი სასკოლო დავალების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ისღა დაგვრჩენია, სიმართლე სადღაც ამ ორი ტიპის სიყალბის ურთიერთგადაკვეთაზე ვეძებოთ. მართლაც მათი ურთიერთშეპირისპირებით და აწონ-დაწონით, მონათხრობის და შემდგომ მოვლენებს შორის შინაგანი კავშირის მიგნებით შესაძლებელია რამდენადმე მივუახლოვდეთ ჭეშმარიტებას. აქ არ გამოვეკიდებით ხელოვნურად შეთხზულ სურათებს, არამედ შევეცდებით, მკითხველს გზადაგზა მოვაწოდოთ ის მასალები, რომლებსაც ემყარება ჩვენი დასკვნები და ვარაუდები.

ყველაზე უფრო თანმიმდევრობით ზემოხსენებული ი. ირემაშვილის მოგონებები გამოირჩევა, რომელიც 1932 წელს გამოიცა ბერლინში, გერმანულ ენაზე, სათაურით „Stalin Ynd die Tragedie Georgiens“. ამ წიგნის ავტორის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ჯერ მენშევიკი იყო, ხოლო შემდეგ, ვგონებ, ნაციონალისტი გახდა, [illegible] სანდო არ არის. მიუხედავად ამისა, მისი ნარკვევებისათვის გვერდის ავლა შეუძლებელია. ნაშრომის ზოგიერთი გვერდი უდავო დამაჯერებლობით გამოირჩევა. უფრო მეტიც, ერთი შეხედვით [illegible] ეპიზოდები პირდაპირ თუ არაპირდაპირ დასტურდება იმ მოვლენებში, რომლებიც რამდენიმე წლით გვიან გამოქვეყნდა.

ყურადსაღებია ისიც, რომ წინამდებარე ნაშრომის ავტორის დასკვნები და ვარაუდები, რომლებიც ძირითადად საბჭოთა, [illegible] და ლიტერატურაში გაბნეული მასალების, ან სრული დუმილის ანალიზით გაკეთდა, დასტურდება ირემაშვილის წიგნით, რომელსაც სულ ბოლო მომენტში გავეცანი.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ სტალინის მიერ გაძევებული და მისი პოლიტიკური მტერი ი. ირემაშვილი, სტალინს მთლიანად შავი საღებავებით ხატავს. პირიქით, იგი თითქმის ყოველთვის აღტაცებით და აშკარად გადაჭარბებით აღწერს სტალინის შესაძლებლობებს და აცხადებს, რომ მას ძალა შესწევდა იდეალებისათვის მსხვერპლად შეეწირა პირადი კეთილდღეობა. ირემაშვილი არაერთხელ აღნიშნავს დედისადმი სტალინის განსაკუთრებულ სიყვარულს და ძალზე გულისშემძვრელი შტრიხებით გადმოგვცემს მის პირველ ქორწინებას.

თბილისის გიმნაზიის ამ ყოფილი მასწავლებლის მოგონებათა გამოწვლილვით შესწავლა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მათში მრავალი დანაშრევი არსებობს, მაგრამ საფუძვლად მაინც შორეული ბავშვობის მოგონება უდევს. ისიც უეჭველია, რომ ამ მოგონებებმა ავტორის მეხსიერებასა და ფანტაზიაში რეტროსპექტული დამუშავება განიცადეს სტალინის შემდგომი ბედისა და თვით ავტორის პოლიტიკური შეხედულებების გავლენით; ამას უნდა დაემატოს საეჭვო, თუმცა წვრილმანი დეტალები, რომელთა წყალობითაც მემუარისტს უცდია მოგონებებისათვის „მხატვრულად“ დასრულებული სახე მიეცა. ასე რომ, თუ სიფრთხილით მოვეკიდებით, ირემაშვილის მოგონებებს შესაძლოა ვენდოთ.

ადრეული ბიოგრაფიული ცნობები ერთხმად იხსენიებენ სტალინს, როგორც დიდილილოელი გლეხის შვილს. თვით სტალინმა 1926 წელს თავს პირველად უწოდა მუშის შვილი. ამ წინააღმდეგობრიობის გაგება ძნელი არ არის: როგორც მაშინდელი რუსეთის გლეხთა უმეტესობა, პასპორტის მიხედვით, ბესარიონ ჯუღაშვილიც გლეხად ითვლებოდა. ამ შემთხვევაშიც ზოგი რამ მაინც ახსნელი რჩება. სტალინის მამა ყველგან მოიხსენიება, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თბილისის ალიხანოვის*“ ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა“. სინამდვილეში ჯუღაშვილების ოჯახში გორში სახლობდა და არა კავკასიის დედაქალაქში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მამა ოჯახისგან მოწყვეტილი ცხოვრობდა: ასეთი ვარაუდი მართებული იქნებოდა, ოჯახს რომ სოფელში ეცხოვრა. მაგრამ წარმოუდგენელია, ოჯახის უფროსსა და მის ქალაბს სხვადასხვა ქალაქში დაედოთ ბინა.

იგივე გოგოხია, იოსების სასულიერო სასწავლებლის ამხანაგი, რომელიც მათ ეზოში ცხოვრობდა, ისევე როგორც ირემაშვილი, ხშირად დაიარებოდა ჯუღაშვილებთან. იგი პირდაპირ ამბობს, რომ ბესარიონი იქვე საყდრის ქუჩაზე მუშაობდა წვიმაჩამომდინარე ალიზის მიწურში. აქედან, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ სტალინის მამა თბილისში დროებით მაშინ მუშაობდა, როცა მისი ოჯახი ჯერ კიდევ სოფელში იმყოფებოდა.

გორში ბესარიონ ჯუღაშვილი ფაბრიკაში ვერ იმუშავებდა — სამაზრო ქალაქში ფაბრიკები საერთოდ არ იყო — იგი დამოუკიდებელი წვრილი ხელოსანი გახდა. ეს ვითარება, როგორც ჩანს, განგებ არის გაბუნდოვნებული, რათა შეიქმნას სტალინის უცილობელი „პროლეტარული“ წარმოშობის შთაბეჭდილება.

როგორც ქართველ ქალთა უმეტესობა, ეკატერინე ჯუღაშვილი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა იყო, როცა დედა გახდა. პირველი სამი შვილი ჩვილ ასაკში მოუკვდა. 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა მეოთხე, როცა დედას, ის-ის იყო, ოცი წელი შეუსრულდა.

იოსები მეშვიდე წელში იყო გადამდგარი, როცა ყვავილი შეეყარა. ამ ავადმყოფობის კვალი სამუდამოდ შემორჩა მის სახეს როგორც სტალინის ალებეური წარმომავლობისა და მისი აღმზრდელი გარემოს კულტურის ჩამორჩენილობის ნიშანი.

სუვარინი, სტალინის ფრანგი ბიოგრაფი, ნაყვავილარს უმატებს, აგრეთვე, მის უძლურ მარცხენას, რაც, ფეხის ორ შეზრდილ თითთან ერთად, მამის მხრიდან სტალინის ალკოჰოლური მემკვიდრეობის უტყუარი ნიშანი იყო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხარაზებმა, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურ რუსეთში, იმდენად გაითქვეს სახელი გამუდმებული ლოთობით, რომ საანეკდოტოდ იქცნენ. ძნელია იმის გასინჯვა, რამდენად სანდოა სუვარინის მოსაზრებები, რომლებიც „სხვადასხვა პირების“, უმეტესად მენშევიკ-ემიგრანტების ცნობებს ემყარება.

ჟანდარმერიის მიერ შედგენილ იოსებ ჯუღაშვილის „ნიშნებში“ არაფერია ნათქვამი მისი მარცხენა ხელის უძლურებაზე, ფეხის შეზრდილ თითებზე კი ერთხელ, 1902 წელს აღნიშნავს პოლკოვნიკი შაბალსკი.

შესაძლოა, ჟანდარმერიის ცნობებმა გამოქვეყნებამდე ცენზურა გაიარა. მაგრამ ზოგი რამ მაინც გაეპარათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ წლებში სტალინი დროდადრო პოლიტბიუროს სხდომებზეც კი, მარცხენა ხელზე თბილ ხელთათმანს ატარებდა. მაშინ ამას, ჩვეულებრივ, რევმატიზმით ხსნიდნენ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს მეორეხარისხოვანი ფიზიკური ნიშნები, მოგონილი თუ ნამდვილი, თავისთავად არც ისე საინტერესოა. უფრო მთავარია მისი მშობლების ნამდვილი სახის აღდგენა და ოჯახური გარემოს წარმოსახვა.

აქ, უპირველესად, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ოფიციალურად შეგროვილი მოგონებები დუმილით უვლიან გვერდს ბესარიონს, მაშინ, როცა თანაგრძნობით ჩერდებიან ეკატერინეს ხელმოკლეობასა და შრომის მძიმე პირობებზე. „იოსების დედა მცირე გასამრჯელოს ღებულობდა, — წერს გოგოხია. — გორელ მდიდართა ოჯახებში თეთრეულის რეცხვისა და პურის ცხობისათვის, აქედან ბინის ქირად იხდიდა მანეთ-ნახევარს“. მაშასადამე, ბინის ქირასაც იხდიდა დედა და არა მამა. „დედის მძიმე შრომამ და სიღარიბემ, — განაგრძობს ავტორი — გავლენა მოახდინა იოსების ხასიათზე: თითქოს ოჯახს მამა არც ჰყავდა. გოგოხია გაკვრით აღნიშნავს: „იოსების მამა ბესარიონი მთელ დღეს სამუშაოზე ფეხსაცმლების კერვასა და შეკეთებაში ატარებდა“, მაგრამ მამის შრომასა და შემოსავალს თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობასთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მამას მხოლოდ სიცარიელის შესავსებად იხსენიებენ. გლურჯიძე, რომელიც ასევე სტალინთან ერთად სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში — მთლიანად უგულებელყოფს მამას, როცა წერს, რომ იოსების დედა „ცხოვრების სახსარს შოულობდა კერვა-კერვითა და მრეცხაობით“.

აქ უსათუოდ რაღაცაა მიჩქმალული, რაც ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ ქართველები, ჩვეულებრივ, დედას არ აკუთვნებდნენ ოჯახის მეთაურის როლს. ძველი ქართული ტრადიციების მიხედვით და მთიელთა ურყევი კონსერვატიული ყოფის თანახმად, ქალი ოჯახში ნახევრად მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საოჯახო საქმეების გადაწყვეტაში თითქმის არ მონაწილეობდა. მას არ შეეძლო შვილის დასჯა, ეკლესიაშიც კი ცოლები და დები მამების, ქმრებისა და ძმების უკან იდგნენ. ის ფაქტი, რომ მოგონებათა ავტორები ცდილობენ, დედის ფიგურით დაჩრდილონ ბესარიონი, სხვა არაფერია, თუ არა ბესარიონ ჯუღაშვილის დახასიათებისთვის თავის არიდება.

ძველი რუსული ენციკლოპედია აღნიშნავს,

* უნდა იყოს ადელხანოვი (მთარგმ. შენიშვნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქართველები თავშეკავებით და ცოტას ჭამენ, მაგრამ „იშვიათად თუ მოიძებნება ქვეყნად ხალხი, რომელიც იმდენ ღვინოს სვამდეს, როგორც ქართველები".

გორში გადმოსახლებულ ბესარიონს, ალბათ, თავისი ვენახი აღარ ექნებოდა, მაგრამ ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო დუქანი, სადაც ღვინოს თამამ მეტოქეობას უწევდა ჭაჭის არაყი. ამასთან დაკავშირებით დამაჯერებლად გამოიყურება ირემაშვილის მოგონებები. სხვა ავტორებზე ხუთი წლით ადრე ირემაშვილი თბილად ახასიათებს ეკატერინეს, რომელსაც ძალზე ჰყვარებია თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი და მის თანაკლასელებსაც თურმე ალერსიანად ექცეოდა.

ჭეშმარიტი ქართველი ქალი — კეკე, როგორც ჩვეულებრივ ეძახდნენ, ღრმად მორწმუნე, რელიგიური პიროვნება იყო. იგი ერთგულად ემსახურებოდა ღმერთს, ქმარსა და შვილს. ნახევრად ბნელ ქოხში გამუდმებული კერვით მხედველობა დაუქვეითდა და ადრე დაიწყო სათვალის ხმარება. საერთოდ, კავკასიელი ქალი უკვე ოცდაათი წლის ასაკში მოხუცივით გამოიყურებოდა. მეზობლებს ეცოდებოდათ გაჭირვებული, ხელმოკლე კეკე, ყურადღებით ექცეოდნენ და ცდილობდნენ მისი ხვედრის შემსუბუქებას.

ოჯახის უფროსი, ბესო (ბესარიონი), ირემაშვილის სიტყვებით, მკაცრი კაცი და, ამავე დროს, გამოუსწორებელი ლოთი ყოფილა. თავისი მცირე შემოსავლის უმეტეს ნაწილს იგი სასმელში ხარჯავდა. აქედან ცხადია, რატომ აწვა ბინის გადასახადი და ოჯახის რჩენა მარტოოდენ დედის მხრებს. სასოწარკვეთილი კეკე უმწეოდ შეჰყურებდა, ბავშვთან თავისი დამოკიდებულებით „როგორ დევნიდა ბესო შვილის გულიდან ღვთისა და კაცის სიყვარულს, სანაცვლოდ კი თესავდა ზიზღსა და სიძულვილს მამისადმი". „დაუმსახურებელმა და დაუნდობელმა ცემა-ტყეპამ ბიჭი ისეთივე უგულო და მკაცრ არსებად აქცია, როგორიც მამამისი იყო". იოსებს თანდათან იპყრობდა ცხოვრების წყეულ გამოცანებზე ფიქრი. მამის ნაადრევ სიკვდილს მისთვის მწუხარება არ მოუტანია, ერთგვარი თავისუფლება კი იგრძნო. ირემაშვილი დაასკვნის, რომ მამისადმი ფარული მტრობა და შურისძიება იოსებმა ყმაწვილობიდანვე გადაიტანა ყველაზე, ვისაც მასზე რაიმე ძალაუფლება ჰქონდა ან შეიძლებოდა ჰქონოდა. „შურისძიება სიჭაბუკიდანვე მიზნად ექცა და მთელი ძალისხმევით ემსახურებოდა ჩანაფიქრის განხორციელებას".

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასება ერთგვარ რეტროსპექტულობას შეიცავს, იგი თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია.

1930 წელს, როცა ეკატერინე უკვე 71 წლისა იყო და თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში მსახურთათვის განკუთვნილ ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა, თარჯიმნის საშუალებით პასუხობდა კორესპონდენტთა შეკითხვაზე: „სოსო (იოსები) ყოველთვის კარგი ბიჭი იყო... მისი დასჯა არასოდეს მიხდებოდა. ბეჯითად სწავლობდა. გამუდმებით კითხულობდა ან მსჯელობდა. ცდილობდა ყველაფერს ჩასწვდომოდა... სოსო ჩემი ერთადერთი შვილი იყო და, რასაკვირველია, ვუფრთხილდებოდი... ბესო, მამამისი, ფიქრობდა, მისგან კარგი ხარაზი გამოეყვანა, მაგრამ სოსო სულ თერთმეტი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. მე არ მინდოდა, რომ ის ხარაზი გამოსულიყო. გადავწყვიტე, მღვდელი გამზდარიყო".

სუვარინმა კი პარიზში მყოფი ქართველებისაგან სულ სხვა ცნობები შეაგროვა: „მათ სოსო გაიცნეს სასტიკი და უგრძნობელი. დედასაც კი უპატივცემულოდ ექცეოდა. ამის დასტურად მოჰყავდა მრავალი საჩოთირო ფაქტი". ბიოგრაფი აქვე აღნიშნავს, რომ ცნობები მიღებულია სტალინის პოლიტიკური მტრებისაგან, რომელთა შორის სტალინისათვის არახელსაყრელი მრავალი ლეგენდაა გავრცელებული. მათგან განსხვავებით, ირემაშვილი დაბეჯითებით მიუთითებს სოსოს განსაკუთრებულ სიყვარულზე დედისადმი. კაცმა რომ თქვას, ბიჭს სხვა გრძნობა არც ექნებოდა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ინახავდა და მამის მრისხანებისაგან იცავდა.

გერმანელმა ემილ ლუდვიგმა, ჩვენი ეპოქის კარის პორტრეტისტმა, შეძლო კრემლშიც გამოეყენებინა თავისი კვლევის მეთოდი, რომელშიც ზომიერი ფსიქოლოგიური გამჭრიახობა შერწყმულია პოლიტიკურ სიფრთხილესთან. გიყვართ ბუნება, სინიორ მუსოლინი? როგორ უყურებთ შოპენჰაუერს, ბატონო მასარიკ? გწამთ თუ არა უკეთესი მომავლის, მისტერ რუზველტ? მსგავსი სიტყვიერი წამებისას სახელგანთქმული უცხოელის წინაშე დაბნეული სტალინი ფერადი ფანქრით გულმოდგინედ ხატავდა ყვავილებსა და სათამაშო გემებს. ყოველ შემთხვევაში, ასე მოგვითხრობს ლუდვიგი. ამ მწერალმა ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის გამხმარ ხელზე ყოფილი კაიზერის მთელი ფსიქოლოგიური ბიოგრაფია ააგო, თუმცა ბებერი ფროიდი ყოველივე ამას ირონიულად უყურებდა.

ლუდვიგმა სტალინის გამხმარი ხელი და ფეხის შეზრდილი თითები ვერ შენიშნა. სამაგიეროდ, სცადა კრემლის პატრონის რევოლუციური კარიერისათვის ახსნა მოეძებნა იმ ცემა-ტყეპაში, ბესარიონი რომ უმასპინძლდებოდა თავის ვაჟიშვილს.

ირემაშვილის მოგონებების გაცნობის შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, საიდან მოჩმახა ლუდვიგმა თავისი ვარაუდი კითხვაზე „რამ გაქციათ მეამბოხედ?" იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ მშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლები ცუდად გექცეოდნენ?“ — სტალინმა უპასუხა: „არა, ჩემი მშობლები, მართალია, უბრალო ხალხი იყო, მაგრამ ცუდად სულაც არ მექცეოდნენ“.

ამ სიტყვებისთვის დოკუმენტური მნიშვნელობის მინიჭება, რასაკვირველია, მიამიტობა იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, სტალინის მტკიცებათა და უარყოფათა სისტემა ძალზე სწრაფად იცვლება. ანალოგიურ შემთხვევაში, ალბათ, ყველა ასეთ პასუხს გასცემდა. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. ყოველ შემთხვევაში, სტალინს ვერ ვუსაყვედურებთ იმისათვის, რომ მან არისურვა, საქვეყნოდ ეჩივლა თავისი ადრე გარდაცვლილი მამისათვის. აქ უფრო გასაოცარი მწერლის არადელიკატური საქციელია.

რასაკვირველია, ოჯახური გარემო არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რამაც ყმაწვილში სისასტიკე, თავნებობა და შურისმგებლობა ჩამოაყალიბა. მის გარშემო თითქოს ყველაფერი საამისოდ იყო მოწყობილი. სტალინის ერთი ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ ზოგჯერ ბარაზის ქობს მოადგებოდა გაბვითქულ ცხენზე მჯდომი თავადი ამილახვარი და ნადირობისას გაბეულ ძვირფას ჩექმებს აკერებინებდა, ვიწრო ზუბლზე გრუზათმაჩამოშლილი მეჩექმის ვაჟი კი სიძულვილით შეჰყურებდა თავქედფა მებატონეს. ეს მხატვრული ეპიზოდი, ალბათ, ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ირგვლივ გამეფებულ საყოველთაო სიღატაკესთან შედარებით ქართველ თავადთა მოყირჭებულ ცხოვრებას არ შეიძლება ყმაწვილის შემეცნებაში თავისი ღრმა ნაკვალევი არ დაეტოვებინა.

ქალაქის ცხოვრებაში საქმე არცთუ ბევრად უკეთესად იყო. მაზრის ხელმძღვანელობა შორს იდგა ხალხისაგან და ქალაქს ზელმწიფისა და მისი კავკასიელი მოადგილის, ბოროტი სატრაპის, სამულველი გოლიცინის სახელით მართავდა. მაზრის ხელისუფლებასთან ახლოს იყვნენ ქართველი თავად-აზნაურები და სომეხი ვაჭრები მოსახლეობის ძირითადი პლებეური მასა, ცხოვრების საერთო დაბალი დონის მიუხედავად, გარკვეულ კასტებად იყო დაყოფილი. თუ რომელიმე მოქალაქე სხვებთან შედარებით ოდნავ უკეთეს მდგომარეობას მიაღწევდა, მტკიცედ იცავდა და უფრთხილდებოდა მას. საფიქრალია, რომ დიდილილოელი გლეხის უნდობლობა ქალაქისადმი, მისი გორში დასახლების შემდეგ იმ ოჯახებისა და ადამიანებისადმი მტრობაში გადაიზარდა, ვისთანაც კეკეს მკერაობა და თეთრეულის რეცხვა უხდებოდა. სოციალური გრადაცია არანაკლებ საგრძნობი იყო სკოლაში, სადაც მღვდლების, ვაჭრებისა და ჩინოვნიკების შვილებს არაერთხელ უგრძნობინებიათ პატარა სოსოსთვის, რომ ის, საერთოდ, სათვალავში ჩასაგდები არ იყო.

როგორც გოგოხიას მონათხრობიდან ჩანს, მეჩექმის შვილმა ადრიდანვე მწვავედ იგრძნო სოციალური უთანასწორობით გამოწვეული დამცირება და შეურაცხყოფა. „მდიდრებისან სიარული არ უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ მე მასთან დღეში რამდენჯერმე მივდიოდი, თვითონ ჩემთან იშვიათად თუ შემოივლიდა, რადგან ბიძაჩემი იმ დროის კვალობაზე შეძლებულად ცხოვრობდა“. ასეთი იყო მისი სოციალური პროტესტის პირველი ინსტინქტური გამოვლინება, რასაც შემდგომ, ქვეყნის პოლიტიკურ ორომტრიალში, სემინარიელი ჯაბუკი რევოლუციონერად უნდა ექცია.

●

წვრილი ბურჟუაზიის დაბალ ფენებში დედისერთა ან ნიჭით გამორჩეული შვილებისათვის ორგვარ კარიერას ცნობენ: ჩინოვნიკი და მღვდელი.

ჰიტლერის დედა ოცნებობდა, რომ მისი შვილი პასტორი გამხდარიყო. მასზე ათიოდე წლით ადრე ასეთივე ოცნებას ელოლიავებოდა ეკატერინე ჯუღაშვილი; თვით ეს ოცნება — ენაზეანაფორაში გამოწყობილი შვილი, მოწმობს, რომ მეჩექმე ბესოს ოჯახი ნაკლებად იყო გამსჭვალული „პროლეტარული სულისკვეთებით“. მშობლები შვილის უკეთეს მომავალს ხედავდნენ არა როგორც კლასთა ბრძოლის, არამედ როგორც კლასებისაგან განდგომის შედეგს.

თავისი დაბალი რანგისა და კულტურული დონის მიუხედავად, მართლმადიდებელი სამღვდელოება პრივილეგირებულ წოდებას მიეკუთვნებოდა, თავისუფალი იყო სამხედრო ვალდებულებისაგან, გადასახადისა და... როზგებისაგან.

გლეხობას მხოლოდ ბატონყმობის გადავარდნამ გაუხსნა გზა სასულიერო წრეებისაკენ. თუმცა მათი პრივილეგიები პოლიციური მეთოდით იყო შეზღუდული: საეკლესიო თანამდებობაზე გლეხის შვილის დანიშვნას გუბერნატორის განსაკუთრებული ნებართვა ჭირდებოდა.

მომავალ მღვდლებს რამდენიმე ათეულ სემინარიაში ამზადებდნენ. სემინარიის დაწყებით საფეხურად კი ითვლებოდა სასულიერო სასწავლებელი. ქვეყნის განათლების სისტემაში თავისი ადგილით სემინარია საშუალო სასწავლებელთან იყო გათანაბრებული იმ განსხვავებით, რომ აქ საერო მეცნიერებანი ღვთისმეტყველების დამხმარე საშუალებად ითვლებოდა.

ძველი რუსეთის ცნობილი ბურსები განთქმული იყო იქ დამკვიდრებული ველური წესებით, შუა საუკუნეების პედაგოგიკითა და მუშტის კანონით. სიბინძურეზე, სიცივესა და შიმშილზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირს. მწერალი პომიალოვსკი სამუდამოდ შევიდა რუსული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც „ბურსის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკვევების" (1862) მკაცრი და პირუთვნელი ავტორი.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ბიოგრაფის სიტყვები: „მოსწავლეობის ამ პერიოდმა გამოუმუშავა უნდობლობა, გულდახურულობა, გაზოროტება და ზიზღი გარემომცველი სამყაროსადმი".

ალექსანდრე II მეფობის დროინდელმა რეფორმებმა, მართალია, წინ წასწია ჩამორჩენილი სასულიერო განათლების სისტემაც, მაგრამ, ამის მიუხედავად, სასულიერო სასწავლებლები, მით უფრო შორეულ კავკასიაში, რუსეთის „კულტურულ" რუკაზე ყველაზე მუქ წერტილებად რჩებოდა.

მეფის მთავრობამ, დიდი ხნის წინათ გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, რასაც უსისხლოდ არ ჩაუვლია. ქართული ეკლესია პეტერბურგის სინოდს დაუმორჩილეს, მაგრამ აქაური სამღვდელოების დაბალ ფენებში ბოლომდე შემორჩა რუსიფიკატორებისადმი მტრობა და სიძულვილი.

ეკლესიის დამონებამ შეარყია ქართველთა ტრადიციული რელიგიურობა და ნიადაგი მოუმზადა სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას არა მარტო ქალაქად, არამედ სოფელშიც.

კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო სასულიერო სკოლებში, რომელთაც მარტო თავისი აღსაზრდელების რუსიფიკაცია როდი ევალებოდათ, არამედ საეკლესიო პოლიციელების მომზადებაც.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის გამუდმებული მტრობა იყო. მეცადინეობა მიმდინარეობდა რუსულად. მშობლიური ენის გაკვეთილები კი კვირაში მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა; ქართულს, როგორც დაბალი რასის ენას, გამუდმებით აბუჩად იგდებდნენ.

1890 წელს, როგორც ჩანს, მამის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ, იღლიაში ჩითის ჩანთაამოჩრილმა თერთმეტი წლის სოსომ სასულიერო სასწავლებლის კარი შეაღო. ამხანაგების თქმით, იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდა კატეხიზმოსა და ლოცვანს. გოგოხია აღნიშნავს, რომ სოსო, იშვიათი მეხსიერების წყალობით, გაკვეთილის ახსნისას იმახსოვრებდა მასალას და გამეორებაც აღარ ჭირდებოდა. სინამდვილეში, სტალინის მეხსიერება, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად, ერთობ საშუალოა, მაგრამ მან იცოდა — კლასში რომ გამოერჩიათ, განსაკუთრებით ყურადღებიანი უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, მღვდლის ანაფორა თვითონ სოსოსთვისაც პატივმოყვარეობის გვირგვინი იყო. ნებისყოფა ეხმარებოდა ნიჭისა და მეხსიერების განვითარებაში. სოსოს სკოლის ამხანაგი კაპანაძე ადასტურებს, რომ 13 წლის მოწავლისა და 35 წლის მასწავლებლობის მანძილზე მას არ შეხვედრია ისეთი „უნარიანი და ნიჭითცხებული" მოსწავლე, როგორც იოსებ ჯუღაშვილი იყო. კაპანაძის მოგონებები განსაკუთრებული გულწრფელობით არ გამოირჩევა, მაგრამ ირემაშვილიც, რომელიც თავის წიგნს თბილისში კი არა, ბერლინში წერდა, ამბობს, რომ სოსო მთელ სასულიერო სასწავლებელში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. სხვა მოგონებებში კი აქა-იქ მაინც ვხვდებით ისეთ შუქჩრდილებსაც: „პირველ წლებში, მოსამზადებელ განყოფილებაზე — მოგვითხრობს გლურჯიძე, — იოსები წარმატებით სწავლობდა. შემდგომში კიდევ უფრო გაიფურჩქნა მისი უნარი და ის ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა". ამ სტატიაში, რომელსაც უფრო ზემოდან შეკვეთილი პანეგირიკის ელფერი დაჰკრავს, არის ფრთხილი ფრაზა: „ერთ-ერთი პირველთაგანი". ფრაზის აზრი ნათელია — იოსები არ იყო პირველი, არ გამოირჩეოდა კლასში, მასზე — ეს რა ვნახეთ — ვერ იტყოდით.

ასეთივე ხასიათისაა სხვა ამხანაგის — ელისაბედაშვილის მოგონებაც: „იოსები — წერს იგი — იყო ერთ-ერთი ულარიბესი და ერთ-ერთი ნიჭიერი..." მაშასადამე, არა ყველაზე ნიჭიერი. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა კლასში საქმე სხვადასხვანაირად იყო ანდა ზოგიერთ მოგონებათა ავტორი თავად იდგა მეცნიერებათა შესწავლის არიერგარდში და ვერ არჩევდა მოწინავე მოსწავლეებს.

გოგოხია არ აზუსტებს, რა ადგილი ეკავა იოსებს კლასში, ისე ამტკიცებს, რომ მომზადებითა და განვითარებით „ბევრად მაღლა იდგა თავის ამხანაგებზე". სოსომ გადაიკითხა ყველაფერი, რაც კი სასკოლო ბიბლიოთეკაში მოიძებნებოდა — ქართველი და რუსი კლასიკოსების ნაწარმოებები, რასაკვირველია, სასწავლებლის უფროსების მიერ წინასწარ გულმოდგინედ გამოწმებული. გამოსაშვებ გამოცდებზე იოსები ქების ფურცლით დააჯილდოვეს, „რაც იმ დროისათვის განსაკუთრებული მოვლენა იყო, რადგან წარჩინებული მოსწავლის მამა სასულიერო წოდებას კი არ ეკუთვნოდა, არამედ უბრალო ხელოსანი იყო".

ჭეშმარიტად შესანიშნავი შტრიხია!

ერთი სიტყვით, „ბელადის სიჭაბუკის წლებზე" თბილისში დაწერილი მოგონებები მაინც დამაინც შინაარსიანი ვერ არის: „სოსო გვაყენებდა მწკრივში და თავისი ჟღერადი, სასიამოვნო ხმით იწყებდა საყვარელ ხალხურ სიმღერას"; თამაშისას „იოსებს შეეძლო საუკეთესო ფეხბურთელების შემოკრება, ამიტომ ჩვენი გუნდი ყოველთვის იგებდა"; „იოსებმა ისწავლა ხატვა". როგორც ჩანს, ვერც ერთმა ამ უნარმა შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა. იოსები ვერ გახდა ვერც მომღერალი, ვერც სპორტსმენი, ვერც მხატვარი. კიდევ უფრო ნაკლებდამაჯერებელია ასეთი დახასიათება: „იოსებ ჯუღაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირჩეოდა დიდი მოკრძალებით და ყურადღებიანი ამხანაგი იყო"; „ის არასოდეს არ გაგრძნობინებდათ თავის უპირატესობას" და ა. შ. თუ ეს ყველაფერი მართალია, უნდა დავასკვნათ, რომ შემდგომმა წლებმა იოსები თავისი თავის საპირისპირო არსებად აქცია.

ირემაშვილის მოგონებები შეუდარებლად ცხოვრებისეულია და ახლოს არის სიმართლესთან. ის თავის სეხნიას ხატავს აწოწილ, ძარღვმაგარ, ჭორფლიან ბიჭად, რომელიც სიჯიუტით, გულჩათხრობილობით და პატივმოყვარეობით გამოირჩეოდა და ყოველთვის ცდილობდა, პიელწია გამარჯვებისათვის, როცა ბიჭები ქვების სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ან კლდეებზე დაცოცავდნენ.

სოსო გამოირჩეოდა ბუნების მხურვალე სიყვარულით, მაგრამ ცოცხალი არსებებისაკენ გული არ მიუწევდა. ადამიანების ან ცხოველებისადმი თანაგრძნობა მისთვის უცხო იყო: „მე არასოდეს მინახავს იგი მტირალი", „სიხარულსა და მწუხარებას ამხანაგი სოსო გამოხატავდა მხოლოდ სარკასტული ჩაცინებით". ყველაფერმა ამან მოგონებათა ავტორის მეხსიერებაში, შესაძლოა, ფორმა შეიცვალა, როგორც კენჭმა მდინარეში, მაგრამ გამოგონილი მაინც არ უნდა იყოს.

ირემაშვილი, უეჭველია, შეცდომას უშვებს, როცა ჯერ კიდევ გორის სასულიერო სკოლაში მოსწავლე იოსებს მიაწერს მეამბოხეობას. თითქოსდა სოსოს ყოველდღე სჯიდნენ „საძულველ ინსპექტორ ბუტირსკის" წინააღმდეგ მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლის მეთაურობისთვის, არადა, ოფიციალურ მოგონებათა ავტორები, ამჯერად ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, იოსებს სანიმუშო მოსწავლედ თვლიან არა მარტო სწავლაში, არამედ ყოფაქცევაშიც. „ჩვეულებრივ ის იყო დინჯი — წერს გოგოხია, — და სერიოზული, არ უყვარდა ცელქობა და თავგასულობა, გაკვეთილების დამთავრებისთანავე შინისაკენ მიიჩქაროდა, რათა კვლავ წიგნებს ჩაჯდომოდა".

გოგოხიას სიტყვით, იოსები სკოლაში ყოველთვიურ სტიპენდიას ღებულობდა, რაც შეუძლებელი იქნებოდა მისი მხრიდან მასწავლებლებისა და, უპირველეს ყოვლისა, „საძულველ ინსპექტორ ბუტირსკის" უპატივცემულობის შემთხვევაში.

იოსების არაკეთილსაიმედოობის დასაწყისს სხვა ავტორები თბილისის სემინარიაში სწავლის პერიოდს აკუთვნებენ, მაგრამ მაშინაც არავინ თვლის მას მღელვარე პროტესტების მონაწილედ.

ირემაშვილის, ისევე როგორც სხვა მემუარისტთა მიერ, ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების გადაადგილება, სავარაუდოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ თბილისის სემინარია ითვლებოდა სასულიერო სასწავლებლის გაგრძელებად. ძნელი ასახსნელია ის ფაქტიც, რომ ინსპექტორ ბუტირსკის წინააღმდეგ იოსების მეთაურობით მოწყობილ საპროტესტო აქციას ირემაშვილის გარდა არავინ იხსენებს.

რა არის ეს — მეხსიერების აბერაცია? თუ იოსები მართლაც ასრულებდა ამ „გამოსვლაში" კულისებს მიღმა როლს, რის შესახებაც მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მომავალი კონსპირატორის ხასიათს.

გაურკვეველია, რამ უბიძგა იოსებს თავის წინაპართა სარწმუნოებასთან კავშირის გაწყვეტისაკენ. იმავე ირემაშვილის სიტყვებით, სოსო, ორ სხვა მოსწავლესთან ერთად, სიამოვნებით მღეროდა სოფლის ეკლესიაში საზეიმო არდადეგებზე, თუმცა უფროს კლასებში სწავლისას ღვთის რწმენა მისთვის უკვე განვლილი ეტაპი იყო. გლურჯიძე იგონებს, როგორ უთხრა ერთხელ ცამეტი წლის იოსებმა: „ჩვენ გვატყუებენ, ღმერთი არ არსებობს..." ამ სიტყვებით შეცბუნებულ თანამოსაუბრეს იოსებმა ურჩია, წაეკითხა წიგნი, საიდანაც ჩანდა, რომ „ღმერთზე საუბარი ფუჭი უბედობაა". „რომელია ეს წიგნი?" „დარვინი, აუცილებლად წაიკითხე!" ეს ეპიზოდი მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება, სათუოა, ცამეტი წლის ბიჭს მიყრუებულ ქალაქში დარვინი წაეკითხა და იქიდან ათეისტური დასკვნები გამოეტანა.

თავად სტალინის სიტყვებით, იგი რევოლუციონერი გახდა თხუთმეტი წლის ასაკში, როცა უკვე თბილისში სწავლობდა, თუმცა, რელიგიას, შესაძლოა, უფრო ადრეც აემრიზა.

ისიც სავარაუდოა, რომ გლურჯიძე, რომელმაც ასევე სემინარიაში განაგრძო სწავლა, ცდებოდეს დროში. ღვთის უარყოფა, რომლის სახელითაც ხდებოდა მოსწავლეთა აბუჩად აგდება და ჩაგვრა, არასოდეს არ იყო ძნელი და მოულოდნელი.

ყოველ შემთხვევაში, ამ მოქმედებისთვის საკმაო შინაგან ძალისხმევას უხვად ასაზრდოებდა იმის შეგნება, რომ მასწავლებელი და, საერთოდ, ხელისუფლება კარგავდნენ ყმაწვილებზე ზემოქმედების ზნეობრივ იარაღს და მხოლოდ ძალადობის ამარა რჩებოდნენ. აქედან გამომდინარეობს სოსოს ნათქვამიც „ჩვენ გვატყუებენ". ამ სიტყვებში კარგად ჩანს მისი შინაგანი სამყარო, ხოლო სად შედგა ეს საუბარი, გორში თუ ორიოდე წლით გვიან თბილისში, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

იმის დასადგენად, თუ როდის შევიდა იოსები სემინარიაში, ხელთა გვაქვს სამი თარიღი: 1892, 1893, 1894. რამდენ ხანს დარჩა იგი სემინარიაში? ექვსი წელი, — პასუხს იძლევა „კომუნისტის კალენდარი"; ხუთი — ამბობს სტალინის მდივნის მიერ ჩაწერილი ბიოგრაფიული ჩარკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევი ოთხი — ამტკიცებს გოგოხია. თბილისში, ყოფილი სემინარიის კედელზე გაკრულ მემორიალურ დაფაზე, რამდენადაც ფოტოზე ჩანს, აწერია, რომ „დიდი სტალინი" ამ შენობის კედლებში 1894 წლის 1 სექტემბრიდან 1899 წლის ივლისამდე სწავლობდა. მაშასადამე, ხუთი წელი.

შეიძლება სტალინის ოფიციალური ბიოგრაფები ამ უკანასკნელ თარიღს იმიტომ არ ახსენებენ, რომ მის მიხედვით სემინარისტი ჯუღაშვილი საკმაოდ მოზრდილად გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც უნდა ვენდოთ მემორიალური დაფის მონაცემებს, რადგან, სარწმუნოა, რომ ისინი თვით სემინარიაში დაცული მონაცემებიდან მომდინარეობდეს.

თხუთმეტი წლის იოსები, რომელსაც ჩანთაში გორის სასულიერო სასწავლებლის ქების ფურცელი ედო, 1894 წელს პირველად აღმოჩნდა დიდ ქალაქში, რასაც არ შეიძლებოდა არ გაეოგნებინა მისი წარმოსახვა.

ეს ქალაქი იყო თბილისი, საქართველოს სამეფოს ყოფილი დედაქალაქი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნახევრად აზიურმა და ნახევრად ევროპულმა ქალაქმა ახალგაზრდა იოსების ცხოვრებას სამუდამო კვალი დაამჩნია.

არსებობის 1500 წლოვანი ისტორიის მანძილზე თბილისი არაერთხელ მოქცეულა დამპყრობელთა კლანჭებში: 15-ჯერ თითქმის საძირკვლამდე დაანგრიეს; აქ მოთარეშე არაბებმა, თურქებმა, სპარსელებმა ქალაქის არქიტექტურაზე და წეს-ჩვეულებაზე დიდი გავლენა მოახდინეს, რისი კვალიც დღემდე შემორჩა.

ქალაქის ევროპული კვარტლები გაშენდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ყოფილი სამეფოს დედაქალაქი კავკასიის მხარის საგუბერნიო ქალაქად და ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა.

იოსების სემინარიაში შესვლის დროისათვის თბილისში 150 ათასზე მეტი მცხოვრები იყო. აქედან მეოთხედს რუსები — კავკასიაში გადმოსახლებული სექტანტები, ჩინოვნიკები და სამხედროები შეადგენდნენ. ქალაქში ძველთაგანვე ცხოვრობდნენ სომხები (38%). ეს იყო ყველაზე შეძლებული ნაწილი, რომელსაც ხელთ ეპყრა თბილისის თითქმის მთელი ვაჭრობა და მრეწველობა. აქ მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა ისევ სოფლებთან იყო დაკავშირებული. თბილისში ისინი წვრილ ხელოსანთა, ვაჭართა, ჩინოვნიკთა და ოფიცერთა ყველაზე დაბალ ფენას შეადგენდნენ. ქართველთა რიცხვი არ აღემატებოდა მოსახლეობის მეოთხედს. „ევროპული ყაიდის ქუჩებს — გვეუბნება თბილისის 1901 წლის აღწერილობა, — ესაზღვრება ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, ჭუჭყიანი აზიური ქუჩების, ბაზრებისა და მოედნების მთელი ქსელი აღმოსავლური ტიპის ფარდულებით, სახელოსნოებით, კავახანებით, სადალაქოებით და ხმაურიანი ტვ[illegible] და წყლის მზიდავებით, ხელზე მოვაჭრეებით, მხედრებით, ყროყინა ჯორ-სახედრებითა და აქლემთა ქარავნებით". ქალაქს კანალიზაცია არა ჰქონდა და ზაფხულის ცხელ დღეებში წყალიც არ ყოფნიდა. მტვრის კორიანტელი, ნავთის ლამპიონებით განათებული ცენტრი და ჩაბნელებული გარეუბნები — ასე გამოიყურებოდა კავკასიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი ორი ასწლეულის მიჯნაზე.

„ჩვენ შეგვიყვანეს ოთხსართულიან შენობაში, — იგონებს გორიდან იოსებთან ერთად ჩამოსული გოგოხია, — საერთო საცხოვრებლის ვეებერთელა ოთახში, სადაც ოცი-ოცდაათი მოსწავლე ცხოვრობდა. ეს გახლდათ თბილისის სასულიერო სემინარია".

გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების წყალობით იოსები სემინარიაში სრულ კმაყოფაზე მიიღეს. მისცეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სახელმძღვანელოები, რაც, კიდევ ვიმეორებ, არ მოხდებოდა, ის რომ „მეამბოხე" ყოფილიყო.

ვინ იცის, იქნებ ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ახალბედა გორელისაგან ქართული ეკლესიის მშვენება დადგებოდა.

როგორც მოსამზადებელ სკოლაში, სემინარიაშიც მეცადინეობა რუსულ ენაზე ტარდებოდა. მასწავლებელთა უმეტესობა რუსი იყო და მათ ძირითად მოწოდებასაც აღსაზრდელთა რუსიფიკაცია შეადგენდა. ქართველ მასწავლებლებს სემინარიაში მხოლოდ მაშინ ღებულობდნენ, თუ ხელისუფლებისადმი მეტისმეტ ერთგულებას გამოიჩენდნენ.

სემინარიის რექტორი იყო რუსი ბერ-მონაზონი გერმოგენი, ინსპექტორი — ქართველი ბერი აბაშიძე, — ყველაზე მრისხანე და საძულველი ადამიანი მთელ სასწავლებელში. „სემინარიაში ცხოვრება მოსაწყენი და მონოტონური იყო, — მოგვითხრობს ირემაშვილი, რომელიც სემინარიაზეც ყველაზე ადრეულსა და სრულ ცნობებს იძლევა. — დღედაღამ ყაზარმულ კედლებში ჩაკეტილები, თავს ვგრძნობდით ტუსაღებად, რომელთაც ყოვლად უდანაშაულოდ აქ წლები უნდა გაეტარებინათ. მოსწავლეთა უმეტესობა დათრგუნვილი და გულჩათხრობილი იყო. ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილ ოთახებსა და დერეფნებში თითქმის არ იგრძნობოდა ახალგაზრდული სიხალისე. ჭაბუკური ტემპერამენტის ყოველგვარ გამოვლინებას უმალ ახშობდნენ ზედამხედველები და ბერ-მონაზვნები; გვეკრძალებოდა ქართული გაზეთებისა და ლიტერატურის კითხვა... ხელისუფლებას ეშინოდა ჩვენში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეების გაღვიძებისა და ჩვენი ჭაბუკური სულების სოციალიზმის ახალი მომძლავრებით დასნებოვნებისა. სასულიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლება, როგორც მომავალ მღვდლებს, საერო ხელისუფლების მიერ ნებადართული ლიტერატურის კითხვასაც გვიკრძალავდა. ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევის და სხვათა ნაწარმოებები ჩვენთვის ხელმიუწვდომელი რჩებოდა".

სემინარიის რეჟიმი ციხისა თუ ყაზარმის რეჟიმს ჰგავდა. სასკოლო ცხოვრება დილის 7 საათზე იწყებოდა, ლოცვა, ჩაი, კლასი; ისევ ლოცვა, დღის ორ საათამდე გაკვეთილები, ლოცვა, სადილი — უხეირო და უგემური საჭმელი... სემინარიიდან გასვლა მხოლოდ სამიდან ხუთ საათამდე იყო ნებადართული, შემდეგ ჭიშკარი იკეტებოდა. გადაძახილი, რვა საათზე ჩაი, გაკვეთილების მომზადება; ათ საათზე, ლოცვის შემდეგ ყველანი დასაძინებლად წვებოდნენ „თავს ისე ვგრძნობდით, როგორც ქვის ტომარაში", — ამბობს გოგოხია.

საკვირაო და სადღესასწაულო ღვთისმსახურებისას აღსაზრდელებს სამ-ოთხი საათის განმავლობაში უწევდათ ეკლესიის ქვის იატაკზე დგომა და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ დაბუჟებული ფეხის შენაცვლება შეეძლოთ, ისინი ბერმონაზონთა გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. „ყველაზე უფრო მორწმუნეც კი გადაეჩვეოდა ლოცვას ამ უსასრულო ღვთისმსახურებისას. ღვთისმოსავი სახის გამომეტყველებით ვცდილობდით, დაგვემალა ჩვენი ჭეშმარიტი ზრახვები მორიგე ბერ-მონაზვნებისაგან".

ღვთისმსახურების სულისკვეთება, როგორც ყოველთვის, შერწყმული იყო პოლიციურ სულისკვეთებასთან. ინსპექტორი აბაშიძე მრისხანედ ადევნებდა თვალყურს სემინარიელთა ყოფა-ცხოვრებასა და მისწრაფებებს. სასადილოდან დაბრუნებულ აღსაზრდელებს საწოლები გაჩხრეკილი ხვდებოდათ, ხშირად თვით მოსწავლეებსაც ჩხრეკდნენ. დასჯის ფორმები იყო: უხეში საყვედური, ბნელი კარცერი, რომელიც არასოდეს იყო ცარიელი, ორიანი ყოფაქცევაში, რაც სემინარიელის მომავალს დაღუპვით ემუქრებოდა, ბოლოს, სემინარიიდან გარიცხვა; არცთუ იშვიათად, ფიზიკურად სუსტი ყმაწვილები სემინარიიდან პირდაპირ სასაფლაოზე ხვდებოდნენ — ხსნის გზა მძიმე და ეკლიანია!

სემინარიის პედაგოგები იყენებდნენ ყველა ხერხს, რაც კი იეზუიტებმა მოიგონეს ყმაწვილთა სულების შესამკობად, მაგრამ აქ ყველაფერი უფრო პრიმიტიულად, ტლანქად ხდებოდა და შემოქმედების უნარს მოკლებული იყო. ყველაზე უარესი მაინც ის გახლდათ, რომ ქვეყნის მდგომარეობა სულაც არ შეესაბამებოდა სემინარიაში გამეფებულ სულისკვეთებას. რუსეთის ყველა, სამოცდაათივე სემინარიაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მოსწავლეები, რომლებიც ჩაცმამდე უარყოფდნენ ანაფორას, უმეტესად, სტუდენტთა გავლენით, ეჭვით უყურებდნენ სქოლასტიკურ დოგმებს, ეტანებოდნენ რომანებს, რუსულ რადიკალურ პუბლიცისტიკას, მარქსისა და დარვინის შრომებს.

თბილისის სემინარიაში გარკვეული ტრადიციები გააჩნდა რევოლუციურ მოძრაობას, რომელსაც ამწვავებდა ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. იგი ადრიდანვე მჟღავნდებოდა აღმზრდელებთან მოსწავლეთა კონფლიქტში, დაუფარავ აღშფოთებასა და თვით რექტორის მკვლელობაში.

სემინარიაში სტალინის შესვლამდე ათი წლით ადრე სილიბისტრო ჯიბლაძემ ქართული ენის აბუჩად აგდებისათვის მასწავლებელს სცემა. ეს ჯიბლაძე შემდგომ კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწე და იოსებ ჯუღაშვილის მასწავლებელი გახდა.

1885 წელს თბილისში წარმოიშვა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები, სადაც სემინარიელმა ყმაწვილებმა უცებ დაიკავეს ხელმძღვანელი ადგილები. სილიბისტრო ჯიბლაძესთან ერთად ჩვენ აქ ვხვდებით ნოე ჟორდანიას — ქართული მენშევიზმის მომავალ ბელადს; ნიკოლოზ ჩხეიძეს, სახელმწიფო სათათბიროს მომავალ დეპუტატს და პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეს თებერვლის რევოლუციის თვეებში და სხვებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მარქსიზმი რუსეთში ჯერ მხოლოდ თავის ინტელიგენტურ სტადიას გადიოდა. ის ფაქტი, რომ კავკასიაში სასულიერო სემინარია იქცა მარქსისტული სენის მძლავრ კერად, უნდა აიხსნას თბილისში უნივერსიტეტის უქონლობით. ისეთ ჩამორჩენილ, პროვინციულ მხარეში, როგორიც საქართველო იყო, მარქსიზმი აღიქმებოდა აბსტრაქტული, უფრო სწორად, სქოლასტიკური ფორმით. სემინარიელთა გონება საკმაოდ გაწვრთნილი იყო ამ მოძღვრების ლოგიკური წყობის ასათვისებლად. მარქსიზმის გავრცელების მთავარ საფუძველს, რასაკვირველია, ხალხის ეროვნული და სოციალური უკმაყოფილება წარმოადგენდა, რაც ახალგაზრდობის ბოჰემურ სულს რევოლუციური მოძრაობისკენ უბიძგებდა.

ამრიგად, იოსებს სულაც არ დასჭირვებია თბილისში ახალი რევოლუციური გზების გაყვანა, როგორც ამას საბჭოთა პლუტარქეები წარმოსახავენ: ჯიბლაძის მიერ შოვინისტი მასწავლებლისათვის გაკრული სილაქის ექო კვლავ ისმოდა სემინარიის კედლებში. ყოფილი მოსწავლეები უკვე მეთაურობდნენ საზოგადოებრივი აზრის მარცხენა ფლანგს და კვლავ დაკავშირებული იყვნენ დედინაცვალ-სემინარიასთან. საკმარისი იყო პირადი შეხვედრა, ოდნავი ბიძგი, ახალი იდეებით შთაგონება და დაბოლმილი, თავმოყვარე ახალგაზრდა უმალ რევოლუციურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობას ეკედლებოდა. ამ გზაზე, უპირველესად, რელიგიისგან განდგომა ხდებოდა. თუ დავუშვებთ, რომ გორიდან ყმაწვილს რწმენის ნატამალი მაინც ჩამოჰყვა, იგი სწრაფად გაქარწყლდა სემინარიაში. ამიერიდან იოსებ ჯუღაშვილი რადიკალურად გაემიჯნა ღვთისმსახურებას.

„პატივმოყვარეობის წყალობით, — წერს ირემაშვილი, — მან თავისი წარმატებებით დიდად გადააჭარბა ყველა ჩვენგანს". თუ ეს სარწმუნოა, ალბათ, მხოლოდ მოკლე პერიოდს ეხება. გლურჯიძე აღნიშნავს, რომ სემინარიის კურსიდან „იოსებს უყვარდა სამოქალაქო ისტორია და ლოგიკა", სხვა საგნებს მხოლოდ იმ დონეზე სწავლობდა, რომ გამოცდები ჩაებარებინა. მას შემდეგ, რაც სალვთო წიგნებზე გული აიცრუა, იოსები დაინტერესდა საერო ლიტერატურით, ბუნებისმეტყველებითა და სოციალური საკითხებით. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ უფროსკლასელები, რომლებიც, „მისი უნარისა და მიდრეკილების შესახებ რომ გაიგეს, ხშირად ესაუბრებოდნენ, ამარაგებდნენ წიგნებითა და ჟურნალებით", — მოგვითხრობს გოგოხია. „წიგნი იყო იოსების განუყრელი მეგობარი. მას ჭამის დროსაც კი არ იცილებდა", — ამბობს გლურჯიძე.

საერთოდ, იმდროინდელი ახალგაზრდობა ხარბად ეწაფებოდა წიგნებს. ბოლო შემოწმების შემდეგ, როცა აღმზრდელები ლამპას ჩააქრობდნენ, ახალგაზრდა შეთქმულები გადამალულ სანთლებს აანთებდნენ და ერთად შექუჩებულები მის შუქზე კითხულობდნენ. იოსები, რომელიც კითხვაში თეთრად ათენებდა ღამეებს, მუდამ გამოუძინებელი იყო და ავადმყოფს ჰგავდა. „როცა ხველება დააწყებინა, ხშირად ხელიდან ვართმევდი წიგნს და სანთელს ვუქრობდი", — წერს ირემაშვილი. გლურჯიძე იგონებს, რომ ფარულად ეცნობოდნენ და ითვისებდნენ ტოლსტოის, დოსტოევსკის, შექსპირის, შილერის ნაწარმოებებს, ლიპერტის „კულტურის ისტორიას", პისარევის პუბლიცისტიკას... „ზოგჯერ ეკლესიაშიც კი ვკითხულობდით, წინა რიგებს ამოფარებულნი".

ყველაზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას სოსოზე მაშინ ქართული ეროვნული ლიტერატურა ახდენდა. ირემაშვილი აღწერს მისი რევოლუციური ტემპერამენტის პირველ აფეთქებას, რომელშიც ჯერ კიდევ ნორჩი იდეალიზმი პატივმოყვარეობის მწვავე გამოვლინებასთან იყო შერწყმული. „მე და სოსო — იგონებს ირემაშვილი, — ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს ტრაგიკულ ბედზე, აღფრთოვანებულნი ვიყავით შოთა რუსთაველის პოემით".

სოსოს მისაბაძ გმირად იქცა კობა, ქართველი მწერლის, ყაზბეგის რომანის „მამის მკვლელის" გმირი. ამ რომანში ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული მთიელები, ღალატის შედეგად, მარცხდებიან და თავისუფლების უკანასკნელ ნა-თებს კარგავენ. ამ დროს აჯანყების ბელადი — კობა, სამშობლოს სწირავს ყველაფერს, რაც გააჩნია: ოჯახს, ცოლს, საკუთარ სიცოცხლეს. ამიერიდან კობა „სოსოსთვის ღმერთად იქცა... მას უნდოდა, მეორე „კობა" ყოფილიყო, მებრძოლი, გმირი და სახელგანთქმული". იოსებმა დაირქვა თავისუფლებისათვის მებრძოლის სახელი და ვეღარ იტანდა, როცა თავისი სახელით მიმართავდნენ „სიამაყისა და სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა, როცა კობას ვეძახდით. სოსომ დიდხანს შეინარჩუნა ეს სახელი, იგი მის პირველ ფსევდონიმად იქცა, როცა ლიტერატურული და პროპაგანდისტული საქმიანობა დაიწყო პარტიაში. ახლაც კი მას საქართველოში „კობას" ან „კობა-სტალინს" ეძახიან".

საქართველოს ეროვნული პრობლემებით გატაცებას მისი ოფიციალური ბიოგრაფები საერთოდ არ იხსენიებენ. ამ ბიოგრაფიათა მიხედვით სტალინი პირდაპირ ჩამოყალიბებულ მარქსისტად გვევლინება. მიუხედავად ამისა, ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ამ პერიოდის გულუბრყვილო მარქსიზმისა და სოციალიზმის ბუნდოვან იდეებთან ჯერ კიდევ მშვიდობიანად თანაარსებობდა კობას ეროვნული რომანტიზმი.

გოგოხიას სიტყვით, იოსები ერთ წელიწადში იმდენად გაიზარდა, რომ უკვე მეორე კლასიდან ხელმძღვანელობდა სემინარიელ ამხანაგთა ჯგუფს. თუ ბერიას — ისტორიკოსთაგან ყველაზე ოფიციალურს, — ვენდობით, მაშინ „სტალინი 1896-1897 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში ხელმძღვანელობდა ორ მარქსისტულ წრეს". სტალინს კი არასოდეს არავინ ხელმძღვანელობდა.

უფრო ცხოვრებისეულია ირემაშვილის მონათხრობი: ათიოდე სემინარიელმა რომელთა შორის იყო სოსო ჯუღაშვილიც, ჩამოაყალიბა მარქსისტული წრე. „ხელმძღვანელად არჩეული უფროსი კლასის მოსწავლე დევდარიანი თავის მოვალეობას ძალზე სერიოზულად მოეკიდა". ის ამუშავებდა, უფრო სწორად, სემინარიის გარეთ მყოფი ხელმძღვანელებისაგან ღებულობდა პროგრამას, რომლის მიხედვითაც ექვს წელიწადში წრის წევრთაგან უნდა გამოსულიყვნენ ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატები. პროგრამა იწყებოდა კოსმოგონიით და მთავრდებოდა კომუნისტური საზოგადოებით.

წრის საიდუმლო კრებებზე კითხულობდნენ რეფერატებს, რასაც აზრთა ცხარე გაზიარება და კამათი მოსდევდა. გოგოხიას სიტყვით, საქმე მარტო ზეპირი პროპაგანდით არ თავდებოდა. იოსებმა ქართულ ენაზე „შექმნა და რედაქტორობდა" ხელნაწერ ჟურნალს, რომელიც თვეში ორჯერ გამოდიოდა და ხელიდან ხელში გადაეცემოდა. ფხიზლად მყოფმა ინსპექტორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშიძემ ერთხელ იოსებს უპოვა „სტატიებიანი რვეული ჩვენი ხელნაწერი ჟურნალისათვის".

მსგავსი გამოცემები, შინაარსის მიუხედავად, სასტიკად იკრძალებოდა არა მარტო სასულიერო სემინარიაში, არამედ საერო სასწავლებლებშიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინსპექტორ აბაშიძის „მონაპოვრის" შემდეგ ხოსოს მარტო გაფრთხილება და კარცერში ორიანი აკმარეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჟურნალი არც ისე „დანაშაულებრივი" ხასიათისა იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირემაშვილის ბევრის მომცველ მოგონებებში ამ ჟურნალზე არაფერია ნათქვამი.

იოსებს სემინარიაში კიდევ უფრო მწვავედ უნდა ეგრძნო თავისი სიღატაკე, ვიდრე სასულიერო სკოლაში. „ფული მას არა ჰქონდა, — იგონებს გოგოხია. — ჩვენ კი მშობლებისგან ვღებულობდით ამანათებსა და ფულს წვრილმანი ხარჯებისათვის".

ნებადართული ორი საათის განმავლობაში სემინარიის გარეთ მყოფი იოსებისათვის მიუწვდომელი იყო ყველა ის სიამოვნება, რასაც პრივილეგირებული ოჯახის შვილები იოლად აღწევდნენ და მით უფრო მოუთოკავი ხდებოდა მისი სამომავლო ოცნებები და გეგმები, მით უფრო მწვავედ მჟღავნდებოდა მისი ბუნებრივი ინსტინქტები სკოლის ამხანაგებთან ურთიერთობაში.

„როგორც ბიჭი, — ადასტურებს ირემაშვილი — კარგი ამხანაგი იყო მხოლოდ იმათთვის, ვინც მის ნებას ემორჩილებოდა". მხოლოდ მათთვის და სხვა არავისთვის. მისი დესპოტიზმი თანატოლებთან ურთიერთობაში მით მეტ გასაქანს პოულობდა, რაც უფრო მეტი თავშეკავებულობა უხდებოდა მასწავლებლების წინაშე. სამყაროს მოწყვეტილი სემინარიის წრე იოსებისათვის იქცა არენად, სადაც თავისი ძალა და სხვათა ამტანობა უნდა გამოეცადა. „ის არაბუნებრივად მიიჩნევდა, — წერს ირემაშვილი, — რომ წრის ხელმძღვანელი სხვა იყო... მაშინ, როცა რეფერატების დიდ ნაწილს თავად კითხულობდა! ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა ან შეეცდებოდა რაიმეს განმარტებას, იგი განწირული იყო იოსების „დაუნდობელი მტრობისათვის". იოსებს შეეძლო დევნა და შურისძიება, შეეძლო მტკივნეულ ადგილზე დარტყმა. ასეთ ვითარებაში ფარული წრისათვის დამახასიათებელი თავდაპირველი სოლიდარობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. კობამ თავისი „ქედმაღლობითა და შხამიანი ცინიზმით განხეთქილება და კინკლაობა ჩამოაგდო წრეში". ამ ჩივილს „შხამიან ცინიზმზე", უხეშობასა და შურისძიებაზე ჩვენ კვლავ არაერთხელ მოვისმენთ კობას ნაცნობებისაგან.

ხალხეურის მიერ დაწერილი საკმაოდ ფანტასტიკური ბიოგრაფია მოგვითხრობს, თითქოს სემინარიამდე ახალგაზრდა იოსები მაწანწალობდა და თბილისის კინტოებში, ქუჩის ბიჭებში, მეძღერლებსა და ხულიგნებს შორის ტრიალებდა, მათგან გადმოიღო უხეშობა და ისწავლა უშვერი ლანძღვა-გინება.

როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოგონილია. სასულიერო სკოლიდან იოსები პირდაპირ სემინარიაში ჩაირიცხა, ასე რომ, მაწანწალობისათვის შუალედი არ დარჩენია. საქმე იმაშია, რომ სიტყვა „კინტოს" უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს კავკასიელთა ლექსიკონში. იგი ესადაგება გაიძვერას, ცინიკოსს, ბევრის მკადრებელ ადამიანს. 1928 წელს მე პირველად მოვისმინე, როგორ უწოდა ეს სახელი სტალინს ძველმა ბოლშევიკმა ფილიპე მახარაძემ. შეიძლება „კინტო" მას ახალგაზრდობისას შეარქვეს და ამან წარმოშვა ლეგენდა იოსების ქუჩურ თავგადასავალზე.

იგივე ბიოგრაფი ლაპარაკობს „მძიმე მუშტზე", რომლის დახმარებითაც, როცა მშვიდობიანი მოლაპარაკება არ ჰრიდა, იოსებ ჯუღაშვილი უზრუნველყოფდა თავის წარმატებებს.

ამის დაჯერებაც ძნელია. ყველაფრიდან ჩანს, რომ „რისკიანი", პირდაპირი მოქმედება სტალინს იმ წლებშიც კი არ ახასიათებდა. მუშტით სამუშაოდ ის სხვებს პოულობდა, თავად კი ყოველთვის თუ მთლიანად კულისებში არა, გვერდზე მაინც რჩებოდა. „მომხრეთა პოვნაში — წერს ირემაშვილი — ეხმარებოდა ის, რომ ეშინოდათ მისი უხეშობის, გულგრილობის და დაცინვის. მომხრეები უმალ უთმობდნენ პირველობას, რადგან მისი ძალაუფლების ქვეშ თავს უშიშრად გრძნობდნენ... მხოლოდ სულიერად ღარიბ და აყალმაყალის მოყვარულ ტიპებს შეეძლოთ მასთან მეგობრობა".

შედეგებმაც არ დააყოვნა. სემინარიელთა ერთმა ნაწილმა წრე მიატოვა, სხვები იშვიათად ებმებოდნენ კამათში. „რამდენიმე წელში ჩამოყალიბდა კობას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ორი ჯგუფი, საქმიანი ვითარება გადაიზარდა კინკლაობაში". ეს იყო პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი დიდი „კინკლაობა" იოსების ცხოვრებაში": ბევრი ასეთი შემთხვევა ჯერ კიდევ წინ არის.

აქ მოვლენებს უნდა გავუსწროთ და ერთ შემთხვევაზე მოგითხროთ. სტალინმა, მაშინ უკვე გენერალურმა მდივანმა, პოლიტბიუროს სხდომაზე დახატა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში გაბატონებული ინტრიგებისა და კონფლიქტების გამაოგნებელი სურათი, შემდეგ კი მოულოდნელად დაუმატა: „ამ კინკლაობას თავისი დადებითი მხარე აქვს იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობის მონოლითურობამდე მივყავართ".

მსმენელებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, ორატორმა კი წარბშეუხრელად განაგრძო მოხსენება. როგორც ჩანს, ამ „მონოლითუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის" არსი მისთვის ახალგაზრდობიდანვე არ იყო იდეებთან გაიგივებული. „იოსებისათვის — ამბობს ირემაშვილი. — მთავარი არ იყო ჭეშმარიტების ძიება და დადგენა. ის სადავოდ ხდიდა ან იცავდა იმას, რასაც უწინ ამტკიცებდა ან უარყოფდა. გამარჯვების ზეიმს მისთვის მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ჭეშმარიტებას..."

იოსების მაშინდელ შეხედულებათა გაგება შეუძლებელია, რადგან მათი წერილობითი კვალი არ დარჩენილა. ირემაშვილის სეხნია, როგორც თვითონ გადმოგვცემს, ყველაზე უფრო ძალმომრეობითი მოქმედებისა და „უმცირესობის დიქტატურის" მომხრე იყო. აქ ვხვდებით მეხსიერების ტენდენციურ გადახრას. გასული საუკუნის ბოლოს საერთოდ არ მდგარა თვით საკითხიც კი „დიქტატურის" შესახებ.

კობას უკიდურესი პოლიტიკური შეხედულებები — განაგრძობს ირემაშვილი. — არ ჩამოყალიბებულა მარქსისტული მოძღვრების „ობიექტური შესწავლის" შედეგად, არამედ „ძალაუფლებისადმი სწრაფვისა და მის ფიზიკურ და სულიერ არსებაზე გაბატონებული პატივმოყვარეობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა". ყოფილი მენშევიკის მიკერძოებულ შეფასებაში ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჭეშმარიტების მარცვალი: სტალინის სულიერ ცხოვრებაში პირადი პრაქტიკული მიზანი ყოველთვის მაღლა იდგა თეორიულ ჭეშმარიტებაზე, ხოლო მის მიღწევაში გადამწყვეტ როლს უფრო მისი ნებისყოფა თამაშობდა, ვიდრე ინტელექტი.

ირემაშვილი აკეთებს კიდევ ერთ ფსიქოლოგიურ შენიშვნას, რომელიც რეტროსპექტული შეფასების ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ერთობ საყურადღებოა. იოსები „ყველგან და ყველაფერში ხედავდა უარყოფით თვისებებს, ნაკლოვან მხარეებს. არ სწამდა ადამიანთა რაიმე იდეალური მიზნები და ღირსებები".

ეს მნიშვნელოვანი შტრიხი, რომელმაც სიჭაბუკეშივე იჩინა თავი, ლაიტმოტივად გაჰყვება სტალინის მთელ შემდგომ ცხოვრებას, თუმცა მაშინ მსოფლიო ჯერ კიდევ იდეალიზმის ბურუსით იყო მოცული. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სტალინი, მისთვის დამახასიათებელი სხვა თვისებების მიუხედავად, მეორე პლანზე რჩებოდა ისტორიული აღმავლობის პერიოდში, როცა მასებში იღვიძებს მისი უკეთესი თვისებები: უანგარობა და ჰეროიზმი; პირიქით, ადამიანებისადმი სტალინის ცინიკური დამოკიდებულება და უნდობლობა, მათ მდაბალ გრძნობებზე თამაშის უნარი გასაქანს პოულობს რეაქციის ეპოქაში, სადაც დაკრისტალებულია ეგოიზმი და ვერაგობა.

●

იოსებ ჯუღაშვილი არათუ მღვდელი გახდა, როგორც დედამისი ოცნებობდა, არამედ ატესტატიც კი ვერ აიღო, რაც მას გზას გაუხსნიდა რომელიმე პროვინციულ უნივერსიტეტში. თუ რატომ მოხდა ასე, ამის შესახებ არსებობს რამდენიმე ძნელად გასაზიარებელი ვერსია.

აბელ ენუქიძე 1929 წელს დაწერილ მოგონებებში მოგვითხრობს, რომ იოსებმა სემინარიაში ფარულად დაიწყო აკრძალული ლიტერატურის კითხვა. ეს არ გამორჩენია ინსპექტორის ფხიზელ თვალს და საშიში ახალგაზრდა „სემინარიიდან გამოვარდა". კავკასიის ოფიციალური ისტორიკოსი ბერია აცხადებს, რომ სტალინი „გარიცხეს არაკეთილსაიმედოობის გამო".

უჩვეულო ამაში, ალბათ, არაფერია, ამ მიზეზით გარიცხვები იშვიათი არ იყო. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ დღემდე არ გამოქვეყნებულა მასალები სემინარიის პერიოდის შესახებ. ისინი რომ არც დამწვარა და არც რევოლუციის ღვარცოფში გაფანტულა, თუნდაც ზემოთ ხსენებული მემორიალური დაფა და მათი შემდგომი ბედის შესახებ სრული დუმილი მოწმობს.

იქნებ ეს დოკუმენტები იმიტომ არ ქვეყნდება, რომ რაიმე არასასიამოვნო ცნობებს შეიცავენ ან რომელიმე შემდეგდროინდელ ლეგენდას აბათილებენ?

ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით მტკიცებას, რომ ჯუღაშვილი სემინარიიდან გარიცხეს სოციალ-დემოკრატიული წრეების ხელმძღვანელობისათვის. მისი კიდევ ერთი სემინარიელი ამხანაგი, ელისაბედაშვილი, არცთუ მთლად სანდო მოწმე, გვაუწყებს, თითქოს „სტალინის მითითებითა და ხელმძღვანელობით" ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში „ასი, ასორმოცდახუთი" სემინარიელი ირიცხებოდა. ლაპარაკი რომ იყოს 1905-1906 წლებზე, როცა ყველაფერი კალაპოტიდან ამოვარდა და ხელისუფლება დაბნეულობამ მოიცვა, შეიძლება ეს ცნობა კიდევ გვერწმუნა. 1899 წლისათვის კი ეს ციფრი ნამდვილად ფანტასტიკურია. ორგანიზაციის წევრთა ასეთი სიმრავლის ვითარებაში საქმე მარტო გარიცხვით არ დამთავრდებოდა და აუცილებლად ჩაერეოდა ჟანდარმერია, მაგრამ იოსები არათუ მაშინ არ დაუპატიმრებიათ, არამედ შემდგომი სამი წლის მანძილზეც თავისუფლად დადიოდა. ამიტომ ვერსია სოციალ-დემოკრატიული წრეების ხელმძღვანელობისათვის მისი სემინარიიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტით უნდა უარვყოთ.

ამ საკითხს ფრთხილად ეხება ზემოხსენებული გოგოხია. საერთოდ, შესამჩნევია, რომ იგი ცდილობს ძალიან არ დაშორდეს ფაქტებს. „იოსები ყურადღებას აღარ აქცევდა გაკვეთილებს, — წერს გოგოხია, — სწავლობდა სამებზე, რომ როგორმე გამოცდები ჩაებარებინა. ინსპექტორი აბაშიძე ხვდებოდა, რატომ ჩამორჩა ნიჭიერი, განვითარებული, წარმოუდგენელი მეხსიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონი ჭულაშვილი... და მიაღწია მის გარიცხვას სემინარიიდან". ჩვენც მხოლოდ „მიხვედრა" შეგვიძლია იმისა, თუ რას „ხვდებოდა" ინსპექტორი. გოგოხიას სიტყვებიდან გასაგები მხოლოდ ის არის, რომ იოსები სემინარიიდან გარიცხეს ცუდი მოსწრებისათვის, რაც ღვთისმეტყველების სიბრძნისგან მისი განდგომის შედეგი იყო. იოსებში მომხდარი „გარდატეხის" შესახებ დასკვნის გაკეთება შეიძლება, აგრეთვე, კაპანაძის სიტყვებიდან: „ის ისეთი ბეჯითი მოსწავლე აღარ იყო, როგორც ადრე". საყურადღებოა, რომ კაპანაძე, გლურჯიძე და ელისაბედაშვილი საერთოდ უვლიან გვერდს იოსების სემინარიიდან გარიცხვის საკითხს.

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ სტალინის დედა სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა მისი პიროვნებით დაინტერესდნენ ოფიციალური ისტორიკოსები და ჟურნალისტები, კატეგორიულად უარყოფდა იოსების სემინარიიდან გარიცხვის ფაქტს. მისი თქმით, სემინარიაში შესვლისას ბიჭი ძალ-ღონით ალსავსე და ჯანმრთელი იყო, მაგრამ გამუდმებულმა მეცადინეობამ იმდენად გამოფიტა, რომ ექიმებმა ტუბერკულოზზე მიიტანეს ეჭვი. ეკატერინე ამტკიცებს, იოსებს სემინარიის მიტოვება არ უნდოდა, მაგრამ ძალით წამოვიყვანეო.

ეს ნაკლებ სარწმუნოა.

ჯანმრთელობის გაუარესების გამო შეიძლებოდა მეცადინეობის დროებით შეწყვეტა. სულაც არ იყო საჭირო, დედას უარი ეთქვა დიდი ხნის ოცნებაზე და სემინარიის სამუდამოდ მიტოვებით შვილისთვის ხელი აელებინებინა მღვდლის კარიერაზე. მეორე მხრივ, 1899 წელს, იოსები უკვე ოცი წლისა იყო, მაინცდამაინც დამყოლი არ გახლდათ, და, საეჭვოა, იგი დედას თავის ნებაზე ეტარებინა. და ბოლოს, სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ, იოსები გორში, დედის კალთას არ დაბრუნებია, რაც ავადმყოფობის შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა. იგი თბილისში დარჩა სწავლისა და ცხოვრების სახსრის გარეშე. მოხუცმა კეკემ რაღაც დაუმალა ჟურნალისტებს. იქნებ შვილის სემინარიიდან გარიცხვას იგი სირცხვილად თვლიდა და რახან ყველაფერი თბილისში მოხდა, კეკე თავის გორელ მეზობლებს არწმუნებდა, იოსებმა ავადმყოფობის გამო თვითონ მიატოვა სემინარიაო. მოხუცს, ალბათ, მიაჩნდა, რომ „ბელადისთვის" საკადრისი არ იყო სიჭაბუკის წლებში სემინარიიდან გარიცხვა. კეკეს დაჟინებულ მტკიცებას ის არ გაურიცხავთ, მე თვითონ წამოვიყვანეო, სხვა რამ უფრო საფუძვლიანი საბუთი, ალბათ, არ მოეძებნება.

შეიძლება იოსები მართლაც არ იყო გარიცხული, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. ასეთივე, ერთგვარად უფრო სარწმუნო ვერსიას გვთავაზობს ირემაშვილი. მისი თქმით, სემინარიის ხელისუფლებამ, რაკი იმედი გაუცრუვდა და, იოსებისგან კარგი მღვდელი დადგებაო, აითვალწუნა იოსები და გამუდმებით შარს დებდა. „ისე გამოვიდა, რომ კობამ, როცა დარწმუნდა, თავისი მონდომებული მეცადინეობით ვერაფერს მიაღწევდა, თანდათან უკლო სწავლას და უარესთა შორის ჩადგა. საყვედურებს იგი შხამიანი, აგდებული ჩაცინებით პასუხობდა". მოწმობა, რომელიც მას მეექვსე და უკანასკნელ კლასში გადასასვლელად მისცეს, იმდენად ცუდი იყო, რომ კობამ სემინარიის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე მისი მიტოვება გადაწყვიტა. თუ ეს ახსნა მისაღებია, მაშინ გასაგები გახდება, რატომ წერს აბელ ენუქიძე „სემინარიიდან გამოვარდაო". ავტორი გაურბის უფრო ზუსტ განსაზღვრას: „გარიცხეს სემინარიიდან" ან „მიატოვა სემინარია". აქედან ისიც ადვილი მისახვედრია, სტალინის ამხანაგების უმეტესობა რატომ ამჯობინებს დუმილს იოსების სემინარიული ცხოვრების პერიოდზე, რატომ არ ქვეყნდება დოკუმენტები, და, ბოლოს, რატომ მიაჩნდა დედამისს, რომ იოსები სემინარიიდან არ გამოურიცხავთ, თუმცა თვითონვე აძლევდა ამ ეპიზოდს სხვა შეფერილობას, როცა იბრალებდა შვილის სემინარიიდან გამოყვანას.

სტალინის პიროვნული ხასიათის შეფასებისას ან მისი პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის სემინარიასთან კავშირის გაწყვეტის თანამიმდევრობას, ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ, ნათლად წარმოაჩენს იმ სიძნელეებს, რასაც ტოტალიტარული ისტორიოგრაფია ქმნის ასეთი მეორეხარისხოვანი საკითხების გამოკვლევაშიც კი.

იოსები მოსამზადებელ განყოფილებაზე თერთმეტი წლისა შევიდა, 1890 წელს. ოთხი წლის შემდეგ გადავიდა სემინარიაში და 1899 წელს დატოვა. ე. ი. სასულიერო სასწავლებელში სულ ცხრა წელი დაჰყო.

ქართველები ადრე მწიფდებიან. იოსები სემინარიიდან მოზრდილი ადამიანი გამოვიდა, როგორც გოგოხია წერს: „უდიპლომო, მაგრამ ცხოვრებაზე ჩამოყალიბებული შეხედულებებით".

სასულიერო განათლების ცხრაწლიან პერიოდს არ შეიძლებოდა ღრმა კვალი არ დაეტოვებინა მის ხასიათზე, აზრთა მდინარებაზე, მის სტილზე, რაც ქმნის პიროვნებას.

სტალინის ოჯახში და მის ირგვლივ მყოფნი ქართულად ლაპარაკობდნენ. დედამ ხანდაზმულობაშიც არ იცოდა რუსული, ასევე იქნებოდა მამაც. ბიჭი რუსულ ენას მხოლოდ სკოლაში სწავლობდა, სადაც მოსწავლეთა უმეტესობა ასევე ქართველი იყო. იოსებმა ბოლომდე ვერ გაითავისა რუსული ენის სული, მისი ლაღი ბუნება და შინაგანი რიტმი.

ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა.

უცხო ენას, რომელიც მისი მშობლიური ენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცვლელად იყო მოწოდებული. იოსები სწავლობდა სასულიერო სკოლის ჩაკეტილ გარემოში. რუსული ენის კონსტრუქციებს ის ალიქვამ. და არა როგორც ბუნებრივ საშუალებას თავისი გრძნობების გამოსახატავად, არამედ როგორც ხელოვნურ იარაღს უცხო და საძულველი მისტიკის გადმოსაცემად.

შემდგომ ცხოვრებაში მან უფრო ნაკლები უნარი გამოამჟღავნა, მოეხდინა ენის ასიმილირება და, ასე ვთქვათ, ინტიმიზაცია, დაეზუსტებინა და გაემდიდრებინა მეტყველება. მაგრამ ადამიანური ენა მას უფრო თავისი აზრების დასამალავად და შესალამაზებლად ჰირდებოდა, ვიდრე მათ გამოსათქმელად. ამ გაგებით რუსული მისთვის სამუდამოდ დარჩა ნახევრად უცხო ენად და, რაც ყველაზე უარესია, პირობითად და თავსმოხვეულად.

ძნელი გასაგები არ არის, რომ მას შემდეგ, რაც რელიგიას განუდგა, იოსებისათვის აუტანელი გახდა ჰოლიმეტიკისა და ლიტურგიის შესწავლა. უფრო ძნელი გასაგებია თუ როგორ შეძლო მან მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაორებული არსებობა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ცნობას, რომ სოსო უკვე 13 წლის ასაკში უპირისპირებდა ერთმანეთს დარვინსა და ბიბლიას, მაშინ გამოდის, დიდი მოთმინება უნდა დაჰირვებოდა, რათა შემდგომი შვიდი წლის მანძილზე კვლავ მოთმინებით განეგრძო ღვთისმეტყველების შესწავლა.

სტალინი თავისი რევოლუციური მსოფლმხედველობის დასაწყისად ცხოვრების მე-15-მე-16 წელს მიიჩნევს. სრულიად შესაძლებელია, რომ სანამ სოციალიზმისაკენ შემობრუნდებოდა, მან ორი ან სამი წლით ადრე შეაქცია ზურგი რელიგიას, მაგრამ თუ ეს ერთდროულად მოხდა, მაინც გამოდის, რომ ახალგაზრდა ათეისტი მთელი ხუთი წელი კიდევ სწავლობდა მართლმადიდებლურ საიდუმლოებას.

მართალია, მეფისდროინდელ სასწავლო დაწესებულებებში ბევრი თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდა ეწეოდა გაორებულ ცხოვრებას, მაგრამ ეს უმეტესად უნივერსიტეტებში ხდებოდა, სადაც რეჟიმი შედარებით თავისუფალი იყო და ოფიციალური ფარისევლობა ნაკლებ ტვირთად აწვა მოსწავლეთა მხრებს.

საშუალო სკოლებში განხეთქილებას მძიმე შედეგები მოსდევდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, დიდხანს არ გრძელდებოდა — სულ ორიოდე წელს თუ გასტანდა, ამ დროს კი ახალგაზრდა უკვე ხედავდა უნივერსიტეტის გზას და მის შედარებით აკადემიურ თავისუფლებას.

ახალგაზრდა ჯუღაშვილის მდგომარეობა განსაკუთრებული იყო. ის სწავლობდა არა საერო სასწავლებელში, სადაც აღსაზრდელები მხოლოდ დღის გარკვეულ პერიოდში იმყოფებოდნენ ზედამხედველობის ქვეშ და „საღვთო სჯული" მეორეხარისხოვან საგანს წარმოადგენდა, არამედ დახურულ სასწავლებელში, სადაც მთელი ცხოვრება ექვემდებარებოდა საეკლესიო მოთხოვნებს.

ამ რეჟიმისათვის რომ გაეძლო შვიდი, თუნდაც ხუთი წელი, საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე და გარდასახვის უნარი. სემინარიაში ყოფნის პერიოდში არავინ იხსენებს სტალინის მხრიდან პროტესტის გამოხატვის რაიმე თვალშისაცემ ფორმას. იოსები მასწავლებლებს ზურგს უკან იგდებდა აბუჩად, მაგრამ მათ თვალწინ არ თავხედობდა.

მას ჯიბლაძესავით არ გაუსილაქებია პედაგოგ-შოვინისტები, ბევრი-ბევრი, თავისი „ცინიკური ჩაცინებით" ეპასუხა მათთვის. მისი სიძულვილი თავშეკავებული იყო, ფარული, მომლოდინე. სემინარისტ კომიალოვსკის მიაწერენ „უნდობლობას, გულჩათხრობილობას, გაბოროტებას და გარესამყაროსადმი ზიზღს", თითქმის ამასვე, მაგრამ უფრო მკვეთრი ფორმით ამბობს ირემაშვილი კობას შესახებ: „1899 წელს მან მიატოვა სემინარია და თან გაიყოლია მტრობაში გაზრდილი ბოლმა სკოლის მმართველობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ყველაფრის წინააღმდეგ, რაც არსებობდა ქვეყანაში და განასახიერებდა ცარიზმს. მას სძულდა ყოველგვარი ხელისუფლება".

გაგრძელება იქნება

თარგმნეს:

ელზა მეტრეველმა,

დავით მეძღურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გავაშელი

# „რამ შემქმნა ადამიანად"

(ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელის" მსოფლმხედველობრივი წყაროს ზოგიერთი საკითხი)

**„გველის-მჭამელმა"** იმთავითვე ბევრი თავსატეხი გაუჩინა მკვლევარებს: პოემის თემატურ-სიუჟეტური უჩვეულობა აყენებს ბევრ ისეთ კითხვას, რომლებზედაც პასუხის გაცემა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. აღნიშნულ კითხვათაგან არსებითია ის კითხვა, რომელიც პოემის დასაწყისშივე დგება და რომლის ლაკონური ფორმულირება არცთუ ისე ადვილი საქმეა. პირობითად ასე გამოვთქვათ ეს კითხვა: რას **ნიშნავს მინდიასაგან გველის ჭამა?**

ამ კითხვას ასეთი ფორმით ვსვამთ იმიტომ, რომ იგი უკვე მომხდარი ფაქტის კონსტატაციაა და ყოველი ფაქტი, რამდენად მარტივიც უნდა იყოს იგი, ერთმნიშვნელოვან ახსნას არ ექვემდებარება, ცალსახა არ არის არასოდეს; ეს მით უფრო ეხება ისეთ რთულსა და უჩვეულო ფაქტს, როგორიც გველის ჭამაა და ამიტომ ეს კითხვა შეიცავს უამრავ სხვა კითხვად დიფერენცირების შესაძლებლობას, ამდენად, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მისგან გამომდინარე ძირითად კითხვებზე პასუხის გაცემასაც ნიშნავს.

შესაძლებელია თუ არა პირდაპირი აზრით გაგება მინდიას მიერ გველის ჭამისა? დავუშვათ, რომ მინდიამ ნამდვილად შეჭამა გველის ხორცი, რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს დაშვება? ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ამ სიმბოლიკის მითოლოგიური წარმომავლობა კარგადაა გარკვეული: გმირისაგან გველის ხორცის შეჭმა — აღნიშნული კონცეფციების მიხედვით, **„მის ინიციაციაზე, მაგიური ცოდნის მოხვეჭაზე, და ზეგარდმო გულთმისხობაზე მიგვითითებს"** (თ. ჩხენკელი. ტრაგიკული ნილბები, 1971 წ. გვ. 242). ამასთანავე, მინდიას ქაჯეთში, ქაჯთა ტყვეობაში ყოფნა გაგებულია, როგორც მითოლოგიური სიმბოლიკა მინდიას ქვესკნელში ყოფნისა, რადგან „უძველეს ქართულ მითოლოგიურ პანთეონში ქაჯეთი საიქიოს, შავეთს, სულეთს, ქვესკნელს გულისხმობდა" (აკ. ბაქრაძე „გველის-მჭამელი" და ქართული მითი. „მნათობი", 1968 წ. № 6). ამასთანავე, გველის ხორცის ჭამა არის არა თვითმიზანი, არამედ ადამიანურის საზღვრების გადალახვის სურვილი და ზეადამიანურისადმი, ღვთაებრივისადმი ზიარება, ხოლო ეს უკანასკნელი ადვილად, უბრალოდ არ მოიპოვება: **„მხოლოდ საზინელი არაბუნებრიობით, კაცის ან გველის ხორცის ჭამით, სულის გაყიდვით და მაშასადამე, უდიდესი ტანჯვის საზღაურად შეიძლება გადალახოს კაცმა ადამიანური საზღვარი"** (თ. ჩხენკელი. გვ. 251). ყველაფერი ეს ასეა, სწორია, მაგრამ გველის ხორცის ჭამა გმირის მიერ ამგვარად უნდა აიხსნას მხოლოდ მითოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული თვალთახედვით, რომელიც, ვიმეორებთ, აუცილებელი ეტაპია ამ რთული ფენომენის შემდგომი კვლევის გზაზე, მაგრამ პოემის მსოფლმხედველობრივი ანალიზის მთლიანობისათვის იგი არ არის საკმარისი. გველი, წარმართული მსოფლმხედველობის მიხედვით, ტოტემია და ყველა სხვა ტოტემის მსგავსად, მკაცრად ტაბუირებული: მისი ყოველგვარი ხელყოფა არის ცოდვა, მაგრამ წარმართობა უშვებს გამონაკლისს: ადამიანი რომ ეზიაროს ზებუნებრივს, ამისათვის მან ტოტემი უნდა გამოიყენოს, ტოტემის მეშვეობით უნდა ეზიაროს ღვთაებრივს, ზებუნებრივს (ავსტრალიელ ტომებში მკაცრად ტაბუირებული ტოტემი იყო კენგურუ, მაგრამ დიდი ნადირობის წინ იმართებოდა სპეციალური ცერემონიალი, რომლის აპოთეოზი იყო კენგურუს მოკვდინება და მისი ხორცის დანაწილება ტომის წევრებს შორის, რათა მათ განმტკიცებოდათ რწმენა საკუთარი ძალებისა და მომავალ ნადირობაში წარმატების მიღწევისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ მინდიას მიერ გველის ხორცის ჭამა არის ღვთაებრივისადმი ზიარების სიმბოლური სახე და წარმართული მსოფლმხედველობის მიხედვით აქ არავითარი შეუსაბამობა არ არის. მაგრამ ქაჯთაგან რატომ იყო მოჩვენება, ზმანება გველის ჭამა? — ვაჟა ხომ პირდაპირ გვეუბნება, რომ როდესაც მინდიამ გველი შეჭამა და მასში ძირეული მეტამორფოზი მოხდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა იგი, რომ

ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.

თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ წარმართობაში ქაჯები ზებუნებრივის, ზეადამიანურის სიმბოლოები არიან, მაშინ აღარ გაგვიჭირდება ამ ფაქტის ახსნა: ქაჯები თვით არიან ზებუნებრივი არსებები და ამიტომ აღარ საჭიროებენ ზებუნებრივთან ზიარებას სხვა რამის საშუალებით. სწორედ იმიტომ, რომ ზებუნებრივი არსებანი არიან, ქაჯები ასე იოლად ერევიან მინდიას: 12 წელი ჰყავთ იგი ტყვედ. მაგრამ რას ნიშნავს მინდიას ტყვედ ყოფნა? მხოლოდ სიუჟეტური დაძაბულობის გაძლიერებისათვის დასჭირდა ვაჟას (და პოემის ხალხურ წყაროს) მინდიას ტყვედ ყოფნის მომენტის, ეპიზოდის მოტანა? ვაჟასადმი (მით უმეტეს, ხალხისადმი) ასეთი ბრალდების წაყენება დიდი უგუნურობა იქნებოდა: ასეთი ეპიზოდის პოემაში ჩართვა აზრობრივი დატვირთულობის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. დავაკვირდეთ და ჩავუღრმავდეთ სიტუაციას: მინდია 12 წელს ტყვედ ჰყავთ ქაჯებს. რას უნდა ნიშნავდეს ასე ხანგრძლივად მისი ტყვედ ყოფნა? აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ზემოთ დამოწმებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ე. წ. „ქაჯური ნიჭის შეძენა ანუ გაბრძენება, ადამიანური საზღვრების გადალახვა და ზებუნებრივის ზიარება მინდიას მძიმე საფასურად უნდა დასჯდომოდა და რომ ეს მძიმე საფასური იყო სწორედ მისი 12 წლის განმავლობაში ტყვედყოფნა" (აკ. გაწერელია. ქართული პოეზიის დიდება. „მნათობი". 1961 წ. № 7) დიახ, სიბრძნის მიღწევის, ცოდნის შეძენის გრძელი და ძნელი პროცესის სიმბოლური გამოხატულება არის მინდიას ასე ხანგრძლივად ყოფნა ტყვედ. ქაჯების ძალები და შესაძლებლობები აშკარად აღემატება მინდიას ძალებსა და შესაძლებლობებს, მათ შეეძლოთ დატყვევებისთანავე მოესპოთ მინდია ან კიდევ თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ სურვილისამებრ: საამისოდ მათ ეყოფოდათ არა მარტო ფიზიკური ზეაღმატება მინდიას მიმართ, არამედ ის ზებუნებრივი გრძნეულებაც, რომელიც იმთავითვე თანაყოფობს მათში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინდიამ 12 წელი დაჰყო ქაჯების ტყვეობაში ისე, რომ არც დაღუპულა და არც სხვაგვარი შეურაცხყოფა განუცდია ქაჯთაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტყვედ ყოფნა თავისთავად ყველაზე დიდი შელახვაა ადამიანური ღირსებისა და, საერთოდ, ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა. მაგრამ გავაცნობიეროთ ერთი გარემოება: მინდია იმ მომენტამდე, სანამ ის გველიც ხორცს შეჭამს, არის ჩვეულებრივი მოკვდავი, ჩვეულებრივი ადამიანი, არაფრით არგამორჩეული სხვათაგან.

აი, მინდიას სწორედ ასეთი მდგომარეობის გამომხატველია მისი ტყვეობა; მინდია ტყვე იყო მანამდეც, სანამ მას ქაჯები დაატყვევებდნენ. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ცხოვრობდა სხვა ადამიანების მსგავსად, ჰყავდა ოჯახი, ცოლშვილი, თიბავდა ბალახს, ჭრიდა შეშას, უვლიდა ცხვარ-ძროხას და ა. შ. აი, სწორედ ეს მისი **უპიროვნო ყოფნა** არის მისი ტყვეობა, რადგან იგი არაფრით არ განსხვავდება სხვა ადამიანთაგან, იგი გათქვეფილია მასაში, არაფრით არ გასირჩევა მისგან, მინდიას ჯერ არა აქვს თავისი პიროვნულობა მოპოვებული და ამიტომ იგი თავისუფალია თავისი არსებობისაგან, არ გრძნობს პასუხისმგებლობას.

პოემის ეს მონაკვეთი უდავოდ ეხმიანება ეგზისტენციალიზმის ცნობილ პრინციპს ადამიანის უპიროვნო ყოფიერების შესახებ, თუმცა უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვით ეგზისტენციალიზმის ეს პრინციპი ასახავს, იმეორებს „გველის-მჭამელში" საჩინოყოფილ ამ მოტივს (ჰაიდეგერის წიგნი „ყოფიერება და დრო" 1927 წელს გამოვიდა, ვაჟას პოემა კი 1901 წელსაა დაწერილი). შეუძლებელია ჰაიდეგერს სცოდნოდა „გველის-მჭამელი" და მისი იდეური მოტივების ზეგავლენით დაემუშავებინა თავისი მოძღვრების თუნდაც ზოგიერთი ნაწილი — ამის მტკიცება გულუბრყვილობა იქნებოდა, მაგრამ ამ პარალელს მივმართე შემდეგი გარემოების აღსანიშნავად: ვაჟა-ფშაველა, როგორც მოაზროვნე, მუდამ იდგა თავისი ეპოქის დონეზე და დროის მიერ მოტანილი პრობლემებისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისი კი სწორედ იმ თავისებურებებით ხასიათდებოდა, რომ უკვე აშკარა ხდებოდა არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსის ცვლილება და მოახლოებული დიდი სოციალური ძვრები ააშკარავებდნენ ადამიანური ყოფიერების ბევრ ისეთ მხარეს, რომელნიც მანამდე ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი. ამ მნიშვნელოვან სოციალურ გარდაქმნათა ფონზე სულ უფრო რელიეფურად იკვეთებოდა რაგვარობა ადამიანური ყოფიერებისა, რომლის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გააზრება ხდება საუკუნის, თუ უმთავრესი არა, ერთ-ერთი ძირითადი ინტელექტუალური ამოცანა მაინც. ამიტომ არ არის არაფერი უჩვეულო იმაში, რომ დიდი მოაზროვნეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცდილობენ თავიანთ აზროვნების ქურაში გადახარშონ ეპოქის მიერ მოტანილი „მოაზროვნო მადანი", რათა საჩინოჰყონ მისი ავ-კარგი. რაც შეეხება შედეგებს, ისინი სწორედ ყოველივე ზემოთქმულის გამო ემსგავსებიან ერთმანეთს არსებითად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა მინდიას უპიროვნო ყოფნის, არსებობის ძოტივს აძლიერებს მისი ხანგრძლივი ტყვეობის უსახურობითაც:

**ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,**
**სამშობლოს გარეთ ყოფნამა,**
**მიდის დრო, განვლო მრავალმა,**
**ალდგომამა და შობამა,**
**მაგრამ მინდიას ტყვეობას**
**არ უქნა დასასრულია,**
**გული დაუდნო მონებამ**
**ამოსვლას ლამობს სულია.**

აძლიერებს, რათა მიიყვანოს სასოწარკვეთილებამდე, ანუ კ. იასპერსის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ჩააყენოს საზღვრით სიტუაციაში. სწორედ სასოწარკვეთილ მინდიას აყენებს ვაჟა არჩევანის წინაშე: ან დარჩეს ძველებურად, ვააგრძელოს ჩვეულებრივი არსებობა, ან კიდევ გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად. აქ კვლავ უნდა მივმართოთ ეგზისტენციალიზმს, რათა უკეთესად გავიაზროთ და გავისიგრძეგანოთ მინდიას მდგომარეობა. მოვუსმინოთ ს. კიერკეგორს:

განიხილავს რა საკითხს ცხოვრებისეული გზის ეტაპების შესახებ, იგი ასახელებს სამ ასეთ ეტაპს: ესთეტიკურს, ეთიკურს და რელიგიურს. მაგრამ ეს ეტაპები არ არის ის ეტაპები, რომელნიც, ბუნებრივი განვითარების კანონთა შესაბამისად, ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი, გადადიან ერთმანეთში და ა. შ. ყოველი ეს ეტაპი იმდენად დამოუკიდებელია სხვა ეტაპებისაგან, იმდენად ინდივიდუალური და განუმეორებელი, რომ ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ეულრესად ძნელი სულიერი ნახტომის მეოხებით, რომელიც ხორციელდება არჩევანის გზით. მაგრამ თუ არა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გზის ეტაპებს, მაშ, რა ეტაპებს გამოხატავს ეს სამი ეტაპი? ესთეტიკური ეტაპისათვის არსებითია წუთიერი ტკბობის აბსოლუტიზაცია. მყისიერებით ტკბობა. ესთეტიკური ეტაპი, ანუ ცხოვრებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება წარმავლობის ეფემერულობის გამოხატულებაა, რასაც უპირისპირდება ეთიკური თვალსაზრისი, რომელიც ისწრაფვის, დაამყაროს კავშირი ყოფიერების ცალკეულ მომენტებს შორის, რისთვისაც აუცილებელია რუდუნებით შრომა, გარჯა, ბრძოლა.

თუ ესთეტიკური პოზიციისათვის სწრაფმავალი სიყვარულია დამახასიათებელი, ეთიკურის არსების გამომხატველია ქორწინებითი კავშირი, თუ ესთეტიკური პიროვნება მყისიერებაში ცხოვრობს, ხოლო ეთიკური ხანგრძლივობის ერთგულია, რელიგიური ადამიანი ცხოვრობს მტრულ დამოკიდებულებაში დროებითობასა და მარადიულობას შორის. მართალია მისი ცხოვრებაც დროულ მდინარებას ემორჩილება, მაგრამ ასეთი ცხოვრება მისთვის გაშუალებულია. მის შეშმარიტ მესთან იგი მუდმივ კონფლიქტშია. მისი მიზანი მარადიულობაა და რაც უფრო მკვეთრია ეს კონტრასტი მარადიულობასა და დროულობას შორის, რელიგიურობის ფორმა მით უფრო მაღალია. აი, ასეთია ცხოვრებისეული გზის ეტაპები, კიერკეგორის მიხედვით და ერთი ამ ეტაპიდან მეორეზე გადასვლა ხდება არჩევანის გზით. რა არის არჩევანი? არჩევანს განუზომელი მნიშვნელობა აქვს პიროვნების შინაგანი შინაარსის განსაზღვრისათვის: „არჩევანს თავისთავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების შინაგანი შინაარსისათვის: აკეთებს რა არჩევანს, იგი მთლიანად ივსება არჩეულით. თუ იგი არ ირჩევს, მაშინ მჭლევდება და ილუპება“. (ს. კიერკეგორი. „ტკბობა და მოვალეობა“. გვ. 230).

არჩევანი განსაზღვრავს პიროვნების შინაარსს მას შემდეგ, როცა უკვე მოხდება არჩევანი. რადგან ამის შემდეგ უკან დასახევი ყოველგვარი გზა მოჭრილია. არჩევანის გაკეთება ნიშნავს უარის თქმას უამრავ სხვა შესაძლებლობაზე **მხოლოდ ერთის არჩევას** ამ შესაძლებლობათაგან. თუ არჩევანის მოხდენამდე ადამიანი დაქუცმაცებული იყო შესაძლებლობათა ამ უამრავ ვარიანტებს შორის, არჩევანის მოხდენის შემდეგ იგი მთლიანდება, მთლიანპიროვნულდება. მაგრამ არჩევანის გაკეთება არაა იოლი საქმე. იოლი არ არის იმიტომ, რომ ის, ვინც არჩევანს აკეთებს, უარყოფს, აცამტვერებს, აუქმებს მთელ თავის მანამდელ ყოფიერებას, ანუ, კიერკეგორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ემშვიდობება თავის ყოველ თავისუფლებას, წინანდელ თავისუფლებას. თუმცა ეს თავისუფლება მოჩვენებითია. ცრუ თავისუფლებაა, რომლის არსება მდგომარეობს იმაში, რომ არჩევანის გამკეთებელს ჯერ კიდევ არ მოუპოვებია თავისი თავი. მაგრამ ამ მტანჯველი აქტის შესრულების შემდეგ ადამიანი იძენს თავის ნამდვილ რეალობას და ამიერიდან მხოლოდ მისი განხორციელებისათვის ილვწის... აქ დროებით შევჩერდეთ, შევწყვიტოთ არჩევანის შესახებ მსჯელობა და ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, შევუჯეროთ მინდიას მდგომარეობას. სასოწარკვეთილებამდე მისული მინდია დგება ამ მტანჯველი არჩევანის წინაშე. მინდიას რომ ასეთი არჩევანის შესაძლებლობა არ ჰქონოდა, ასეთ ტანჯულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ქაჯებს ეს გარემოება არ გამოჰპარვიათ და მისი სულიერი გვემის გასაძლიერებლად ასე ხშირად აყენებენ მინდიას არჩევანის წინაშე: აჩვენებენ, თითქოს გველის ხორცით იკვებებიან:

**იცოდა გველსა ჰხარშავდნენ,**
**იმასა სჭამდნენ ხშირადა —**

გვეუბნება ვაჟა.

მიუხედავად ამისა, მინდია ერთბაშად, უცბად მაინც ვერ აკეთებს არჩევანს, რადგან არ ეთმობა მთელი თავისი წინანდელი არსებობა გასაწირავად. გასაუქმებლად, არ ემეტება იმიტომ, რომ მას ჯერ არ შეუძლია იცოდეს თუ რა იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება არჩევანის გაკეთების შემდეგ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, არჩევანი ხდება. მინდია ირჩევს, აკეთებს არჩევანს:

ბოლოს სთქვა: თავს მოვიკლავ,
ასეთ სიცოცხლეს სჯობია. —

და იმ ქვაბიდან რომელშიც ქაჯები გველის ხორცს ხარშავდნენ

აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით, ქურდულად შეჭამა.

ასე არჩევანი მოხდებოდა. მანამდე მინდიას არ შეეძლო სცოდნოდა ნამდვილი მიზანი ქაჯებისა, როცა ისინი აჩვენებდნენ თითქოს გველის ხორცს სჭამდნენ. მანამდე ამის უნარი მას არ ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ, არჩევანის გაკეთების შემდეგ, როდესაც მასში ძირეული მეტამორფოზი ხდება, მინდია შეიგნებს, რომ ქაჯებმა განგებ მოაჩვენეს მას თითქოს გველის ხორცს ჭამდნენ, რათა ჩვეულებრივი ბუნებრივ-ემპირიული პიროვნებისათვის უცხო და მიუღებელი საქციელით გაეძლიერებინათ მისი მიჯაჭვულობა თავისი არსებობის მოჩვენებით თავისუფლებასთან, დაეტოვებინათ იგი სამარადჟამოდ უშუალო, ბუნებრივ-ემპირიულ დამოკიდებულებაში ყოფიერებასთან და ამით თავიანთი ფიზიკურ-ინტელექტუალური უპირატესობა შეენარჩუნებინათ, თუმცა გარეგნულად თითქოს აქეზებენ, უბიძგებენ ამ თანაფარდობის დარღვევისაკენ:

შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება,
სიბრიყვე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ",
არა ზარობდნენ სათქმელად.

მაგრამ ქაჯების უპირატესობა არ აღმოჩნდა სამარადჟამო, მათი გრძნეულება კი ყოვლისშემძლე: მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ სასოწარკვეთილების უკიდურეს ფორმაში ჩავარდნილ მინდიას შეეძლება გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი, — მოეხდინა არჩევანი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მინდია გააგრძელებდა არსებობას ძველებურად, უსაფუძვლო იმედების მოლოდინში, ათასგვარი მოსალოდნელი შესაძლებლობების გადარჩევაში, ე. ი. გააგრძელებდა გონიერ არსებობას (დაე, მოჩვენებითი იყოს ეს გონიერება, ეს მოჩვენებითობა იმ სიმაღლიდან ჯერ არ ჩანს) მაგრამ არჩევანის თავისებურება იმაშია, რომ იგი ინტელექტუალური აქტი არ არის, რადგან, როგორც კიერკეგორი ამბობს, გონებას მხოლოდ მორიგება შეუძლია დაპირისპირებულობისა, რადგან გონიერების მიხედვით, არ არსებობენ ისეთი დაპირისპირებულობანი, რომელთა მორიგება, შერიგება არ შეიძლებოდეს (შევადაროთ ჰეგელის გონების ყოვლადძლიერების კონცეფცია). არჩევანს ნება ახდენს, არჩევანი ნებელობითი აქტია, რადგან, გონებისაგან განსხვავებით, ნებისყოფა აძლიერებს დაპირისპირებულთა დაპირისპირებადობას, აძლიერებს კონფლიქტს პოლარულ მხარეებს შორის, აძლიერებს იმ ზომამდე, რომ ერთ-ერთი ამ მხარეთაგან უნდა მოიხსნას აუცილებლად (ძალზე ზუსტად შენიშნავს პ. გაიდენკო, რომ პრინციპი „ან-ან", რომელიც თავის ფილოსოფიურ კონცეფციას დაუდო საფუძვლად კიერკეგორმა, გამოხატავს არსებას ადამიანური ნებისას და არა გონებისას (გვ. 156). საწინააღმდეგო მხარეთაგან ერთ-ერთის მოხსნა არის სწორედ არჩევანი. მაგრამ არჩევანის ცნებაში არ იგულისხმება მრავალ ემპირიულ შესაძლებლობათაგან ერთ-ერთის არჩევა; ემპირიულ შესაძლებლობებს, ემპირიულის სფეროს საერთოდ, არჩევანი არ ეხება. არჩევანი არის ის, რაზედაც არაორაზროვნად მიგვითითებს კიერკეგორის იმ ნაწარმოების სრული სათაური, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ან-ან", თუმცა მისი სრული სახელწოდებაა „ან ყველაფერი, ან არაფერი". მაგრამ რა არის „არაფერი?" „არჩევანს ახდენს ადამიანის ნებისყოფა. არჩევანის აქტამდე იგი (ადამიანი) იყო ბუნებრივად, საკუთარი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული ინდივიდი. იგი იყო ისეთი, როგორადაც შექმნა ბუნებამ და გარემოებებმა, იგი ფლობდა გარკვეულ უნარებს, მიდრეკილებებს, ინდივიდუალურ თავისებურებათა უსასრულო მრავალფეროვნებას, რომლებიც უშუალოდ არიან ჩვეულებრივი ადამიანისათვის" (ს. კიერკეგორი იქვე) ეს არის „არაფერი", ასეთი ყოფიერება არის უპიროვნო ყოფიერება, ყოფიერება რომელშიც დაკარგულია საკუთარი „მე", დაკარგულია ინდივიდუალობა, პიროვნულობა, ეს არის არსებობა, რომლის დროსაც ადამიანს ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია საკუთარი თავი, ვერ უპოვია თავისი არსება და ამიტომ თავისუფალია არსებობისაგან, არსებობისადმი პასუხისმგებლობა არ ეხება, არ აწუხებს. ამ საფეხურზე ჯერ არ არის დაძლეული ადამიანის უშუალო არსებობა, ბუნებრივ-ემპირიული ყოფიერება და ეს არის სწორედ ესთეტიკური თვალსაზრისი სინამდვილისადმი, რომლის დაძლევა, გადალახვა არჩევანის გზით არის გადასვლა სხვა ეტაპზე, ანუ „ყველაფრის" მოპოვება. ეს ურთულესი სულიერი ნახტომი არის არსებითი გარდაქმნა, ძირეული მეტამორფოზი, მთელი სამყაროს შექმნა, ეს არის ხელახალი დაბადება ადამიანისა, დაბადება თავისივე თავისა, ანუ თვითშექმნა. ასეთი არჩევანი არის ნამდვილი არჩევანი, არჩევანი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ასეთი არჩევანის მეშვეობით ქმნის ადამიანი თავის ნამდვილ ყოფიერებას, იბადება ხელახლა. განა ასევე არ იბადება ხელახლა მინდია მას შემდეგ, რაც გველის ხორცს შეჭამს? განა მთლიანად არ გარდაიქმნება იგი ამის შემდეგ?

ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი შეისხა:
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერ-ხორციელად გარდაიქმნა მინდია. ძირის-ძირეულად გამოიცვალა, გამოიცვალა არა მისი ფორმალურ-ემპირიული კონსტიტუცია — ეს ერთობ პრიმიტიული გაგება იქნებოდა ამ ცვალებადობის ხასიათის — არამედ სწორედ მისი სულიერი სტრუქტურა და ამის გამო იგი თითქმის ხორციელადაც განსხვავებული გახდა, განსხვავებული თავის მსგავს ხორციელთაგან, მან შეიძინა, მოიპოვა „ყველაფერი“, მთელი სამყარო:

**ესმის დილიდან ყოველი,**
**რასაც ფრინველნი გალობენ,**
**ან მცენარენი, ცხოველნი,**
**როდის ილხენენ, წვალობენ,**
**რაც კი რამ დაუბადია**
**უფალს სულიერ-უსულო,**
**ყველასაც თურმე ენა აქვს,**
**არა ყოფილა ურჯულო.**

ეს არის სწორედ არჩეულით ავსება, არსებობის მთელი შინაარსის არჩეულით განსაზღვრულობა. მინდიას შინაგანი არსება ამიერიდან სავსეა ბუნების ხმებით. ბუნება ამიერიდან მისთვის სხვა კი არ არის, არამედ მისეულია, მასში არსებულია. ისინი — მინდია და ბუნება, სამყარო, ცალ-ცალკე კი აღარ არსებობენ, არამედ ერთად, გამთლიანებულნი. მინდია ხელახლა იშვა, მაგრამ იგი სხვას კი არ შეუქმნია, არამედ თვითონ შექმნა თავისი ახალი ყოფიერება, არსებობა, რითაც გადალახა ბუნებრივ-ემპირიული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ანუ სინამდვილის განცდის ესთეტიკური საფეხური. მინდია ამიერიდან აღარ არის სიტუაციაზე, გარემოებაზე დამოკიდებული და შექმნილი, გარემოებით განსაზღვრული არსება. სინამდვილის ემპირიული ხასიათი მის შინაარსს აღარ განაპირობებს, მინდია აღარ არის დროულობის ტყვე, იგი აღარ მორჩილებს ყოველდღიურობის კანონებს, აღარ უხდის ხარკს სწრაფწარმავლობას. მისთვის სინამდვილის ემპირიული დონე, სინამდვილის ემპირიული ასახვა განვლილი ეტაპია. ის ამ დონის მიღმა დგას, ამაღლებულია ამ დონეზე და მარადიულობისაკენ მიმავალ გზას მიჰყვება. მარადიულობისაკენ სწრაფვა, მარადიულ ღირებულებათა წვდომა მისთვის უკვე რეალობაა, სინამდვილეა და არა შესაძლებლობა. მაგრამ თვით მარადიულის სფეროში ყოფნა არ აღმოჩნდება მარადიული მინდიასათვის. სანამ ამ აზრს განვავრცობდეთ, ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი მინდიაში ცვლილებების თავისებურებას. კიერკეგორი წერს, რომ რჩევანის აქტი, რომელიც ნების მეშვეობით ხორციელდება, ქმნის არა ინდივიდს, არამედ პიროვნებას. განსხვავება ინდივიდსა და პიროვნებას შორის ისაა, რომ ინდივიდი „უშუალო-ბუნებრივია“, ე. ი. ბუნებრივ-ემპირიული ყოფიერებაა, ხოლო პიროვნება კი გონითი ყოფიერება, ე. ი. ნებას არ შეუძლია შექმნას ინდივიდი, რადგან ინდივიდი არის ემპირიული ნიშანთვისებათა, ერთობლიობა. ემპირიულის, უშუალო-ბუნებრივის შექმნა კი ნებას არ შეუძლია. სწორედ ამიტომ რჩება უცვლელი მინდიას ბუნებრივ-ემპირიული სტრუქტურა, მისი ფიზიკური, ფორმალური განსაზღვრულობა. ამიტომ უკვირთ მის თანამოძმეთ მისი ყოველგვარი ქცევა, მისი საქციელი: ჩვენც ხომ ასეთივე კაცნი ვართ, როგორც მინდია, მაშ ჩვენ რატომ არ უნდა გვესმოდეს ბუნების ხმები, ჩვენ რატომ არ გვაყენებსო ტკივილს ყოველდღიური ადამიანური საქმიანობა:

**ენა თუ ჰქონდეთ ხე-ქვათა,**
**ჩვენც რად არ გაგვიგონია?**
**ჩვენ სატყუებლად მინდიას**
**სიცრუე მოუგონია.**
**ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,**
**ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია?**

ჩალხიას ეს სიტყვები გამოხატავენ ინდივიდის პოზიციას და არა პიროვნებისას, ჩალხია უშუალო-ბუნებრივი ყოფიერებაა, იგი ინდივიდია და ამიტომ უკვირს მას გარეგნულად მისი მსგავსი არსების შინაგანი ბუნების ცვალებადობა. უკვირს ორი რამის გამო: პირველ ყოვლისა, ჩალხიას გონებისათვის მიუწვდომელია ადამიანისაგან ბუნების ხმათა, ცხოველთა და მცენარეთა ხმების მოსმენისა და გაგების უნარის შეძენა და ამ უნარის შესაძლებლობა საერთოდ. და თუ კი ასეთი უნარის შეძენა მართლა შესაძლებელია, როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს ადამიანის ემპირიული განსაზღვრულობის შეუცვლელად, მისი უშუალო-ბუნებრივი სტრუქტურის ფორმალურ გამოვლინებათა დაურღვევლად. ჩალხიასათვის არ არსებობს განსხვავება ინდივიდსა და პიროვნებას შორის, ინდივიდუალურის გარდა მან არ იცის სხვა ყოფიერება და ამიტომ მისი მსოფლგაგებაც ამ „ერთადერთი“ ყოფიერების პრინციპული პოზიციაა. გარდა ამისა, ჩალხიასათვის (და მის სხვა თანამოძმეთათვის) გაუგებარია თვით მინდიას „გაორება“. თუკი ხის მოჭრა და ნადირის მოკვლა ცოდვაა, ხომ უფრო დიდი ცოდვაა კაცის კვლა. მაგრამ როგორც ჩალხია განაგრძობს:

**მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავს**
**მინდია სდგამდეს გორასა,**
**რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც**
**კვლისას არ გვაძლევს ნებასა,**
**მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა**
**ჩვენსა დაარღვევს შვებასა,**
**ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,**
**ან გვიშლის რჯულის ცნებასა.**
**მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს**
**მტრისად შაქცევას ხელისას...**

ამგვარად დასმულ კითხვაში პასუხიც უკვე მოცემულია: მტრის ხელყოფა არ არის ცოდვა. ვაჟა-ფშაველა ამას არაერთგზის იმეორებს ამ პოემაშიც და სხვა ნაწარმოებებშიც. ჩალხია კი ვერ ამჩნევს იმ შეუსაბამობას, იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მტრის მოკვლასა და ცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალი ბუნების ხელყოფას შორის. ამ განსხვავებას ვერ ხედავს არა მარტო ჩალხია, არამედ ვერ ხედავენ სხვა ადამიანებიც, მათ შორის მზიაც, მინდიას მეუღლე და სულიერად მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი. ვერ ამჩნევენ იმიტომ, რომ მათთვის სინამდვილე მხოლოდ ყოველდღიური ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი არეა. ამიტომ ისინი სინამდვილესთან დამოკიდებულებაში ესთეტიკურ საფეხურზე იმყოფებიან (ტერმინ „ესთეტიკურში" აქ იგულისხმება მისი გენეტიკურ-ეტიმოლოგიური აზრით, მგრძნობელობა. ამიტომ სინამდვილისადმი დამოკიდებულების ესთეტიკურ საფეხურში ყოველთვის იგულისხმება გრძნობადი საფეხური), მხოლოდ და მხოლოდ ემპირიულად განიცდიან მას. ამგვარია ინდივიდის ყოფიერების არსი. მაგრამ მინდია სხვაგვარი ყოფიერებაა, გონითი ყოფიერება (გონი აქ Дух, Geist) და ამიტომ არსებითად განსხვავებული სხვათაგან. მას სხვათაგან განასხვავებს გონი, გონიერება, რომელიც არჩევანის (სიმბოლურად — გველის ხორცის ჭამის) შედეგად შეიძინა, რომელიც ნების მიერ მოხდენილმა არჩევანმა შესძინა. ვაჟა გაბრძნებას, გამეცნიერებას უწოდებს მინდიას მეტამორფოზას. ამრიგად, მინდიას პიროვნებად გარდაქმნა მისი გაბრძნების წყალობით ხდება. გონიერების მოპოვება სიბრძნის შეძენის შედეგია. მაგრამ რაში მდგომარეობს კონკრეტულად ამ სიბრძნის არსება, მისი შინაარსი? ვაჟა ამგვარად გადმოსცემს მინდიას გაბრძნების შინაარსს: იმის შემდეგ, რაც მინდიამ გველის ხორცი შეჭამა, მის წინაშე მთელი ბუნების კარი გაიხსნა იმის წყალობით, რომ ამიერიდან მას ესმის მცენარეთა და ცხოველთა ენა. ყოველივე ამის შედეგად იგი იმდენად გაძლიერდა, რომ „მას არაფრის ეშინის, თუნდ თავს დაატყდეს მეხია". ამრიგად, თუ მინდიას მიერ ბუნების ენის შეცნობის უნარის შეძენა მის გაბრძნებას ნიშნავს, თვით გაბრძნება მისი სიძლიერის (ლამის უძლეველობის) საფუძველია. საინტერესო და ყურადღება მისაქცევი ისიც არის აქ, რომ მინდიას სიბრძნე აბსოლუტურად დაცლილია, თავისუფალია ბოროტების ქმნისაგან, იგი ღვთაებრივი სიბრძნის ტოლფასია, „მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხია" — წერს ვაჟა. ბუნების, ბუნების ხმათა მოსმენის უნარის სიბრძნედ მიჩნევა ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიისათვის კარგად ცნობილი მოტივია: ჰერაკლიტეს მიხედვით სიბრძნე არის ბუნების ხმისადმი მიყურადება, ლოგოსის მოსმენა, ანუ, როგორც შემდეგ მ. ჰაიდეგერი იტყვის, ყოფიერების ხმის გაგონება, ყოფიერების ხმისადმი შესატყვისობა. მინდიამაც ლოგოსის გაგების უნარი შეიძინა, რადგან ყოფიერების შინაგანი ხმა, ლოგოსის ხმა სწორედ მცენარეთა და ცხოველთა „მეტყველებაში" გაცხადებული, ლოგოსის გაგება, ლოგოსის წვდომა კი ღვთაების, ღმერთის წვდომას ნიშნავს, რადგან ღმერთი ლოგოსია სწორედ: „პირველ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და სიტყვა იგი იყო ღმერთი". იოანეს სახარების ეს სიტყვები ქრისტიანული პრინციპის ზოგადი გამოხატულებაა და მისი საფუძველი ფილონის ფილოსოფიურ მოძღვრებაშია, რომელიც ქრისტიანობის ერთ-ერთი თეორიული წყარო გახდა. მინდია გაბრძენდა იმიტომ, რომ მან ღვთაების, ღმერთის ხმის მოსმენის უნარი შეიძინა. მას ამიერიდან შეუძლია ღვთისმიერი ხმებით ივსებოდეს, ღმერთის ხმა განაპირობებდეს მის ყოფიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მტერზე გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა, მტრის მძლეველი ვერ გახდებოდა, უძლეველობის საზღვარს ვერ მიაღწევდა და დარჩებოდა მხოლოდ ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა პასიურ „მსმენელად". მაგრამ იგი ღმერთთან ზიარებულია, ესმის მისი როგორც მის თანაზიარს და ამიტომ არის უძლეველი. მაგრამ მინდია ბუნების ხმებს ვერ მოისმენდა, ვერ ჩასწვდებოდა მათ, თვით ბუნება რომ არ იყოს ღვთაებრივი. ეს გარემოება პანთეიზმის სასარგებლოდ მეტყველებს და იგი დამოუკიდებელ კვლევას იმსახურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ბრაგვაძე

# აღმოსავლეთ კოლხეთის წარსულისათვის

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრები საირხის ნაქალაქარზე საშუალებას იძლევა, კიდევ უფრო გავაღრმაოთ ჩვენი ცოდნა ძველი კოლხეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საკმარისია აღინიშნოს, საირხის საბადურის გორის აღმოჩენებმა მეტი სიცხადე შეიტანეს კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებად — სკეპტუხიებად დაყოფის, სატაძრო მეურნეობის, კოლხური ოქრომჭედლობის, კოლხეთის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. წერილობითი წყაროებით (სტრაბონი) და არქეოლოგიური მონაცემებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ქვეყანა — სკეპტუხიაა ნავარაუდები (გ. გამყრელიძე, მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე", №2, 1980, გვ. 59), მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ვანის ნაქალაქარის შემდეგ არც ერთ ძეგლს არ მოუცია ისეთი მრავალფეროვანი და მრავლისმეტყველი არქეოლოგიური მასალა, როგორც საირხეს. ეს ვითარება საირხეს, ვანთან ერთად, აქცევს უნიკალურ ძეგლად, ურომლისოდაც ძალიან გაჭირდება საქართველოს ძველი ისტორიის ცალკეული პრობლემების კვლევა-ძიება.

საირხის არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილია რამდენიმე ნაშრომი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჯ. ნადირაძის მონოგრაფიები „ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები" და „საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი", რომლებშიც ავტორმა ამომწურავად განიხილა როგორც უახლესი, ასევე 80-იან წლებში აღმოჩენილი მასალა და შეიძლება ითქვას, სათავე დაუდო ანტიკური ხანის ზემო იმერეთის ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის შესწავლას.

საბადურის გორის ბოლო პერიოდის აღმოჩენები სათანადო განზოგადებებით აისახა მ. ინაძის გამოკვლევებში, რომლებიც ანტიკური კოლხეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეძღვნება, (მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, „მაცნე" № 4, 1986. მისივე, ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე" № 4, 1987). საბადურის გორის და ვანის მდიდრული სამარხეული ინვენტარის ანალიზის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება საირხის და, საერთოდ, ძველი კოლხეთის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის შესახებ. აღნიშნულია, რომ მევენახეობის განვითარება ხელს უწყობს სატაძრო თემების ეკონომიკურ და სოციალურ დაწინაურებას და დიდი სატაძრო ცენტრების გაჩენას.

ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის საირხის კერამიკას და ოქრომჭედლობას იკვლევენ ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები გ. მახარაძე და მ. წერეთელი.

ჩვენი მიზანია, ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ძვ. წ. V-IV საუკუნეების აღმოსავლეთ კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. წერილის სპეციფიკიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საშუალება არ გვექნება დაწვრილებით განვიხილოთ როგორც თვით არქეოლოგიური მასალა, ასევე აღმოჩენის პირობები. ყველაფერი ეს წარმოდგენილია ჯ. ნადირაძის წიგნებში, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მასალის კვლევა-ძიების შედეგების მოხმობით დავკმაყოფილდებით.

ძვ. წ. V—IV საუკუნეები საირხის ნაქალაქარზე წარმოდგენილია მდიდრული სამარხებით, სარიტუალო მოედნით (საბადურის გორა) და ნამოსახლარით (სახოველი, კარახტინი, კოდისწყალი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში საბადურის ბორცვი წარმოადგენს ადგილობრივი არისტოკრატიის სამვალეს.

სამარხეული ინვენტარის შედარებითი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ მოსაზრების შემდგომი განვითარება და ამ დროის კოლხეთის ერთიან სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში საირხის ფუნქციისა და მისი როლის გარკვევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადრეანტიკურ ხანაში საირხე წარმოადგენდა კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინციის ცენტრს (ჯ. ნადირაძე, „ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები", გვ. 79).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ დამკვიდრებულ აზრს იმის შესახებ, რომ კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიებად დაყოფა სამეფოს შექმნის თავდაპირველ ეტაპზევე უნდა მომხდარიყო და ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწესრიგებას (მ. ინაძე).

სამეფო ხელისუფლება უკეთ მართვისათვის თავიდანვე ცდილობდა სახელმწიფოს ერთიან ადმინისტრაციულ სისტემაში მოქცევას. ანალოგიურ ვითარებას ვხედავთ ლეონტი მროველის ცნობაში ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს საერისთაოებად დაყოფის შესახებ. ადრეანტიკური ხანის კოლხეთის სკეპტუხიები თავისი გენეზისით ფარნავაზის დროინდელი იბერიის საერისთაოების მსგავსნი იყვნენ და კოლხეთშიც, ისევე, როგორც იბერიაში, სავამგეო ერთეულებად დაყოფას ეთნო-ტერიტორიული პრინციპი ედო საფუძვლად.

ძველი კოლხეთის პოლიტიკური ვითარების ამსახველი წერილობითი წყაროების სიმწირე საშუალებას არ გვაძლევს ამომწურავად განვავითაროთ ეს ვარაუდი, მაგრამ ერთი მხრივ არქეოლოგიური მონაცემები და მეორე მხრივ საისტორიო ტრადიციის ცნობა (ლეონტი მროველი) შედარებით გვიანდელ ქართულ სახელმწიფოში (იბერიაში) განხორციელებული რეფორმების შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ კოლხეთისა და იბერიის ადმინისტრაციული დაყოფისას მსგავს მოვლენებთან უნდა გვქონდეს საქმე.

სკეპტუხიების გაჩენას თავისთავად თან სდევდა ამ სავამგეო ერთეულების ქალაქების წარმოქმნა-განვითარებაც. აღნიშნული ქალაქები სკეპტუხიის შიგნით თავიანთ გარშემო აერთიანებდნენ გარკვეულ მიწა-წყალს, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ამ ქალაქებზე იყო დამოკიდებული; ამით ეს საქალაქო ცენტრები, როგორც ჩანს, სკეპტუხიაში ქმნიდნენ პატარ-პატარა ქვეყნებს, რომელთა განმგებლობა აქაური მმართველი ზედაფენის ხელში იყო თავმოყრილი.

სკეპტუხიის მთავარ ქალაქებს უპირატესი როლი უნდა შეესრულებინათ, როგორც შინა პოლიტიკურ მართვაში, ასევე საგარეო სავაჭრო ურთიერთობებშიც. არქეოლოგიური აღმოჩენებიც (ვანი, საირხე) საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ცალკეული სკეპტუხიების ქალაქები ამავე დროს რელიგიური და სავაჭრო გამანაწილებელი ცენტრებიც იყვნენ.

ამგვარად, ჩვენ რეალურად მიგვაჩნია აზრი იმის შესახებ, რომ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის — სკეპტუხიის ცენტრი საირხე იყო.

საირხის ქვეყნის ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ფუნქციებით, რაც ქმნიდა მტკიცე საფუძველს სოციალური განცალკევებისა და კოლხ წარჩინებულთა კიდევ უფრო გამდიდრებისათვის. რამდენადაც სამეფოს მიერ ბოძებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას მოჰქონდა ახალი შემოსავალი ხარკის სახით, რომელიც განისაზღვრებოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ასევე ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთების სახითაც (ოთ. ლორთქიფანიძე).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს საირხის საბადურის გორის ძვ. წ. V ს-ის II ნახევრისა და ძვ. წ. IV ს-ის სამარხეული ინვენტარი.

ძვ. წ. V ს-ის II ნახევრით დათარიღებულ № 5 სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული და ხუთი ცხენი. სამარხში აღმოჩენილ მასალას წარმოვადგენთ თითოეულ მიცვალებულთან მიმართებაში, რადგან ამას, როგორც ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საირხის საზოგადოების ზედა ფენის სტრატიფიკაციის დადგენის თვალსაზრისით.

პირველ მიცვალებულთან აღმოჩნდა გრეხილრკალიანი ვერცხლის დიადემა და ცვარათი შემკული მთვარისებური ფორმის ოქროს საყურეები. მეორე მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის დიადემა, ცვარათი შემკული ოქროს ორი საყურე, ოქროსგან გამოტვიფრული არწივის ორი ქანდაკება და ლეკითოსი. მესამე მიცვალებულს ეკუთვნოდა ვერცხლის დიადემა, ვერცხლის სამაჯურები, ოქროს საკიდი, ნახევარმთვარისებური ფორმის ოქროს საყურეები, მძივები და ვერძისთავებისაგან შედგენილი ოქროს ყელსაბამი. ქონებრივი განსხვავება შეიმჩნევა ცხენების ინვენტარშიც (ჯ. ნადირაძე, საირხის საგანძური, გვ. 150-151).

მეხუთე სამარხის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს დიადემების ჩაყოლების ფაქტი სამივე მიცვალებულისათვის, რაც მათ მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს. დიადემების ჩატანება ამ დროის კოლხეთის საზოგადოებაში დაწინაურებულ პირთათვის განკუთვნილი წესი ჩანს. საირხის მსგავსი სიტუაცია დადასტურებულია ვანის № 11 სამარხშიც (ოთ. ლორთქიფანიძე, ვანი III, გვ. 16). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული ქალები იყვნენ მთავარი მიცვალებულის პირადი მოახლეები, მასთან დაახლოებული პირნი და ამ შემთხვევაში ისინი სოციალურად უუფლებო პირებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ის გარემოება, რომ მათაც ისევე, როგორც მთავარ მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ დიადემები, უნდა მიანიშნებდეს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს ეკონომიკურად და სოციალურად საკმაოდ დაწინაურებული ფენის წარმომადგენლებთან (მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, გვ. 48). გამოთქმული მოსაზრების თანახმად, დაკრძალვის ეს თავისებური წესი უნდა აიხსნას მისი საკულტო ხასიათით. დაკრძალვის ამ რიტუალის შესრულების დროს უველაფერი უზენაესი ღვთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების — ნაყოფიერების ღმერთქალის სახელით ხდება და მის შემდგომ გაძლიერება-განამტკიცებას ემსახურება.

ასე, რომ, საირხის მეწულე სამარხში დაკრძალული მეორე და მესამე მიცვალებულის სახით საქმე უნდა გვქონდეს წარჩინებული გვარების წარმომადგენლებთან, რომლებიც ქალღვთაების მსახურებისთვის იყვნენ შეწირულნი. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სტრაბონის ცნობა ანაიტიდის ტაძრებში ქალღვთაებისათვის ქალწულთა შეწირვის შესახებ, რაც ამ ღვთაების სამსახურს ისახავდა მიზნად (თ. ყაუხჩიშვილი).

იმისათვის, რათა ერთ ასპექტში გავიაზროთ ძვ. წ. V-IV საუკუნეების კოლხეთის წარჩინებულთა წრეში არსებული ქონებრივი დიფერენციაცია და იერარქიული განსხვავება, აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ საბადურის გორაზე აღმოჩენილი თანადროული სამარხების ინვენტარი. ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება მერვე და მეათე აკლდამები.

მეათე აკლდამაში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩნდა ასზე მეტი ყვავილის ფორმის ოქროს ფირფიტა, რკალვარდულიანი ოქროს საყურეები, ზარის გამოსახულებიანი ოქროს მედალიონი, ოთხი ოქროს ყელსაბამი და ასობით სხვადასხვა ფორმის საკიდი, ოქროს ბალთა და ცილინდრული ფორმის ოქროს ლილაკები; ზარის გამოსახულებიანი ოქროს საბეჭდავი ბეჭედი; ფარაკიანი ოქროს ბეჭდები; ოქროს სამაჯურები, ოქროს კოვზი და ოქროს ზოდი. ვერცხლის ნივთებიდან აღსანიშნავია გრეხილრკალიანი კოვზი, ომფალოსიანი ფიალა და სურა (გ. ნადირაძე).

იმ აკლდამებიდან, რომლებიც საირხეში გაითხარა, შედარებით კარგად იყო შემორჩენილი № 8 სამარხის ნაგებობა. სამარხი ორკამერიანი იყო. ჩრდილოეთის კამერაში დაეკრძალავთ სამი მიცვალებული, ხუთი ცხენი და ორი ძაღლი. ამ კამერაში დაკრძალულ მიცვალებულებს აღმოაჩნდათ ნახევარმთვარისებური ფორმის საყურეები და ვერცხლის საკისრე რგოლები.

სამხრეთის კამერაში იდგა დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბი. აქვე აღმოჩნდა ვერცხლის და ოქროს სამაჯურები, ოქროს საყურე, ოქროს საკიდები, კოლხური მონეტები, კოლხური ჭურჭლის ფრაგმენტები, ორი საბეჭდავი ბეჭედი და ლეკითოსის ნაწილი.

საირხის მდიდრული აკლდამები ნაგებია ხის მორებით, ქვის მშრალი წყობით და რკინის დიდი ზომის ლურსმნებით. ყველა მათგანი დაცულია ქვაყრილებით.

ყვირილის ხეობის საზოგადოებაში არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმობაა საირხის ქვეყნის ფარგლებში მდებარე ითხვისსა და მოდინახეზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის სამარხები, რომელთა ინვენტარი მკვეთრად განსხვავდება საბადურის გორის მდიდრული სამარხებისაგან.

მოდინახეზე ადრეანტიკური ხანის ოთხი სამარხია შესწავლილი. მათი აღნაგობის წესი სხვადასხვაგვარია; [illegible] და [illegible] სამარხები, რომლებშიც დაკრძალულია თითო მიცვალებული მკვეთრად მოკრუნჩხულ პოზაში. ინვენტარი ძირითადად თიხის ნაწარმითაა წარმოდგენილი, თუმცა გვხვდება ოქროს სამი საყურე, ოქროს მძივები, ვერცხლის საკისრე რგოლი, ვერცხლის სამაჯური და კოლხური მონეტები.

სავარაუდოა, რომ მოდინახეზე დაკრძალული პირთა სახით საქმე გვქონდეს მიწაზე მყარად მიმაგრებულ, მწარმოებელ ფენასთან, რომელიც გაერთიანებულია ერთ სასოფლო-ტერიტორიულ, შესაძლებელია, სატაძრო თემში, რომლის შემოსავლის გარკვეული ნაწილი ამ თემის დიდებულთა საკუთრებაა. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე მოდინახეზე დაკრძალულ პირთა ასეთი სიუზერენი საირხეში, საბადურის გორაზე დაკრძალული დიდებულები ჩანან. ე. ი. ძვ. წ. V-IV საუკუნეებში საირხე, როგორც სკეპტუხიის ცენტრალური ქალაქი და ამავე დროს მთავარი რელიგიური ცენტრი, თავის გარშემო აერთიანებს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ მთისწინა ზოლის მოსახლეობასაც, რომელთაც მოდინახეზე გამოვლენილი ძეგლის მიხედვით, არცთუ ისე დაბალი ადგილი უნდა სჭეროდათ ძველი კოლხეთის სოციალურ იერარქიაში (მიუხედავად ამ ფენის მწარმოებლური ხასიათისა). ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული უფრო დაბალი კატეგორიის ფენის არსებობაც.

განსხვავებულ სოციალურ წრეს მიეკუთვნება ითხვისში აღმოჩენილი ძვ. წ. V ს-ის II ნახევრით დათარიღებული სამარხი, სადაც ვერცხლის დიადემასთან ერთად ყურადღებას იპყრობს საბრძოლო იარაღები; სათმარი ცული, რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები; ითხვისის სამარხიც რკინის ლურსმნებით შეკრული და ქვაყრილით დაცული ხის ნაგებობაა; მიცვალებულს ახლავს შეწირული ცხენი; საინტერესო მოვლენაა სამარხში ჩატარებული შავლაკიანი თასი, რომელზეც მისი მფლობელის ვინაობაა ამოკაწრული (ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი. 1968, გვ. 31-45). ითხვისის სამარხი იმდენად იმსახურებს ყურადღებას, რამდენადაც ადრეანტიკური ხანის ყვირილის ხეობაში იგი ერთადერთი იარაღიანი სამარხია. აქ დაკრძალული მიცვალებული წარჩინებულთა წრეს რომ ეკუთვნოდა, ამ ფაქტზე ვერცხლის დიადემაც მეტყველებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდით, დიადემა ხელისუფლების ინსიგნიაა და მისი დანიშნულება მხოლოდ დასაკრძალავ რიტუალში მონაწილეობით არ განისაზღვრება. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ შევეხებით, ახლა კი იმას აღვნიშნავთ, რომ ითხვისის სამარხს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ძველი კოლხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის საზოგადოების იერარქიული კიბის შესწავლის თვალსაზრისით. კოლხეთის სამეფოს მოსახლეობის შინაგანი სტრუქტურის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო ღრმავდება სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა წარმოქმნის პროცესი. დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება უშუალო მწარმოებელ თუ სამხედრო საქმეში დასპეციალებულ ადამიანებზე. ხშირი ომიანობის პირობებში თანდათანობით შეუძლებელი ხდება მიწათმოქმედისა და მეომრის ფუნქციების შეთავსება (რაც ესოდენ ახასიათებს წინარეანტიკური ხანის კოლხეთს).

გვიან ანტიკური ხანის ქართლის სახელმწიფო წყობილების დახასიათებისას გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება შეძლებული მეთემეების პრივილეგიად იქცა. ამ გზით ეს მეთემეები ნელ-ნელა პროფესიონალ მეომრებად — მხედრების სამხედრო წოდებად ყალიბდებიან; მათგან იქმნება მუდმივი სამეფო რაზმები და ინიშნებიან სამხედრო მოხელეები.

ბოლო ათწლეულების არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი პროცესი კოლხეთის სამეფოშიც მიმდინარეობდა და ამ ვითარებას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მიგვაჩნია, რომ სწორედ ითხვისში აღმოჩენილი სამარხით შეიძლება დავადასტუროთ ვარაუდი ძვ. წ. V-IV საუკუნეების კოლხეთის საზოგადოებაში მეომარი ზედაფენის არსებობის შესახებ. ჩვენს ნათქვამს მხარს უჭერს ვანში მიკვლეული წარჩინებული კოლხი მეომრების სამარხებიც. ე. ი. ძვ. წწ V-IV საუკუნეების კოლხეთის სამეფოში ცალკე ფენას მეომარი მოსახლეობა წარმოადგენდა, ხოლო მის სათავეში დაწინაურებული, სავარაუდოა, ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვილი მხედარი იდგა.

ითხვისის წარჩინებული მხედარი, შესაძლოა, სკეპტუხის შიგნით მმართველის, ე. ი. სკეპტუხის, შემდგომ მეორე პირსაც წარმოადგენდა. მასვე ხელთ უნდა ჰპყრობოდა გარკვეული ტერიტორიის მართვა-გამგეობაც — ქვეყნის დაცვის მიზნით.

ითხვისში დაკრძალულ პიროვნებას რომ რაღაც მსგავსი ფუნქციები ექნებოდა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამარხის გვერდით აღმოჩენილი რიგითი ორმოსამარხებიც (რ. აბრამიშვილი) იმაზე მიუთითებენ, რომ იგი არ იყო უზენაესი მმართველი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი, თუმცაღა საზოგადოებაში დაწინაურებული ადგილი უნდა სჭეროდა. ამ მხრივ საყურადღებო პარალელს წარმოადგენს მთისძირის სამარხი, რომელიც, მართალია საკმაოდ დაზიანებული სახით იქნა წარმოჩენილი, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავს მკვლევართა ვარაუდს, რომ იგი ეკუთვნის ადგილობრივ წარჩინებულ პირს, ამასთანავე, ეს დიდებული ან შესაძლოა მისი ოჯახის რომელიმე წევრი, გარკვეულ როლს ასრულებდა ვანის ქვეყნის საოლქო-რაიონების მართვა-გამგეობაში (გ. გამყრელიძე).

მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე მთისძირის სამარხი ზოგადად ძვ. წ. V-IV საუკუნეებით არის დათარიღებული. ნიშანდობლივია, რომ ითხვისის სამარხიც ადრეანტიკურ ხანას განეკუთვნება. როგორც ჩანს, ამ დროის კოლხეთის სამეფოში და, კერძოდ, ვანის და საირხის ქვეყნებში, საგამგეო ხელისუფლება დიფერენცირებული იყო.

შესაძლოა, კვლევის ამ ეტაპზე არქეოლოგიური მასალა არ იძლეოდეს მყარად არგუმენტირებული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას, მაგრამ ვარაუდის სახით მაინც შეიძლება ითქვას, რომ ითხვისისა და მთისძირის აღმოჩენები მიანიშნებენ მართვა-გამგეობის ინსტიტუტის მრავალსაფეხურიანობაზე. ასე რომ, ჩვენი აზრით, ითხვისს საირხის ქვეყანაში იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რაც მთისძირს — ვანის ქვეყნისთვის.

ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეცადეთ დაგვეხასიათებინა ის ძირითადი სოციალური ფენები, რომლებიც ემსახურებოდნენ საირხის ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი სიძლიერის განმტკიცებას.

ახლა კი შევეცდებით, მოკლედ შევეხოთ საირხის მმართველი ზედაფენის, საგვარეულო არისტოკრატიის სოციალურ-პოლიტიკური არსის გარკვევას.

ზემოთ მიმოხილული სამარხეული ინვენტარის მაგალითზე შეინიშნება აქ დაკრძალულთა შორის ქონებრივი განსხვავება და ამ მხრივ ეს სამარხები არაერთგვაროვანია. სხვადასხვანაირია თვით სამარხთა აღნაგობაც. მაგ. მეხუთე და მერვე აკლდამები ორ-ორი კამერიანი ნაგებობაა, მაშინ, როცა მეათე სამარხს მხოლოდ ერთი დასაკრძალავი კამერა აქვს. მთავარ მიცვალებულთან ერთად ჩაყოლებული პირების რაოდენობაც სხვადასხვანაირია. თუ მეხუთე და მერვე სამარხში წარჩინებულთან ერთად ორ-ორი მიცვალებულია დაკრძალული, მეათე სამარხში — ერთია (ჯ. ნადირაძე).

დასაწყისში ვწერდით, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად საირხის დიდებულები მიეკუთვნებოდნენ კოლხეთის უზენაეს მმართველობათა ზედაფენას და მათ ხელში მოქცეული იყო როგორც საერო, ასევე სასულიერო ფუნქციები. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ხაბადურის გორაზე დაკრძალულ მიცვალებულთა (არისტოკრატთა) შორისაც შესაძლებელია იერარქიული საფეხურის გამოყოფა. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს სწორედ სამარხთა აღნაგობის, მიცვალებულთა დაკრძალვისა და ინვენტარის ჩაყოლების ფაქტი. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ ცალკე უნდა გამოიყოს მეხუთე და მერვე აკლდამები, რომლებიც შესაბამისად ძვ. წ. V ს-ის II ნახევრით (მეხუთე აკლდამა) და ძვ. წ. IV ს-ის შუახანებითაა (მერვე აკლდამა) დათარიღებული (ჯ. ნადირაძე).

ძვ. წ. VI-V საუკუნეებში კოლხეთის სამეფოში ძირეული ძვრები ხდება. კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად ვითარდებიან და საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ნაყოფიერი მიწებით გარშემორტყმული სატაძრო თემები (მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში), რომლებიც თავის ირგვლივ აერთიანებენ გარკვეულ მიწაწყალს და ამით მტკიცე ეკონომიკურ და სოციალურ ბაზისს იქმნიან ქვეყნის მართვა-გამგეობაში ჰეგემონობის მიღწევისათვის. სატაძრო თემები თანდათანობით ხელთ იგდებენ ქვეყნის პოლიტიკურ სადავეებსაც და, ამდენად, ქურუმთა ზედაფენა სკეპტუხიის შიგნით საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი ძალა ხდება.

საირხის საბადურის გორის მეხუთე და მერვე სამარხებიც ამ ვითარების ამსახველ სიტუაციას გვიხატავენ. ორივე სამარხი საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა და მათში ადამიანების გარდა ცხენებიც არიან დაკრძალულნი.

ცხენების შეწირვის შემთხვევას და სამარხთა აღნაგობას კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მიგვაჩნია, რომ როდესაც ერთ სამაროვანზე, ერთი და იგივე საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელთა დაკრძალვის პირობებში, მათ შორის არსებული იერარქიის დადგენას ვცდილობთ, დახმარება სწორედ ამ ფაქტმა შეიძლება გაგვიწიოს. ამ მხრივ მეხუთე და მერვე სამარხის კუთვნილ მიცვალებულთა უპირატესობა დანარჩენ სამარხებზე, ვთქვათ, მეათე სამარხთან შედარებით აშკარად ჩანს. აშკარაა განსხვავება ინვენტარის მიხედვითაც. მართალია, მეათე სამარხში უფრო მეტი ძვირფასი ნივთი აღმოჩნდა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეხუთე და მერვე სამარხის მთავარი კამერები გაძარცულია (ჯ. ნადირაძე, საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი), მიუხედავად ამისა, მეხუთე და მერვე სამარხში მაინც გადარჩენილი იყო დიდგვაროვანთა პოლიტიკური ძალაუფლების სიმბოლოები (დიადემები, საკისრე რგოლები), მაშინ როდესაც ხელუხლებელ და გაუნძრეველ მეათე სამარხის ინვენტარში არ ფიქსირდება მაღალი თანამდებობრივი უფლებების გამომხატველი ინსიგნიები (გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ხარის გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭედი), თვით მეათე სამარხის აგებულებაც მიანიშნებს, რომ მასში დაკრძალული პირი ვერ უტოლდება მეხუთე და მერვე სამარხის დიდებულებს.

მეათე სამარხი სულ ოთხი კვადრატული მეტრის მოცულობისაა. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ მეხუთე სამარხის ფართობი ოც კვადრატულ მეტრს უდრიდა, ხოლო მერვე სამარხის ჩრდილოეთი კამერა თორმეტი კვადრატული მეტრი იყო, სამხრეთის კამერა — შვიდი კვადრატული მეტრი.

ჩვენი აზრით, ერთი გვარის შიგნით სამარხთა აღნაგობის ასეთი განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, მათში დაკრძალულ მიცვალებულთა სოციალურ-პოლიტიკური სტატუსით უნდა აიხსნას. ამ თვალსაზრის ერთგვარად მხარს უჭერს ცხენების თანადაკრძალვის ფაქტიც.

მეხუთე და მერვე სამარხში ხუთ-ხუთი ცხენი იყო დაკრძალული. საბადურის გორის სამარხები გვიჩვენებენ, რომ მიცვალებულთათვის ცხენის შეწირვა სამარხში დაკრძალულ მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას უკავშირდება, ასე რომ, მეათე სამარხში დაკრძალული პირისათვის ცხენის ჩაუყოლებლობა არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა.

მთავარ მიცვალებულთან ერთად შეწირული ერთადერთი მიცვალებულიც (მაშინ, როდესაც მეხუთე და მერვე სამარხში ორ-ორი ქალია შეწირული) უნდა მიანიშნებდეს, რომ მეათე სამარხის პატრონი ვერ ამაღლდა უშუალოდ მმართველის სტატუსამდე. ამ მხრივ ის გარემოება, რომ მეათე სამარხის მთავარი მიცვალებული არ იყო შემკული დიადემით, ნიშანდობლივი ჩანს. როგორც ვიცით, დიადემით იყვნენ შემკულნი მეხუთე სამარხის მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული ქალები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მათი სახით საქმე გვაქვს მთავარ რელიგიურ და პოლიტიკურ ხელისუფალთათვის ნებით შეწირულ, ღვთით შთაგონებულ ქალებთან, რომელთაც ძველ კოლხეთში საკმაოდ დაწინაურებული მდგომარეობა ეკავათ (მ. ინაძე). ამიტომ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ მეხუთე სამარხში ჩაყოლებულ ქალებს დიადემებით შემკობის ნებას საირხის უმაღლესი ხელისუფლისადმი სამსახური რთავდა: ამის საპირისპიროდ, მეათე სამარხის წარჩინებული ქალისთვის, როგორც ჩანს, ასეთი პრივილეგია, ე. ი. მონაწილეობა მმართველობაში ხელმისაწვდომი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, საბადურის გორის არქეოლოგიური მონაცემები გვაძლევს ასეთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას. ასე რომ, საირხის მმართველ ზედაფენაშიც შესაძლებელია სოციალური დიფერენციაციის დაშვება.

მიგვაჩნია, რომ სკეპტუხიის უმაღლეს მმართველობას საბადურის გორაზე მეხუთე და მერვე სამარხში დაკრძალული არისტოკრატები ახორციელებდნენ. რაც შეეხება მეათე სამარხში დაკრძალულ პიროვნებას, იგი, რა თქმა უნდა, არისტოკრატიის წარმომადგენელია, მაგრამ მისი წილი ქვეყნის მართვა-გამგეობაში მოკრძალებული უნდა ყოფილიყო. მეათე სამარხის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საირხის საგვარეულო არისტოკრატიის სოციალური იერარქიის შესწავლის თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ვითარება მიანიშნებს იმაზე, რომ სკეპტუხიას ერთი საგვარეულოს კონკრეტული პირები განაგებდნენ, ხოლო საბადურის გორაზე ამ გვარის სხვა წარმომადგენლებიც იმარხებოდნენ. აქედან კი იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ საირხის უზენაესი სახელისუფლებო ფუნქციები ერთი საგვარეულოს კუთვნილებად ითვლებოდა და იგი მემკვიდრეობით გადაიცემოდა. ამის დასტურად მეათე სამარხის გარდა საბადურის გორაზე აღმოჩენილი მეოთხე და მეცხრე სამარხები შეიძლება გამოდგეს. განსაკუთრებით საინტერესო მოვლენაა მეცხრე სამარხის აღმოჩენის ფაქტი. მეცხრე სამარხი საგანგებოდ იყო ჩაშენებული მერვე აკლდამის მატურში (ჯ. ნადირაძე), რაც მიანიშნებს მერვე და მეცხრე სამარხში დაკრძალულ პირთა აშკარა ნათესაობაზე.

ძველ კოლხეთში უზენაესი მმართველობა რომ ერთი საგვარეულოს ხელში იყო და იგი მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა, კარგად დასტურდება ვანის მეოთხე სამარხითაც, რომელშიც მცირეწლოვანი გოგონაა დაკრძალული (მ. ინაძე).

ასე რომ, ვანის და საირხის მაგალითების მიხედვით, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება კოლხეთის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.

საირხეში დაკრძალული დიდებულები (ძვ. წ. V-IV სს.) შესაძლებელია, მოგვიანო ხანაში ერისთავის ფუნქციით ყოფილიყვნენ აღჭურვილნი. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ყველაფერი ის, რაც ადრეანტიკური ხანის დიდებულთა სამარხებში მოიპოვება — დიადემა, სამაჯები, ცხენი, შტანდარტი — შუა საუკუნეებში ერისთავის ინსიგნია — ნიშანი იყო (ი. გაგოშიძე).

მართალია, საირხის სამარხებში შტანდარტები არ გვხვდება, მაგრამ დიადემების, ცხენების და სამაჯების არსებობის შემთხვევები გვაძლევს საფუძველს, მათში მოგვიანო ხანის ერისთავის ფუნქციის მატარებელი პირების ინსიგნიები დავინახოთ.

თავში უკვე აღვნიშნავდით, ადრეანტიკური ხანის სკეპტუხიებისა და შედარებით გვიანი ხანის ქართლის საერისთაოების ინსტიტუტების მსგავსებას მათი გენეზისის თვალსაზრისით. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ მართალია, ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანებში საერისთაოებს სხვადასხვა გვარი უდგას სათავეში, მაგრამ ეს მოვლენა ფარნავაზის პოლიტიკის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. შესაძლოა, იბერიის მიერ აღმოსავლეთ კოლხეთის მიერთების შემდეგ, ადრეანტიკური ხანის კოლხეთის საგვარეულო არისტოკრატიის საერისთაო ფუნქციები ახლად დაწინაურებულ, იბერიის სამეფო კარზე უფრო ახლოს მდგომ და უფრო საიმედო გვარის ხელში გადავიდა. ამასვე მიანიშნებს საბადურის გორის სტრატიგრაფიაც, სადაც ძვ. წ. III ს-ის I მეოთხედის ბოლოს მდიდრული სამაროვანი არსებობას წყვეტს.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, ძვ. წ. V-IV საუკუნეების ყვირილის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მომენტი. შეძლებისდაგვარად გამოვყავით როგორც მთლიანად აღმოსავლეთ კოლხეთისათვის დამახასიათებელი სოციალური იერარქიის რამოდენიმე საფეხური, ასევე შევეცადეთ წარმოგვეჩინა საირხის წარჩინებულთა წრეში არსებული სოციალური განსხვავებულობის ნიშნები.

ამ საკითხებზე მსჯელობისას პარალელურად ვიხმობდით ვანის ნაქალაქარის თანადროულ ძეგლებს. როგორც განხილულმა მასალებმა გვიჩვენა, ძვ. წ. V-IV საუკუნეების ვანში და საირხეში მსგავსი მოვლენები შეინიშნება, ესენია: არსებობა წარჩინებული საგვარეულო არისტოკრატიისა, რომელიც აღჭურვილია საერო და სასულიერო ფუნქციებით; ვანის და საირხის სკეპტუხიათა სტრუქტურული ერთიანობა; სკეპტუხიის მთავარი ქალაქების პარალელურად დაწინაურებული დასახლებული პუნქტების წარმოქმნის პროცესი: საგვარეულო არისტოკრატიის მემკვიდრეობითი უფლებები; მეომარი და მწარმოებლური ფენის გამიჯვნის პროცესის თანდათანობით, გაღრმავება; სატაძრო თემების წარმოქმნა-დაწინაურება — მათ გარშემო ცალკეული ქვეყნების, გაერთიანება; მიცვალებულთა ერთნაირად დაკრძალვა; სამარხეული ინვენტარის, განსაკუთრებით საიუველირო ნაწარმის სიუხვე; მყარი ქონებრივი დიფერენციაცია და სხვა მოვლენები მიანიშნებს ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხეთის სამეფოს ცენტრალური და აღმოსავლეთი რეგიონების საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ ერთგვაროვნებაზე და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მის სიძლიერეზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანო მესხი

# სიწმინდის კრიზისის პრობლემა ტომას პინჩონის რომანში „მიზიდულობის ცისარტყელა“

1987 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა მცირე მოცულობის ინფორმაციული წერილი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი საზოგადოებისათვის წარედგინა მსოფლიო ლიტერატურული სამყაროსათვის უკვე კარგად ცნობილი მწერალი, ამერიკული პოსტ-მოდერნიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი ტომას პინჩონი. ტ. პინჩონი დაიბადა 1937 წელს, კორნელის უნივერსიტეტში ტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „კვდომა და შეცოდება ვენაში“, (Mortality and Mercy in Vienna) ამის შემდეგ მისი მოთხრობები ხშირად ქვეყნდებოდა მრავალ ჟურნალში.

1963 წელს ტომას პინჩონის პირველმა რომანმა „V“ ფოლკნერის სახელობის პრიზი დაიმსახურა, 1973 წელს კი მის უკანასკნელ ნაწარმოებს „მიზიდულობის ცისარტყელა“ Gracity's Rainbow) ეროვნული წიგნის ჯილდო მიეკუთვნა. რომანი „მიზიდულობის ცისარტყელა“ მრავალწახნაგოვანი, ინფორმაციულად მრავლის მომცველი და ამდენად, ფრიად საყურადღებო ნაწარმოებია. რომანში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მსოფლიო, გარკვეული აქცენტით, საბჭოთა ტექნოკრატიული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი რეალობის ფრიად ორიგინალური ასახვა-გახსნა, რასაც მისი ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ხშირია პირდაპირი თუ არაპირდაპირი — ქვეტექსტური ანალოგიები საბჭოური ცხოვრების წესთან. გასაბჭოების დროინდელი ისტორიული ფაქტების თავისებური გადმოცემა, რევოლუციის ლიდერთა მოქმედ გმირებად გამოყვანა და სხვა. აქედან გამომდინარე, რომანი „მიზიდულობის ცისარტყელა“ ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ამან განსაზღვრა წინამდებარე წერილის ავტორის მოკრძალებული ცდა, გაშიფროს მწერლის მიერ წამოყენებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა — წმინდანობის კრიზისი თანამედროვე საზოგადოებაში.

ხტატია წმინდა მედიტაციური ხაზის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი არ გახლავთ; მისი მიზანი შედარებით მარტივია — მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანოს ტექსტის ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელი მეთოდიკით გამოვლენილი რომან „მიზიდულობის ცისარტყელას“ გარკვეული ინფორმაციული მხარე.

მრავალი კრიტიკოსის მიერ ამერიკული მწერლობის ცოცხალ კლასიკოსადაა აღიარებული და ჯეიმს ჯოისის ღირსეულ კონკურენტად ითვლება, ხელოვანი თავისი წერის მანერით, გადმოსაცემი ინფორმაციის მასშტაბურობითა და მარადიულობით, აგრეთვე ნაწარმოების წმინდა ენობრივი თუ მხატვრული მახასიათებლებითა და ენათმეცნიერული ინოვაციებით განუმეორებელია: არა მარტო ამერიკულ, არამედ XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში.

„მიზიდულობის ცისარტყელა“ კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ამსახველ და უწვრილმანეს დეტალებამდე დახვეწილ ფილიგრანულ ნამუშევარს უფრო გვაგონებს, ვიდრე თუნდაც მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებს. თანამედროვე სამყაროს პრობლემების ორკესტრული შერწყმა-შეხამების საფუძველზე ავტორი ქმნის არაჩვეულებრივად შთამბეჭდავ ცხოვრებისეულ მოზაიკას, სადაც ერთ-ერთ ცენტრალურ ხაზს ტექნიკური ცივილიზაციის საზოგადოებაში სიწმინდის კრიზისის პრობლემა შეადგენს.

ვინაიდან სიწმინდის გაგება აღნიშნულ ნაწარმოებში ერთდროულად უკავშირდება მის როგორც რელიგიურ, ასევე საზოგადოებრივ მხარეს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, უპირველეს ყოვლისა, მოკლედ შევეხო სიწმინდის სწორედ რელიგიურ გაგებას.

ადამიანთა ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე რელიგია ყოველთვის გვთავაზობდა გარკვეულ კანონთა ერთობლიობაზე დამკვიდრებულ ადამიანთა ზნეობრივ იდეალს. კანონთა ამგვარი ერთობლიობა ქრისტიანულ რელიგიაში ათი მცნების სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული რელიგიური კოდექსი ხალხს უჩვენებდა გზას უცოდველი, ზნემაღალი და წმინდა ცხოვრებისაკენ დედამიწაზე და პირდებოდა სამუდამო ბედნიერებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხეტარების სიკვდილის შემდეგ. რა თქმა უნდა, აღნიშნული რელიგიური კოდექსის დაცვა ყველას არ ძალუძდა. უფლის მცნების შეუბღალავად შემსრულენი მხოლოდ მათ შეეძლოთ, ვინაც მთელი თავისი არსებით სწამდათ მის მიერ შექმნილ სამყაროში სიკეთის ხარება. მხოლოდ მათ შესწევდათ ფიზიკური და სულიერი ძალა აღნიშნული ეთიკურ-ზნეობრივი იდეალის მიღწევისა. მხოლოდ ისინი იწოდებოდნენ წმინდანებად და, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, წარმოადგენდნენ ადამიანობის ეტალონს საერო ცხოვრებაში. წმინდანობის ფენომენი აყვანილი იყო არა მარტო უმაღლეს რელიგიურ, არამედ საერო რანგშიც. ამიტომ, საზოგადოების განსაზღვრა სიტყვით „რელიგიური" გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის (ჩვენს შემთხვევაში ქრისტიანული), საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივი იდეალის და ამ იდეალის მიმდევრების არსებობას. საზოგადოებასა და რელიგიას შორის არსებული ურთიერთობანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სოციუმის შიგნით არსებულ მორალურ-ეთიკურ მდგომარეობას, არეგულირებს ურთიერთობებს, ერთის მხრივ, საზოგადოებასა და მის ზნეობრივ იდეალს და, მეორეს მხრივ, საზოგადოებასა და ცალკეულ ადამიანებს — წმინდანებს შორის.

შესაბამისად, რელიგიურობის უარყოფის შემთხვევაში იდევნება, უფასურდება ან მთლიანად იკარგება მის მიერ შემოთავაზებული ზნეობრივი იდეალი, ნაწილობრივ ან სრულად მახინჯდება ის მორალურ-ეთიკური კოდექსი, რომელზეც იზრდებოდნენ არა მარტო მთელი საზოგადოებანი, არამედ ცალკეული პირებიც, რომლებიც საკუთარი რელიგიურ-საზოგადოებრივი იდეალის, ანუ რაც იგივეა, საკუთარი რწმენის გამო, მზად იყვნენ წასულიყვნენ უდიდეს მსხვერპლზე. საზოგადოების მიერ რელიგიურობის დაკარგვა იწვევს არა მარტო მიზანმიმართულ, არამედ ბუნებრივ დაღუპვა-გაქრობას ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც ღრმად სწამთ და ისწრაფვიან ზნემაღალი ადამიანური მდგომარეობის მისაღწევად. „ღმერთის სამყაროდან გაძევებას" მოსდევს დიდი ცვლილებები ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეთიკურ, მორალურ და სხვა სფეროებში; იშთობა და იშრიტება საზოგადოების ჭეშმარიტად პროგრესული, დადებითი, შინაარსიანი, სულისმიერი ძალები. სნებაშეყრილი და გაუკუღმართებული საზოგადოება საოცარი სისწრაფით მიექანება ზნეობრივ-ეთიკური ნულისაკენ. დგება სატანის, ბოროტი ძალების მეუფების დრო, რომელიც, როგორც უფორმო პლაზმისმაგვარი მასა, თავს ატყდება ქვეყნიერებას, გარს ერტყმის, ეტმასნება, ეხვევა და თავის გაუმაძღარ „კრიპტში" იწოვს ყველაფერსა და ყველას ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.

ბოროტების უფორმობაში „არა რაც" შეიძლება ვიგულისხმოთ და მისი მრავალგვარობაც. ფრიად ზოგადი, აბსტრაქციამდე აყვანილი ძალაც და მისი ზედმიწევნით კონკრეტული განსახებაც ისეთიც კი, როგორიც ცელოფანის ჩვეულებრივი პარკია. სამწუხაროდ, უფორმოს ფორმადქმნადობა, უჩინოს თვალსაჩინოება მხოლოდ მაშინ ხდება საცნაური, როცა გვიანაა, როცა სასწორზე შეგდებული სიკეთე და ბოროტება სატანის მხარესაა გადაზნექილი. აი, როგორ აღწერს მოახლოებულ სიკვდილს „მიზიდულობის ცისარტყელას" ერთ-ერთი გმირი:

„წინიდაწინ ვიცი, როგორ ძოკავდები, ისიც ვიცი, რომ იმათი ხარ, მათთან მუშაობ. მაგრამ არა უშავს, ერთად მოვიცდით. რასაც ბეტყვილამის სამი საათია. სანტა მარიას გზატკეცილზე მივაქროლებ მანქანას. თბილა. ყველა ფანჯარა ღია მაქვს. დაახლოებით 70-75 კილომეტრის სიჩქარით მივდივარ. ქარი მანქანაში იჭრება და უკანა სავარძლიდან თხელი ცელოფანის პარკი ამოდის. ჩვეულებრივი პარკია, ქიმწმენდაში რომ ხმარობენ; შეუმჩნევლად მოფარფატებს ჰაერში, ზურგიდან მოიწევს. მერკურის შუქზე აჩრდილივით ფერმკრთალი ჩანს... იგი თავს მიბურავს, იმდენად მშვენიერი და გამჭვირვალეა, რომ მის იქ ყოფნას ვერც კი ვაცნობიერებ, სანამ უკვე გვიან არ არის. ცელოფანის პირსაბურავი, ნელა რომ მართმევს სულს" (გვ. 883).

ყველასათვის შეუმჩნეველი არ რჩება ბოროტი ძალების გააქტიურება, სატანის გამოღვიძებული მოძრაობა. თუმცა, ხშირად ადამიანები ფსიქოლოგიურად იმდენად დაბნეულნი, გაოგნებულნი, თავზარდაცემულნი და პარალიზებულნი არიან მათ თვალწინ მიმდინარე მოვლენების დაუჯერებლობით, რომ სასოწარკვეთილებისაგან პასიურ მაყურებლად გადაქცეულან და საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი ხელს უწყობენ სატანის მარათონულ სრბოლას ძალაუფლებისაკენ.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში აღწერილია რომანის ერთ-ერთი გმირის შეხვედრა ბოროტების ლიტერატურულ სახესთან:

„ერთ შერლოკ ჰოლმსურ საღამოს პაიროტმა გაზის სუნი იგრძნო. იგი აშკარად ქუჩის ჩაბნელებული ხათურიდან მოდიოდა. უეცრად მის წინ გაწოლილი ნისლიდან მამაკაცის ასოს მსგავსი რაღაც საგანი ამოიზარდა, ხორცი შეისხა. შავ ტანსაცმელში გახვეული პაიროტი ფრთხილად, ნელა მიუახლოვდა საგანს. საგანმა მის შესახვედრად იწყო სრიალი, ქვაფენილზე გველივით მოიხლაზნებოდა მის შესახვედრად, უკან კი გაურკვეველი ლორწოვანი ბრწყინის კვალს ტოვებდა. ქუჩის ჯერ კიდევ ჩაუმქრალ სიფხიზლეში პაიროტმა იჩქარა და პირველმა მიაღწია მათ შორის მდებარე გზაჯვარედინს. თავზარდაცემული შეტორტმანდა, უკან დაიხია. გზაჯვარედინის მეორე მხარეს — ასეთ მიხვედრებში შეცდომა დაუშვებელია — ეს საგანი გიგანტური ადენოიდი იყო, სულ ცოტა წმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაულეს ტაძრის სიმაღლისა და სიათობით იზრდებოდა. ლონდონს და ვინძლო, მთელს ინგლისს საფრთხე ემუქრებოდა" (გვ. 16).

ადენოიდი — ბოროტება, ადენოიდი — სატანა, დაუყოვნებლივ, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე წმინდა ჯეიმსის ტაძრისკენ მიემართება:

„სიტუაციამ სტაბილური ხასიათი მიიღო. ადენოიდს წმინდა ჯეიმსის მთელი ტაძარი უკავია, სადღაც გამქრალა ისტორიული ძეგლები, სახელმწიფო დაწესებულებებიც იმგვარად მიმოუბნევიათ, რომ მათ შორის კავშირის დამყარება ფრიად საეჭვო შექმნილა. ადენოიდის გამხმარი, მუწუკებით დაზიანებული ნაცრისფროდ მბზინავი საცეცები გზიდან იტაცებს ფოსტალიონებს, სატელეფონო ბოძებიც კი მზად არიან პირქვე დაემხონ ადენოიდის პირველსავე ზუმტურზე" (გვ. 17).

ადენოიდის წმინდა ჯეიმსის ტაძარში მოთავსებით მწერალმა ალეგორიულად გვიჩვენა ბოროტების უპირველესი ამოცანის დედაარსი — ჩაკლას და დაამარხოს ყოველივე ღვთიური ადამიანის ბუნებაში, ხელყოს მისი სიწმინდე და ზნეობრივი იდეალი, შეანაცვლოს სულიერი მისწრაფებანი რაციონალური, საგნობრივი თვითკმაყოფილებით. მხოლოდ ამგვარი წინმავალი გარემოება შეძლებს სატანისათვის სასურველი მართვის სისტემის აგების უზრუნველყოფას: სისტემისა, რომელიც ძალადობის, განადგურების, გაცამტვერების, სიკვდილის კანონებს ემორჩილება.

საკუთარი სათქმელის უფრო სრულყოფილი გადმოცემისა და ნათელყოფისათვის მწერალი ნაწარმოების მთელ მოქმედებას მეორე მსოფლიო ომის, მისთვის „თანამედროვეობის ტოტალური სისტემის სიმბოლოს" ფონზე შლის. ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი, ტაირონ სლოტროპი თავს გაქცევით შველის, რათა მტრის ხელში სიკვდილის მექანიკურ იარაღად არ გადააქციონ. სლოტროპთან ერთად მკითხველიც მონუსხული დაეხეტება სხვადასხვა ადგილას, მასთან ერთად პირისპირ ეჯახება ამორალობას, კორუფციას, სიცრუეს, მლიქვნელობას, ძალადობას, ეთიკურსა და ფიზიკურ გახრწნილებას — ყოველივე იმას, რაც მწერლის ზუსტი ნათქვამით „პარანოიდულ" საზოგადოებას ახასიათებს.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვესახება თუნდაც ზერელე, ზედაპირული ინფორმაცია მივაწოდოთ მკითხველს ერთი მეტად ორიგინალური ლინგვისტური ინოვაციის თაობაზე. საქმე ისაა, რომ ტ. პინჩონისათვის დამახასიათებელია სამყაროს მეტად თავისებური აღქმა. იგი აზროვნებს არა ჩვეულებრივი, ყველასათვის, ნაცნობი და მისაწვდომი ენობრივი ერთეულებით, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის მეშვეობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ. ტერმინები ენაცვლებიან სალიტერატურო ენის სიტყვებს, იძენენ მწერლის მიერ იძულებით თავსმოხვეულ ახალ კონტექსტურ მნიშვნელობებს და კარგავენ მათთვის ჩვეულ სემანტიკურ დატვირთვას. ასე მაგალითად, ფიზიოლოგიური ტერმინი „პარანოია" ნაწარმოების ტექსტობრივ ქარგაში იძენს რამდენიმე განსხვავებულ მნიშვნელობას. მოვიყვანოთ ეს მნიშვნელობანი:

1. გარემომცველი სამყაროს უსამართლობით გამოწვეული ბალღამის გადმონთხევა.

2. ნორმალური ქმედების ან მდგომარეობისაგან განსხვავებული ყოველგვარი უარყოფითი გადახრა; „ავადმყოფი" ფსიქიკის თავზარდამცემი ქმედება.

3. სახელმწიფო აპარატის მიერ შექმნილი სიცრუის, კორუფციის, მლიქვნელობის, ამორალობის, ძალადობისა და ბოროტების შემზარავი და მხუთავი ატმოსფერო, რომელიც თავის ნამდვილ სახეს სიკეთისა და კეთილშობილების ლიტონი სიტყვებით ნიღბავს. სინამდვილეში კი სდევნის, ახრჩობს და სულს ართმევს სწორედ სიკეთეს, სიყვარულს, კეთილშობილებას, პატიოსნებას...

4. არსებული მდგომარეობის ვითომდა გასაუმჯობესებლად მიმართული უმიზნო, უზნეო, ულმრთო პროპაგანდა.

5. ეშმაკეული, სატანური ძალა, ძალა რეგრესისა და განადგურებისა, რომელიც ყოველივე წმინდასა და თვით სიწმინდეს ყალყზე შემდგარი უპირისპირდება ამ ისედაც ცოდვილ დედამიწაზე.

6. მორალურ საყრდენთა მსხვრევა, ჭეშმარიტ ღირებულებათა გაუფასურება-დაკნინება.

7. ჭეშმარიტების შემცველი სისულელე, უაზრობა, ბოდვა.

ჩატარებულმა ლინგვო-სტილისტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ტერმინ „პარანოიას" კონტექსტური მნიშვნელობებიდან არა მარტო ლინგვო-სტილისტური, არამედ იდეურ-შინაარსობრივი და ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის გადმოცემის თვალსაზრისით ყველაზე ღირებული მეხუთე მნიშვნელობაა: იზიდება რა ერთის მხრივ, პარანოიისა და მეორეს მხრივ, ბიბლიისა და მისეული ათი მცნების დაპირისპირების საფუძველზე, ხდება წამყვანი და მაორიენტირებელი მნიშვნელობა, რამეთუ შეძენილი „უსაზღვროლობის საზღვრებით" თავის თავში მოიქცევს ყველა დანარჩენ კონტექსტურ მნიშვნელობას და ბოროტების ერთსახედ, დიაბოლურ ძალთა შესაკრებელად წარმოგვიდგება.

პრობლემის გახსნას იმ ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ, რომ მწერლის მსოფლმხედველობის მიხედვით თითქმის მთელი კაცობრიობის თანამედროვე მდგომარეობა — პარანოიაა, მასში მცხოვრები ხალხი კი — პარანოიდები. ისინი ნებით თუ უნებლიეთ ყოველმხრივ ექვემდებარებიან ამ სისტემის კანონებს და თუ თავის თავში ვერ ჰპოვეს შექმნილი სულიერი სიცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელიდან გამოსვლის ძალა, განწირულნი არიან. სხვა პარანოიდების მსგავსნი გახდნენ: თვით ღმრთისაგან ბოძებული ნორმალური ადამიანური ცხოვრებისა და მით უმეტეს, სულიერი ცხოვრების შესაძლებლობანი კი იმსხვრევა, ინგრევა, ქრებიან წმინდანები და თვით წმინდანობის იდეალიც დავიწყების ბურუსში იფლობა.

ნაწარმოების მთავარი გმირი, ტაირონ სლოტროპი, რომელიც მთელი კაცობრიობის სქემატურ მატერიალიზაციას წარმოადგენს, თხრობის დასაწყისში აღშფოთებულია გარემომცველი სამყაროს უსამართლობით. მიუხედავად ათასგვარი მუქარისა, პირდაპირ და დაუფარავად გამოთქვამს საკუთარ ნააზრ-ნაფიქრალს (გვ. 24-25); ხეტიალის ბოლოს კი, სამწუხაროდ, შეისისხლხორცა რა ცხოვრების პარანოიდული წესი, მათი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ხდება. ლოგიკურია მისი აღსასრულიც: სულიერად მორღვეული და ზნეობრივად დეფორმირებული ტაირონისაგან სიკვდილის შემდეგ, მისი წარმომშობი პარანოიდული სისტემისა და ამ სისტემის ნაშიერთა სიმბოლოდ მხოლოდ მეტსახელი „rocket-man" „რაკეტის ადამიანი"-ღა რჩება.

„სლოტროპი ოდნავ შესამჩნევი თაყვანისცემით უახლოვდება ოქროებით აჩონჩხილ მ. მ.-ს (ერთ-ერთი მოქმედი გმირი), „იქნებ შევდგომოდით..." იესო ქრისტევ! ყოველ დღე ერთი და იგივე... — ნუთუ მერტლს არ სურს, რომ ამ ცინგლიანმა სლოტროპმა შეწყვიტოს თავისი საძაგელი საქციელი და თუნდაც ერთხელ ისე მოიქცეს, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება" (გვ 791).

შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიებას მწერალი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ კაცობრიობა დაკარგულ რწმენას, დაკარგულ ზნეობრივ იდეალს უნდა დაუბრუნდეს; რომ ხალხში ხელახლა უნდა გაიღვიძოს სიწმინდის იდეალისადმი სწრაფვამ, როგორც არ უნდა ესმოდეთ იგი — რელიგიური თუ სოციალური აზრით:

„პოინტსმენი პარანოიისა და მის „საწინააღმდეგო იდეაზე" ლაპარაკობდა. მთელი ბიბლია ძახილის ნიშნებით აავსო, ჯანეტთან მიწერილი პავლოვის წერილი კი „რა მართლებია"-თი აჭრელა. ეს წერილი მეხსიერებაში ჩარჩენილ განცდებსა და V თავს — „შეპყრობილისა და პარანოიის ფიზიოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა"-ს შეეხებოდა. ვერ იტანს უხეშობას წიგნის მიმართ, მით უმეტეს, რომ წიგნის შეიძინე მფლობელს შორის თავიდანვე არსებული შეთანხმების მიხედვით, არავითარი აღნიშვნა არ უნდა გაეკეთებინათ მასში; ბიბლია ხომ საკმაოდ ძვირი დაუჯდათ, თითოს თითო გინეის დადებამ მოუწია" (გვ. 791).

უკანასკნელი ფრაზა „ბიბლია ხომ საკმაოდ ძვირი დაუჯდათ, თითოს თითო გინეის დადებამ მოუწია", რომელიც უჩვენებს თუ რა „ძვირი" დაუჯდათ წიგნი პოინტსმენსა და მის მეგობრებს, ავტორის მწარე ირონიითაა გა[illegible]. ეს ირონია პარანოიდული, რწმენადაკარგული, ხერხემალგატეხილი და მოხეტიალე საზოგადოების სიწმინდის იდეალისადმი დაბრუნების ღრმა ეჭვითაა გამოწვეული. შავი ფერები უფრო მუქდება, როცა მკითხველი აცნობიერებს პარანოიდების უსაზღვრო მისწრაფებას დატოვონ „Pain City" „ქალაქი-ტკივილი", დედამიწის მხატვრული განსახება და გაემართონ „Happy Ville"-ისკენ ციური სასუფევლის ცნების ლიტერატურულ ანალოგში, სადაც ქალი ადრე მხოლოდ მამაკაცის პიროვნული თვისებების შეძენის შემდეგ ხვდებოდა: „მე მას (ქალს, ა. მ.) წარვმართავ ისე, რომ იგი იქცევა მამაკაცად. ხოლო ყოველი ქალი, მამაკაცად გადაქცეული, დაემკვიდრება სასუფეველში" (თომას სახარება, 118).

დრო შეიცვალა. ახლა ქალის ტანსაცმელში გადაცმული მამაკაცი ცდილობს „ჰეპი ვილში" მოხვედრას. მამაკაცს არ ჰყოფნის ნებისყოფა მალე იხილოს ციური სასუფეველი:

„სისულელეა, რა თქმა უნდა, ასეც იქნება, ბატონო ინფორმაციავ! უჰ, ველარ ვითმენ, სანამ „ჰეპი ვილს" ვნახავ" (გვ. 752).

ამბობს რომანის ერთ-ერთი გმირი.

სურვილის დაკმაყოფილების გზაზე ძირითად წინააღმდეგობად გოროზი და ბოროტი რაკეტა წამოიმართება. სამყაროს განვითარების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის გაგების ავტორისეული ლიტერატურულ-სახეობრივი ფორმიდან — სიკეთის, მშვიდობის რაკეტიდან და სიკვდილის, სევდის, გაცამტვერების, ფიზიკური და მორალური ხრწნის რაკეტიდან — ქრისტიანულმა საზოგადოებამ მეორე ამოირჩია. ეს რაკეტა — რაკეტა ფალუსია, პირველ რიგში ჭაბუკებს რომ ემუქრება სიკვდილით:

„თეთრი გიგანტური ბუზი! თოვლისფერი მაქმანებით, სისხლისა და სპერმის შედედებული ლაქებით მორთული ზეალმართული ვენისი ბზუის! სიკვდილის არშია ჭაბუკების საქორწინო სამოსია" (გვ. 875).

ამერიკულ კრიტიკულ ლიტერატურაში რაკეტა-ფალუსის შესახებ მრავალგვარი აზრია გამოთქმული. „უბრალო ანალოგიიდან" კრიტიკოსები ისეთ „აბსურდულ დაშვებამდეც" კი მიდიან, რომ სლოტროპი მასიურ მეცნიერულ, სამხედრო და ეკონომიკურ კონსპირაციაში ჩადებული პროგრამაა".

ჩვენის აზრით, ამ სიმბოლოში მამაკაცის საწყისის პრიმატი იკითხება ქრისტიანულ სამყაროში. აღნიშნული ვარაუდის დაშვების შემთხვევაში ვლინდება გარკვეული პარალელები ამერიკელი მწერლის ტ. პინჩონის მხატვრულ აზროვნებასა და ქართველი ფილოსოფოსის დ. ზუმბაძის თეოლოგიურ აზროვნებას შორის.

დ. ზუმბაძის თანახმად, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო — მამაკაცური და ქალური — საწყისიდან ქრისტიანულმა სამყარომ უარყო მეორე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალური საწყისი, რომელსაც თვით ღმერთი ჰქონდა ბოძებული სიცოცხლის[1] გაგრძელების ფუნქცია, რაც ჩვენი აზრით, დედამიწაზე მშვიდობის თესვის ტოლფასია. აღიარა რა მამაკაცური საწყისის პირველადობა, რომელშიც გენეტიკურად იყო ჩადებული ძალაუფლებისადმი ლტოლვა, ქრისტიანული საზოგადოება მივიდა იქამდე, რომ „დღევანდელი კაცობრიობის ბედი საქრისტიანოს ქვეყნებს ეკუთვნის და, საქრისტიანოს ეკუთვნის ვარსკვლავებზე დაწყობილი სატანის ყუმბარებიც" (გვ. 86). მოგვყავს ხელნაწერის მიხედვით — ა. მ.).

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ტ. პინჩონიც:

„როცა ფალუსი ხელიდან ხელში გადადიოდა, ქრისტიანს[1] ხელი ხეთისკენ[2] ჩრდილოეთისკენ, სიკვდილი-სამეფოსკენ ჰქონდა გაშვერილი... ოდნავ შესახებად სრიალებდა ხელისგულები, თუმცა ამ წუთისთვის ეს შეხება, ეს რწმენა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ მათ" (გვ. 785).

რომანის იდეური ქარგის სიღრმისეული ანალიზი აშკარავებს მწერლის აზრს, რომ საქრისტიანო უძლურია მიაღწიოს „ჰევი ვილს" ამორჩეული რაკეტა-ფალუსის საშუალებით. ზეცისკენ, ღმერთისკენ მგზავრობა ამ რაკეტით კატასტროფისთვისაა განწირული, თუმცა შურისძიების ზუსტი დრო შესაძლებელია სამუდამო საიდუმლოდ დარჩეს:

„გოტფრიდს დედამიწაზე დაბრუნების ყველა გზა მოჭრილი აქვს. მისი სიკვდილის ზუსტი დრო სამუდამოდ უცნობი იქნება" (გვ. 877).

ერთადერთი უცილო გზა ვარსკვლავებისკენ, „ჰევი ვილისკენ" რაკეტის არჩევანში დაშვებული შეცდომის აღიარებაა, რაკეტა მშვიდობასთან დაბრუნებაა, რომელიც დ. სუმბაძის ნაშრომთან ანალოგიების სქემატიზაციის გაგრძელების შემთხვევაში, საოცარი სიზუსტით ემთხვევა უარყოფილი დედური საწყისის მისეულ გაგებას ორთოდოქსალურ ქრისტიანულ რელიგიაში.

და მოუსვენრად დაგტრიალებს თავს კითხვა: „იქნებ თანამედროვე ახალგაზრდობის ფემინიზაციისაკენ სწრაფვა წარმოადგენს თავისებურ გამოძახილს დაკარგული ქალური საწყისის, რელიგიურობის, სიწმინდის, დაკარგული იდეალის, „გაძევებული ღმერთის" დაბრუნების ცდას?"

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ დროს ძალუძს. ტ. პინჩონის აზრით კი, თუ დაბრუნება არ მოხდება, კაცობრიობა დაისჯება მის მიერ ჩადენილი ცოდვებისთვის, შეცდომებისათვის, „უფლით ნებადაურთველი" ადამიანთა ჯვარცმისათვის" (გვ. 784), რითაც ასე „მდიდარია" ჩვენი საუკუნე. მკაცრი განჩინების პირველი ნიშნები ტაირონ სლოტროპს პირში გაჩხერილი თმის ბლუჯის სახით ევლინება:

„ერთ დილას — როცა სლოტროპსა და მის შეყვარებულს ორი კვირის მანძილზე არ ენახათ ერთმანეთი — „უაით ვიზიტეიშანის"[3] კელიაში განმარტოებულს გამაგრებული, გაუხეშებული ქუთუთოებითა და პირში გაჩრილი ყავისფერი გრძელი თმის ბლუჯით გაეღვიძა. მხოლოდ ჯესიკას თუ ეკუთვნოდა ეს თმა. მაგრამ ეს გამორიცხული იყო — ჯესიკა ბოლო ორი კვირის მანძილზე არც კი ენახა. რამოდენიმეჯერ ჩაიდუდღუნა, ფანჯრის მიღმა გათენებულიყო. კბილი ასტკივდა. თმა გახსნა, ნერწყვით დაასველა; რა იყო ეს? ძვირფასი ძღვენი თუ პირლია ძილს დაჩვეულთათვის განკუთვნილი დილის ფეშქაში? დაჟინებით დააცქერდა, როგორ მოხვდა აქ?

უნდა გენახათ როგორ დაბორიალობდა, როგორ იკაწრავდა პირს პარსვისას, როგორ ახველებდა, აცემინებდა, ერთ ნახვად ღირდა მისი მეგობრები ცხვირზე მიმხმარი წვინტლებით პარაფსიქოლოგიური სექციიდან. მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო ფიქრი ჯესიკაზე, მის უსაფრთხოებაზე" (გვ. 144).

განაჩენის სისრულეში მოყვანის ფორმები მრავალგვარია: კოცონზე დაწვა (გვ. 888), კასტრირება (გვ. 710), ხალხის გამიზნული განადგურება ლაბორატორიებსა თუ ომში (გვ. 83; 97-98) და ა. შ. ზუსტი დრო, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უცნობია, მაგრამ, შურისძიების საათი დარეკავს.

ჯერ-ჯერობით კი გადარჩენის ერთადერთ გზად რომანის გმირებს სულთა სამეფოსთან შეერთება მიაჩნიათ. ეს ის სამყაროა, რომელიც არც უსამართლობას ემორჩილება, არც პრინციპს, არც კანონსა და არც ძალაუფლებას:

„უსამართლობა ვერა სძლევს პრინციპს,
პრინციპი ვერ სძლევს კანონმდებლობას,
კანონი ვერ სძლევს ძალაუფლებას,
ძალაუფლება კი ვერ სძლევს ზეცას" (გვ. 812).

ნაწარმოებში სულთა სამყაროსთან შერწყმა სხვადასხვა ფორმას იძენს: ზოგი უბრალოდ სტოვებს თავის ფიზიკურ ჭურჭელს (გვ. 889), სხვანი რაკეტით მიემგზავრებიან (გვ. 885), ზოგი კი, მწერლის მსგავსად, სიცოცხლეშივე აღიარებული თანამედროვე ამერიკული პოსტმოდერნიზმის კლასიკოსად, იკეტება თავის სახლში, ცხოვრობს სრულ იზოლაციაში, არავის არ ხვდება, არც მკითხველებს, არც კრიტიკოსებს, არც ჟურნალისტებს...

მან თავისი განაჩენი პარანოიდულ საზოგადოებას უკვე გამოუტანა.

---

1. ქრისტიანული სამყაროს ერთსახედ წარმოდგენილი ერთ-ერთი გმირის სახელი.
2. რაკეტა-ფალუსის სასტარტო მოედანი.
3 სამხედრო დაწესებულება, სადაც სლოტროპი მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ კალანდაძე

# ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებისათვის

ისტორია, ცხადია, ჩინური კედლით როდია დაშორებული სხვა მომიჯნავე მეცნიერებებისაგან. მას საკმაო შეხების წერტილები აქვს ფილოსოფიასთან, პოლიტიკურ ეკონომიასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, ხელოვნებასთან. ამ მხრივ მხატვრული ლიტერატურაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. აი რას წერდა ამის თაობაზე საბჭოთა ისტორიკოსი ბ. გ. მოგილნიცკი: „ხელოვნების მსგავსად, ისტორიას აქვს საქმე ადამიანთან, იკვლევს მისი მოღვაწეობის და მსოფლმხედველობის მრავალფეროვან ფორმებს. ისევე როგორც ხელოვნების ნაწარმოებებში, ისტორიული გამოკვლევის ცენტრში დგას კონკრეტული ადამიანი. ორივე შემთხვევაში ადამიანის შემეცნება, მისი დამოკიდებულება სოციალურ გარემოსთან, მჭიდროდაა დაკავშირებული ზოგადი სოციალური კანონების გახსნასთან. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შემეცნების ორივე ფორმას გააჩნია ემოციური ზემოქმედების უდიდესი ძალა". ერთი თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „ძალიან ცოტა საკითხები იწვევს მწვავე პოლემიკას და ისმის ისე ხშირად, როგორც საკითხი: რა არის ისტორია — ხელოვნება თუ მეცნიერება?"

გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი დარწმუნებული იყო, რომ „ისტორია ხელოვნებასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე მეცნიერებასთან". ამ მოსაზრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ინგლისელი ისტორიკოსი ჯორჯ მაკოლი ტრეველიანი. იგი თავის წიგნში „კლიო ისტორიის მუზა" ამტკიცებდა, რომ ისტორია ხელოვნებაა, ხოლო ისტორიკოსის ამოცანები ემთხვევა ლიტერატორის ამოცანებს (ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსი უოლში. მისი აზრით, „იდეალური ისტორიკოსი იდენტურია რომანისტის ან დრამატურგის იდეალთან"). მეცნიერული კვლევის ელემენტები, ტრეველიანის მოსაზრებით, ისტორიკოსის მიერ გაწეულ მუშაობაში უმნიშვნელო როლს ასრულებენ. ჯ. მ. ტრეველიანის შეცდომა, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ნ. ა. ეროფეევი, ის გახლავთ, რომ მან „სათანადოდ ვერ შეაფასა მეცნიერული აზროვნების მნიშვნელობა ისტორიულ გამოკვლევაში". თავისი შემოქმედების დასაწყისში ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი ბენედიტო კროჩე ისტორიას განსაზღვრავდა, როგორც ხელოვნებას. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი ისტორიაში ხედავდა ხელოვნებას. ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი ფიქრობს, რომ „ისტორია ერთდროულად მეცნიერებაც არის და ხელოვნებაც". ფრანგი პოეტის პოლ ვალერის აზრით „ისტორია მეცნიერება კი არაა, ხელოვნებაა". ჰოლანდიელი ფილოსოფოსის იოჰან ჰოიზინგას თანახმად „ისტორია უახლოვდება, ენათესავება ხელოვნებას". ასეთ მსჯელობას ბოლოს და ბოლოს მივყავართ ანტიისტორიზმამდე, ისტორიის როგორც მეცნიერების უარყოფამდე. მათი მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ უგულებელყოფენ მეცნიერული აზროვნების მნიშვნელობას ისტორიულ გამოკვლევაში. ისტორიის და ლიტერატურის გაიგივება ამის ლოგიკური შედეგია.

არაფრით არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ფანტაზიას ისტორიულ მეცნიერებაში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. მწერალი სრულ თავისუფლებას აძლევს საკუთარ ფანტაზიას, ისტორიკოსი კი ფაქტების ერთგული უნდა იყოს. ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურას შორის არსებულ ამ სერიოზულ განსხვავებაზე, აზროვნების ორ სულ სხვადასხვა სტილზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში მიუთითებდა ბესარიონ ბელინსკი. თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ელტონი ამბობს, რომ „ისტორიკოსის ფანტაზია არის ფანტაზია, რომელიც იმყოფება მეცნიერებისა და ცოდნის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ". ბ. მოგილნიცკი წერდა „ჩვენ საქმე გვაქვს შემეცნების ორ პრინციპულად განსხვავებულ ფორმასთან. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება არსებული სინამდვილის მეცნიერულ ასახვას, ხოლო მეორე შემთხვევაში, მის ასახვას მხატვრულ სახეებში, რომლებსაც მეცნიერული სიზუსტის პრეტენზია არა აქვთ". თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფია უარყოფს ისტორიული მოვლენების განზოგადების საჭიროებას, გერმანელი ისტორიკოსი გერჰარდ რიტერი წერდა: „ისტორიკოსს არ შეუძლია მოვლენების და ფაქტების მიზეზობრიობის ახსნა". მტკიცების პრობლემის იგნორირება უკარგავს ისტორიას მეცნიერულ ღირებულებას. ასე იშლება ზღვარი სიტყვაკაზმულ ლიტერატურასა და ისტორიულ მეცნიერებას შორის.

ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემების კვლევა-ძიებას წმინდა მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. „ფიქრთა მპყრობელებს" შესწევთ უნარი დიდი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ძალიან ხშირად უბრალო მკითხველი საზოგადოება ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს ან პიროვნებას რომელიმე გამოჩენილი მწერლის ნაწარმოების მიხედვით უყურებს. ამიტომ მათი წყალობით საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ დეზორიენტირებული აღმოჩნდება. შემთხვევითი არაა, რომ, როდესაც რიჩარდ III მსჯელობენ, ხშირად მის შექსპირისეულ დახასიათებას ეყრდნობიან, თუ საუბარი ყოზეფ ფუშეზე ჩამოვარდება, უმალ შტეფან ცვაიგის დახასიათებას მოიშველიებენ. საკმაოდ ხშირად შოტლანდიის დედოფალ მარიამ სტიუარტზე ფრიდრიხ შილერის და შტეფან ცვაიგის ნაწარმოებების მიხედვით საუბრობენ. თანამედროვე მეცნიერების გამოკვლევებმა (მ. ბარგი, ე. ჩერნიაკი, ა. გრენბემი, ა. პოლარდი და სხვები) კარგად გვიჩვენეს, რომ სინამდვილეში რიჩარდ III სულ არ იყო ისეთი ფიზიკურად მახინჯი, დესპოტი და ტირანი, როგორც ეს თ. მორმა და უ. შექსპირმა დაგვიხატეს. შტეფან ცვაიგის, ყოზეფ ფუშეს შესახებ ამ ეპოქის ისტორიის შესანიშნავი მცოდნე ისტორიკოსი ა. ზ. მანფრედი წერდა: „შეიძლება არ დავეთანხმოთ შტეფან ცვაიგს, როდესაც ის გვიხატავს ფუშეს ბოროტების გენიად". ისტორიული მარიამ სტიუარტი სულაც არ იყო ისეთი რომანტიკული შარავანდედით მოსილი გმირი, როგორც ეს ფრიდრიხ შილერმა და შტეფან ცვაიგმა დაგვიხატეს. ისტორიული მარიამ სტიუარტი კათოლიციზმის, ფეოდალიზმის, კონტრრეფორმაციის, რეაქციის ბურჯი იყო. ანალოგიური მაგალითი ქართულ ლიტერატურაშიც გვხვდება. საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის მამას გიორგი II მკითხველები კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე რომანის „დავით აღმაშენებლის" მიხედვით აფასებენ როგორც სუსტ, უნიათ, უნებისყოფო მეფეს. ამ თვალსაზრისმა დიდი ხნის განმავლობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია გიორგი II-ის შეუფასებლობას უმართებულოდ მიიჩნევს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „გიორგი II უნდა დაიკავოს თავისი საპატიო ადგილი ქვეყნისა და ერის გადარჩენისათვის მებრძოლთა შორის". ზემოთ მოყვანილი ფაქტები არავითარ ჩრდილს არ აყენებენ დასახელებული ნაწარმოებების მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირებულებას და როგორც სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუშებს ისტორიული წარსულის მეცნიერული სიზუსტით ასახვის პრეტენზია, ცხადია, არ აქვთ. პრინციპული განსხვავება ისტორიასა და ხელოვნებას, კერძოდ ლიტერატურას შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი გახლავთ სოციალური სინამდვილის მეცნიერული შემეცნების ფორმა, მეორე კი არა. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს მათ შორის შეხების წერტილების არსებობას. ამის ნათელი ილუსტრაციაა თვით ისტორიის წარმოშობა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ „ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტე პოეტების მსგავსად, აწყობდა თავისი ნაწარმოებების საჯარო კითხვას. თავდაპირველად ისტორიის მუზა კლიო იყო გმირული სიმღერის მუზა. ისტორიის და ლიტერატურის სიახლოვის საუკეთესო ნიმუშია ისეთი ლიტერატურული ჟანრის არსებობა, როგორიც გახლავთ ისტორიული რომანი.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ გარკვეული გავლენა მოახდინა ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე. ჯერ კიდევ ოგიუსტენ ტიერი მიუთითებდა ვალტერ სკოტის ისტორიული რომანების გავლენაზე XIX საუკუნის ისტორიულ მეცნიერებაზე. ო. ტიერიმ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ. გ. მოგილნიცკი, „შესძლო გამოეხატა ამ გავლენის ყველაზე არსებითი მომენტი. ვ. სკოტის რომანებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი მისი მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბების საქითხში". ო. ლ. ვაინშტეინს მოჰყავს საგულისხმო ცნობა, რომ მხოლოდ საფრანგეთში XIX საუკუნის დასაწყისში ვ. სკოტის რომანების ტირაჟის რიცხვი იმ დროისათვის კოლოსალურ რაოდენობას — ნახევარ მილიონს აღწევდა. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ო. ტიერის შეფასებაში არის ოდნავი გადაჭარბებაც. ისტორიისადმი ინტერესის გაღვიძებას XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, გაცილებით უფრო სერიოზული საფუძველი გააჩნდა, და იგი დაკავშირებული გახლავთ იდეოლოგიური ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ფაქტორებთან XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმზ ფროუდი ამტკიცებდა, რომ „ინგლისის ისტორია ყველაზე სრულყოფილად შექსპირის ისტორიულ ქრონიკებში აისახა". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შექსპირისათვის, როგორც დრამატურგისათვის მთავარი იყო არა ისტორიული, არამედ პოეტური სიმართლე (ამ თვალსაზრისით კი შექსპირი მართლაც შეუდარებელი იყო). ისტორიული რიჩარდ III ფროუდის მოსაზრების გაბათილების ყველაზე კარგი არგუმენტია.

შეიძლება დავასახელოთ ისეთი მეცნიერები, რომლებიც კარგად უხამებდნენ ერთმანეთს ურთულესი მეცნიერული პრობლემების კვლევას და მათ ხატოვნად გადმოცემას. მათ შორის არიან ოგიუსტენ ტიერი (მისი შრომებია: „მოთხრობები მეროვინგების ეპოქის ისტორიიდან", „ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის ისტორია", „მესამე წოდების წარმოშობისა და წარმატებების ისტორია საფრანგეთში"), ჟიულ მიშლეს შრომები: „ხალხი" და „XIX საუკუნის ისტორია" (ბრწყინვალე ლიტერატურული მანერის გამო მიშლეს უწოდეს „პოეტი ისტორიაში"). ინგლისელი ისტორიკოსი ჰენრი ბოკლის (ნაშრომი „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში"). ამ თვალსაზრისით სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ აკად. ე. ტარლეს და ა. მანფრედის შრომები. ნათქვამი პირველ რიგში ეხება მათ წიგნებს ნაპოლეონზე.

გერმანული ბურჟუაზიულ-იუნკრული ისტორიოგრაფიის პატრიარქი ლეოპოლდ ფონ რანკე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში „დონ კარლოსი", „მარიამ სტიუარტი" და „ვალენშტეინი" საკმაოდ გულგრილად ეკიდება დიდი გერმანელი დრამატურგის ფრიდრიხ შილერის ამავე სახელწოდების ისტორიულ დრამებს, რაც შილერის, როგორც ისტორიკოსისადმი რანკეს გულგრილი დამოკიდებულებით აიხსნება. რანკეს ამგვარი შეხედულებების მიზეზი წყაროებისადმი შილერის არაკრიტიკულ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. რანკეს პოზიცია, ჩვენი აზრით, ნაკლებად პროდუქტიულად გამოიყურება და ვფიქრობთ იგი მეტისმეტად მკაცრია დრამატურგ შილერის მიმართ. ასეთი ვიწრო სპეციალური მიდგომა, რა თქმა უნდა, ბევრს არაფერს იძლევა და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ შილერის ისტორიული დრამების ანალიზის დროს რანკემ ვერ იპოვა ყველაზე უფრო სწორი მომგებიანი პოზიცია. იგი სათანადო ყურადღებას არ უთმობს საკითხის არსებით მხარეს. შილერის დრამები არის XVIII საუკუნის გერმანიის ისტორიული აზრის განვითარების ნიმუში. დრამებში აისახა ისტორიული მეცნიერების განვითარების მდგომარეობა გერმანიაში XVIII საუკუნის მიწურულს, რაც რანკეს, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი დარჩა.

ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლე[illegible]ბოდა რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსი ნ. კარეევი. ფრიდრიხ შილერის ისტორიული თხზულებების განხილვისას ნ. კარეევმა სწორად მიუთითა შილერის ისტორიული შრომების ბრწყინვალე ლიტერატურულ სტილზე, შილერის ისტორიულ შეხედულებებზე ჟან-ჟაკ რუსოს გავლენის ფაქტზე. უჩვენა შილერის ისტორიული და ლიტერატურული მოღვაწეობის მჭიდრო ურთიერთკავშირი.

თანამედროვე დასავლეთგერმანელი ისტორიკოსი თეოდორ შილერი თავის წიგნში „ისტორიის დასაწყისი" ამტკიცებს, რომ ტრილოგიაში „ვალენშტაინი" შილერი უფრო ახლოს მივიდა და სწორად შეაფასა ვალენშტაინის პიროვნება, ვიდრე თავის ისტორიულ ნაშრომში „ოცდაათწლიანი ომი". საკითხის ასეთი გადაწყვეტა საკამათო ჩანს. შილერის მსჯელობის არგუმენტირებული კრიტიკა მოცემული აქვს ბ. მოგილნიცკის: „შემეცნების რაციონალური მომენტები მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ ინტუიციასთან შედარებით და ისტორია ფაქტობრივად გამორიცხულია მეცნიერების რიგებიდან. პოეზიის აღიარება ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ ლოგიკურად განაპირობებს ამ უკანასკნელის მეცნიერული ღირებულების დამცირებას. თეოდორ შილერის მსჯელობა აშკარად გამოკვეთილ იდეალისტურ ხასიათს ატარებს და ირაციონალიზმის ჩარჩოებში თავსდება, რომლის მთავარი დამახასიათებელი მომენტია შემეცნების მეცნიერული ლოგიკის უარყოფა".

1848 წელს ე. დემოშკანმა „ისტორიულ ჟურნალში" (№ 10) გამოაქვეყნა პატარა საინტერესო სტატია „ვალტერ სკოტი როგორც ისტორიკოსი", სადაც სცადა მიმოეხილა ვალტერ სკოტის ისტორიული ნაწარმოებები. მსოფლიოს ლიტერატურის კორიფეების დამსახურება იმდენად დიდია კაცობრიობის წინაშე, რომ რაიმე ხელოვნურ დამატებას, რასაკვირველია, არ საჭიროებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, მათი ისტორიკოსობის შესახებ საუბარი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ისტორიის პრობლემები ყოველთვის იპყრობდა და ახლაც იპყრობს მხატვრული სიტყვის ოსტატთა ყურადღებას. დიდი მწერლების შემოქმედება წარმოუდგენელია ისტორიის გარეშე. ისტორია ასაზრდოებს მათ შემოქმედებას და უყალიბებს მსოფლმხედველობას. სიტყვაკაზმული ლიტერატურის უბადლო ოსტატების დამსახურება ის გახლავთ, რომ მათ მხატვრულ ენაზე აამეტყველეს ისტორიის დაუვიწყარი ეპიზოდები, მაგრამ ეს ფაქტი, რასაკვირველია, ნაკლებად იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ, რომ ისინი ისტორიკოსები იყვნენ.

რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული გამონაკლისიც. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ნიკოლო მაკიაველი, ცრანსუა ვოლტერი და ფრიდრიხ ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი, ისინი თავისი ეპოქის თვალსაჩინო ისტორიკოსებიც იყვნენ.

თავისი დროის გამოჩენილი ისტორიკოსი იყო ფრანსუა ვოლტერი. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული გამოკვლევები: „ლუი XIV საუკუნე", „რუსეთის ისტორია პეტრე I მეფობაში" და ისტორიულ-ფილოსოფიური ნაშრომი „გამოცდილებები ხალხების სულისა, წესჩვეულებების და მთავარი ისტორიული მოვლენების შესახებ". ერთ-ერთი პირველი, ვინც შესძლო დაენახა ისტორიის წინაშე ვოლტერის დამსახურება, პუშკინი გახლავთ. აი, რას წერდა იგი: „ვოლტერი პირველი წავიდა ახალი გზით და ისტორიის ბნელეთში შეიტანა ფილოსოფიის ლამპარი". ვოლტერს როგორც ისტორიკოსს პატარა, მაგრამ ძალზე შინაარსიანი შრომა უძღვნა აკად. ე. ა. კოსმინსკიმ. გამოქვეყნებული აქვს შრომა აკად. ვ. პ. ვოლგინსაც. ვოლტერის ისტორიულ-ფილოსოფიური შეხედულებების საინტერესო ანალიზია ი. ი. სივოლაპის წიგნში „ვოლტერის სოციალური იდეები". მიუხედავად ამისა, უნდა დავეთანხმოთ თანამედროვე ფრანგ მეცნიერს რენე პომოს, რომ „ვოლტერი-ისტორიკოსის შემოქმედება ჯერ კიდევ გამოსაკვლევია".

ფრიდრიხ შილერის კალამს ეკუთვნის ორი სოლიდური ისტორიული გამოკვლევა: „ნიდერლანდების განდგომის ისტორია" და „ოცდაათწლიანი ომი", მას აქვს აგრეთვე პატარა ისტორიული წერილები, რელიგიურ ომებზე საფრანგეთში XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ჯვაროსნულ ლაშქრობებზე, გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსაზე, სოლონისა და ლიკურგეს კანონმდებლობაზე ძველ საბერძნეთში, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის შეუსწავლელია. ამავე დროს, ფრიდრიხ შილერი იყო იენის უნივერსიტეტის, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, ისტორიის პროფესორი და სამი წლის მანძილზე (1789-1791) კითხულობდა ლექციებს მსოფლიო ისტორიაში. სამწუხაროდ, შილერის ლექციებმა მსოფლიოს ისტორიაზე ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებზე არსებულ გამოკვლევათა შორის ყურადღებას იპყრობს პროფ. ბ. ა. ბარგის წიგნი „შექსპირი და ისტორია". ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული შექსპირის თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებები ისტორიაზე, მის ადგილზე და დანიშნულებაზე. მკვლევარის ყურადღების ცენტრში დგას შექსპირის მსოფლმხედველობის პრობლემა, საინტერესოა ავტორის მსჯელობა შექსპირის ისტორიული ქრონიკების შესახებ. მან შექსპირის ისტორიული ქრონიკები განიხილა, როგორც რენესანსის ეპოქის ინგლისის ისტორიული აზროვნების წყარო. ეს იყო შექსპირის ისტორიული ქრონიკებისადმი ორიგინალური მიდგომა. ამით მან, შეიძლება ითქვას, რომ წინ წამოსწია შექსპირის შემოქმედების და საერთოდ ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემების შესწავლის მეტად საინტერესო ასპექტი.

პროფ. მ. ა. ბარგის მონოგრაფია „შექსპირი და ისტორია", ვფიქრობთ, ერთ-ერთი კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიკვლიოს ისტორიკოსმა ლიტერატურული პრობლემები.

დანიელ დეფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებს საინტერესო შრომა უძღვნა ტ. ლ. ლაბუტინამ. დეფოს პამფლეტები და თხზულებები არის წყარო XVII საუკუნის მიწურულის და XVIII საუკუნის დასაწყისის ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ისტორიისათვის. როგორც ტ. ლ. ლაბუტინა აღნიშნავს „დეფო ისტორიკოსების ყურადღებით განებივრებული არ ყოფილა და მისი სოციალური პოლიტიკური შეხედულებები სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" საინტერესო წყაროთმცოდნეობითი ანალიზი აქვს მოცემული აკად. ნიკო ბერძენიშვილს თავის შრომაში „ვეფხისტყაოსანი როგორც ისტორიული წყარო". ეს ნაშრომი არის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იმისა თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს და გააანალიზოს ისტორიკოსმა ლიტერატურული ნაწარმოები როგორც საისტორიო წყარო. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" არის XII საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების ნიმუში. ამ თვალსაზრისით რუსთაველის უკვდავი ქმნილება, უდავოდ, იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. შეიძლება დავასახელოთ რუსთველოლოგების გამოკვლევების გრძელი სია, სადაც საკმაოდ საფუძვლიანადაა დამუშავებული რუსთაველის შემოქმედების საკვანძო საკითხები, მაგრამ მიუხედავად ამისა, არის ერთი საკითხი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლიტერატურათმცოდნეობამ ისტორიკოსებისათვის დატოვა, კერძოდ: რუსთაველის თხზულება, როგორც XII საუკუნის საქართველოს ისტორიული აზროვნების განსახიერება. მსგავსი პოზიციებიდან, ალბათ, საინტერესო იქნებოდა ქართული ლიტერატურის სხვა კლასიკოსების ნაწარმოებების შესწავლა. მით უმეტეს, რომ ქართული ლიტერატურა ამისათვის საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს.

ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს ეხება ისტორიკოსების აკად. იურგენ კუჩინსკის და ვოლფგან ჰაიზეს წიგნი „სურათები და მცნებები". ეს არის ფართოპლანიანი ფილოსოფიურ, ისტორიოგრაფიულ, ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევა. მასში აღძრული და განხილულია მრავალი საგულისხმო პრობლემა. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ნაშრომის შემდეგი თავები: „ლესინგი, როგორც ისტორიკოსი", „გოეთე, როგორც ისტორიკოსი", „შილერი, როგორც ისტორიკოსი", მათი ავტორია ისტორიკოსი აკად. იურგენ კუჩინსკი. აქ არის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVIII საუკუნის გერმანული ლიტერატურის სამი ბრწყინვალე წარმომადგენლის ლესინგის, გოეთეს და შილერის ისტორიასთან დამოკიდებულების კვლევა, თუმცა ზოგიერთი საკითხის დაზუსტება, შემდგომი სრულყოფა, ჩვენის აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს: თუ შილერი პროფესიონალი ისტორიკოსი და ისტორიული შრომების ავტორი იყო, ლესინგსა და გოეთეზე ამას ვერ ვიტყვით, თუმცა მათი დამოკიდებულება ისტორიისადმი ძალიან საინტერესოა, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები იურგენ კუჩინსკის ნაშრომის შესაბამის თავებში.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ მაინც საკმაოდ ბევრი დარჩა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება დანტეს, ბოკაჩოს, ჩოსერის, სერვანტესის, მარლოს, გრიმილსჰაუზენის, შილერის, ვალტერ სკოტის, ბაირონის, დიკენსის, ჰაინეს, ჰიუგოს, ბალზაკის, სტენდალის, ფრანსის, როლანის, ცვაიგის, ფოიხტვანგერის, ამერიკელი „ნაგვისმჩქეჩავების" შემოქმედება. თითოეული მათგანის შემოქმედება წარმოადგენს ეპოქის ისტორიული აზროვნების სარკეს. ამ ასპექტში ეს პრობლემა შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი და უსათუოდ იმსახურებს ყურადღებას.

რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ახალი ისტორიის მკვლევართათვის ლიტერატურული ნაწარმოები პირველწყარო? „შეიძლება ვილაპარაკოთ ამ მნიშვნელობის სამ შემთხვევაზე: მხატვრული ნაწარმოები, როგორც წყარო კულტურის ისტორიისათვის, წყარო საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის შესახებ და ბოლოს, წყარო ისტორიულ-საზოგადოებრივი აზროვნებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლისა" — წერს პროფ. ბისკი. ამ თვალსაზრისით ზემოთ დასახელებული მწერლების შემოქმედება იძლევა საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვან მასალას, რომელიც უთუოდ იმსახურებს ისტორიკოსების ყურადღებას.

Ежемесячный литературно-художественный
и общественно-политический журнал
«ЦИСКАРИ»

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარჯნის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-55-81; მთავარი რედაქტორის მოადგილის — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38; განყოფილებების — 98-56-48; საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 7.12.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.01.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. აღრ. საგ. თაბახი 15.85. შეკვეთა 2621. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფასი 1 მან. 20 კაპ. ინდექსი 76286